780
2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუნჯე

1—2

2002

საუნჯე

[redacted]
იანვარი
აპრილი
(118)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა, პოეზია

ოუენ ბრეი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა **ზურლან გემაზაშვილმა** 3
რუსული პოეზია. თარგმნა **ელა მეტრეველმა** 29
ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი. ეშმაკის ელექსირი.
გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა **ლია თაკვარელიამ** 34
რუსული პოეზია. თარგმნა **თამარ ჩიქოვანმა** 88
გაბრიელ გარსია მარკესი. დიდი დედის დაკრძალვა.
ესპანურიდან თარგმნა **ელზა ახვლედიანმა** 95

პირველი ნაბიჯები

ფრენკ ო'კონორი. ჩემი ოიდიპოსის კომპლექსი. ინგლისურიდან თარგმნა
მარიკა აბაშიძემ 108
ლუიზე რინსერი. წითელი კატა. გერმანულიდან თარგმნა **ციცია ლუდუშაურმა** . . 119
მარგარეტ ჰანი. მე. გერმანულიდან თარგმნა **ციცია ლუდუშაურმა** . . . 124
ჰილდა ენდრიუს-რუსიკა. ჩვენი ახალი ჰანგი. ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან ჭილაშვილმა 128

წერილები

დალი ფანჯიკიძე. ნიკო ყიასაშვილის „ულისე" ქართული თარგმანის
ისტორიის კონტექსტში 138
პოლ ჯონსონი. გავხადოთ კაპიტალიზმი მორალური. თარგმნა **ნანა ახობაძემ** . . 143
ლია თაკვარელია. ე. თ. ა. ჰოფმანი და მისი რომანი „ეშმაკის ელექსირი" . 151

საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული
კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2002, № 1—2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ახოზაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია (პ/მგ მდივანი)
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქებულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაკნაზარი
გივი ძნელაძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

გად. წარ. 1. 11. 2001 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 02. 2002 წ., ქაღალდის ზომა 70X108$^{1}/_{16}$, საალრ. თ. 11. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. ტირ. 300. შეკვ. 950.

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

როუენ გრეი (ახალი ზელანდია)

მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა

მზაკვარი ვულკანი რუაპეჰუ

ორთავიანი მწვერვალი რუაპეჰუ მოსაღამოებისას ბაცი ფორთოხლისა და ვარდის შერეულ ფერს იძენდა ჩამავალი მზის სხივების წყალობით. სიუზენ რივსმა კარგად იცოდა, რომ მიდამოს თანდათან ბინდი შეეპარებოდა. სამი წლის მანძილზე ყოველდღე უცქერდა ამ სურათს თავისი სამზარეულოს ფანჯრიდან. შუადღის შემდეგ მზისგულზე გადაშლილი მთების დათოვლილი კალთები ლურჯი ცის ფონზე თვალისმომჭრელად ქათქათებდა. მხოლოდ ვულკანური ტბის თავზე ალმართული ოხშივრის ღრუბელი აბუნდოვანებდა მთათა კონტურებს.

სიუზენმა იცოდა, რომ ათ წუთში ფორთოხლისფერი მთლად გავარდისფრდებოდა, ღრუბელი ნაცრისფრად ჩამუქდებოდა და პატარა საავდრო ღრუბელს დაემსგავსებოდა. მერე ვარდისფერიც ჩამუქდებოდა, სანამ მზე მთლად არ ჩავიდოდა და გზადაგზა ყველა ფერს არ წაშლიდა, მერე ზაფხულის ბინდში ღრუბელიც გაქრებოდა, ფერმკრთალი ცივი მთა რელიეფურადღა თუ გამოჩნდებოდა ჩამუქებულ ცაში და გაშლილ ველს გიგანტური აისბერგის წვერივით წამოადგებოდა თავზე.

სიუზენს არასოდეს ენახა ვულკანური ტბა, მაგრამ მთელი ამ ერთფეროვანი წლების განმავლობაში გონებიდან არ სცილდებოდა, ისევე როგორც ტემზა, რომელიც ლონდონში მათი სახლის ახლოს მიედინებოდა სადღაც ზღვის გადაღმა, თორმეტი ათასი მილით დაშორებული. სიუზენი ხშირად ჩამოუგდებდა ხოლმე სიტყვას გრეგს ამ ტბის შესახებ და ისიც უყვებოდა, როგორ ამოავსო წყალმა კრატერი ორ მწვერვალს შორის, შემდეგ როგორ გაეყინა ნაპირები და ყინულის სქელი საფარველით დაიფარა. ხშირად ტბა გიგანტური ქვაბივით თუხთუხებდა ჯოჯოხეთურ ვულკანურ ცეცხლზე, მუდამ რომ გუგუნებდა მთების გულში.

დროდადრო, როდესაც ოცნება უცნაურად გაშლიდა ფრთას, რის შესახებაც გრეგმა არაფერი იცოდა, სიუზენს ეჩვენებოდა, რომ ის ტბა მისი სახება იყო, სავსე სითბოთი და გულითადობით, როგორც თავად გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ, მაგრამ სრულიად უძლური მეზობლების გარშემორტყმული კედლის წინაშე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კართან გრეგის ფეხის ხმამ მოსწყვიტა მისი ფიქრები სხივდაფენილ მთების მწვერვალებს. მაშინვე სამზარეულოს ღუმელს მიუბრუნდა. გრეგი დღეს ადრე დაბრუნდა. მას შემდეგ, რაც ახალი სახლის მშენებლობა წამოიწყო, მთელი ზაფხული მანამდე არ შეუშვებდა სამშენებლო იარაღს ხელს, სანამ ცას ოდნავი ნათელი კიდევ შერჩენოდა.

გრეგი სამზარეულოს კართან შეჩერდა და შემწვარი ცხვრის ხორცის სურნელი შეიყნოსა. იგი ტანადი, მხარბეჭიანი კაცი იყო, ოდნავ კეხიანი ცხვირით და გაუკრეჭავი თმით, რომელსაც დროდადრო ლამის ძირამდე დაიმოკლებდა ხოლმე. მისი სახე სილამაზეზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა, მაგრამ გულღია ღიმილი მზემოკიდებულ სახეს გოროზ მიმზიდველობას სძენდა.

სიუზენი მიუახლოვდა, ფეხისწვერებზე აიწია და ლოყა მიუშვირა საკოცნელად.

— რა ადრე მოხვედი? — ჰკითხა მან. — რა მოხდა? ჯერ ხომ მთვარე არ ამოსულა? — ქმარმა ალერსით თმაზე მოუთათუნა ხელი.

— სარკაზმი ნაკლებ უნდა იხმარო, როდესაც ოჯახის უფროსი ბრუნდება შინ, — მან მკლავში ხელი გამოსდო ცოლს, კართან მიიყვანა და ქვემოთ, დაუმთავრებელი სახლისკენ გაახედა. — აგერ, სახურავიც მზადაა, ახლახან დავამთავრე, — ამაყად განაცხადა მან. — შიდა წვრილმანი სამუშაოები, შეღებვა და მორჩა!

— კიდევ რამდენი დრო დაგჭირდება?

— ალბათ თვენახევარი, შეიძლება ორი, მეტი არა.

სიუზენს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.

* * *

ქალს სიხარულისგან ფრთები უნდა გამოსხმოდა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ახალ სახლში გადავიდოდნენ — ეს რაღაც უფრო მეტს ნიშნავდა. ჯერ ერთი, სანატრელი აღარ ექნებოდათ ისეთი უბრალო რამ, რაც მუდამ აკლდათ — გრეგი იძულებული აღარ იქნებოდა გვიან ღამემდე ემუშავა, თორემ ხანდახან რამოდენიმე დღე ვერ ნახულობდა თავის ორი წლის ტყუპებს — ჯოს და კერის. აღარც ძველი, დანჯღრეული საბარგო მანქანით მოუწევდათ მგზავრობა.

გრეგი შესცქეროდა ცოლს და ელოდა, რას მეტყვისო, მაგრამ რაკი სიუზენმა ხმა არ ამოიღო, ისევ თვითონ დაილაპარაკა.

— ახალ სახლში კარგად აეწყობა ოჯახური საქმეები, — თითქოს თავს იმართლებსო, ისე თქვა.

სიუზენმა ფანჯრის მიღმა გადაშლილ საძოვრებს გახედა. აქ გვალვის დროსაც კი მხიარულად მოჩუხჩუხებდა პატარა მდინარე. იგი თოვლიან მთაზე იღებდა სათავეს, თოვლის ზოლს ქვემოთ კი ხასხასა მწვანე ნოყიერი ბალახი ხარობდა.

— კი, მართალი ხარ, — თქვა მან ბოლოს. — ყველაფერი გვექნება, რასაც კი ცხვრები ინატრებენ.

ქალმა შეამჩნია, როგორ ეწყინა ქმარს მისი სიტყვები, და მაშინვე სცადა ნათქვამი გამოესწორებინა:

— მაპატიე, ჩემო კარგო, სისულელე წამოვროშე... ეს იმის ბრალია, რომ დრო ძალიან გაიწელა. შენც ასე გვიან ბრუნდები შინ, მე ვიცი, რომ ამას ჩვენთვის აკეთებ და ჩქარა მორჩები ყველაფერს.

გრეგმა თვალები მოჭუტა და ფიქრიანად შეხედა ცოლს.

— მისის ბრანდტის გამო ხომ არ მოგეშალა ნერვები? — ჰკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „რჩევა-დარიგება ახალგაზრდა ცოლებს, პუნქტი № 1, — გაეცინა სიუზენს. — როდესაც ქმარი სამუშაოდან ბრუნდება, ნუ დააცხრებით თავზე თქვენი პრობლემებით, ჯერ დააპურეთ...“ შემწვარი ხორცი მზადაა, შენ კი ხელებიც არ დაგიბანია.

იგი ქმარს მიუახლოვდა, ორი თითით სამუშაო ხალათი მოუსინჯა და ხუმრობანარევი გულაზიზობით ცხვირი ასწია.

— აბა, ხალათი გამოიცვალე და ათ წუთში მაგიდასთან გაჩნდი. მე ცივ ლუდს მოგართმევ.

ქალი სამზარეულოში გავიდა და ერთი წუთით ფანჯარასთან გაჩერდა. გარეთ მთლად ჩამობნელებულიყო. ფანჯრის შუშაში სამზარეულოს შუქით განათებული თავისი ფიგურა შეამჩნია. ისე შეავლო თვალი საკუთარ თავს, თითქოს პირველად ხედავსო. ცხვირი? პატარა. თვალები? დიდრონი, მომწვანო და საკმაოდ ლამაზი. პირი? ცოტა არ იყოს, დიდი. თმა? ძალიან ხუჭუჭა, სპილენძისფერი, მოკლედ შეკრეჭილი, რაც მთავარია, ერთი ღერი ჭაღარაც არ ერია. ორი წლის ტყუპების დედის პირობაზე ურიგო არ არის.

— მაშ, რა მემართება? — ჰკითხა თავის ორეულს. — იქნებ მართლა მისის ბრანდტის ბრალია ყველაფერი? დიახ, ეს ის ბოლო წვეთი იყო, რომელმაც აავსო მრავალი წლის მარტოობის ფიალა.

ასეთ მივარდნილ და მიყრუებულ ადგილას ცხოვრებას თავისებური ალღო უნდა აუღოს ადამიანმა. ასეთი დასკვნა სიუზენმა დიდი ხნის წინ გააკეთა. იგი სპეციალობით პედაგოგი იყო და ყოველთვის დიდ ქალაქებში მუშაობდა — ჯერ ლონდონში, მერე ოკლენდში, ახალ ზელანდიაში, სადაც იგი მასწავლებელთა გაცვლის პროგრამით ჩამოვიდა ორი წლით. აი, აქ გაიცნო გრეგი.

მაშინვე რომ სცოდნოდა, რა სიმარტოვე ელოდა, რა მონოტონური, გრძელი თვეები, როგორი უაზრო უხერხულობის გრძნობა, რომელიც დაეუფლებოდა ხოლმე, როცა სხვა ფერმერების ცოლებს ხვდებოდა, რა გულგრილი დამოკიდებულება, რითაც მის კეთილმეგობრულ გრძნობას ხვდებოდნენ, თუ რა ძნელი იქნებოდა ადამიანებთან დამეგობრება, — ყველაფერი ეს რომ წინასწარ სცოდნოდა, მაინც არაფერი შეიცვლებოდა, იმიტომ რომ გრეგი იყო გრეგი, ხოლო ცოლი ყოველთვის ქმრის გვერდით უნდა იყოს.

— ხომ შეიძლება, რომ უარესიც ყოფილიყო? — ჰკითხა თავის ორეულს. — დავუშვათ და, შუქურას ზედამხედველს გავყოლოდი ცოლად?..

ეს პატარა ამბავი კი, რომელიც მისის ბრანდტთან შეემთხვა, ბოლო დღეებში მოხდა. ბრანდტები მათი უახლოესი მეზობლები იყვნენ. იმათი ფერმა მთის ძირამდე ორი მილით უფრო ახლოს მდებარეობდა. იმ დღეს სიუზენი თავიანთი საბარგო მანქანით ბრანდტებთან გაემგ-

ზავრა სტუმრად (ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი დღე, როცა გრეგს მანქანა არ სჭირდებოდა). მათთან შევლა იმ განზრახვით გადაწყვიტა, რომ თუ იგი არ გაალღობდა ამ ყინულს, ამას მის გარდა სხვა ვერავინ გააკეთებდა.

მისის ბრანდტმა სტუმარი ერთობ თავაზიანად მიიღო. საუზმობისას ახალი სახლის მშენებლობაზეც ჩამოაგდეს სიტყვა. მისის ბრანდტმა დაუფარავი გულისწყრომით განაცხადა, რაღაც ყბადაღებული არტისტული მანერაა სახლის ასეთი ჭყეტელა ფერებით შეღებვა, სახლი უნდა იყოს ყავისფერი, ისეთი, როგორც ჩემია. ამაზე სიუზენმა მიუგო, რომ ცისფერი მან თვითონ შეარჩია, რასაც მისის ბრანდტის ერთობ გესლიანი ქირქილი მოჰყვა.

საუბარი თანდათან მინელდა და სულაც შეწყდებოდა, ბავშვების ყურისწამლებ ყვირილს სიუზენი ფეხზე რომ არ წამოეგდო. ტყუპები დედას ჩვეულებისამებრ მანქანაში ჰყავდა დატოვებული. ეს მათ ძალიან მოსწონდათ და რამდენ ხანსაც გნებავდათ, იმდენ ხანს მოიცდიდნენ ოღონდ საჭე ეტრიალებინათ. ამჯერად კი ჯო ჩამობრძანებულიყო ეზოში ბრანდტების დიდ ძაღლთან სათამაშოდ.

გარეთ გამოვარდნილ სიუზენს თვალწინ ასეთი სურათი გადაეშალა: ჯო გულაღმა ეგდო ტალახში, ხოლო ბებერი ქოფაკი სახეს უყნოსავდა.

ამ ამბავს რომ გრეგს უყვებოდა, სიუზენს მღელვარებისაგან ისევ უკანკალებდა ხმა.

— ის კი... ის ქალბატონი იდგა ზღურბლზე და გულგრილად გვიყურებდა, სანამ ძაღლს როგორღაც მოვაშორებდი და აღრიალებულ ჯოს დავამშვიდებდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში იდგა კარში და იქიდან მარიგებდა, ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება ყოვლად დაუშვებელიაო. გეფიცები, ლამის მეც ავტირდი.

სიუზენი ცდილობდა ეს ხუმრობანარევი კილოთი მოეყოლა, მაგრამ შეთრთოლებულ ხმაზე და შეწითლებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ცრემლებამდე აღარაფერი უკლდა. გრეგი ყველაფერს მიხვდა და თავის დასაღწევად ისევ ახალ სახლს მიაშურა.

— აქედან რომ გადავალთ, — წასვლისას უთხრა ცოლს, — მე უფრო თავისუფალი ვიქნები, ახალ მანქანასაც ვიყიდით. ზოგჯერ გასართობად ოკლენდშიც წავალთ. ერთ-ორ წელიწადში შენიანებსაც ვესტუმრებით, თუ მატყლის ფასი არ დაეცა...

სიუზენმა თავი დაუქნია, კი, მაშინ ყველაფერი ახლებურად იქნება, მხოლოდ რუაპეჰუს მთის სიახლოვე დარჩება ძველებურად, სადაც ცხვრის ფარისათვის შესანიშნავი საძოვრებია.

ვულკანის გულის სიღრმიდან გამუდმებულ ყრუ გუგუნს ვერ ეგუებოდნენ ახალი სახლები. რუაპეჰუ არ აწუხებდა ადამიანებს, რომ არც ისე ღრმად იყო თოვლისა და ყინულის საფარქვეშ, სულ ახლოს მოუსვენრად თუხთუხებდა გავარვარებული ლავა.

დროდადრო ვულკანი თვეობით დადუმდებოდა ხოლმე, მაშინ ტბა ყინულის სქელი ფენით იფარებოდა. მერე უეცრად, ერთ ღამეს დაიწყებდა ტორტმანს და მისი წიაღიდან ისმოდა პირველყოფილი გუგუნი. დილით ორთავიან მწვერვალზე თავმოყრილი სქელი ღრუბლები უფრო

მუქდებოდა ორთქლის ახალი ჭავლისაგან, რომელიც უხვად ასდიოდა გამლღვარ ტბის ზედაპირს.

იმ დღეს, როდესაც გრეგმა ახალი სახლის გადახურვა დაამთავრა, ვულკანი ვახშმობის შემდეგ აგუგუნდა. სიუზენი ჭურჭელს რეცხავდა, როცა ეს დაიწყო და მცირე ინტერვალებით გაგრძელდა, სახლში შეუსვენებლად წავიდოდნენ. რუაპეჰუს ახლოს გაზრდილი გრეგისთვის ეს ხმაური ჩვეულებრივი მოვლენა იყო და სულ არ უშლიდა ხელს, რომ გულიანად ჩასძინებოდა. სიუზენი კი იწვა გარინდებული, ძილგამკრთალი, ხანდახან ჩასთვლემდა, მაგრამ ჩქარავე ფხიზლობდა ხმაურისაგან.

მის მოქანცულ გონებაში კალეიდოსკოპივით ცვლიდნენ ერთმანეთს წარსულისა და გამოუცნობი, საშინელი მომავლის აღრეული სურათები. ვულკანის ფარული მუქარა თითქოს სულიერის ქადილს წააგავდა, რომელიც მხოლოდ სიუზენს უქნევდა თითს. ისინი კი, ვინც აქ იყვნენ დაბადებულნი და გაზრდილნი, ამას ვერ ამჩნევდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, ჩაეძინა, მაგრამ ძილში მაინც შფოთავდა, რადგან სიზმარში ვულკანის გზა ავ ძალლად გადაიქცა და ბრანდტების ეზოში მძინარე გრეგს უყეფდა.

დილით, ჯერ ისევ ბნელოდა, რომ გამოეღვიძა. საწოლ ოთახში სარკმლიდან მთვარის გაფერმკრთალებული ნათელი იფრქვეოდა. მან ნათლად იგრძნო, რომ რაღაც ცხადმა ძალამ გამოაღვიძა. ამან ნერვები დაუძაბა და მთლად გულისყურად აქცია. ცდილობდა გაეგო, რა ძალა იყო ეს. საათს შეხედა, მეოთხე საათი დაწყებულიყო.

ქალი გაუნძრევლად იწვა, გაფაციცებული სმენა გაურკვეველი ხმებისათვის მიეპყრო. უცებ მიხვდა, რაც იყო ეს უცნაური ხმა, რომელიც იქვე იყო მათ გარშემო, მათ სახლში. თითქოს ზღაპრული გოლიათი გრანიტის ლოდებს აგორებდა მთიდან.

სიუზენი საწოლიდან წამოდგა და სარკმელს მიუახლოვდა. მთვარის თეთრი ნათელით მოცული ვულკანი მომწვანო ფოსფორის შუქით ციმციმებდა. ათიოდე მილით დაშორებული მთა ახლა მათ ეზო-ყურეს თითქოს თავს წამოსდგომოდა. ირგვლივ გარინდული, უსიცოცხლო დუმილი იდგა.

ყრუ გუგუნი არ ცხრებოდა. სიუზენმა შუბლი მოისრისა, შეეცადა თავიდან მოეცილებინა აკვიატებული შიშის გრძნობა. ეს არა ჰგავდა მეწყერს, არც მხოლოდ მიწისქვეშა ბიძგებს, არც ძლიერი ქარის ქროლვას. მაშ რა უნდა ყოფილიყო?

— რატომ არა გძინავს? — გაისმა გრეგის ძილნარევი ხმა. სიუზენმა არაფერი უპასუხა. არ უნდოდა მისი შეწუხება. გრეგმა ბალიშიდან თავი წამოსწია, — რა მოხდა?

— აი ეს ხმაური... გესმის? ამან გამაღვიძა.

ქალი ფანჯრიდან მთვარის შუქით განათებულ გარემოს გასცქეროდა. გრეგი წამოდგა და ცოლთან მივიდა.

— მე მგონი, გუგუნი ძლიერდება, — თქვა სიუზენმა.

გრეგმა მიაყურადა. თმა ძილში აბურძგნოდა, პიჟამა გულზე ჩახსნოდა, მოღუშულ სახეზე ძილის კვალი უცებ გაუქრა. ხმაური არ წყდებოდა.

ისინი ცოტა ხანს ფანჯარასთან იდგნენ, ცოლი სახეში შეჰყურებდა ქმარს. შიში ყინულის მარწუხებით სულ უფრო და უფრო ძლიერ უკუმშავდა გულს. შორეული ხმაური მრისხანე ქუხილად იქცა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა.

ეროვნული

ბოლოს გრეგმა ხმა ამოიღო. სიუზენს პირველად ესმოდა ქმრის ასეთი დინჯი და მტკიცე ხმა. იგი ცოლს ოდნავ გაღიმებული ელაპარაკებოდა და სიუზენი მიხვდა, გრეგს მისი დამშვიდება უნდოდა. ისიც იგრძნო, რომ შიშმა თანდათან გაუარა.

— ჩაიცვი პალტო და ფეხსაცმელი, — უთხრა გრეგმა. — მე ტყუპებს მივხედავ. — იგი მიბრუნდა, მაგრამ სიუზენმა შეაჩერა.

— გრეგ... რა ხდება?

კაცი თითქოს დაუსხლტაო ხელიდან და ბავშვების ოთახისაკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა. გზადაგზა ხალათი გადაიცვა, ასკინკილით ფეხსაცმელებში წაყო ფეხები. სიუზენი ადგილზე გაქვავდა. შემდეგ ნებისყოფა მოიკრიბა, თავს დაეუფლა და კარადიდან თავისი თბილი პალტო გამოიღო.

ბავშვების საწოლ ოთახში რომ შევიდა, გრეგს უკვე ხელში აეყვანა საბანშემოხვეული ჯო. ბავშვს ეძინა, თავი მამას მხარზე დაადო, როცა გრეგი გაქუცული, სათამაშო დათვ-კოალას ასაღებად დაიხარა.

— სიუზენ, კერი აიყვანე და მომაწოდე, შენ კი ამათთვის ცოტა ტანსაცმელი წამოიღე.

— გრეგ, რა მოხდა... რა ხდება?

— ვულკანის ტბამ ნაპირები გადმოხეთქა.

* * *

ქალს უამრავი ფუჭი კითხვა უტრიალებდა თავში, — გრეგი როგორ მიხვდა? ეს მათ რითი ემუქრება? ახლა რა უნდა ქნან? კიდევ რამდენი დრო დარჩათ? პირი გააღო კიდეც, რომ ეს ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა. სასწრაფოდ გაახვია კერი საბანში და გრეგს მიაჩეჩა.

— რაც შეიძლება მაღალ ადგილზე უნდა ავიდეთ, — თითქმის ჩვეულებრივი ხმით უთხრა ქმარმა. — შეიძლება წყლის დონემ ჩვენს სახლამდე არ მოაღწიოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, საიმედო ადგილი უნდა მოვნახოთ.

გრეგი, ორივე ბავშვით ხელში, კართან იდგა, სანამ სიუზენი სწრაფად დადიოდა ოთახებში და საჭირო ნივთებს აგროვებდა. ქალი ცდილობდა ქმარივით სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ აფორიაქებული გონება ძნელად ემორჩილებოდა. მან ჩემოდნის გადმოღება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, იქნებ დიდი ბოხჩა გამოკრას? არა, ამას დრო დასჭირდება. გონებაში ჩამოთვალა ყველაფერი, რისი წაღებაც აუცილებელი იყო: თითო ხელი ტანსაცმელი, თუნუქის ყუთი, რაშიც გრეგს ყველა საბუთი და ბავშვების დაბადების მოწმობა ჰქონდა შენახული, მერე გრეგის საგარეო კოსტიუმი გაახსენდა, სამზარეულოს ახალი ლინოლეუმი...

— დროა წავიდეთ, — თქვა გრეგმა.

სიუზენი წელში გაიმართა, ვეებერთელა ფუთა მხარზე მოიგდო. „გრეგი მართალია, წასვლის დროა“, — გაიფიქრა მან. ფუთაში ყველასთვის თითო ხელი ტანსაცმელი და თეთრეული ჩაყარა, თუნუქის ყუთი ჩადო, პალტოს ჯიბეებში, ტუალეტის მაგიდაზე რაც ხელში მოხვდა, ის ჩაიტენა. იქნებ მერეც იყოს შესაძლებელი დაბრუნება და სხვა რაღაცების წაღება. გრგვინვა-ქუხილის მოახლოებული ხმა უფრო ძლიერ შემოესმა და მიხვდა, დრო აღარ ითმენდა.

მათი სახლის უკან აღმართი იწყებოდა, რომელიც მალე ძალიან დამრეც ბილიკად იქცეოდა და პიტალო კლდისაკენ მიემართებოდა. ეს წამოკუზული კლდე ზამთრობით მათ სამხრეთის ცივი ქარისაგან იცავდა. ღამის იდუმალებაში რაღაც მოძრაობა იგრძნობოდა, — ალბათ ცხვრის ფარა შფოთავდა. აღმართისაგან სულშეხუთულმა ცოლ-ქმარმა ბოლოს მიაღწია უმაღლეს ადგილს. ტვირთი მიწაზე დაალაგეს, ბავშვებს ისევ მშვიდად ეძინათ.

ისინი იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. თბილი ღამე იყო, მაგრამ შიშისა და მღელვარებისაგან სიუზენი შეციებულივით კანკალებდა. მან ქმარს ხელკავი გამოსდო და ზედ მიეკრა. მთვარე მთებს და მიდამოს ცივ შუქს აფრქვევდა. მთის კალთებზე სქელი, მობიბინე ბალახი რუაპეჰუს ყინულოვან ფონს წააგავდა. კლდეთა ჩრდილები თითქოს მისტიურ ცეკვაში ტრიალებდნენ თავდავიწყებით.

ვერც სიუზენი და ვერც გრეგი ვერ იტყოდნენ ზუსტად, როდის დაინახეს წყლის უზარმაზარი, მოძრავი კედელი. უეცრად, სულ რაღაც ნახევარი მილის დაშორებით, გამოჩნდა მოთეთრო-მონაცისფრო, ათიოდე მეტრის სიმაღლის ტალღა, რომელიც მრისხანედ და დიდებულად მოარღვევდა მიდამოს და ისე შლიდა მიწისაგან პირისა მათ პატარა მდინარეს, როგორც სველი ჩვარი შლის საკლასო დაფაზე ცარცით გავლებულ თეთრ ხაზს.

ღვარცოფი შეუკავებლად მოქროდა ქვევით. გუგუნი გამაყრუებელ გრუხუნად იქცა, რომელიც უძლიერესი ძაგძაგით მიწას აზანზარებდა. გიგანტური წყლის მასა ზათქით, დგანდგარით მოქროდა ქვემოთ, დაბლობისაკენ და თან მოჰქონდა ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეები, კლდის ნანგრევები და ყინულის ვეებერთელა თოშები. აქაფებულ ქოჩორზე ჰქონდა მოგდებული ვებერთელა ხეების დალეწილი ტოტები და ფესვები.

ვერაფერი აღუდგებოდა წინ ამ ძლევამოსილ სტიქიონს. შემოლობილი ბაღ-ბოსტნები, ქვითკირის გალავნები, ხიდები, ყველაფერი, რაც კი აღმართული იყო მიწის ზედაპირზე, ნგრევა-მსხვრევით მიჰქონდა ნიაღვარს. ყურის წამღებმა გრგვინვა-ქუხილმა ჯერ თავზარი დასცა სიუზენს, მერე კი მას უღონო ბრაზი დაეუფლა. ქალმა დაინახა, რომ მათი თითქმის დამთავრებული ახალი სახლი ღვარცოფის გზაზე მოექცა. სასოწარკვეთილი, გაშტერებული მისჩერებოდა ამ წარღვნას. მართალია, სახლი შუა დინებაში არ მოექცა, მაგრამ გვერდითა ტალღებმა მაინც უწია მას, ხის ზედნაშენი მოგლიჯა ბეტონის საძირკველს, მძიმედ აატივტივა და გვერდზე გადახარა. სახლი რამოდენიმე წამს კი-

დევ ჩანდა ნიაღვრის ზედაპირზე, რომელიც ნოეს კიდობანივით ხან დაიძირებოდა, ხან კი ისევ ამოტივტივდებოდა. შემდეგ შეირყა და დაიშალა. გამარჯვებული დინება დიდებულად დაქანდა ქვემოთ, ზღვისაკენ.

პირველი გიგანტური ტალღის აქაფებულ ქოჩორს გამაყრუებელი ღრიალით მოჰყვებოდა წყლის შავი მასა, კლდის ნატეხების, მიწის ბელტებისა და ყინულის ნაგლეჯების ნარევი. ერთხანს სიუზენი ფიქრობდა, რომ ძველი სახლი მაინც გადარჩებოდა და ახლის ბედი არ ეწეოდა, მაგრამ წყლის დონე განუხრელად იწევდა მაღლა. წყალი ეხეთქებოდა ხის ძველ ხიმინჯებს, შემდეგ კი თითქოს იგრძნოო იოლი გამარჯვება, ზედ დააცხრა სახლს.

სიუზენმა იგრძნო, რომ ქმარმა ხელი ხელზე მოუჭირა. ყურთასმენის წამღებ გრუხუნში გრეგის ყვირილი გაიგონა:

— საბარგო მანქანა!.. უნდა გადავარჩინო, მერე გამოგვადგება...

სიუზენის პასუხს არ დაელოდა, ხელი გამოსტაცა და ქვემოთ დაეშვა. ძველი სახლის ეზოში ფარდული იდგა. მანქანა მის წინ იყო გაჩერებული. წყლის განაპირა ტალღები უკვე სწვდებოდა მანქანის ბორბლებს. ქალმა დაინახა, როგორ ავიდა გრეგი მანქანის კაბინაში.

საშინელი მოლოდინის ტკივილით გადიოდა ყოველი წუთი, მანქანა ადგილიდან არ იძვროდა. სიუზენი ანგარიშმიუცემლად დაეშვა ქვემოთ. მოულოდნელად ზათქითა და გრგვინვით წამოვიდა ტალღა. სიუზენი შეტრიალდა, ტალღამ სულ ახლოს ჩაუქროლა. იგი წამით ადგილზე გაქვავდა, მერე კი ბორძიკ-ბორძიკით ფარდულისაკენ წავიდა. ქალი უძახდა ქმარს, ყვიროდა, თუმცა იცოდა, რომ მისი ყვირილი ვერ მიაღწევდა გრეგის ყურამდე.

მან დაინახა, რომ ქმარი ფარდულიდან გამოვიდა და შეამჩნია, რომ დარტყმისათვის მოემზადა. იმავე წუთს ვეებერთელა ტალღა თავს დაეცხრა გრეგს, ძირს დაანარცხა და გაათრია. შიშისაგან თავზარდაცემული სიუზენი იქითკენ გაიქცა, ნიაღვარში შევარდა და გრეგისკენ გაიკვლია გზა. თვალი მოჰკრა, რომ გრეგს მოტეხილი ხელი ჩვარივით, უღონოდ ეკიდა. როგორც იქნა, მიაღწია გრეგამდე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩაებღაუჭა მას და ამავე დროს ხელი სტაცა ფარდულის კედელს. ამან გადაარჩინა ისინი.

ღვარცოფი თითქმის ისევე უეცრად დამთავრდა, როგორც დაიწყო. ერთი წუთის წინ მისი ხარბი შავი წყალი წელამდე სწვდებოდათ, ახლა კი წყლის დონე ისე უცებ დაეცა, თითქოს ფსკერი გავარდაო. როცა ვულკანის ტბის მცირე ნაკადებმა გვერდზე ჩაუარეს, მათ ისევ დაინახეს მთვარის შუქით განათებული თავიანთი კარმიდამო.

ნიაღვრის დატოვებული კვალი სამას მეტრამდე იქნებოდა, რომელშიც შავი ტალახით შეთხუპნილი ნალეწი მოჩანდა: მათი ძველი სახლი ნანგრევებად ქცეულიყო, ახალი სახლის ადგილას კი ტალახით მილამული ცარიელა ადგილიღა მოჩანდა. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა: ნიაღვარს მათთვის ტანისამოსი შემოეძარცვა და თითქმის ნახევრად შიშვლები იდგნენ. გრეგმა ნირშეცვლილი სიცილით, თუმცა არც ისე მტკიცე ხმითა თქვა:

— კიდევ კარგი შეღებილი არა გვქონდა...

ისინი ისევ აღმართს შეუდგნენ. კაცმა საღი ხელი ქალს მოხვია წელზე, რომელიც ერთდროულად იცინოდა და ტიროდა კიდეც. ცრემლებით თუ წყლით სველი სახე ქმრის გალუმპულ მკერდში ჩარგო.

ეროვნული

* * *

შემდეგში სიუზენი ვერ იხსენებდა დაწვრილებით, თუ რა ხდებოდა იმ ღამეს. მას ახსოვდა, როგორ ჩავიდა მთვარე, როგორ ჩამოწვა ირგვლივ მცხუნვარე ზაფხულის წყვდიადი. ბუნდოვნად ულიმლამებდა გონებაში, როგორ ჩიჩქნიდნენ სახლის ნანგრევებს, რათა ღამით დაფარული ავეჯის ნარჩენები გადაერჩინათ. ახსოვდა, როგორ ჯახირობდნენ ის და გრეგი, რომ საბარგო მანქანა დაექოქათ როგორმე, ახსოვდა ისიც, რომ მერე ჯოს ზეწარი დახია, რათა გრეგისთვის მოტეხილ ხელზე არტახები დაედო.

მაგრამ ეს ყველაფერი რამდენ ხანს და რა თანამიმდევრობით გაგრძელდა, ვერაფრით ვერ გაეხსენებინა.

აღმოსავლეთით ზეცა გაწითლდა, როცა გვარიანად შელახული ბარგი-ბარხანით სავსე მათი საბარგო მანქანა დაიძრა. გრეგს უნდოდა ბრანდტებთან ასულიყო და დახმარება ეთხოვა, მაგრამ სიუზენმა მტკიცე ხელით წაიყვანა მანქანა სხვა მხარეს. უპირველეს ყოვლისა გრეგის მოტეხილი ხელი ექიმისათვის უნდა ეჩვენებინათ. სხვა ყველაფერი დაიცდისო, ასე განაცხადა მან და ისიც იცოდა, რომ სწორად იქცეოდა. ეს იყო მთავარი მიზეზი და არა ბრანდტებზე განაწყენება.

ამიტომ წაიყვანა მანქანა ექიმის სახლისაკენ. ექიმის ცოლმა დააპურა ისინი, ტანისამოსი გაარეცხინა და გააშრობინა, ბავშვები ნორმალურად დააძინა, ხოლო გრეგი ექიმმა მაშინვე საავადმყოფოში გააგზავნა. დილით სიუზენი, ჯო და კერი გრეგის მშობლებთან გაემგზავრნენ.

გზებზე მოძრაობა გამოცოცხლდა, გაისმა პოლიციელთა და სასწრაფო დახმარების მანქანების სირენების ხმა. მაშველთა მანქანებიც გამოჩნდა, რომლებიც ღვარცოფისაგან დაზარალებულ ადგილებისკენ მიიჩქაროდნენ.

სიუზენს მოგვიანებით გრეგის მშობლების სახლში ნანახი კეთილი, თმაჭაღარა ექიმიც დაამახსოვრდა, რომელმაც ცოლ-ქმარს დამამშვიდებელი წამალი დაალევინა და ლოგინში ჩაწოლა უბრძანა. დაამახსოვრდა ამ სახლში დილამდე გამეფებული სითბო და სიმშვიდეც... მეტი არაფერი.

* * *

ორი დღის შემდეგ გრეგი საავადმყოფოდან გამოწერეს, მკერდზე თაბაშირში ჩასმული ხელი ეკიდა. იგი ენერგიით იყო სავსე და სიუზენს გულში იდუმალ სიამოვნებდა, რომ რამდენიმე დღე მას მოუვლიდა.

— საავადმყოფოში ბრანდტებმა მინახულეს, — უთხრა გრეგმა, როდესაც სიუზენი ხელზე სახვევს უცვლიდა. — ასე მითხრეს, თქვენი ფარა გადარჩაო, დარდი ნუ გაქვს, იქაურობას ჩვენ მივხედავთო.

— ისე... ჩქარა დავბრუნდებით?

გრეგი უსიტყვოდ შესცქეროდა ცოლს.

— მე უნდა დავბრუნდე, — დინჯად თქვა მან. — იჯარობა წესრიგში უნდა მოვიყვანო, — იგი გაჩუმდა, გონებაში მშვენიერმა აზრმა გაუელვა. — დაზღვევის სააგენტოში დავრეკავ, კომპენსაციას მოგვცემენ. რაღაც კაპიტალი გაგვიჩნდება, რომ ყველაფერი ახლიდან დავიწყოთ. რაიმე საქმე, ან...

— არა, — სიუზენმა თითი მიადო ქმარს ტუჩებზე. — ჯერჯერობით ამაზე ნუ ვიფიქრებთ. უფერმოდ შენ ვერ გაძლებ და... გრეგ, ახლა მე თვითონაც არ ვიცი, რა მინდა!

კაცმა მაგრად მოხვია საღი ხელი ცოლს და ისევ ალაპარაკდა, ეტყობოდა, ყველა სიტყვას წონიდა.

— ვიცი, რომ აქ ცხოვრება შენთვის ძნელია, მაგრამ მალე შეგვეძლება ყველაფრის ახლიდან დაწყება.

— არა...

— კარგი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, მაგრამ როცა დრო მოვა, შენ უნდა მითხრა... დაუფარავად უნდა მითხრა, რა გინდა.

— კარგი, გპირდები, რომ გეტყვი, — დაიჩურჩულა ქალმა.

გრეგი მალე აპირებდა სახლში დაბრუნებას, მაგრამ ხელი არ ურჩებოდა, უფრო იმიტომ, რომ ერთთავად ამუშავებდა და მოსვენებას არ აძლევდა. ერთი-ორჯერ ბრანდტებს დაურეკა, ისინიც ყოველთვის პასუხობდნენ, ყველაფერი რიგზეაო.

— კაცს ეგონება, ბრანდტს ორ ფერმაში მუშაობა მოსწონს, — თქვა გრეგმა მესამე კვირის ბოლოს, — თითქოს გული მოსდის, როცა ვეუბნები, დროა ჩემს საქმეს მევე მივხედო-მეთქი...

როცა მეოთხე კვირაც მიილია, გრეგმა იგრძნო, უსაქმობას ვეღარ აიტანდა. ტყუპები ბებიას და პაპას დაუტოვეს და დილაადრიან შინისკენ გაემგზავრნენ. შუადღისას მთავარი გზიდან გადაუხვიეს და ნაცნობი შარაგზით რუაპეჰუსაკენ აღმართს შეუდგნენ. უღელტეხილის ყველაზე მაღალ ადგილას შეჩერდნენ. მთის ფერხთით მათი ველი გაწოლილიყო. ღვარცოფისაგან მცირე კვალიღა დარჩენილიყო: ნაცრისფერი ლაქები — აქა-იქ მიყრილ-მოყრილი ნალეწი თუ მოაგონებდა კაცს გარდავლილ სტიქიას. მზის შუქით უხვად განათებულ მინდვრებში ცხვრის ფარები გაშლილიყო. ტალახიანი ზოლის ქვემოთ მათი ძველი სახლის სევდის მომგვრელი, ჭუჭყიანი ნანგრევები მოჩანდა. სახლი გვერდზე იყო წამოქცეული, ზედ ადიდებული წყლის კვალი ემჩნეოდა.

უცებ მათი ყურადღება უცნობმა სახლმა მიიპყრო. იმ კლდის ოდნავ ქვემოთ, რომელიც მათი ქარსაცავი იყო ზამთარში, ახალი სახლი წამოჭიმულიყო. მშენებლობის დამთავრებას სულ ცოტაღა აკლდა. გარშემო რამდენიმე საბარგო მანქანა და პიკაპი იდგა, შიგნით კი ქალები და კაცები ფუსფუსებდნენ.

სულის სიღრმემდე შეძრულმა სიუზენმა ბრანდტების საბარგო მანქანა იცნო, გრემების პიკაპიც... მწვანე საბარგო მანქანა კი ჰემებს ეკუთვნოდა. ჰემი დურგალი იყო, ადრე გრეგს ეხმარებოდა სახლის მშენებლობაში. მათ ყველა მეზობელს აქ მოეყარა თავი. სიუზენმა ისეთი სინდისის ქენჯნა იგრძნო, რომ გული შეეკუმშა. კიდევ ერთი-ორი მე-

ზობელი იცნო, მაგრამ მათი გვარები ვერ გაიხსენა. სიუზენი მანქანიდან გადმოვიდა და მშენებლობისაკენ გაემართა. გრეგი უკან მიჰყვა.

ცოლ-ქმრის დანახვაზე მეზობლებმა მუშაობა შეწყვიტეს. მისის ბრანდტი მათკენ წამოვიდა.

— ჩვენ კი ვფიქრობდით, სახლის დამთავრებას მოვასწრებდით, — უხერხული ღიმილით თქვა მან. — მაგრამ არა უშავს, წვრილმანებიღა დარჩა. ეს სახლი ზუსტად ისეთია, თქვენ რომ აშენებდით. ჰემს გეგმა ჰქონდა შემონახული.

სიუზენს ფეხები მოეღვენთა და გრეგს დაეყრდნო ხელზე. ყელში ბურთივით მოაწვა რაღაც და ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა.

— ეს... ეს დიდებულია, — როგორც იქნა დაიჩურჩულა მან და გაბრწყინებული თვალები გრეგს მიაპყრო.

კიბის თავზე ვიღაც იდგა, ხელში ვეებერთელა ფუნჯი ეჭირა და მიუხედავად საღებავებით დალაქავებული ტანსაცმლისა, სიუზენმა იცნო მისის ბრანდტი.

— აბა, როგორ მოგწონს ეს ფერი, ჩემო კარგო? — ჩამოსძახა მან. — ამ ყუთებს ეტიკეტზე „ღია ცისფერი“ აწერია. მართალი რომ გითხრა, მე ყავისფერი მირჩევნია, მაგრამ მე ხომ ვიცი, შენ ცისფერი უფრო მოგწონს.

ჰერბერტ ბეიტსი

ბედნიერი იყავი, სიუზი!

— ეს ის ახალგაზრდა კაცია, სიუზენმა თვითმფრინავში რომ გაიცნო, — თქვა მისის კარტერმა. — ახლა კი დავიძინოთ.

საწოლი ოთახის სარკმლებს მიღმა ბადრი მთვარის შუქით გაჩახჩახებული ტირიფის ფოთლები თითქოს სადღაც მიცურავდნენ მუქი მწვანე თევზების გუნდივით, ყოველი ფოთოლი ცალკე და ამავე დროს ერთი მთლიანის ნაწილად მილივლივებდა.

— პირველად მესმის, რომ სიუზიმ ვიღაცა გაიცნო თვითმფრინავში, — გაიოცა მისტერ კარტერმა.

— ის ახალგაზრდა კაცი შენც ნახე, — უთხრა მისის კარტერმა. — ისიც აეროპორტში იყო, ჩვენ რომ სიუზენს დავხვდით. საბარგოც ერთად გამოიარეს.

— რაღაც არ მახსოვს, ვინმე თუ იყო მასთან.

— მე კი ძალიან კარგად მახსოვს, რომ ყურადღებაც კი მივაქციე. მითხარი კიდეც, სასიამოვნო ფერის შლაპა ახურავსო. მომწვანო-მონაცისფრო ქუდი ეხურა, ფარფლებდაშვებული.

— ღმერთო! — წამოიძახა მისტერ კარტერმა. — იმ კაცზე ლაპარაკობ? ის ახალგაზრდა კი არა, ორმოცი წლის კაცივით გამოიყურებოდა, მეტი თუ არა. ვითომ ჩემზე ახალგაზრდა იქნებოდა?

— იგი ოცდარვა წლისაა. კარგი, საკმარისია. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტე, რომელ გვერდზე დაწვები?

— ჯერჯერობით ზურგზე ვიწვები, — თქვა მისტერ კარტერმა. — არაფრით არ მეკიდება ძილი. დიდი ხანია უკვე სამმა დარეკა.

— დაიძინებ, თუ წყნარად იწვები და არ იბობოქრებ, — წყნარად უთხრა მისის კარტერმა.

დროდადრო ნიავი მსუბუქად შემოუბერავდა და ააშრიალებდა ტირიფის ფოთლებს. ამ დროს მისტერ კარტერს თითქოს მანქანის ძრავის ხმა ესმოდა, მაგრამ როდესაც ნიავი გეზს შეიცვლიდა და იდუმალ ლამეში ხან ერთ ხეს წაეჩურჩულებოდა, ხან მეორეს, მაშინ მისთვის ნათელი ხდებოდა, რომ მოეჩვენა და არავითარი მანქანის ხმა არ გაუგია.

— ისევ ადექი? სად მიდიხარ? — ჰკითხა მისის კარტერმა.

— ქვემოთ ჩავალ, წყალს დავლევ.

— იქნებ აჯობებდა თვალები დაგეხუჭა და წყნარად წოლილიყავი, — ურჩია ცოლმა. — ნუთუ ძილი არ მოგერია?

— არ მეძინება ხოლმე, როცა სავსე მთვარეა. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. რაღაც ვერ ვისვენებ... თანაც ძალიან ცხელა.

— ღმერთო ჩემო, ფოსტლებში მაინც წადგი ფეხები, — უთხრა მისის კარტერმა.

კარის წინ კიბის პატარა მოედანი, ბაღში ჩამავალი საფეხურები და სამზარეულო მთვარის ნათელით იყო გაჩახჩახებული. იატაკი თბილად ელამუნებოდა შიშველ ფეხისგულებს. ონკანში წყალიც თბილი მოდიოდა. ორჯერ გაავსო ჭიქა და ორჯერვე გადაღვარა, სანამ წყალი საკმაოდ არ გაცივდა. ფოსტლები იმიტომ არ ჩაიცვა, რომ ვერ გაიხსენა, სად დატოვა. მისი ფიქრი მხოლოდ სიუს დასტრიალებდა. ახლა უცებ გაახსენდა, რომ ღუმლის გვერდით ნახშირის ყუთთან დაყარა. ფოსტლები ჩაიცვა და ბაღში გავიდა. საოცარი სიცხადით ჩანდა ვარდების ფერი, მუქი წითელი ფერის ვარდი ღამის ბინდში ოდნავ ჩაშავებულიყო. თეთრ და ყვითელ ვარდებსაც არჩევდა ერთმანეთისგან, მხოლოდ გადაშლილებს კი არა, შემჭკნარებსაც, ჩამოცვენილი ფურცლებით რომ მოეფინათ მიწა ივლისის პაპანაქება დღის შემდეგ.

იგი შუა ბაღამდე მივიდა. მთვარის შუქით თვალმოჭრილმა ერთხანს ვერც ერთი ვარსკვლავი ვერ გაარჩია. მთვარე დიდი ლამპიონივით უხვად აფრქვევდა სინათლეს გაფოთლილ ხეებს. ცელქმა ნიავმა ისევ წამოუქროლა ტირიფის ფოთლებს, ანცად გადაინავარდა სხვა ხეებზედაც და ღამის წყვდიადში მიჩუმდა. მისტერ კარტერს ისევ შემოესმა მოახლოებული მანქანის ხმა. პიჟამის ქვეშაც კი იგრძნო, როგორ ელამუნებოდა წვივებზე ღამის სიგრილე. ერთი-ორჯერ ხელი გადაისვა აბურძგნულ თმაზე.

უცებ უსასოობისა და სასოწარკვეთილების გრძნობა დაეუფლა.

„სიუ, — დაიჩურჩულა მან. — ღმერთო, სად დაიკარგე აქამდე? სიუზი, სიუზი! შენ ხომ ეს არა გჩვევია?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტერს მოსწონდა, როცა შვილს ალერსით სიუზის დაუძახებდა ხოლმე, ისე კი ჩვეულებრივ სიუს ეძახდა. იშვიათად, როცა გაღიზიანებული იყო, სიუზენს ამჯობინებდა. ცხრამეტი წლის რომ შეუსრულდა, იმ დღეს სულ სიუზით მიმართავდა. ცხრამეტი წელი ზუსტად სამი კვირის წინ შეუსრულდა, შემდეგ კი სიუზი არდადეგებზე შვეიცარიაში გაფრინდა. იმ დღეს ყველა ამბობდა, სიუზი გაიზარდა, დამშვენდა და კარგია, რომ არდადეგებზე დამოუკიდებლად, მარტო მიდისო. კარტერიც ამჩნევდა, რომ მისი სუსტი აღნაგობის ქალიშვილი დაქალდა, თუმცა მიუხედავად შეღებილი ტუჩებისა მაინც გოგონას უფრო წააგავდა. მამას ძალიან გაუკვირდა, როცა სიუზიმ ერთი ჭიქა ღვინო ბოლომდე გამოსცალა და თანაც სრულიად არ აღელვებდა მომავალი მოგზაურობა თვითმფრინავით.

ქალაქში საათმა ოთხის ნახევარი ჩამორეკა და კარტერს მაშინვე მოახლოებული მანქანის ხმაც შემოესმა. არც შემცდარა, ახლა მართლა მანქანა იყო, დაინახა, როგორ გაიელვა მისმა ფარებმა საწყობის შენობასთან შემოხვევისას.

„ძალიან დაგაგვიანდა შინ მობრძანება, ჩემო ძვირფასო“, — გაიფიქრა მან. იგი გაღიზიანებული და ოდნავ ნერვებაშლილიც იყო. მანქანა სწრაფად ახლოვდებოდა. ისე მოქროდა, რომ კარტერი სახლისკენ გაიქცა, რათა საწოლში ჩაწოლილიყო და სიუზენს მისთვის ფეხზე არ მიესწრო. არ უნდოდა შვილს ასეთ სულელურ მდგომარეობაში ენახა. პიჟამის შარვლის ტოტები მთლად დასველებოდა.

„ძალიან არასერიოზულად გამოვიყურები, — გაუელვა თავში. — ალბათ რა ტუტუცები ვჩანვართ შვილების თვალში... რა აუტანელნი“.

სამზარეულოს კართან ფოსტლი წასძვრა. კარტერი ჩასაცმელად ჩაჯდა, თან მანქანას მიაყურადა. ძრავის ხმა მიჩუმდა, აღარც ფარების სინათლე ჩანდა.

„ეჰ, ჩვენ ყოველთვის ფეხით ვბრუნდებოდით ცეკვებიდან, — გაიფიქრა მან. — აბა ისე საღამოს რა ლაზათი ექნებოდა.“

უცებ სიცივემ აიტანა. ისევ ის მოსახვევი გაახსენდა საწყობთან. იქ გზა ცოტა ათხრილ-დათხრილი იყო და სიჩქარეს თუ არ შეანელებდი, თხრილში ჩავარდებოდი. კვირა არ გაივლიდა, იქ ვინმე არ ჩავარდნილიყო. ისე კი რა იცის იმ კაცის შესახებ? იქნებ შემთხვევითი ნაცნობობის მოყვარული ბრძანდება, იქნებ ცოლშვილიანია, ან იქნებ სულაც ჯაიძვერა და თაღლითი? ვინ იცის?...

კარტერის გული და გონება საშინელი წინათგრძნობით განიმსჭვალა. ზუსტად ასეთი გრძნობა დაეუფლა, როდესაც სიუზი ტრაპზე ადიოდა, მერე კი თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა. ეს იყო გარდაუვალი უბედურების შეგრძნება, დარწმუნებული იყო, შვილს ვეღარ იხილავდა, შთაგონებული ჰქონდა, რომ ავიოკატასტროფა მოხდებოდა.

ელდანაკრავმა კარტერმა ბაღი გადაირბინა და კართან შეჩერდა. როცა გამოერკვა, დაინახა, რომ უკვე ქუჩაში სცემდა ბოლთას და თან პიჟამის ღილებს იკრავდა გამალებით.

„ო, ღმერთო ჩემო, კაცმა არ იცის, უბედურება სად წამოეწევა, — ფიქრობდა მისტერ კარტერი. — შეიძლება შვილი გაფრინდეს თვით-

თვითმფრინავით, გაემგზავროს მატარებლით ან მანქანით და უეცრად საშინელი რამ მოხდეს!“

იგი ქალაქისაკენ წავიდა. უცებ იგრძნო, რომ ძარღვებში სისხლი ეყინებოდა, საოცარი სიცივე სისხლთან ერთად ელვრებოდა მთელ ტანში. ჰორიზონტზე აკიაფებული მკრთალი ყვითელი ზოლიდან მიხვდა, რომ უკვე თენდებოდა. სასოწარკვეთილი და იმედდაკარგული გაიქცა უმისამართოდ. ცოტა რომ გაირბინა, იგრძნო, რომ გზისპირიდან ორი ყვითელი ფარა მიშტერებოდა. ეს იყო გაჩერებული მანქანის ფარები. კარტერი დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. იქნებ სჯობს მივიდეს მანქანასთან, მიუკაკუნოს შუშაზე და მკაცრი ხმით ჰკითხოს: „აქ ხომ არ არის ჩემი ქალიშვილი? სიუზენ, ახლავე წამოდი სახლში!“ მაგრამ სხვა ქალიშვილი რომ შერჩეს ხელში, ვისაც ძალიან მოსწონს ასეთი დროსტარება, მაგრამ არ მოსწონს, როცა ვიღაც ხნიერი, პიჟამაში გამოწყობილი მამაკაცი უზრდელოდ ყოფს ცხვირს მის ცხოვრებაში?

კარტერი შეჩერდა. ჰორიზონტის ვიწრო, ყვითელი ზოლი თანდათან გაფართოვდა და უფრო აკაშკაშდა. ამის დანახვაზე იგი გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ უკვე დრო იყო მოეთოკა თავი და სისულელეები არ ჩაედინა.

„შენ ახლა ბებერი ქალივით იქცევი, — ხმამაღლა გაუწყრა თავის თავს. — ახლავე მიბრძანდი სახლში, დაწექი და დაიძინე! როგორ? სიუზენს არ ენდობი? ყველა უსიამოვნება იქიდან იწყება, როდესაც ადამიანები ერთმანეთს აღარ ენდობიან. ხანდაზმულ კაცს, რომელიც ოდნავ მაინც სცემს საკუთარ თავს პატივს, ასეთი უნდობლობა შვილებისადმი არ ეკადრება. ახლავე დაბრუნდი სახლში და დაიძინე, შე ყეყეჩო ბებერო...“

კარტერმა მობრუნება ვერ მოასწრო, რომ მანქანის ძრავის ხმა მოესმა. უკან რომ მიიხედა, მოახლოებული მანქანის ფარებმა თვალებში შეანათა. უეცრად მწვავედ იგრძნო, რა სულელურ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. ახლა სხვა რა შეეძლო — გზისპირა ცოცხალი ღობის უკან თუ დაიმალებოდა. ჩაიჩოქა თუ არა, ღობის ძირას ამოზრდილ ბალახითა და ჭინჭრით ლამის მკერდამდე გაელუმპა პიჟამა. ამასობაში ცა ოქროსფრად ალაპლაპდა, დღის ფერები უფრო გამოიკვეთა, ღობის ახლოს გაფურჩქნილ ყვავილთა სურნელიც უფრო მძაფრად ეცა ცხვირში.

მანქანა რომ გაუსწორდა, ღობიდან თავი ამოყო, მაგრამ ვერ დაინახა, სიუზენი მანქანაში იჯდა თუ არა. ისევ მოუვიდა გული, ბუჩქებიდან გამოვიდა და მანქანას დაედევნა. ტანზე უსიამოვნოდ ეკვროდა სველი პიჟამა. ამის გაფიქრებაც კი აღიზიანებდა, რომ დაწოლამდე პიჟამაც უნდა გამოეცვალა და ტანიც გაემშრალებინა.

„ღმერთო ჩემო, როგორ გვასულელებენ შვილები, — გაიფიქრა მისტერ კარტერმა. — იქნებ სიუზენი არ არის? ვაითუ მართლა ის არ არის?“

კანკალმა აიტანა, ფეხები მოეღვენთა, რატომღაც საავადმყოფოზე ფიქრი აეკვიატა და გულისრევის შეგრძნება დაეუფლა, რომელიც ვერაფრით ვერ მოიშორა.

„სიუზი, სიუზი, ღვთის გულისათვის, ამას ნულარასოდეს იზამ, ნულარასოდეს!“

მან დაინახა, რომ მანქანა მათი სახლის წინ გაჩერდა. დილის შუქზე კარგად გამოჩნდა, მანქანის სასიგნალო წითელი ფარები რომ გამოირთო.

რამდენიმე წამში სიუზიც დაინახა, გრძელი, ბაცი იისფერი კაბა ეცვა. კაბის კალთები გრაციოზულად აეკრიფა ხელით. შორიდანაც კი აშკარად ჩანდა მისი მოხდენილობა. ამ იდუმალი ზაფხულის დილას, როდესაც ჯერ ჩიტების ჭიკჭიკიც არ ისმოდა კარგად, კარტერმა გარკვევით გაიგონა თავისი ქალიშვილის მელოდიური, სასიამოვნო და ალერსიანი ხმა:

— ნახვამდის, დიახ, შესანიშნავი იყო... გმადლობთ.

„ახლა მთავარია არ შემამჩნიონ,“ — გაიფიქრა მისტერ კარტერმა. სიუზიმ თვალიც ვერ უნდა მოჰკრას. ახლა იმას ფიქრობდა, როგორ შეპარულიყო სახლში ბაღის გვერდითა კარიდან. იქიდან პირდაპირ საბაზანოში შევა, წყალსაც გადაივლებს და პიჟამასაც გამოიცვლის.

უცებ მანქანა შემობრუნდა და მისკენ წამოვიდა. ახლა დამალვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ისღა დარჩენოდა, მანქანისათვის გზა დაეთმო. რამდენიმე საშინელი წამი გადაიტანა. ასე ეგონა, მთლად შიშველი იდგა გაკაშკაშებულ დილის სინათლეზე, მაგრამ თითქოს აქ არაფერიაო, ისე დაიჭირა თავი.

კარტერს ნამდვილად თავზარი დაეცა, როცა მანქანამ გვერდით ჩაუარა, ათიოდე მეტრზე გაჩერდა და უცნობის ხმა გაისმა:

— უკაცრავად, სერ, შემთხვევით მისტერ კარტერი ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, — უპასუხა კარტერმა. ახლა მეტი გზა აღარ იყო, უნდა მისულიყო მანქანასთან და ხმა გაეცა იმ ყმაწვილი კაცისათვის. — დიახ, მე გახლავართ, — გაიმეორა მან და შეეცადა ხმისთვის უშფოთველი და ღირსებით სავსე კილო მიეცა.

— მე ბილ ჯორდანი გახლავართ, სერ.

ახალგაზრდა კაცს უკან გადავარცხნილი ქერა თმა ჰქონდა, რაც შავ სმოკინგთან ერთობ სასიამოვნო იერსა სძენდა.

— მაპატიეთ, რომ ასე გვიან დავბრუნდით. იმედი მაქვს სიუზის გამო არ ღელავდით.

— რასაკვირველია, არა. იოტის ოდენადაც არ ვღელავდი.

— ეს ყველაფერი დედაჩემის ბრალია, მან შეგვაყოვნა.

— მე კი მეგონა, ცეკვებზე იყავით.

— ო, არა, სერ. დედასთან ვისადილეთ. მართალია, ცოტა ვიცეკვეთ კიდეც ვერანდაზე, მაგრამ მერე სულ ბანქოს ვთამაშობდით ღამის სამ საათამდე. დედაჩემი აზარტული ქალია, ძალიან უყვარს ბანქოს თამაში. ასე რომ, ეს სულ მისი ბრალია.

— ეგ არაფერი, არა უშავს რა, რაკი კარგად გაატარეთ დრო...

— შესანიშნავი დრო გავატარეთ. მხოლოდ იმის დარდი მქონდა, რომ თქვენ ინერვიულებდით სიუზის გამო.

— რას ამბობთ! სრულიადაც არა.

— ძალიან კარგი, სერ.

ახალგაზრდა კაცმა უკვე მოასწრო კარტერის სველ პიჟამაზეც თვალის შევლება.

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

— საოცრად თბილი ღამეა, არა? — სხვათა შორის თქვა მან.

— ძალიან დახუთულია. ვერაფრით ვერ დავიძინე.

— დაიძინეთ... თქვენ მე მაგონებთ...

მან გაიღიმა გულთბილი, მეგობრული ღიმილით, თეთრი, ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა და კიდევ უფრო მიმზიდველი იერი დაედო.

ბიბლიოთეკა

— ახლა, მგონი, შინ დაბრუნება სჯობს, თორემ სადაცაა საუზმის დროც მოვა. ღამე მშვიდობისა, სერ.

— ღამე მშვიდობისა.

მანქანა დაიძრა, ახალგაზრდა კაცმა ხელი დაუქნია. კარტერმა მიაძახა:

— შემოიარეთ ამ დღეებში ჩვენთან სადილად.

— დიდი მადლობა, სერ. დიდი სიამოვნებით. კარგად ბრძანდებოდეთ.

კარტერი თავის გზას გაუყვა. ერთობ ესიამოვნა, რომ „სერ“ უწოდეს. მაშინვე შეატყობ, ვისთანაც გაქვს საქმე. საკმაოდ სასიამოვნო ახალგაზრდაა. ასეთი წვრილმანები ბევრ რამეზე მეტყველებენ.

იგი კარგ გუნებაზე დადგა, საკუთარი თავითაც კმაყოფილი ბრძანდებოდა. ბაღის ჭიშკართან რომ მივიდა, უკვე ისე ინათა, რომ გარკვევით გამოჩნდა ღამით გაფურჩქნილი ხასხასა ვარდები. განსაკუთრებით ერთი გამოირჩეოდა თავისი მშვენებით, მუქი წითელი, თითქმის მოშავო ფერის ხავერდოვანი ვარდი.

„მოვწყვეტ და ცოლს მივართმევ“, — დააპირა მან, მაგრამ გადაიფიქრა. მშვენიერი ვარდი აღარ მოწყვიტა.

გათენდა, მთვარე მთლად გაფერმკრთალდა და ჩიტებიც მხიარულად აჟივჟივდნენ გაცისკროვნებულ ზეცაში.

ჯეიმზ ტერბერი

მისტერ პრებელი ცოლს თავიდან იშორებს

მისტერ პრებელი კარგად ჩასუქებული, შუახანს მიტანებული ადვოკატი გახლდათ სკარსდეილში. მას ხშირად უყვარდა თავის მდივანსტენოგრაფისტ ქალთან გახუმრება: მოდი, ჩუმად გავიპაროთ, ერთად გავიქცეთო.

— ყველაფერს თავი დავანებოთ და გავიქცეთ, — ეტყოდა ხოლმე იგი ქალს რაიმე ტექსტის კარნახის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კარგი, გავიქცეთ, — ღიმილით პასუხობდა ქალი.

ერთ წვიმიან ორშაბათ დღეს მისტერ პრებელმა ეს სიტყვები ჩვეულებრივზე უფრო სერიოზულად უთხრა თავის მდივანს:

— მოდი, ერთად გავიქცეთ.

— ძალიან კარგი, გავიქცეთ, — უპასუხა ქალმა.

მისტერ პრებელი სარკმელთან იდგა, ჯიბეში გასაღებების ასხმულას აჩხაკუნებდა და გარეთ იცქირებოდა.

— ჩემს ცოლს ნამდვილად გაუხარდება ჩემი თავიდან მოშორება, — თქვა მან.

— გაყრაზე დაგთანხმდებათ? — ჰკითხა ქალმა.

— არა მგონია, — უპასუხა მისტერ პრებელმა.

მდივან-სტენოგრაფისტს გაეცინა.

— ცოლი როგორმე უნდა მოიცილოთ თავიდან, — ურჩია ქალმა.

* * *

იმ საღამოს სახლში ვახშმობის დროს მისტერ პრებელი უჩვეულოდ პირზე კლიტედადებული ბრძანდებოდა. მხოლოდ ყავის მირთმევიდან ნახევარი საათის შემდეგ ამოიღო ხმა, ისე რომ გაზეთიდან თავიც არ აუწევია.

— მოდი, სარდაფში ჩავიდეთ, — უთხრა ცოლს.

— იქ რა გვინდა? — ისე იკითხა ცოლმა, რომ არც იმას აუღია თავი წიგნიდან.

— არ ვიცი, — თქვა კაცმა. — რამდენი ხანია ერთად არ ჩავსულვართ სარდაფში. ადრე კი ჩავდიოდით ხოლმე.

— რაც თავი მახსოვს, არასოდეს ჩავსულვართ სარდაფში ერთად, — განაცხადა მისის პრებელმა. — მე აქ უფრო წყნარად გავატარებ დროს, ვიდრე იმ შენს სარდაფში. ფეხს არ ჩავადგამ იქ!

— დავუშვათ და გითხარი, რომ ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს... — ყოყმანით დაიწყო მისტერ პრებელმა.

— გამაგებინე, რა დაგემართა? — შეხედა განცვიფრებულმა მისის პრებელმა. — სარდაფში ახლა ცივა და არც არაფერი გვესაქმება იქ.

— ცოტა ქვანახშირი ამოვიტანოთ ღუმლისათვის, — დაუტკბა მისტერ პრებელი. — მისი გადარჩევა ცოტას მაინც გაგვართობს...

— მასეთი გართობა მე არ მჭირდება, — გააწყვეტინა ცოლმა. — თანაც უნდა მოგახსენო, რომ წიგნს ვკითხულობ.

— მომისმინე, — მისტერ პრებელი სავარძლიდან წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. — რატომ არ გინდა ჩემთან ერთად სარდაფში ჩამოსვლა? წიგნის კითხვა იქაც შეიძლება.

— ჯერ ერთი იქ ცუდი განათებაა, — თქვა ცოლმა. — და მეორეც, არ მინდა სარდაფში ჩასვლა. თუ გნებავს, შენ მიბრძანდი.

— ფუი, დალახვროს ეშმაკმა! — მისტერ პრებელმა იატაკზე დაგებულ ნოხის წვერს წაჰკრა ფეხი. — თუ სხვა ცოლები მიჰყვებიან თავიანთ ქმრებს სარდაფში, ვითომ შენ რატომ არა გნებავს ეს გააკეთო?

მოვდივარ სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული და შენ კი ისიც არ გინდა, ჩემთან ერთად სარდაფში ჩამოხვიდე. მე ხომ კინოში წასვლას არა გთხოვ... ან სხვა რამეს... ღმერთმა ხომ იცის, სარდაფი არც ისე შორსაა და...

— გაგიჟდი, ადამიანო? არსადაც არ მინდა წასვლა! — წამოიყვირა მისის პრებელმა.

მისტერ პრებელი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა.

— კარგი, ბატონო, ძალიან კარგი, — იგი ისევ გაზეთს დასწვდა. — მე მინდა მაგის მიზეზი უფრო დაწვრილებით გავიგო, დიახ... ეს, ეს... საოცარი ამბავია.

— დაანებებ თუ არა თავს მაგაზე ლაპარაკს? — ჰკითხა თავმობეზრებულმა მისის პრებელმა.

— ყური დამიგდე, — ისევ დაიწყო მისტერ პრებელმა და ფეხზე წამოდგა. — მე ახლა სრულ სიმართლეს გეტყვი, ღობე-ყორეს აღარ მოვედები. მინდა თავიდან მოგიშორო და ჩემი მდივან-სტენოგრაფისტი მოვიყვანო ცოლად, გასაგებია? რას ხედავ ამაში ცუდს? ადამიანები ამას ყოველდღე სჩადიან. სიყვარული ეს ისეთი რამ არის... არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება...

— ჩვენ ეგ ეტაპი ბევრჯერ გავიარეთ, — ნირშეუცვლელად თქვა მისის პრებელმა. — იგივეს გამეორების არავითარი სურვილი აღარ გამაჩნია.

— მე კი მინდოდა გცოდნოდა ყველაფერი, — უთხრა მისტერ პრებელმა. — მაგრამ ეს ამბავი შენ ერთობ პროზაულად აღიქვი. ღმერთო ჩემო, ნუთუ გგონია, რომ სარდაფში მართლა გასართობად მინდა ჩასვლა შენთან ერთად და იმ იდიოტური ნახშირით თავის შექცევა?

— ეგ ერთი წუთითაც არ მიფიქრია, — უპასუხა მისის პრებელმა. — თავიდანვე მივხვდი, ჩემი ჩაყვანა რისთვისაც გინდოდა, უნდა მოგეკალი და იქ ჩაგეფალი.

— ახლა ამბობ მაგას, როცა თვითონვე გითხარი, — თქვა მისტერ პრებელმა, — თორემ ვერაფერსაც ვერ მიხვდებოდი, მე რომ არ მეთქვა.

— შენ ჩემთვის არაფერი გითქვამს, ისედაც მივხვდი შენი შემხედვარე, — თქვა მისის პრებელმა. — ყოველთვის ერთი-ორი წუთით ადრე ვხვდები ხოლმე იმას, რასაც შენ ფიქრობ.

— ერთი-ორი წუთი კი არა, მთელი წელიც არ გეყოფა ჩემი ფიქრების გამოსაცნობად, — უპასუხა მისტერ პრებელმა.

— ნუთუ? მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი სარდაფში დამარხვა გინდოდა, მაშინვე, როგორც კი სახლში ფეხი შემოადგი, — თვალები დაავსეს მისის პრებელმა.

— ეგ უკვე მეტისმეტია! — წამოიძახა საკმაოდ გაღიზიანებულმა მისტერ პრებელმა. — მიხვდი კი არა, აზრზედაც არ იყავი. მართალი თუ გნებავს, ეს თვითონაც სულ რამდენიმე წუთის წინ მომივიდა თავში.

— ბნელ თავში, — გაუსწორა მისის პრებელმა. — დარწმუნებული ვარ, ეგ ბრწყინვალე აზრი იმ ნაზი და სათუთი ქალბატონის წყალობით დაგებადა.

— დაცინვას თავი დაანებე, — გააფრთხილა მისტერ პრებელმა. — უიმისოდაც ბევრი ნაცნობი მყავს, მსგავსი აზრები რომ გააჩნიათ. ჩემმა ძვირფასმა არც იცის, მე რას ვაპირებ, ამ საქმეში არ არის გარეული. შემდეგ კი ვეტყოდი, რომ მეგობართან წახვედი და ავტოავარიაში მოყევი, უფსკრულში გადაიჩეხე. იმას მხოლოდ უნდა, რომ გავქრე და მეტი არაფერი!

— სასაცილო ამბავია! — ჩაიცინა მისის პრებელმა. — ეგ ამბავი სიცილადაც არ მყოფნის! შენ შეგიძლია მომკლა და სარდაფში დამფლა, მაგრამ ჩემგან განქორწინებას ვერ ეღირსები.

— მან იცის, რომ განქორწინებაზე არასოდეს დამთანხმდები, — თქვა მისტერ პრებელმა.

— ალბათ ისიც უთხარი, მოვკლავ და სარდაფში დავმარხავო, არა? — ირონიულად გაიღიმა მისის პრებელმა.

— მსგავსი არაფერი მითქვამს, — საკუთარი ღირსების გრძნობით მიუგო მისტერ პრებელმა. — ეს მხოლოდ ჩვენ შორის დარჩება. არც ვაპირებ ამის ვინმესთან გამხელას.

— შენ მაგას მთელ ქვეყანას მოსდებ! მე მაინც ნუ მეუბნები მაგას... — უთხრა მისის პრებელმა. — ხუთი თითივით გიცნობ.

მისტერ პრებელმა სიგარას შეუბერა და ფერფლი მოაცილა.

— ნეტავი უკვე დამარხული მყავდე და მეტი არაფერი მინდა.

— მერე? შენა გგონია, ციხეს გადაურჩები? ნამდვილად გიჟი ხარ, — თქვა მისის პრებელმა. — ასეთ რამეს ყოველთვის მიაკვლევენ ხოლმე და დამნაშავეს აპატიმრებენ. დასაწოლად არ მიდიხარ? ძილის დროა. ისე კი სულ ამაოდ იმტვრევ თავს.

— არ მეძინება, — თქვა მისტერ პრებელმა. — ჯერ სარდაფში უნდა დაგმარხო. უკვე გადაწყვეტილი საქმეა. ოღონდ არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთო...

— მომისმინე! — უცებ იკივლა მისის პრებელმა და წიგნი იატაკზე დაანარცხა. — პირობას მაძლევ, რომ ხმას ჩაიწყვეტ, თუ სარდაფში ჩამოგყვები? მომასვენებ ერთი წუთით მაინც იქ ჩასვლის შემდეგ? მარტო დამტოვებ, რომ შენი სულელური სახე აღარ დავინახო?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მისტერ პრებელმა. — მაგრამ მაგ შენი პოზიორობით ყველაფერი გააფუჭე.

— რასაკვირველია, მე ყოველთვის ყველაფერს ვაფუჭებ. წიგნის კითხვასაც კი ყველაზე საინტერესო ადგილას ვწყვეტ... და ვერც ვეღარასოდეს გავიგებ, როგორ მთავრდება ეს რომანი... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის?!

— მე გაიძულე თუ რა მაგ წიგნის წაკითხვა? — მისტერ პრებელმა სარდაფის კარი გააღო. — მოდი, ჯერ შენ ჩადი.

— ბრრრ, — გააკანკალა მისის პრებელს და კიბეზე ჩადგა ფეხი. — აქ თურმე კარგა მაგრად ცივა! უნდა გეფიქრა, წელიწადის რა დროს შეიძლება ამის გაკეთება! სხვა ქმრები თავიანთ ცოლებს ადამიანურად ექცევიან — ზაფხულში კლავენ. შენც ასე ბევრჯერ მოქცეულხარ ადრე...

— რა ვქნა, ჩემზე არ არის დამოკიდებული, ის ქალი ადრე არ მიყვარდა, ახლა მიყვარს.

— შენს ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, დიდი ხნის წინ შეიყვარებდა. ოთხი წელია შენი მდივანია. ამიხსენი, რატომ გჯობნიან სხვა მამაკაცები ასეთ საქმეში? გმადლობთ, მაგრამ ფუჰ, როგორი ჭუჭყია! რა გაქვს იქ შენახული?

— ჯერ აი ამ ნიჩბის ჩარტყმას გიპირებდი თავში, — თქვა მისტერ პრებელმა.

— მაგის ჩარტყმას? ერთი ამას დამიხედეთ! ეგ როგორ იფიქრე? ასეთი დიდი მამხილებელი საბუთი გინდა დაუტოვო პირველსავე დეტექტივს, ყნოსვა-ყნოსვით რომ მოაგნებს აქაურობას? ახლავე მიბრძანდი ქუჩაში და რკინის ნაჭერი იპოვე ან სხვა რამე... ისეთი, რაც შენ არ გეკუთვნის.

— კარგი, ბატონო, მივდივარ, — უთხრა მისტერ პრებელმა. — მაგრამ არა მგონია, ქუჩაში შესაფერისი რკინის ნაჭერი ეგდოს სადმე. ქალები ყოველთვის წამოკრეფენ ხოლმე რკინის ნაჭრებს, სქელი მავთულის ნაგლეჯებს, სადაც არ უნდა წააწყდნენ...

— ჩვენი ქუჩის კუთხეში გდია ეგეთი რკინა, — ასწავლა მისის პრებელმა. — ოღონდ დიდი ხნით არ დაიკარგო. სიგარეტი წამომიღე, მაღაზიაში არ გააბა ლაილაი. ამ გაყინულ სარდაფში დილამდე თუ ვიჯდები, სულ გავითოშები...

— კარგი, კარგი, ჩქარა მოვალ.

— სახლის კარი გაიხურე, ღია არ დააგდო, — მიაძახა მისის პრებელმა. — ნეტა ვიცოდე, სად გაიზარდე, გომურში?!

მიურიელ სპარკი

მის პინკერტონის აპოკალიფსური განცდები

თებერვლის ერთ მოღუშულ საღამოს ფანჯრიდან ოთახში რაღაცა საგანი შემოფრინდა. მის ლორა პინკერტონმა, რომელიც ყოვლად მშვიდი იერით ხუხართან ფუსფუსებდა, რაღაც მონოტონური ხმა გაიგონა და ზემოთ აიხედა.

— ჯორჯ! მოდით აქ ჩქარა! — წამოიძახა მან.

ჯორჯ ლეიკი სამზარეულოდან მაშინვე ოთახში გაჩნდა. ისინი ცოტა ხნის წინ წაიჩხუბნენ და ჯორჯს სახე დაღვრემილი ჰქონდა. მან იქით გაიხედა, საიდანაც ეს ხმა ისმოდა, და უსიტყვოდ დაეშვა სკამზე.

აქედან მოყოლებული ამ ამბავს ორი ვერსია გააჩნია, — ჯორჯისა და მის პინკერტონის. ეს ვერსიები ერთ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, კერძოდ იმაში, რომ ეს იყო პატარა, ბრტყელი, მომრგვალო საგანი და ის ოთახში დაფრინავდა.

— ეს რაღაც მფრინავი საგანია, — ბოლოს ჩურჩულით ამოღერღა ჯორჯმა.

— თეფშია, — ფრიად ენერგიული ხმით შესძახა მის პინკერტონმა. — თანაც ანტიკვარული. ფორმაზე ეტყობა.

— არავითარი ანტიკური, აბსოლუტურად არ ჰგავს ანტიკვარულ ნივთს, — მტკიცედ უარყო ეს მოსაზრება ჯორჯმა.

რამდენად სწორი იქნებოდა, მეტი ტაქტი და წინდახედულება გამოეჩინა, და ალბათ ჯორჯი ასეც მოიქცეოდა, რომ სიტუაცია ასე არ დაძაბულიყო. რა თქმა უნდა, მის პინკერტონმა დაკარგა თავშეკავების გრძნობა, რადგან იგი ცამდე მართალი იყო.

— ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, — თითქოსდა ჩვეულებრივი კილოთი განაცხადა მან. — გავბედავ და მოგახსენებ, რომ დიახ, კარგად ვიცი. შემოდგომაზე ოცი წელი შესრულდება, რაც მე ანტიკვარულ ფაიფურში ვმუშაობ (ეს სავსებით შეესაბამებოდა ჭეშმარიტებას და ჯორჯმა ეს იცოდა).

პატარა თეფში ლამპის გარშემო ტრიალებდა.

— იგი, ეტყობა, სინათლისკენ მიილტვის, — ისე თქვა ჯორჯმა, თითქოს საქმე რაღაც ფარვანას ეხებოდა.

თეფშმა უეცრად კურსი შეიცვალა და ჯორჯის თავს დაემუქრა. ჯორჯმა დროზე აარიდა თავი. მის პინკერტონი კედელს აეკრა. თეფშმა ყურთან ჩაუქროლა ჯორჯს და მის პინკერტონმა მოასწრო შიგ ჩახედვა.

— ეს საგანი შეიძლება რადიაქტიული გამოდგეს, იქნებ ძალიან სახიფათოცაა, — ძლივს ამოილაპარაკა ჯორჯმა.

თეფში მაღლა აფრინდა, ირაო შეკრა მის თავზე და ისევ მიიტანა იერიში, მაგრამ გვერდზე ჩაუქროლა, რადგან ჯორჯმა მოხერხებულად აარიდა თავი.

— არავითარი რადიაქტიულობა, — განაცხადა მის პინკერტონმა. — ეს სპოუდია.[1]

— პირდაპირ წარმოუდგენელ სისულელეს ამბობთ, — თქვა ჯორჯმა. დაძაბული სიტუაცია უკვე მოქმედებდა მის ნერვებზე.

— ძალიან კარგი. კი, ბატონო, — მიუგო მის პინკერტონმა. — მაშასადამე, თქვენ ამისი სპეციალისტი ბრძანდებით და უკეთ მოგეხსენებათ ეს საქმე. მე მხოლოდ ნახატის მიხედვით ვმსჯელობ. ადამიანს, რომელსაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ფაიფურის...

— ალბათ ასლია, — თავისდა საუბედუროდ თქვა ჯორჯმა, იმიტომ რომ მის პინკერტონის ხმაში ჩვეული გესლიანი ტონი შემოესმა. თანაც თეფშის უკვე ეშინოდა.

თეფშმა მთელ ოთახს განსაზღვრული კურსით შემოუარა და მოუხვია.

— ასლიო! როგორ არა, უეჭველად! — წამოიძახა მის პინკერტონმა. იგი ტყვიასავით გავარდა ოთახიდან და ცოტა ხნის შემდეგ მსუბუქი კიბით ხელში დაბრუნდა.

1. ინგლისური ფაიფურის ცნობილი მარკა.

— ახლავე შევამოწმებ მარკას! — ცხარედ წამოიძახა მან და თითი თეფშისკენ გაიშვირა. — სად არის ჩემი სათვალე?

თეფში გამაფრთხილებლად გაჩერდა კუთხეში, ობობასავით დაეკიდა ჭერიდან რამოდენიმე სანტიმეტრით დაბლა. მის პინკერტონმა კიბე კედელს მიაყუდა და სათვალე გაიკეთა. იგი ჩინებულ[illegible]ზე დადგა და ნამდვილი ექსპერტ-სპეციალისტის ამაყი იერი[illegible]

— არ მიუახლოვდეთ მაგას, ხელი არახლოთ! — ოდნავ უჯიკავა ჯორჯმა, რის გამოც ყვავილების ლურჯი მინის ლარნაკი გადააყირავა, დრეზდენული პატარა ქანდაკება გადააგდო და ხერესით სავსე გრაფინი წააქცია, როცა კიბეს დაეჯაჯგურა წასართმევად. მის პინკერტონმა შეკივლა, მას მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული და არაფრით არ დაუთმო კიბე.

— ლორა! — სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა ჯორჯმა. — კი, მე გეთანხმებით, რომ სპოუდის ფაიფურია. კიბე არ გინდათ, თქვენი უბრალო სიტყვისაც მჯერა.

ამის შემდეგ თეფში სარკმლიდან გაფრინდა.

ოთახში დარჩენილები ერთობ სწრაფად და ოპერატიულად ამოქმედდნენ. დარეკეს ადგილობრივ გაზეთში. იქიდან უპასუხეს, რეპორტიორი დაუყოვნებლივ წამოვაო, შემდეგ მის პინკერტონმა დაურეკა თავის მეგობარ ორ მეცნიერს, — ერთი ზებუნებრივი მოვლენებით იყო გატაცებული, მეორე კი ელექტრობით, არც ერთთან და არც მეორესთან ტელეფონთან არავინ მოვიდა. ფანჯრიდან ნახევრად გადაკიდებულმა ჯორჯმა გულდასმით დაათვალიერა სახურავი და ღამის ჩაბნელებული ზეცა. შემდეგ ეზოში ჩაიხედა, შეამოწმა, როგორ ენთო ლამპიონები და როგორ მუშაობდა რადიო. ყველაფერი ნორმალურად იყო!

პრესის წარმომადგენელი მალე ფოტორეპორტიორთან ერთად გამოცხადდა.

— გადასაღები აქ აღარაფერია, — უთხრა ერთობ აფორიაქებულმა მის პინკერტონმა. — ის გაფრინდა.

— ჩვენ იმ ადგილის რამდენიმე სურათს გადავიღებთ, სადაც ეს ამბავი მოხდა, — აუხსნა ფოტორეპორტიორმა.

მის პინკერტონმა შეშფოთებით გადახედა ჯორჯის ნამოქმედარს, როცა იგი კიბის წასართმევად ეჯაჯგურებოდა.

— აქ ყველაფერი არეულ-დარეულია.

ბუფეტიდან წვეთწვეთობით იღვრებოდა ძირს დაქცეული ხერესი.

— ოდნავ მივალაგ-მოვალაგებ აქაურობას. ჯორჯ, მომეხმარეთ! — იგი აფორიაქდა და ანგარიშმიუცემლად დაიწყო ქვანახშირის ჩაყრა ბუხარში.

— არ გინდათ, როგორც არის, ისევე დატოვეთ ყველაფერი, — ურჩია რეპორტიორმა. — იმ მოჩვენებამ აიკლო ასე აქაურობა?

ჯორჯმა და მის პინკერტონმა ერთდროულად დაიწყეს ლაპარაკი.

— ასე თუ ისე, დიახ, იმან, — თქვა ჯორჯმა.

— ის მოჩვენება არ გახლდათ, — თქვა მის პინკერტონმა.

რეპორტიორი სკამზე დაჯდა, ფანქარი მოიმარჯვა და იკითხა:

— თქვენ ხომ წინააღმდეგი არ იქნებით, რომ ჩავიწერო?

— თქვენც ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, რომ აქეთ გადმოჯდეთ? მე დედოფალ ანას სკამებს[1] არა ვხმარობ. ერთობ არასაიმედოა.

რეპორტიორი უცებ წამოხტა. შემდეგ მაგიდაზე ჩამოჯდა, რასაც მის პინკერტონი აშკარა უკმაყოფილებით შეხვდა.

— იცით რა, მე ანტიკვარული განხრით ვმუშაობ, — ისეთ სხაპა-ხუპით ალაპარაკდა იგი და ჯორჯი დარწმუნდა, რომ იმ თეფშმა მასზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა. ახლა მისგან ვეღარაფერს შეიტყობდა კაცი: მართალია, აფორიაქებული ნერვები ნელ-ნელა დაუწყნარდა, მაგრამ მაინც უთავბოლოდ ლაპარაკობდა.

— აბა, ლორა, დაბრძანდით, დამშვიდდით, — მან დიდი მზრუნველობით ჩასვა მის პინკერტონი სავარძელში.

— გადაიღალა, — ჩურჩულით გადაულაპარაკა მან პრესის წარმომადგენელს.

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ ის საგანი ამ სარკმელში შემოფრინდა? — საქმეში გარკვევის მიზნით იკითხა რეპორტიორმა.

— დიახ, ზუსტად, — მიუგო ჯორჯმა.

ფოტოგრაფმა თავისი აპარატი ფანჯარას დაუმიზნა.

— თქვენ კი, ორივე, ამ დროს აქ ბრძანდებოდით...

— არა, — გააწყვეტინა მის პინკერტონმა. — მისტერ ლეიკი სამზარეულოში იყო. მე, რა თქმა უნდა, დავუძახე. მაგრამ მას თეფში შიდა მხრიდან არ დაუნახავს. მხოლოდ გარედან ნახა, ქვემოდან, სადაც ქარხნის მარკა აქვს ხოლმე. მარკა რომ შევამჩნიე, კიბე მოვიტანე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომელი ფირმისა იყო. აი, რატომ გადააბრუნა მისტერ ლეიკმა აქ ყველაფერი. მე დავინახე, რა იყო შიგნით.

— ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ, — ჩაერთო ჯორჯი.

პრესის წარმომადგენლებმა მას იმედის თვალით შეხედეს. ჯორჯი რამდენიმე წამით შეყოვნდა და მერე თქვა:

— მოდი, თავიდან დავიწყოთ.

— დიახ, კარგი იქნება, — დაეთანხმა ოდნავ გამოცოცხლებული რეპორტიორი.

— აი, როგორ იყო საქმე, — დაიწყო ჯორჯმა. — როგორც კი მის პინკერტონის ძახილი შემომესმა, მაშინვე ოთახში შემოვედი. აგერ იმ კუთხეში დავინახე თეთრი, ამობურცული დისკო, რომელიც ოთახში წრეს უვლიდა.

რეპორტიორი იმ ადგილს მიაშტერდა, რომელზედაც ჯორჯმა მიუთითა.

— საშინელ ხმას გამოსცემდა, რომელიც რაღაცით კატის კრუტუნს წააგავდა, — დაამატა ჯორჯმა.

— მერე, თქვენ ის რა გეგონათ? — იკითხა რეპორტიორმა.

ჯორჯმა პასუხი დააყოვნა.

— დიახ, მგონი, ის იყო...

— სპოუდის ფაიფური, — ამოილაპარაკა მის პინკერტონმა.

ჯორჯი განაგრძობდა:

---

1. დედოფალ ანას ეპოქის სტილში დამზადებული სკამები.

— მე ასეთი რამ არ მიტაცებს და, როგორც წესი, ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი. მაგრამ ეს ჩემთვის სრულიად ახალი მოვლენა იყო.

— დიახ, მოვლენა, — ჩაურთო მის პინკერტონმა, — ოცდასამი წელია ფაიფურში ვმუშაობ. მაშინვე მივხვდი, რაც იყო, იყო, თეფში, ნამდვილად თეფში იყო. მაგრამ პირადად მე არასოდეს მინახავს მფრინავი თეფში, — დააგვირგვინა მან.

— ერთი რამ მინდა გკითხოთ... — დაიწყო ჯორჯმა.

მის პინკერტონმა გააწყვეტინა:

— მისტერ ლეიკი ჭერის მოხატვის ოსტატია. ხშირად ძველ ტილოებთანაც ჰქონია საქმე, მაგრამ თითქმის წარმოდგენა არა აქვს ანტიკვარულ ფაიფურზე.

— მე მინდა გკითხოთ, თქვენ ჰყვებით ამ მოვლენის შესახებ თუ მე? — მოუთმენელად ჰკითხა მას ჯორჯმა.

— იქნებ ჯერ მისტერ ლეიკისათვის მოგვესმინა, მერე კი ქალბატონისათვის, — წინადადება შეიტანა რეპორტიორმა.

განაწყენებული მის პინკერტონი დამორჩილდა. რეპორტიორი ჯორჯს მიუბრუნდა.

— ის საგანი რაიმესთან ხომ არ იყო შეერთებული? მავთულით ან ზონრით? მე იმისი თქმა მინდა, რომ იქნებ ვინმე გაგეხუმრათ ან თქვენი გასულელება მოინდომა?

ჯორჯი დადუმდა, ზრდილობის გულისათვის კარგად ჩაუფიქრდა ასეთ შესაძლებლობას.

— არა, — თქვა მან ბოლოს. — მე რამაც გამაოცა, ეს იყო გონიერება, აზრი, ის, რაც მას მართავდა კოსმოსიდან. უნდა გითხრათ, რომ იგი შეეცადა ჩემზე იერიშის მოტანას.

— მართლა? ეგ როგორ მოხდა?

— მისტერ ლეიკზე არავის არ მიუტანია იერიში, — განაცხადა მის პინკერტონმა. — მისთვის არავითარი საფრთხე არ შეუქმნიათ. მე კარგად დავინახე პილოტის სახის გამომეტყველება. იგი ყურებამდე იღიმებოდა და თავს ირთობდა მისტერ ლეიკით.

— პილოტი? — ჰკითხა ჯორჯმა. — თქვენა თქვით „პილოტი“?

მის პინკერტონმა ამოიოხრა.

— ისეთი ნამცეცა კაცი იყო, ნეკის ხელა, — თქვა მან. — ერთი ბეწო სავარძელში იჯდა. გვერდით ისეთი მექანიზმი ედგა, საკერავ მანქანას წააგავდა, ფეხებით აწვებოდა ციცქნა პედალებს. ისე რომ მისტერ ლეიკზე არავის არ მიუტანია იერიში.

— ეს რა წარმოუდგენელ სისულელეს ლაპარაკობს, — ძლივს ამოილაპარაკა ჯორჯმა.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ ნამდვილად ასე იყო? — ჰკითხა რეპორტიორმა და გამომცდელი თვალი მიაშტერა მას.

— რასაკვირველია.

— ერთი რამის გაგება მინდა! — თქვა ჯორჯმა.

— ჯორჯ, თქვენ თეფში მხოლოდ ქვედა მხრიდან იხილეთ, — გამაფრთხილებელი კილოთი შენიშნა მის პინკერტონმა.

— ჩემთვის პილოტის შესახებ არაფერი გითქვამთ, — თქვა ჯორჯმა. — მე არავითარი პილოტი არ დამინახავს.

— მისტერ ლეიკს შეეშინდა, როდესაც თეფში მისკენ გაფრინდა. თავი რომ არ აერიდებინა, ისიც დაინახავდა პილოტს, — თქვა მის პინკერტონმა.

— კი, მაგრამ თქვენ არაფერი გითქვამთ პილოტზე, გონიერებას მოუხმეთ და ჭკუაზე მოდით, — უთხრა ჯორჯმა.

— მათქმევინეთ კი რაიმე? — მიამიტი სახით იკითხა ქალმა. იგი ფოტორეპორტიორს მიუბრუნდა. — მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, თუმცა მისტერ ლეიკს ჰგონია, რომ მან უკეთ იცის. მითხრა კიდეც: ეს თეფში ასლიაო. მაგრამ მე ფაიფური არ მესწავლება.

— ყოვლად წარმოუდგენელია, — მიმართა ჯორჯმა რეპორტიორს. — საჭე, პედალებიანი მანქანა... და ეს ჩვენს დროში! თქვენ გჯერათ?

— კაცი რომ ყოფილიყო, იქიდან გადმოვარდებოდა, — შენიშნა ფოტოგრაფმა.

— მე კი უნდა გითხრათ, — განაცხადა რეპორტიორმა, — რომ დისტანციური მართვის ვერსიას ვიზიარებ, რასაც მისტერ ლეიკი გვთავაზობს. შოკისაგან ქალბატონს ალბათ ჰალუცინაცია დაეწყო.

— სრული სიმართლეა, — კვერი დაუკრა ჯორჯმა. შემდეგ ფოტოგრაფს გადაუჩურჩულა რაღაცა. „ო, ეს ქალები!“ — ამასლა მოჰკრა ყური მის პინკერტონმა.

ეს რეპორტიორმაც გაიგო და კეთილად ჩაიცინა.

— მოდი, მისტერ ლეიკს მოვუსმინოთ ბოლომდე და ვნახოთ, რა შეიძლება გამოვიყენოთ ამ ორი ვერსიიდან.

მაგრამ ამ დროს მის პინკერტონმა უეცარი და სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო. უცებ ისე გარდაიქმნა, ისე შეეცვალა გუნება-განწყობა, ჯორჯი გაოგნებული დარჩა, რადგან ადრე მსგავსი არაფერი შეუმჩნევია მისთვის. მის პინკერტონი სავარძლის ზურგზე გადაწვა და წყნარად, გულიანად აკისკისდა, უკან ხელს უმწეოდ ასავსავებდა ჰაერში, თითქოს სიცილის შეწყვეტას ლამობსო.

— ეს რა აბდაუბდა რამ გამოვიდა! ეს რა საღამოა! — სიცილში ძლივს ამოილაპარაკა მან. — იცით რა, ჩვენ ხშირად არა ვსვამთ, ახლა კი... ო, ღმერთო ჩემო!

— კარგად გრძნობთ თავს, ლორა? — მკაცრი ხმით ჰკითხა ჯორჯმა.

— კი, კი... — უპასუხა მის პინკერტონმა ერთობ კეთილი იერით და უალაგო სიცილის დასაფარავად პირზე ისე მიიფარა ხელი, როგორც მთქნარებისას, — მე მგონი, ეს არ უნდა გვექნა, ჯორჯ. ტყუილად მოვიყვანეთ აქ ეს ჯენტლმენები. მაგრამ მე ძალა აღარ შემწევს ამის გასაგრძელებლად. ო, ღმერთო, ერთობ თავშესაქცევი რამ კი გამოვიდა.

იგი ისევ ჩაკუჭკუჭდა. ჯორჯი მთლად დაიბნა. შემდეგ მის გამოხედვაში ეჭვი გამოკრთა.

— აშკარაა, ამ მოვლენის ზემოქმედებას განიცდის, — მტკიცედ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს.

— ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალია, — სიცილში ძლივს ამოილაპარაკა მის პინკერტონმა.

რეპორტიორმა საათზე დაიხედა.

— ნამდვილად შემიძლია დავწერო, რომ თქვენ მფრინავი თეფში ნახეთ? — იკითხა მან, — და რომ ამ მოვლენამ ორივე გაგაოცათ?

— დაწერეთ, რომ ეს იყო მომცრო, ამობურცული დისკოს მსგავსი საგანი. ამაში ორივეს აზრი ემთხვევა ერთმანეთს, — თქვა ჯორჯმა.

მის პინკერტონმა ისევ გულიანად გაიცინა.

— ხომ იცით ქალების ამბავი? ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ისევ ქალების ბრალია, — სიცილ-სიცილით თქვა მის პინკერტონმა. — ჩვენ ცოტა ღვინო გვახელით. მისტერ ლეიკმა ჩემზე მეტი დალია, — მხიარულად დააყოლა მან.

— გარწმუნებთ, წვეთიც კი არ... — მიუბრუნდა ხმაჩავარდნილი ლეიკი რეპორტიორს.

— ვიცი, ამისათვის შეიძლება დაგვაჯარიმონ, რომ აქ მოგიყვანეთ პრესის წარმომადგენლები, იქნებ ეს დანაშაულიცაა... — თქვა მის პინკერტონმა.

— გარწმუნებთ, — ახლა ფოტორეპორტიორს მიმართა ჯორჯმა. — რომ ერთი საათის წინ ამ ოთახში ჩვენ მფრინავი თეფში ვნახეთ.

მის პინკერტონმა ისევ ჩაიკისკისა.

რეპორტიორმა ახლა სულ სხვანაირი თვალით შეხედა ოთახს და ყველაფერს მიმხვდარი კაცის იერით დახურა ბლოკნოტი. ფოტოგრაფი დაღვრილ ხერესს, ყვავილების გადაყირავებულ ლარნაკს და დამსხვრეული ფაიფურის ნამტვრევებს მისჩერებოდა. შემდეგ იმანაც დაკეცა შტატივი, ფოტოაპარატი თავის ბუდეში ჩადო და ისინი წავიდნენ.

ჯორჯმა ეს ამბავი თავის მუდმივ კლიენტებს აცნობა, მოჰყვა ორ ვარიანტად, რათა მათ ჰქონოდათ არჩევანის საშუალება, თან მათი გონიერების იმედი ჰქონდა. იმავე ქუჩის ბოლოში კი მის პინკერტონი თავაზიანად უღიმოდა მყიდველებს, როცა ისინი ამ ამბის შესახებ ეკითხებოდნენ.

— რაო?.. მფრინავი თეფში?.. ჯორჯი მეტისმეტად არტისტული ბუნების კაცია, — პასუხობდა იგი. — ხოლო ადამიანებთან, რომელთაც მდიდარი წარმოსახვის უნარი გააჩნიათ, ლმობიერება და შემწყნარებლობაა საჭირო, — ხანდახან კი დააყოლებდა, რომ ის საღამო დიდხანს დაამახსოვრდებოდა. — მშვენიერი დრო გავატარეთ! — ასე დაამბოლოვებდა ხოლმე მის პინკერტონი.

ამ ამბავზე ჩვენს ქალაქში ბევრი იცინეს. ჯორჯი ყველაფერს გრძნობდა, თუმცა ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათ ურთიერთობაზე. პირადად მე დავიჯერე ეს ამბავი და მის პინკერტონის ვერსია უფრო ვიწამე. იგი ჩემი მეზობელია. მე ყველა საფუძველი მაქვს მისი ვერსია დავიჯერო. ამ ცოტა ხნის წინ ის მფრინავი თეფში მეც მეწვია. ამჯერად ნამცეცა პილოტი ერთობ ცნობისმოყვარე გამოდგა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა პედალებს ატრიალებდა. მე როიალ ვუსტერის თეფში მესტუმრა. ასლი იყო თუ ორიგინალი, ამას ვერ გეტყვით.

რუსული პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ლელა მეტრეველმა

ათანას ფეტი

●

იქნებ ისწავლო მუხისაგან, არყის ხისაგან:
შეხედე! უჩანთ ნაფლეთებად კანი დამსკდარი,
ტოტებზე ჭირხლი გასჩენიათ ცრემლის ღვრისაგან, —
რა გაეწყობა: უწყალოა თეთრი ზამთარი.

ყოველდღიურად უფრო მეტად ავდება ქარი,
უკანასკნელი ფოთლებიც კი თოვლში არია,
ყინვა ქვას ხეთქავს: სიცოცხლეა თითქმის ჩამკვდარი.
ხეები მაინც ითმენენ და ჩუმად არიან.

შენც ითმინე და გაზაფხულის მოსვლის იწამე,
შემობრძანდება — თან მოიტანს სიცოცხლის სუნთქვას,
სითბოს, სინათლეს და იმედებს მოჰფენს მიწაზე
და სიხარული ეღირსება მწუხარე სულსაც.

პირველი შროშანა

შროშანავ, ცისკენ მიგირბის თვალი,
ამოხეთქილო მიწის გულიდან!
შენ მომნუსხველი ხარ საჩუქარი
აალებული გაზაფხულისა!

გამოარღვიე საფარი ცივი,
ამოყვავილდი სულ ერთ ღამეში;
იგრძნობა რაღაც ქალწულებრივი
შენს სურნელოვან სისპეტაკეში!

შენებრ სიწმინდით ახალგაზრდულით
სავსე, ლოდინში შორეულ ბედის,
რაღაცას დარდობს თეთრი ქალწული
და თვით არ იცის მიზეზი სევდის.

●

არ ვიცი, რა ვუყო ნაღველს,
გული შვებას ეძებს უხმოდ,
არ მძინავს, ფანჯარას ვაღებ,
ბულბული დაჰკვნესის ბაღებს
და სტვენით გულის სწორს უხმობს.

შრიალიც არ ისმის ფოთლის,
ჩემზე და ბულბულზე ჯავრობს
ალვა; მოთმინება ჰყოფნის,
არ თქვას სამდურავი სრულის,
ჩვენებრ არ ოხრავს და გალობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკრისას მერჩევა რული,
მაგრამ მზე ბრწყინდება ისე,
შინ აღარ მიდგება გული.
... მელის დავიწყება სრული,
თუ სადმე შევხვდებით ისევ?

●

მოვედი, რომ მოგესალმო,
მზის ამოსვლა გახარო,
გიამბო, რომ ტყე ამწვანდა,
აწკრიალდა ცხრა წყარო;

ნაპირს გასცდა ნაკადული,
გალობს ჩიტი მეწვია,
ბუჩქებს, ბალახს — ყველას ერთად
გაზაფხული ეწვია;

ცაც ისეთი მაღალია,
გაზაფხულს რომ შეშვენის,
გულს სწყურია სიხარული,
სამსახური — მე შენი;

შენთვის, მზისთვის, ყვავილისთვის,
დაე, ჩანგმა იჟღეროს,
ჯერ არ ვიცი, რას ვიმღერებ,
ვიცი — უნდა ვიმღერო!

●

ნუთუ, როდესაც კითხულობდი მტანჯველ სტრიქონებს,
რომლებშიც გული მტვრადქცეული ენთო კოცონად,
ხოლო ვნებები ბედისწერას ექიშპებოდნენ, —
შენ არაფერი არ მოგაგონდა?

რამ დამაჯეროს, როცა სტეპში, ვით საოცრება,
იფანტებოდა ნაადრევად ღამის წყვდიადი
და შენ წინაშე მიმზიდველი, როგორც ოცნება,
ავარდისფრებდა ცას განთიადი

და მონუსხული უნებლიეთ უცქერდი ჩუმად,
უკუნეთს როგორ ამარცხებდა დილა მზიანი,
რამ დამაჯეროს, არაფერმა არ გიჩურჩულა:
იქ დაიფერფლა ადამიანი!

იაკობ პოლონსკი

ცივი სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მკოცნი საქმეებით უზომოდ დაღლილს
და შენი კოცნა ჩემში ექოდ აღარ ხმიანობს,
ნუ გეგონება, სიყვარულის არ ვიცი ყადრი,
ნუ იბუტები, ნუ წყრები და ნუ ეჭვიანობ!

სიყვარულს ჩემსას გაუვიდა ოცნების ჟამი,
ფრთები დასცვივდა, მაგრამ მუდამ ფხიზელი არის,
არ გეფერება, მაგრამ გფარავს გასაჭირისგან,
ვით დარტყმებისგან დაჭყლეტილი ლითონის ფარი.

არ გიღალატებ და ისევე საიმედო ვარ,
როგორც მოხუცი რაინდისთვის ბექთარი ძველი,
ბრძოლის ქარცეცხლში ის ერთგულად გემსახურება,
ხმლისგან დაგიცავს, მაგრამ სითბოს მისგან ნუ ელი!

და თუ შენ გამცვლი, თუ შენ ჩემთან არ გედგომება,
გადაეყრები ჭუჭყს და ტალახს, დღემდე დაფარულს,
თვითონ მიხვდები, რარიგ ძნელი არის ცხოვრება,
და გაიხსენებ, დააფასებ ჩემს ცივ სიყვარულს.

ანა ახმატოვა

●

ცეცხლს მივეფიცხე გათოშილი,
მომედო რული,
ვერ შევამჩნიე, ვერ
გავფრთხილდი, —
მომპარეს გული.

ყელყელაობენ საახალწლო
ვარდები სველი,
ჭრიჭინობელა კი ჩემს გულში
აღარა მღერის.

ქურდი თვალებით გამოვიცან
და მიპყრობს შიში:
ვაითუ, უკან დამიბრუნოს
ნადავლი თვისი.

●

თქვა, რომ მის თვალში მეტოქე
არ მყავს,
რომ მიწიერი კი არ ვარ ქალი,
არამედ ზამთრის მზის სხივი ვარ და
ლაღი სიმღერა მშობლიურ მხარის.

როცა მოვკვდები, კი არ იგლოვებს,
კი არ მოჰყვება მოთქმას უმწეოდ,
არამედ იგრძნობს: არ ეცხოვრება
სულს უსიმღეროდ, სხეულს —
უმზეოდ.

... ახლა კი რაღა?

●

ვუყურებ დროშას გამოხუნებულს,
ქალაქს — დაბურულს ყვითელი
ნისლით,
სუნთქვა მეკვრის და გული მელევა,
ძლივსღა მოძრაობს ძარღვებში
სისხლი.

ნეტავი ვიყო პატარა გოგო,
ქოშებში მედგას ფეხი შიშველი,
თავზე მეხვიოს თმები გვირგვინად,
სიმღერისაგან [illegible] ყელი.

პარმაღზე მდგომი, ვუცქერდე ისევ
ხერსონის ტაძრის მშვენიერებას
და არ ვიცოდე, როგორ აბერებს
გულს დიდება და ბედნიერება.

●

ო, რა იქნება, დამმარხე, ქარო!
ახლობელთაგან არვინ მოვიდა,
ჩემ გვერდით მხოლოდ სუნთქვაა
მიწის
და მონაქროლი სიო შორიდან.

ერთ დროს მეც ვიყავ თავისუფალი,
ვერ ვერეოდი სიცოცხლის
წყურვილს,
ახლა კი გდია ჩემი ცხედარი,
და უკანასკნელს შენ განდობ
სურვილს:

დაფარე ჩემი შავი ჭრილობა
საღამოს ბინდის ნაზი სალბუნით,
სთხოვე ცისფერ ნისლს, რომ
წაიკითხოს,
როგორც წესია, ჩემთვის ფსალმუნი,

რომ მარტოდმარტო, ადვილად
შევხვდე
მარადი ძილის მხარეზე ფიქრებს,
აახმიანე მაღალი ისლი,
ჩემს გაზაფხულზე იმღეროს იქნებ!

სიმღერა

მზის ამოსვლას ვეგებები,
სიყვარულზე ვმღერი,
ბოსტანში ვარ დაჩოქილი
და შიშველი ხელით

მიწიდან ვგლეჯ (მაპატიოს!)
ბალახს სარეველას,
წნულ ღობესთან მოთქმით ტირის
გოგო ფეხშიშველა.

მეშინია ამ ქვითინის,
მეწურება გული,
ბოსტანში დგას მომაკვდავი
სარეველას სუნი.

პურის ნაცვლად ქვა მერგება
ბედის განაჩენით,
მაღლა მხოლოდ ლურჯი ცაა,
ჩემთან კი — ხმა შენი.

შფოთვა

1

მკვეთრი სინათლე როგორღაც
ღლიდა,
თვალებში ედგა სხივები მწველი.
მყისვე ვიგრძენი: მას შეუძლია
გადამავიწყოს ქვეყანა მთელი.
გაღმოიხარა — რაღაცას იტყვის...
დავკარგე ფერი, აღმომხდა კვნესა.
დაე, საფლავის ქვად დაეხუროს
ეს სიყვარული სიცოცხლეს ჩემსას.

2

არ გიყვარვარ და არ გსურს
მიყურო?
რა ლამაზი ხარ, დაგწყევლოს
ღმერთმა!
მე უკვე ფრენა არ შემიძლია,
თუმც ბავშვობიდან ფრთოსანი
მერქვა.
თვალთ მიბნელდება. სახეებს,
საგნებს
გადაეფარა ნისლი რიოში,
ბრდღვიალებს მხოლოდ წითელი
ტიტა,
წითელი ტიტა შენს ღილკილოში.

3

ჩემთან მოხვედი და გამიღიმე,
როგორც უბრალოდ ზრდილობა
ითხოვს, —

დაიხარე და ხელზე ალერსით;
თან დაზარებით მემთხვიე თითქოს.
ო, შენს თვალებში რაღაც
ძველებურს,
რაღაც იდუმალს იგრძნობ
უცილოდ...
ათი წლის სევდა, ყვირილი, კვნესა
და ყველა ჩემი ღამე უძილო
მე მოვაქციე სულ ერთ სიტყვაში,
ვთქვი და... ამაო გამოდგა გარჯა.
წახვედი. გულში ისევ სიცხადე
და ცარიელი ადგილი დარჩა.

სიყვარული

ხან გველივით მზერით გნუსხავს
ჯადოქარი გრძნეული,
ხან ღუღუნებს ფანჯარასთან,
როგორც მტრედი ეული.

თრთვილში ბრწყინავს და
მდელოებს
ყვავილებით გიქარგავს,
მაგრამ ძილს და მოსვენებას
უცილობლად გიკარგავს.

ხშირად ისმის მისი ლოცვა
ვიოლინოს ტირილში
და გაშინებს, როცა მოჩანს
ჯერ სულ უცნობ ღიმილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი

ეშმაკის ელექსირი

თარგმნა ლია თაკვარელიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

კარი პირველი

შ ე მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა

ვის არ სწვევია სიცოცხლეში ერთხელ მაინც გულის სიღრმეში ჩაბუდებული საკვირველი საიდუმლოება სიყვარულისა? ვინც არ უნდა იყო ამ სტრიქონების წამკითხველი, ეცადე გაიხსენო ეს ნეტარი ხანა შენი ცხოვრებისა, კიდევ მოიხილე უძვირფასესი ასულის ხატი, ვითარცა თვითონ სული სიყვარულისა. გწამდეს, რომ მასში საკუთარ თავს, შენს უკეთესზე უკეთესს და მაღალთმაღალ ყოფას შეიცნობ. ხომ გახსოვს, რა დაუფარავად შემოგღაღადებდნენ იმ კურთხეულ ჟამს ნაკადულების რაკრაკი, ხიდან ჩამოცვენილი ფოთლების შრიალი და საღამო ხანს ამოკარდნილი ცელქი სიოს ალერსიანი ქროლვა? ხომ დაინახე, როგორ შემოგცქეროდნენ მაშინ ყვავილები შუქჩამდგარი, მოციმციმე თვალებით, მოკითხვას გითვლიდნენ, ჰაეროვან კოცნას გიგზავნიდნენ სატრფოსაგან? და აი, იგი მოვიდა შენთან, უნდოდა სულით ხორცამდე შენი კამხდარიყო. მგზნებარე გულისთქმას აყოლილი მოეხვიე იმას და გინდოდა გამოუთქმელი ნეტარების საოცრებას მინდობილი, მიწას დახსნოდი, მაგრამ ამ იდუმალ ოცნებას აღსრულება არ ეწერა. ბნელმა და მიუნდობელმა ძალამ ღონივრად ჩაგავლო ხელი და კვლავ მიწასთან მიგაბრუნა სწორედ იმ წუთში, როცა გეგონა, აჰა, ფრთები გავშალე და სატრფოსთან ერთად აღთქმულ შორეულ სამყაროს მივეახლეო. და ვიდრემდე გაბედავდი სასოებით შეგეხედა ქვეყნიერებისათვის, შენ იგი დაჰკარგე. ერთბაშად გაქრა საოცარი მუსიკა და სასწაულმოქმედ ფრთა მშვენება, რამაც აღტაცებაში მოგიყვანა, მხოლოდ უიმედო მარტოსულის შიშისმომგვრელი გოდება ისმოდა ხრიოკ უდაბნოში. ო, ჩემო უცნობო, სხვაგნიდან მოსულო მოთვისევ, თუკი ოდესმე სულის გამოუთქმელი ტკივილი გაგტანჯავს, მაშინ გაიგებ უიმედო ვიშვიშს ჭაღარა მღვდელმსახურისა, რომელიც თავისი სიყვარულის მზის მოქცევის ჟამს სხივშეუღწეველ საკანში ჩაკეტილა და სისხლის ცრემლებით ასველებს მიუვალ ადგილსამყოფელს და მონასტრის ჩამობნელებული დერეფნების ღამეულ სიჩუმეში მისი მშფოთვარე კვნესა-გმინვა ისმის. ო, ჩემი სულის თანაზიარო და მისადევარო, შენც უთუოდ გჯერა ალბათ, რომ ტრფობის ზენარი ნეტარება და მის საიდუმლოსთან ზიარება ოდენ სიკვდილის შემდგომაა შესაძლებელი. ასე გვეცხადებიან ბურუსით მოცუ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1—4, 5—6 2001 წ.

ლი წინასწარმეტყველური ხმები, რომლებიც პრეისტორიის შორეული ხანიდან აღწევენ ჩვენამდე და ვერანაირ მიწიერ განზომილებებში ვერ თავსდებიან. და როგორც ამას უხსოვარდროინდელი წინაპრების მიერ საზეიმოდ გამართულ მისტერიებში ვხედავთ, სიკვდილიც ხომ [illegible] სასწაულო ლოცვა-კურთხევაა სიყვარულის.

როცა ავრელია დავინახე, თითქოს მეხი დამეცაო, სუნთქვა შემეკრა, მაჯისცემა გამიხშირდა, გული ძალუმად ამიძგერდა, მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. ჩქარა უნდა გავსწიო მისკენ და გიჟური ტრფობით გაშმაგებულმა გულში ჩავიკრა. „რად ეურჩები, ბედკრულო, ძალას, რომელმაც განუშორებლად ჩემთან მოგაჯაჭვა? განა შენ ჩემი არა ხარ, საუკუნოდ ჩემი?“ მაგრამ ამჯერად შევძელი მომეთრგუნა აფეთქება თავსდატეხილი უგონო ვნებისა, ვიდრე მაშინ, როცა პირველად ვიხილე ავრელია ბარონის სასახლეში. ახლა ყველას თვალი ავრელიასაკენ ჰქონდა მიპყრობილი. შესანიშნავადაც გამომივიდა, რომ ჩემდამი გულგრილად განწყობილ ადამიანთა გარემოცვაში ისე მშვიდად და წარბშეუხრელად მეტრიალა, კაციშვილს არ შევემჩნიე, არც ვინმეს გაუცია ხმა, თორემ აუტანელი იქნებოდა ჩემთვის, რადგან მხოლოდ მისი დანახვა და ხმის გაგონება, მასზე ფიქრი მინდოდა.

ნურვინ იტყვის, უბრალო სამოსი უფრო უხდებაო უებრო სილამაზის ქალწულს, ვგრძნობ, სადღესასწაულო მორთულ-მოკაზმულობა კიდევ უფრო იდუმალებით ავსებს ხდის მის მომხიბვლელ გარეგნობას და მისი დანახვისას არც ისე ადვილია თავს მოერიო. იქნებ სწორედ აქ იმალება ქალური ბუნების ულრმესი საიდუმლოც, — მდიდრულად და სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულმა გამობრწყინოს თავისი მშვენება, მორცხვი კოკორის დარად ნაირფერ ულამაზეს ყვავილად იფეთქოს. როცა პირველად იხილე სამასკარადო ტანსაცმელში გამოწყობილი სატრფო, განა არ შეგიპყრო ამოუხსნელმა თრთოლვამ? იმჟამად შენ მასში აღმოაჩინე მანამდე შენთვის უცხო და შეუმჩნეველი, რაიც არნახული მშვენებით ამკობდა სანატრელს. უსახელო ნეტარებამ და აღსრულების ჟინმა შეგიპყრო, როცა მალულად ხელზე ხელი შეახე. მანამდე ავრელია მხოლოდ საშინაო სამოსში გყავდა ნანახი, დღეს კი სასახლის ყველა ეტიკეტის დაცვით სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული იდგა შენ წინაშე. რა მშვენიერი იყო იგი ახლა! რა ენითუთქმელი აღტაცებით და ტკბილი ნეტარებით ვუჭვრეტდი შორიდან! მაგრამ ამ წუთში უკეთურმა ძალამ დამიმორჩილა და მეც ჩემდა უნებურად მის ხმას მორჩილად ვათხოვე ყური. „ხომ კარგად დაინახე, მედარდუს“, — ჩამჩურჩულებდა ბოროტი სული,—„როგორ განაგებ საკუთარ ბედს, როგორ გიმორჩილებს შემთხვევა და რა ოსტატურად გახვევს შენგანვე ნაქსოვ ბადეში?“

სასახლის ქალბატონთა შორის მრავლად იყვნენ სრულქმნილი სილამაზით მოსილნი, რომელთათვისაც ყველა ყმაწვილკაცს ღია ჰქონდა გულის კარი, მაგრამ ავრელიას არაამქვეყნიურ, საარაკო მშვენებასთან ვერც ერთი სასახლის მანდილოსანი ვერ მოვიდოდა, რაგინდ უებრო სილამაზითაც არ უნდა ყოფილიყო რომელიმე მათგანი გამორჩეული. ყველაზე მოშვებული და ინერტული ადამიანიც აღტაცებაში მოჰყავდა ავრელიას უჩვეულო სილამაზეს. ხანში შესულ მამაკაცებსაც კი

ანაზდეულად უწყდებოდათ ძაფი საუბრებისა, ეს საუბრები მხოლოდ სიტყვებით შემოიფარგლებოდა და მარტოოდენ გარეგნული, წუთიერი, ზერელე ხასიათისა იყო. უნდა გენახათ, რა კარგი სანახავი იყო, რა წვალებითა და ჯახირით ცდილობდნენ სასახლის მკვიდრნი მასლაათითა და ნატიფი მანერებით მოეწონებინათ თავი უცხო ქალბატონისათვის. ავრელია სასახლის ბინადარ მამაკაცთა ამ თაყვანისცემას მორცხვად და ნარნარად თავდახრილი ეგებებოდა. ღაწვები მეწამულისფრად აფერადებოდა. ხოლო როცა პერცოგმა ხანდაზმულები თავის გარშემო შემოიკრიბა, გამორჩეული შესახედაობის ყმაწვილკაცებს შესაძლებლობა მიეცათ მიახლებოდნენ ავრელიას, რომელიც ჭაბუკთა გარემოცვაში უკვე საგრძნობლად უშუალო და მხიარული გახდა. მისი ყურადღება მეტადრე მიიპყრო გვარდიის ერთმა მაიორმა, რომელმაც ცხოველი საუბარი გამართა მასთან. მანამდეც ვიცნობდი მაიორს და იგი მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის დიდის წარმატებით სარგებლობდა, მას შეეძლო სრულიად უვნებელი ხერხებით მოენადირებინა გული ქალისა და თავის ჯადოსნურ ქსელში გაეხვია იგი. მის ფაქიზ სმენას არ გამორჩებოდა ოდნავი შერხევაც კი ქალის სულისა და ვითარცა დაოსტატებულ მუსიკოსს შეეძლო თავის ნება-სურვილზე აეთრთოლებინა გულიდან ამოთქმული ჰარმონიული აკორდები, რომ ცთომილებაში ჩავარდნილ ქალს ჰგონებოდა, უცხო ჰანგებს კი არა, საკუთარი სულის მუსიკას ვუსმენო. მე სულ ახლოს ვიდექი ავრელიასთან, მაგრამ, ეტყობა, იგი ვერ მამჩნევდა. მინდოდა მასთან მისვლა, მაგრამ, თითქოს ჯაჭვით მიმაბესო, ადგილიდან ნაბიჯი ვერ დავძარი. კვლავ მივაშტერდი მაიორს და უცებ მომეჩვენა, რომ ავრელიას გვერდით ვიქტორინი იდგა. თავშეუკავებლად, გესლიანად ავხარხარდი:

„ო, შე ღვთის პირიდან წავარდნილო, განა ისეთი რა რბილი საწოლი გეზლო ეშმაკისეულ უფსკრულში, რომ ავრე ავხორცი ჟინით ეარშიყები მღვდლის ნანდაურს?“

არ ვიცი, ეს სიტყვები ხმამაღლა ვთქვი თუ არა, ოღონდ ის კი იყო, რომ ჩემი ხარხარი აშკარად გავიგონე და ფეხზე წამოვვარდი, თითქოს ღრმა ძილისაგან გამოვფხიზლდი. მოხუცმა ჰოფმარშალმა ფრთხილად ჩამავლო ხელი და მკითხა: „ასე რამ გაგახარა, საყვარელო ბატონო ლეონარდ?“ ამ სიტყვებმა ცივი ოფლი გადამასხა და მთელი სხეული ამიკანკალდა.

ეს ხომ ის შეკითხვა იყო, ბერად აღკვეცის ჟამს რომ დამისვა ღვთისმოსავმა ძმა კირილუსმა, როცა ჩემს სახეზე მკრეხელური ღიმილი შეამჩნია. პასუხი რაღაც უაზროდ წავილუღლუღე. ვგრძნობდი, ავრელია ჩემს სიახლოვეს არ იდგა, ვერც გავბედე, თვალები გამეხილა, კისრისტეხით გავქანდი სასახლის გაჩირაღდნებული დარბაზებისაკენ. ეტყობა, საზარელი შესახედავი ვიყავი, რადგან ადამიანები შეშინებული მითმობდნენ გზას, ხოლო თავად მე განიერ კიბეებზე უცნაური ნახტომებით ჩავრბოდი.

მე ახლა გავურბოდი სასახლეში გამოჩენას, რადგან შეუძლებლად მიმაჩნდა შევხვედროდი ავრელიას და ჩემი საიდუმლო არ გამემხილა მისთვის. მარტოდმარტო დავეხეტებოდი ტყესა და ღრეში და მხოლოდ

ავრელიაზე ვფიქრობდი, მხოლოდ ავრელია მედგა თვალწინ. მტკიცე რწმენა გამიჩნდა იმისა, რომ იდუმალმა ბედისწერამ მისი ბედი ჩემსას დაუკავშირა და რაც წინათ ხანდახან დანაშაულად და შეცოდებად მეჩვენებოდა, ახლა განგების მარადიული და შეუცვლელი ნების აღსრულებად მიმაჩნდა. ასე ვინუგეშებდი თავს და სასაცილოდ არ მყოფნიდა ის საფრთხე, რომელიც მემუქრებოდა მას შემდეგ, როცა ავრელიამ ჩემში ჰერმოგენის მკვლელს შეიცნობდა. ასეთი რამ საერთოდ დაუჯერებლად მიმაჩნდა. რა საცოდავები მეჩვენებოდნენ ის ყმაწვილები, რომლებიც თავს იტყუებდნენ და ავრელიას ეკურკურებოდნენ. იგი ხომ სულით ხორცამდე ჩემი კუთვნილება იყო, მისი გულის უნაზესი ფეთქვაც ხომ ჩემში მისი ყოფნით იყო გაზიარებული და განსაზღვრული. რანი არიან ჩემთვის ჭრელ-ჭრელ მუნდირებში გამოწყობილი ეს გრაფები და ბარონები, კამერჰერები და ოფიცრები, ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა მოციმციმე ოქროს ვარსკვლავებითა და ორდენებით მკერდდამშვენებულები, თუ არ უმწეო, საწყალობელი, ზიზილ-პიპილებით მორთულ-მოკაზმული ბუჭყები, რომელთაც, თუკი თავს მომაბეზრებდნენ, მუშტი-კრივით ცხვირ-პირს ჩავუმტვრევდი? დიახ, სწორედ იმათ წინაშე წარვსდგები ჩემი ანაფორით, ხელს დავავლებ სადღესასწაულოდ ჩაცმულ-დახურულ ავრელიას, ხოლო ამაყი და ჩემდამი მტრულად განწყობილი ჰერცოგის მეუღლე საკუთარი ხელით განუმზადებს საქორწინო სარეცელს გამარჯვებულ მღვდელს, რომელიც რატომღაც არ ეპიტნავება. ფიქრებმა წამიღეს, ვახსენებდი ავრელიას სახელს, იმას ვეძახდი, ვიცინოდი და გიჟივით ვღრიალებდი. მალე ქარიშხალი ჩადგა და სიმშვიდე დამეუფლა. განსჯის უნარი დამიბრუნდა. დავიწყე ფიქრი იმაზე, როგორ მომეძებნა ავრელიასთან მისასვლელი გზები. ერთხელ პარკში დავეხეტებოდი და ჩუმად ჩემთვის ვფიქრობდი, უადგილო ხომ არ იქნება-მეთქი ჩემი გამოჩენა სადღესასწაულო საღამოზე, რომელიც ამ დღეებში უნდა გაემართა ჰერცოგს, და ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი მომითათუნა. მოვიხედე და ჩემ წინ ლაიბ-ექიმი იდგა.

— ნება მიბოძეთ, ძვირფასო, მაჯისცემა გაგისინჯოთ, — მან ყურადღებით ჩამხედა თვალებში და მკლავზე ხელი შემახო.

— რატომ? — ვკითხე გაკვირვებით.

— იმიტომ, — მომიგო ექიმმა, — ამბობენ, ჩვენს მხარეს შეშლილობის მსუბუქი ეპიდემია მოედოო, ყაჩაღივით თავს ესხმის ადამიანებს და თვალის დახამხამებაში ისე სწვდება ყელში, ყველას იძულებულს ხდის ხმამაღლა იყვიროს, ზოგჯერ გიჟურადაც კი ახარხარდნენ. თუმცა, შესაძლოა ეს მხოლოდ ჰალუცინაცია იყოს და სხვა არაფერი. გარდა ამისა ისიც შეიძლება, რომ ამდაგვარი სიგიჟე მცირეოდენი ციებ-ცხელებითაც იყოს გამოწვეული. ამ დროს მოსალოდნელია სიცხემაც აგიწიოს. ამიტომაც ნება მიბოძეთ, მაჯა გაგისინჯოთ, ძვირფასო.

— დამიჯერეთ, ბატონო ჩემო, რომ ვერ გამიგია, რისი თქმა გინდათ. — ვუთხარი ლაიბ-ექიმს, მაგრამ იმან ჩემს საპროტესტო სიტყვებს ყური არ ათხოვა, მკლავში ხელი წამავლო, თვალები ზეცას მიაპყრო და პულსის გასინჯვას შეუდგა. ერთი, ორი, სამი... მისი უცნაური ქცევა ვერაფრით ამეხსნა. ამიტომაც მუდარით ვთხოვე, მითხარი, ჩემგან რა გინდა-მეთქი.

— ნუთუ არ იცით, ძვირფასო ბატონო ლეონარდ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მთელი სასახლე გადარიეთ და ააჩოჩქოლეთ. ობერჰოფმაისტერის მეუღლეს მას აქეთ კრუნჩხვები ტანჯავს, ხოლო კონსისტორიის პრეზიდენტი თქვენ გამო ველარ ესწრება მეტად მნიშვნელოვან სხდომებს, რადგანაც თქვენ ინებეთ და იმის ნიკრისის ქარით დაავადებულ ფეხს გაქცევისას ფეხი დაადგით, დღემდე სავარძლიდან ვერ წამოსწია, აუტანელი ტკივილებისაგან ღრიალებს კიდეც. და ეს ყველაფერი მაშინ მოხდა, როცა სიგიჟემ მსუბუქად შემოგიტიათ და თავქუდმოგლეჯილი გავარდით დარბაზიდან, თქვენმა საშინელმა ხარხარმა შიშისგან თმა ყალყზე დაუყენა ყველას.

სწორედ ეს-ესაა გავიფიქრე ჰოფმარშალზე-მეთქი, ვუთხარი ლაიბმედიკოსს, თანაც დავუმატე, მართალია, მაშინ ფიქრებში წასულმა ხმამაღლა გადავიხარხარე, მაგრამ არა მგონია ამ გაცინებას უცნაური შთაბეჭდილება მოეხდინა ჰოფმარშალზე, რადგან მეტად დამტკბარი ხმით მკითხა, ასე რამ გაგახარაო.

— ო, ეგ არაფერს ნიშნავს, — განაგრძო ლაიბ-მედიკოსმა, — ჰოფმარშალი ისეთი წყალწაღებული კაცია, მასთან თვითონ ეშმაკიც კი გაურბის საქმის დაჭერას. იგი თქვენი წასვლის შემდეგაც უწინდებურად გულთბილი და ალერსიანი დარჩა, ამ დროს კი ხსენებულ კონსისტორიის პრეზიდენტს ნამდვილად სჯეროდა, ჩემო ძვირფასო, რომ თქვენს ბაგეებს პირწავარდნილი ეშმაკის ღიმილი დასთამაშებდა. ხოლო რაც შეეხება ჩვენს მზეთუნახავ ავრელიას, ისეთმა შიშმა და ძრწოლამ აიტანა, რომ ამაო გახდა სასახლის კავალერთა ყველა მცდელობა, როგორმე დაემშვიდებინათ იგი. გოგონამ საჭიროდ ჩათვალა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა იქაურობას, რის გამოც დიდად დაამწუხრა ყმაწვილკაცები, რომელთაც სიყვარულის ცეცხლი წაუკიდა ავრელიას აღმტაცი თმის კულულის შეხებამ. დიახ, ძვირფასო ბატონო ლეონარდ, იმ წუთს, როცა ეშხიანად გაიცინეთ, ავრელიას უნებლიეთ გულშიჩამწვდომი ხმით აღმოხდა: „ჰერმოგენ!“ და რას უნდა ნიშნავდეს ეს, ალბათ თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ძვირფასო ბატონო ლეონარდ, თქვენ ჭკვიანი და განათლებული კაცი ბრძანდებით, თანაც არც სიცოცხლისმოყვარული აზრები გაკლიათ და სულაც არ ვნანობ, რომ გაგანდეთ ფრანჩესკოს საოცარი ისტორია, რომელიც ჭკუის სასწავლებლად გამოგადგებათ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლაიბ-მედიკოსს ჩემთვის ხელი არ გაუშვია, თანაც თვალებში ყურადღებით ჩამშტერებოდა. მე კი არცთუ დამყოლად და თვინიერად ხელი გავაშვებინე და ვუთხარი:

— მე, ჩემო ბატონო, თქვენი უცნაური ნათქვამისა ვერაფერი გავიგე, ოღონდ უნდა გამოგიტყდეთ, როცა სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ავრელია დავინახე სასახლის ბრწყინვალე ვაჟბატონებით გარსშემოხვეული, რომლებსაც, თქვენი მახვილგონივრული თქმისა არ იყოს, სიყვარულის ცეცხლი წაუკიდა იმისმა აღმტაცმა თმის კულულმა, ჩემი ადრეული წარსულის ერთმა მწარე მოგონებამ გამკრა გულში და უნებლიეთ ზოგ-ზოგთა გიჟური ქცევით გამოწვეული მწარე გესლით შეპყრობილმა ხმამაღლა გადავიხარხარე. ძალიან ვნანობ, რომ ჩემდა უნებურად ამდენ დავიდარაბას გადავეყარე და გადავწყვიტე დანაშაული

იმით ვზღო, რომ ერთხანს ნებაყოფლობით განვიდევნო სასახლიდან. მაგრამ დიდად კი ვისურვებდი, თუკი ჰერცოგის მეუღლე და ავრელია მატივს დამდებენ და მომიტევებენ.

— ო, ჩემო ძვირფასო ბატონო ლეონარდ, — მომიგო ლაიბ-ექიმმა, — რა უცნაური აზრები არ მოუვა კაცს თავში, მაგრამ [illegible]რია, ადვილად მოგვარდება, თუ სულით სპეტაკი ხარ.

— ჰო, მაგრამ ვინ დაიკვეხნის ამას, ჩემო კარგო, ამქვეყნად, — ჩუმად ჩავილაპარაკე ძლივს გასაგონად, თითქოს საკუთარ თავს ვამართლებდი.

ლაიბ-მედიკოსს უცებ ხმა და კილო შეეცვალა.

— იცით რა, — მითხრა მან დინჯად და დაყვავებით, — თქვენ, მგონი, მართლაც ავად უნდა იყოთ. ჩაცვენილ თვალებში უცნაურად ალმოდებული სიწითლე გიელავთ. მაჯისცემაც ციებ-ცხელებაშეყრილისა გაქვთ, ხმაც ჩაგხლეჩიათ. იქნებ რაიმე წამალი გამოგიწეროთ.

— შხამი გამომიწერეთ და ეს იქნება. — ოდნავ გასაგონად წავილუღლუღე.

— ოჰო! — წამოიძახა ლაიბ-ექიმმა, — განა ისეთი რა გჭირთ? კიდეც რომ ცუდი რამე გჭირდეთ, შხამს კი არ გამოგიწერთ, ისეთ საშუალებას მოვძებნი, ყურადღება რომ სხვაზე გადაიტანოთ, აი, სასიამოვნო საზოგადოება კი უსათუოდ გიშველით, ნაღველსაც განგიქარვებთ და ამ შეცბუნებისაგან გიხსნით. თუმცა ასე არ გამოვა, უცნაურიც კი იქნება, მით უფრო თუ...

— იცით, რა გითხრათ? — განრისხებულმა შევუყვირე ლაიბმედიკოსს და ლაპარაკი შევაწყვეტინე. — ძალიან გთხოვთ, ნუ გამტანჯავთ მაგ თქვენი ნაწყვეტ-ნაწყვეტი გაუგებარი ფრაზებით... სჯობს ერთბაშად მითხრათ, რისი თქმაც გინდათ.

— მოითმინეთ, — სიტყვა შემაწყვეტინა ლაიბ-ექიმმა, — განსაცვიფრებელზე განსაცვიფრებელი შეცდომებიც ხომ არსებობენ ამ ქვეყანაზე, დიდად პატივცემულო ბატონო ლეონარდ? თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაუსაბუთებელ ჰიპოთეზასთან, რომელიც წამიერი შთაბეჭდილების ნიადაგზე აღმოცენდება, ხოლო რამდენიმე წუთში ეს ჰიპოტეზა ნაცარტუტად იქცევა. აი, ჰერცოგის მეუღლე და ავრელია აქეთკენ მოდიან, ისარგებლეთ ამ უცაბედი შეხვედრით და ბოდიში მოუხადეთ თქვენი იმჟამინდელი საქციელის გამო. ბოლოს და ბოლოს გაგეცინათ, მეტი ხომ არაფერი დაგიშავებიათ, თუმცა ეს გაცინება ცოტათი უცნაურად კი გამოგივიდათ, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ისეთი რა მოხდა? რა თქვენი ბრალია, თუკი სუსტი ნერვების პატრონებს ამისი შეეშინდათ.

ლაიბ-მედიკოსი მისთვის ჩვეული სიმკვირცხლით მიიმალა. ამასობაში ჰერცოგის მეუღლემ ავრელიას თანხლებით ხეივანი გამოიარა და ჩემკენ გამოემართა. როგორც კი მომიახლოვდნენ, კანკალმა ამიტანა, მაგრამ როგორღაც თავს მოვერიე და წონასწორობა შევინარჩუნე. ლაიბ-მედიკოსის იდუმალებით აღსავსე სიტყვები მიმანიშნებდნენ, რომ საფრთხე მელოდა, ხოლო მისი თავიდან აცილება მარტო იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუკი ავრელიას ეჭვს განვუფანტავდი. ამიტომაც კადნიერად გადავდგი ნაბიჯი ჰერცოგის მეუღლისაკენ, მაგრამ რაწამს ავრელიამ დამინახა, დაგუბული ხმით იყვირა და მკვდარივით დაეცა ძირს.

მინდოდა ავრელიას მივვარდნოდი, მაგრამ ჰერცოგის მეუღლემ ზიზღითა და შეძრწუნებით მანიშნა, ახლოს არ მოგვეკაროო, და ხმამაღალი ძახილით მშველელებს უხმო. ფურიებისა და ქაჯებისგან დევნილს ვგავდი. შეშფოთებულმა პარკი გამოვიარე და შინისაკენ გავეშურე. მერე ჩემს სენაკში შევიკეტე და საწოლში ჩავწექი. სიცივისა და სასოწარკვეთისაგან კბილებს ვაკრაჭუნებდი. მოსაღამოვდა. ნელ-ნელა დაღამდა კიდეც. შუაღამისას გავიგონე, როგორ გაიღო სადარბაზოს კარი. ვიღაცვიღაცების ჩურჩული და ლაპარაკი შემომესმა, მალე მძიმე ნაბიჯებით კიბეს ამოუყვნენ. ბოლოს ჩემს სადგომს მოადგნენ, დააკაკუნეს და ხელისუფლების სახელით კარის გაღება მოითხოვეს. ნათლად ვერც წარმოვიდგინე, რა საფრთხე მელოდა, მაგრამ ჩემი დაღუპვა რომ გარდაუვალი იყო, ამას აშკარად ვგრძნობდი. ერთადერთი გამოსავალი ამ უბედურებისაგან თავის დასაღწევად — გაქცევა იყო. გამოვაღე კიდევაც ფანჯარა, მაგრამ ქვემოთ შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ და მითვალთვალებდნენ. ერთმა მათგანმა მაშინვე მკითხა, საით გაგიწევიაო. და სწორედ ამ წუთში ჩემი საძინებელი ოთახის კარიც შემოამტვრიეს. ოთახში რამდენიმე შეიარაღებული კაცი შემოვიდა. ერთ-ერთ იმათგანს ხელში ფარანი ეჭირა, რომლის შუქზე კარგად გავარჩიე პოლიციის ჟანდარმები. მათ წარმომიდგინეს სისხლის სამართლის სასამართლო ბრძანების ორდერი ჩემი დაპატიმრების შესახებ. ყოველგვარი წინააღმდეგობა ჩემის მხრივ აშკარად სიგიჟე იქნებოდა. კარეტაში ჩამაგდეს, რომელიც სახლის წინ იდგა, და, როცა, ჩემის შეტყობით, დანიშნულ ადგილზე მივედით, ვიკითხე, სად ვიმყოფები-მეთქი. ციხე-სასახლის საგანგებო საპყრობილეშიო, მომიგეს პასუხად. გაგონილი მქონდა, რომ აქ ათავსებდნენ ყველაზე საშიშ დამნაშავეებს სასამართლო პროცესის განმავლობაში. მალე კამერაში საწოლი მომიტანეს და ციხის მეთვალყურემ მკითხა, კიდევ ხომ არაფერი გჭირდებაო. არა-მეთქი, მივუგე და ბოლოს და ბოლოს საკანში მარტო დავრჩი. დიდხანს მესმოდა ნაბიჯების ბრახუნისა და კარების მრავალჯერ გაღება-დახურვის ხმები. მივხვდი, რომ ციხე-პალატის საიდუმლო კამერაში ვიმყოფებოდი. თვითონაც ვერ გავიგე, როგორ მოხდა, მაგრამ კარეტით საკმაოდ დიდხანს სიარულის შემდეგ როგორღაც დავმშვიდდი ან უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდი, სულიერად მოვჩლუნგდი, რადგანაც დავინახე, როგორ ჩამიარეს გვერდით გარდასული დროის მკრთალმა, მბჟუტავი ფერებით ბუნდოვნად მოელვარე სურათებმა. დაბოლოს ძილს კი არ მივეცი თავი, არამედ უფრო გულშეღონებამ შემიპყრო, რამაც დამბლა დასცა ჩემს ფიქრებსა და ფანტაზიებს. როცა გავიღვიძე, გათენებული იყო. ნელ-ნელა მოვედი გონს, ფიქრები ამეშალა, ნეტა, რა დამემართა ანდა სად მომიყვანეს-მეთქი, ვეკითხებოდი საკუთარ თავს. თაღებიანი კამერა მონასტრის სენაკს მამაგონებდა. ეს კამერა იმით ჰგავდა საპყრობილეს, რომ რკინის გისოსებიანი პატარა ფანჯარა იყო გამოჭრილი, რომელსაც კაცი ხელს ვერ აუწვდენდა, ამიტომაც იქიდან გახედვა შეუძლებელი ხდებოდა. მზის სხივები ოთახამდე ძლივსღა აღწევდა. სურვილი გამიჩნდა, რომ ჩემს ადგილსამყოფელს გავცნობოდი, ამიტომაც საწოლი ფანჯარასთან მივაჩოჩე, მერე საწოლზე მაგიდა დავდგი და ის იყო ზემოთ უნდა ავმძვრალიყავი, რომ ოთახში შემოვიდა ციხის ზედამხედველი, რომელიც

ჩემმა ქცევამ ძალიან გააკვირვა. იმან მკითხა, ამას რას შვრებიო, მე კი სრულიად გულწრფელად მივუგე, ფანჯარაში გახედვა მინდოდა-მეთქი. ზედამხედველმა ხმის ამოუღებლად გვერდზე მისწია მაგიდა, საწოლი და სკამი, და კვლავ ჩამკეტა. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ოთახში ხელმეორედ შემოვიდა ზედამხედველი ორი კაცის თანხლებით, მერე გრძელ დერეფანში გამატარა და კიბეებზე ზემოთ-ქვემოთ ამიყვან-ჩამიყვანა და მანამ მატარა, ვიდრე ბოლოს ერთ მომცრო დარბაზში არ შემიყვანა, სადაც კრიმინალურ საქმეთა გამომძიებელი მელოდებოდა. გამომძიებლის გვერდით იჯდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც მდივნის მოვალეობას ასრულებდა. სახელდობრ, მის მიერ დასმულ შეკითხვებზე მიცემულ ჩემს პასუხებს კარნახობდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დამაპატიმრეს იმ საფუძველმოკლებული ეჭვის გამო, რომელიც განპირობებული იყო ავრელიას ინსტინქტური წინათგრძნობით. გამომძიებელმა მომთხოვა რაც შეიძლება ვრცლად მეამბნა ჩემი განვლილი ცხოვრების შესახებ. მე კი, ჩემის მხრივ, დაჟინებით ვთხოვე აეხსნა ჩემი მოულოდნელი დაპატიმრების მიზეზი. მან მომიგო, რომ თავის დროზე გავიგებდი, რა დანაშაულის ჩადენა მედებოდა ბრალად, მხოლოდ ამჯერად საჭირო იყო მისხალ-მისხალ წარმომედგინა ჩემი ბიოგრაფიული მონაცემები სასახლეში მოსვლამდე, ამასთან სასურველი იყო მხედველობაში მქონებოდა ის გარემოება, რომ სასამართლო საფუძვლიანად შეამოწმებდა ჩემ მიერ მიცემულ ჩვენებებს, ამიტომაც ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა, თუკი უმკაცრესად დავიცავდი სიმართლეს და არ გავურევდი პატარა სიყალბესაც კი. გამომძიებელს ხრინწიანი, სასაცილოდ მწივანა ხმა და გადმოქაჩული ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ამ პატარა, ტანწვრილი და წითელთმიანი კაცის შეგონებები მართლაც მენიშნა, რადგან იგი ნოყიერ ნიადაგს ემყარებოდა. უმალ მოვისაზრე, რომ აუცილებელი იყო საუბრის ძაფი ისე დამეჭირა და წარმემართა, როგორც ეს სასახლეში ყოფნისას გავაკეთე, როცა ჩემი სახელი, გვარი და დაბადების ადგილი ვუთხარი სასახლის კარის ერთ ქალბატონს. გარდა ამისა უსათუოდ თავიდან უნდა ამეცილებინა ყველაფერი, რაც კი თვალშისაცემი იყო ჩემს ბიოგრაფიაში, ყოველდღიურობის ელფერი მიმეცა ჩემი ცხოვრების განვლილი გზისათვის, ბუნდოვანი, შორეული და ძნელად მისაკვლევი გამეხადა იგი. და აი, გამახსენდა ერთი ახალგაზრდა პოლონელი, რომელიც სემინარიაში სწავლობდა ჩემთან ერთად. მის ოჯახურ გარემოცვას კარგად ვიცნობდი, ამიტომაც განვიზრახე მიმეთვისებინა იმისი მარტივი ცხოვრების გარემოებები და ამ მოსაზრებით აღჭურვილი ჩემი ამბის თხრობას შევუდექი:

— უნდა გითხრათ, რომ მე ბრალს მდებენ რაღაც მძიმე დანაშაულში. ამ დროს კი გარკვეული დროის მანძილზე ვცხოვრობდი ჰერცოგისა და მთელი მისი რეზიდენციის თვალწინ და ამ ხნის განმავლობაში არავითარი ავკაცობა არ ჩამიდენია და არც თანამონაწილე ვყოფილვარ ოდესმე რაიმე უმსგავსი ქმედებისა. ამიტომაც უნდა ვივარაუდო, რომ ვიღაც გარეშე პირმა აღძრა ჩემს წინააღმდეგ საქმე, მომაწერა ცოდვა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე, სასახლეში ჩემს გამოჩენამდე ვიღაცას ჩაუდენია. თავს ვგრძნობ რა სრულიად უდანაშაულოდ, აშკარად მგონია, რომ ეს ეჭვი გამოიწვია ჩემმა სრულიად შემთხვევითმა მსგავსებამ იმ

სხვა პიროვნებასთან. მით უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამგვარი ეჭვებისა და წინასწარ აკვიატებული აზრების საფუძველზე ჩამაგდეს ასე უწყალოდ საპყრობილეში, თითქოს აშკარა დამნაშავე ვიყო. რატომ არ წამაყენებთ პირისპირ ჩემს ქარაფშუტა და, ვინ იცის, იქნებ სულაც ბოროტი ბრალმდებლის წინაშე. ეტყობა, ჩემი მტერიც იდიოტია, რომელიც...

— ხმას დაუწიეთ და ბევრს ნუ ლაპარაკობთ! — დაიწივლა გამომძიებელმა, — ნუ ფიცხობთ! თქვენდა უნებურად სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებთ წარჩინებული გვარის პიროვნებას, მით უფრო, რომ სწორედ ამ ახალჩამოსულმა პიროვნებამ გიცნოთ თქვენ, ბატონო ლეონარდ.—გამომძიებელმა სასწრაფოდ ენას კბილი დააჭირა და ტუჩი მოიკვნიტა.—ეს პიროვნება არც ქარაფშუტაა და არც იდიოტი, პირიქით... გარდა ამისა ჩვენ მივიღეთ აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები ერთი ადგილსამყოფლიდან.

და მან დაასახელა ადგილი, სადაც მდებარეობდა ბარონ ფ-ის მამული და ჩემთვის ერთბაშად ნათელი გახდა ყველაფერი. უკვე ეჭვი აღარც მეპარებოდა, რომ ავრელიამ ჩემში იცნო მღვდელი, რომელმაც მისი ძმა გამოასალმა წუთისოფელს. ეს მღვდელი ხომ მედარდუსი იყო, ბ-ს კაპუცინთა მონასტრის სახელგანთქმული მოძღვარი. რომელიც მაშინვე იცნო რაინჰოლდმა და კიდევაც თქვა მისი სახელი. ფრანჩესკო რომ მედარდუსის მამა იყო, ამის შესახებ შესანიშნავად იცოდა აბატისამ და თითქოს აშკარა გახდა ჩემი მსგავსება მასთან. ჰერცოგის მეუღლეს ეს ამბავი ჩემი პირველი დანახვისთანავე უსიამოვნოდ მოხვდა თვალში და ამ საკითხის გარშემო ეჭვებსა და ვარაუდებს ისინი, ეტყობა, წერილობით უზიარებდნენ ერთმანეთს. ყველაფერ ამას ალბათ დაემატა ბ-ს კაპუცინთა მონასტრიდან ავრელიაზე მოსული ამბები. ასე რომ, ჩემს კვალს ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ და ჩემი პიროვნების მღვდელ მედარდუსთან იდენტურობაც ზუსტად დაადგინეს. ეს ყველაფერი წამსვე ავწონ-დავწონე, თანაც თვალნათლივ დავინახე, როგორი საფრთხეც მელოდა. გამომძიებელი კი განაგრძობდა სისულელეების რატრატს, რამაც ხელი შემიწყო როგორმე გამეხსენებინა, რა ჰქვიოდა პატარა პოლონურ ქალაქს, რომელიც სასახლეში ერთ ხანდაზმულ ქალბატონთან საუბარში დავასახელე, როგორც ჩემი დაბადების ადგილი. გამომძიებელმა როგორც იქნა დაასრულა ნოტაციების კითხვა და მკაცრად განმიცხადა, ბევრი წილადობილის გარეშე მეამბნა ჩემი განვლილი ცხოვრების შესახებ და მეც დაუყოვნებლივ განვიზრახე ოფიციალურად დამეკმაყოფილებინა მისი ცნობისწადილი და ასე დავიწყე:

— მე მქვია ლეონარდ კრჩინსკი და ვარ ერთადერთი ვაჟი აზნაურისა, რომელმაც გაყიდა თავისი მცირე მამული და კვიჩიჩევოში დასახლდა.

— როგორ თქვით? ვერ გავიგე. — მითხრა გამომძიებელმა და კვლავ მკითხა, ვინ ვიყავი და საიდან მოსული. იგი ამაოდ ცდილობდა წარმოეთქვა ჩემი სახელი და გვარი, აგრეთვე ქალაქი, რომელიც დავუსახელე. მდივანმაც, თავის მხრივ, არ იცოდა, როგორ ჩაეწერა ოქმში

ეს სიტყვები, ამიტომ საკუთარი ხელით მომიხდა ოქმში ამ დასახელების შეტანა. მერე განვაგრძე:

— ხომ ხედავთ, ჩემო ბატონო, რა ძნელად გამოითქმის გერმანულად მოლაპარაკე კაცის ენაზე ჩემი თანხმოვნებით მდიდარი გვარი. ამიტომაც გერმანიაში როცა მოვხვდი, საკუთარ გვარზე უარი ვთქვი და უბრალოდ ლეონარდი დავირქვი. საერთოდ კი ჩემნაირი მარტივი ბიოგრაფიის კაცი არც დაიბადება. მამაჩემი საკმაოდ განსწავლული იყო და დიდად აფასებდა ჩემს განსაკუთრებულ მიდრეკილებას მეცნიერებისადმი, ამიტომაც უნდოდა კრაკოვში გავეგზავნე თავის ნათესავთან — სტანისლავ კრჩინსკისთან, რომელიც სასულიერო პირი გახლდათ. მაგრამ საუბედუროდ მამა სწორედ იმ ხანებში გარდაიცვალა და თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმა აღარ დასცალდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ჩემი ჯაერი აღარავის ჰქონდა, არც ვინმეს უზრუნვია ჩემს სწავლა-აღზრდაზე. მემკვიდრეობით მიღებული მცირე მამული გავყიდე, მონაგარი ფულით მამის მოვალეები გავისტუმრე და სასწავლებლად გავემგზავრე კრაკოვში, სადაც რამდენიმე წელს დავყავი იმ ჩემი ხსენებული ნათესავის მეთვალყურეობის ქვეშ. იქიდან დანცინგსა და კოენიგსბერგში გავემგზავრე, რის შემდეგაც დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა სამხრეთში მოგზაურობისა. ჯერ ცოტა ფული კიდევ მქონდა შემორჩენილი და ვიმედოვნებდი, ეს ფული მეყოფოდა ჩემი განზრახვის ხორცშესასხმელად, მერე კი რომელიმე უნივერსიტეტში სწავლას ვაპირებდი. უფულობის გამო კინაღამ კრიტიკულ მდგომარეობაში არ ჩავვარდი, რისგანაც მიხსნა მსხვილმა მოგებამ ბანქოს თამაშში, რომელიც ჰერცოგის სასახლეში ტარდებოდა. ამ მოგებამ შესაძლებლობა მომცა ერთხანს კვლავ უზრუნველად მეცხოვრა. მერე კი იტალიაში გამგზავრებაზე ვფიქრობდი. ჩემს ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებული და უჩვეულო არაფერი მომხდარა, რაზეც ლაპარაკი ღირდა. ოღონდ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო, რისი გამოისობითაც უცნაური რამ დაემართა ჩემს საქაღალდეს, რაშიც პასპორტი, სამოგზაურო გეგმა და სხვა საბუთები მქონდა შენახული და რისი მეშვეობითაც სრულიად უმტკივნეულოდ და სარწმუნოდ დავადასტურებდი ჩემი ნათქვამის სიმართლეს.

გამომძიებელს სახეზე აშკარა გაოცება გამოეხატა. მან დაკვირვებით შემხედა, მერე კი დამცინავ კილოზე მკითხა, მაინც რა შეგემთხვა ისეთი, რომ არ შეგიძლია წარმოადგინო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიო. ამ შეკითხვაზე პასუხად ასეთი რამ ვუამბე:

— ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა აქეთკენ მოვეშურებოდი, ცოტა ხანს მთებში დავყოვნდი. შესანიშნავმა ამინდმა და ამ მიდამოების რომანტიკულმა სიმშვენიერემ წამაქეზეს მთელი გზა ფეხით გამევლო. ერთ დღეს სოფლის ერთ პატარა სასტუმროში ჩამოვხტი დასასვენებლად. საუზმე შევუკვეთე და საქაღალდედან ფურცელი ამოვიღე, რომ მასზე აღმენიშნა რაც კი თავში მომივიდოდა. საქაღალდე იქვე მედო მაგიდაზე. უეცრად სასტუმროს ეზოში ცხენი შემოაგელვა მხედარმა, რომელმაც თავისი უცნაური ჩაცმულობით და გაქსუებული შესახედაობით ჩემი ყურადღება მიიპყრო. იგი დარბაზში შემოვიდა, ღვინო მოითხოვა და ჩემს პირდაპირ დაიკავა ადგილი მაგიდასთან, თანაც მოქუფრუხებული, უნდობელი თვალებით შემომხედა. ჩემზე ამ კაცმა იმზომ უსიამო შთაბეჭდი-

ლება მოახდინა, რომ ოთახი დავტოვე და ქუჩაში გავედი. მალე უცნობიც გამომყვა, სასტუმროს უფროსს ანგარიში გაუსწორა, აგდებულად დამიკრა თავი, ცხენს მოახტა და გაჭქუსლა. მეც მალე ვაპირებდი გზას გავდგომოდი, მაგრამ უეცრად მაგიდაზე დარჩენილი საქაღალდე გამახსენდა. კვლავ ოთახში შევბრუნდი, საქაღალდე თავის ადგილზე იდო. ზედ არც დამიხედავს, ისე ავიღე. მხოლოდ მეორე დღეს, როცა საქაღალდე ამოვიღე, აღმოვაჩინე, რომ საქაღალდე ჩემი არ იყო, ვიღაცას შეცდომით ჩემი საქაღალდე გაჰყოლია, თავისი კი მაგიდაზე დაეტოვებია. საქაღალდეში ვიპოვე ჩემთვის გაუგებარი აღნიშვნები და რამდენიმე წერილი მიმართული გრაფი ვიქტორინისადმი. იმ საქაღალდესა და შიგ შენახულ ნივთებს, რა თქმა უნდა, ჩემს ბარგი-ბარხანაში ნახავთ. უნებლიეთ დაკარგულ ჩემს საქაღალდეში კი მედო, როგორც უკვე მოგახსენეთ, პასპორტი, მარშრუტი და, მგონი, სწორედ ახლა გამახსენდა, ნათლობის მოწმობაც.

გამომძიებელმა ჩემს მიერ ნახსენები უცნობის თავიდან ფეხებამდე აღწერა მიბრძანა და მეც ფერები არ დავიშურე და ვრცლად დავახასიათე უცნობი, რომლის აღწერილობაში ერთმანეთს დავუკავშირე გრაფი ვიქტორინისა და ბარონ ფ-ის სასახლიდან გამოქცევის ჟამს თვითონ ჩემი პიროვნების ყველაზე თვალშისაცემი ნიშან-თვისებები. გამომძიებელმა მისხალ-მისხალ გამომკითხა ყველა წვრილმანი უცნობთან შეხვედრისა აგრეთვე მისი გარეგნული იერსახისა და ყველაფერს დამაკმაყოფილებლად ვუპასუხე. ჩემი ჭკუით სურათი ისე დამაჯერებლად დავხატე, თვითონ ვირწმუნე მისი რეალობა და ჩემი ფიქრით არავითარი საფრთხე აღარ მემუქრებოდა, წინააღმდეგობებში აღარ გავიხლართებოდი. საერთოდ კი სრული საფუძველი მქონდა წარმატებულად ჩამეთვალა ჩემი მოსაზრება, რომლის მიხედვით გრაფი ვიქტორინი, რომლისადმი გაგზავნილი წერილები პორტფელში მედო, ჩემს წარმოდგენაში გადამეხლართა გამოგონილ პიროვნებასთან, ვისაც მომავალში ან გაქცეულ მედარდუსად წარმოვაჩენდი ანდა გრაფ ვიქტორინად, იმისდა მიხედვით, როგორ წარიმართებოდა მოვლენები და განსაზღვრულ ვითარებაში რანაირად დამჭირდებოდა. გარდა ამისა ისიც განვჭვრიტე, რომ ეფემიას ქაღალდებში შეიძლებოდა ენახათ წერილები, რომლებიც დაადასტურებდნენ ვიქტორინის განზრახვას, მღვდლის სახით გამოჩენილიყო სასახლეში. ეს გარემოება კიდევ უფრო ბუნდოვანსა და აბსურდულს გახდიდა საქმის ვითარებას. ვიდრე გამომძიებელი დაკითხვებს მიწყობდა, ჩემი ფანტაზია მუშაობას განაგრძობდა, ახალ გზებსა და საშუალებებს ვეძებდი, არ მინდოდა ჩემი პიროვნების სამზეოზე გამოტანა და ყველაზე უარეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ვემზადებოდი. მეგონა, გამომძიებელი ჩემი განვლილი ცხოვრების გზას შეისწავლიდა, იმ დანაშაულებსაც მიაკვლევდა, ცოდვად რომ მაწვა კისერზე, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. ჩემდა სრულიად გასაოცრად გამომძიებელმა მკითხა, რატომ გინდოდა საპყრობილედან გაქცევაო. მე თავს ვიკლავდი და ვეუბნებოდი, ღმერთი და რჯული, გაქცევა აზრადაც არ მომსვლია-მეთქი. ციხის დარაჯმა, რომელმაც ფანჯარაზე აფორთხებული დამინახა, ეტყობა, ჩემი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. გამომძიებელი დამემუქრა, როგორც კი მეორედ შევეცდებოდი გაქცევას, ხუნდს

დამადღებდა. კვლავ ჩემს საკანში დამაბრუნეს. იქ უკვე საწოლი აღარ იდგა, მის ნაცვლად იატაკზე ჩალის ლეიბი დაეგოთ, მაგიდის ფეხები იატაკზე მიეჭრახნათ, ხოლო სკამის მაგივრად მეტისმეტად დაბალი ჩამოსაჯდომი დაედგათ. სამი დღე აღარავის ვუკითხივარ. მხოლოდ ციხის ზედამხედველს ვხედავდი, ვისაც სახე მოქუფრულს შემოჰქონდა საუზმე და სადილი, საღამოობით კი ლამპას მინთებდა. სასტიკად ვფორიაქდი, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი თითქო ლოდად და ვაჟკაცურად უნდა შევრკინებოდი ბედისწერას, რომელიც არ ვიცოდი, რას მიქადდა. მწარე ნაღველი მომეძალა, მღვრიე ფიქრები შემომაწვა გულზე, საშინელ მელანქოლიაში ჩავვარდი, ყველაფრისადმი გულგრილი გავხდი, აღარ დავეძებდი, რა დამატყდებოდა თავს, რა უბედურება მომელოდა. თვით ავრელიის ხატებაც კი გამიქრა. მერე კვლავ გული მომეცა, გავხალისდი კიდეც და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ძალუმად მეგრძნო საპყრობილის საშინლად დამთრგუნველი გარემო. სიმარტოვემ და ციხის სულისშემხუთველმა ჰაერმა იმზომ ძლიერად იმოქმედა ჩემს ორგანიზმზე, რომ მეტის ატანა აღარ შემეძლო. გარდა ამისა, ძილი მთლად დამეკარგა. ლამპის მკრთალი შუქის ლიცლიცი ჭერზე და კედლებზე საოცარ ათინათებს აბნევდა ირგვლივ. შემზარავი, დაღმეჭილი სახეები მელანდებოდნენ, ლამპა ჩავაქრე და თავი ჩალის ბალიშში ჩავრგე. მაგრამ ღამის შიშისმომგვრელ სიჩუმეში კიდევ უფრო შემზარავად ისმოდა პატიმრების ყრუ ამოკვნესა და ჯაჭვების ჟღარუნი. ხშირად მეჩვენებოდა, რომ მომაკვდავი ეფემიასა და ჰერმოგენის ხროტინი მესმოდა. მაშინ კი ხმამაღლა ავღრიალდი: „რა გინდათ ჩემგან, წყეულებო? განა მე მიმიძღვის ბრალი თქვენს დაღუპვაში? თქვენ ხომ თვითონ დამართეთ საკუთარ თავს, რაც გჭირთ, განა თვითონ არ გამოუტანეთ თქვენს თავს ეს სასტიკი განაჩენი, თუმცა სასჯელის აღსრულება ჩემი ხელით მოხდა?“ თაღებქვეშ გაისმა გაბმული, სუნთქვისშემკვრელი, სიკვდილის მომასწავებელი კვნესა და უსაშველო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ვიღრიალე: „ეს შენა ხარ, ჰერმოგენ? შურისგების ჟამი მოვიდა! შენი ხსნა უკვე აღარ შეიძლება!“ და აი, მგონი ციხეში ჩემი ყოფნის მეცხრე ღამეს, შიშისა და ძრწოლვისაგან ლამის ცნობამიხდილი, ჩემი საკნის ცივ იატაკზე ვაგდივარ გაშხლართული. მოულოდნელად ჩემდა დიდად გასაოცრად გავიგონე წყნარი, გამოზომილი კაკუნი, რომელსაც ყური მივუგდე. კაკუნი გაგრძელდა. ამასთანავე აქვე შორიახლო იატაკქვეშ ვიღაცის უცნაური სიცილიც მომესმა. ფეხზე წამოვვარდი და ბალიშად დაგებულ ჩალას მივვარდი. კაკუნი კვლავ და კვლავ მეორდებოდა, თან კვნესანარევი სიცილიც ისმოდა. გავიდა ცოტა ხანი და გავიგონე ზიზღისმომგვრელი, ჩახრინწული ხმით და ენის ბორძიკით ნათქვამი ჩემი სახელი: „მე-დარ-დუს. მე-დარ-დუს!“ ძარღვებში სისხლი გამეყინა. გული გავიმაგრე და შევყვირე: „მანდ ვინ არის? ვინ არის მანდ?“ უცნობმა კიდევ უფრო ხმამაღლა გაიცინა, ამ გაცინებას კვნესა და ოხვრაც მოაყოლა, კვლავ დააკაკუნა და ენის ბორძიკით წარმოთქვა: „მე-დარ-დუს! მე-დარ-დუს!“ გამძაგებული წამოვვარდი საწოლიდან და შევძახე: „ვინ ხარ შენ, გიჟურ მოლანდებებს რომ მიწყობ? აბა ერთი აქეთ გამოიწი, რომ თვალით დაგინახო! ან არადა შეწყვიტე ახლავე ეს თავაშვებული სიცილი და კაკუნი!“ სწორედ ამ წუ-

თში გავიგონე უფრო ძლიერი კაკუნი პირდაპირ ჩემს ფეხთქვეშ და იგივე ხმამ ენის ბორძიკით ჩაიბუტბუტა: „ჰი, ჰი, ჰი... ჰი, ჰი, ჰი, ჰი, — ძამიკო მედარდუს. მე აქა ვარ, გამიღე! წავიდეთ ტყეში ერთად, წავიდეთ ტყეში! ჩვენთვის ასე სჯობია!“ თითქოსდა ბუნდოვნად მომაგონდა ეს ხმა, რა ნაცნობი იყო ჩემთვის მისი ჟღერადობა! მახსოვს, ოდესღაც გამიგონია ეს ხმა, თუმცა არა ნაწყვეტ-ნაწყვეტი და [illegible] მეჩვენება იგი. ძრწოლვით ვიგრძენი, რაოდენ ჰგავდა ეს ხმა ჩემსას. ჩემი ეჭვი რომ შემემოწმებინა, უნებლიეთ ჩავილაპარაკე: „მედარდუს! მედარდუს!“ სიტყვები ისე გავწელე, როგორც ამას ჩემი იატაკქვეშელი აკეთებდა. იმან მაშინვე გესლიანი, მქირდავი ქირქილი შემაგება და მომაძახა: „ძა-მი-კო, ძა-მი-კო, ხომ მიცანი? ხომ მიცანი? კარი გამიღე და ტყეში წ... წავიდეთ, ტყეში“. მე არ ვიცი, როგორ წარმოთქვეს ჩემმა ბაგეებმა ყრუდ და შემაძრწუნებლად: „საპყარო გიჟო, საპყარო გიჟო, მე კარს ვერ გაგიღებ, ვერც იმ მშვენიერ ტყეში წამოვალ შენთან ერთად, სადაც, ალბათ გაზაფხულის გრილი ნიავი უბერავს, მე ხომ ამ სულისშემხუთველ ბნელ საკანში ვზივარ შენსავით“. ჩემმა თანამოსაუბრემ ქვემოდან უიმედო წუხილით ამოიკვნესა. კაკუნი თანდათან მიჩუმდა, მერე კი სრულიად მიწყდა. ჩემს საკანში ფანჯრიდან დილის რიჟრაჟმა შემოანათა. გასაღებების ჟღარუნი გავიგონე და საკანში შემოვიდა ციხის ზედამხედველი, რომელიც კარგა ხანია თვალით აღარ დამინახავს.

— თურმე წუხელ თქვენი ოთახიდან ხმაური და ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ამიხსენით, რას ნიშნავს ეს? — მკითხა მან.

— ჩვეულება მაქვს, — მივუგე რამდენადაც შეიძლებოდა წყნარად, — ძილში ხმამაღლა ვილაპარაკო. ზოგჯერ სიფხიზლეშიც კი საკუთარ თავს ვებაასები და, მგონი, ასეთი რამ ნებადართულია.

— უთუოდ გეცოდინებათ, — განაგრძო ზედამხედველმა, — გაქცევის მცდელობა ანდა სხვა პატიმრებთან ურთიერთობა სასტიკად აკრძალულია და კანონით მკაცრად ისჯება.

ფიცი და მტკიცი არ დამიკლია ისე განვუცხადე, რომ ეს ლაპარაკი ტყუილი წყლის ნაყვაა, რომ მსგავსი განზრახვა გულში არცა მქონია. ერთი-ორი საათის შემდეგ კვლავ მიმიყვანეს სისხლის სამართლის სამსჯავროში. ამჯერად იქ სულ სხვა გამომძიებელი დამხვდა, ახალგაზრდა კაცი და ერთის შეხედვით ვიგრძენი, რომ იგი პროფესიული თვალსაზრისით ბევრად უფრო მოქნილი და შორსმჭვრეტელი იყო, ვიდრე ის მოსამართლე, რომელმაც პირველად მიმიღო. იგი თბილად შემხვდა, მერე დაჯდომა შემომთავაზა. ეს კაცი ახლაც ცოცხლად მიდგას თვალწინ. თავის ასაკთან შედარებით ჩაფსკვნილი ჩანდა, ტანდაბალი იყო, თითქმის მელოტი და სათვალიანი. მთელ მის არსებას იმდენი სიკეთე და მშვიდი წინდახედულება აჩნდა, რომ ყოველი არცთუ მთლად გადაგვარებული დამნაშავე მის წინაშე თავს აუცილებლად გაამჟღავნებდა. შეკითხვებს თითქოს სხვათა შორის მისვამდა, თანაც ჩვეულებრივი საუბრის ტონით, მაგრამ ეს კითხვები ისე გონივრულად იყო მოფიქრებული და ზუსტად დასმული, რომ შენდა უნებურად იძულებული ხდებოდი ამ კითხვებზე გარკვეული და მიუკიბ-მოუკიბავი პასუხი გაგეცა.

— უწინარეს ყოვლისა მინდა გკითხოთ, — დაიწყო მან, — ხომ სინამდვილეს შეესატყვისება და აბსოლუტურად ზუსტია ის მონაცემები

თქვენი განვლილი ცხოვრების შესახებ, რომელიც ჩვენებისას მიეცით? იქნებ სერიოზული დაფიქრების შემდეგ კიდევ გაგახსენდათ რაიმე დეტალი თქვენი ავტობიოგრაფიიდან და გინდათ დამატებით გვაცნობოთ?

— მე მგონი, ყველაფერი ვთქვი, რაც კი გარკვეულწილად მნიშვნელოვანი იყო ჩემს მეტისმეტად უბრალო და ჩვეულებრივ ცხოვრებაში, — მივუგე მე.

ბიბლიოთეკა

— გქონიათ თუ არა ურთიერთობა სასულიერო პირებთან, მღვდლებთან?

— როგორ არა. მე მათ შევხვედრივარ კრაკოვში, დანციგში, ფრაუენბურგში, კოენიგსბერგში. ისინი უმთავრესად თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც ეკლესიაში სამრევლო მღვდლებად და კაპელანებად ნიშნავდნენ.

— ადრინდელ ჩვენებაში ფრაუენბურგი არ გიხსენებიათ.

— საჭიროდ არ ჩამითვლია, რადგან იქ მხოლოდ რვა დღე დავყავი, როცა დანციგიდან კოენიგსბერგში მივემგზავრებოდი.

— ასე გამოდის, თქვენ დაიბადეთ კვიჩიჩევოში, არა?

ეს კითხვა გამომძიებელმა მოულოდნელად პოლონურ ენაზე დამისვა, თანაც სუფთა პოლონურ კილოზე. წამით შევცბუნდი, მაგრამ უმალ გონს მოვეგე და გავიხსენე პოლონური სიტყვების ჩემი მწირი მარაგი, რომელიც სემინარიელი მეგობრის — კრჩინსკისაგან მქონდა ნასწავლი, და მივუგე:

— დიახ, მე დავიბადე მამაჩემის მცირე მამულში, რომელიც კვიჩიჩევოსთან ახლოს მდებარეობს.

— რა ჰქვია იმ მამულს?

— კრჟინიევო. ჩვენი საგვარეულოა, მამაპაპეული.

— ეროვნებით პოლონელის კვალობაზე, მართალი გითხრათ, არცთუ ისე კარგად ლაპარაკობთ პოლონურად და აშკარად გერმანული აქცენტი გაქვთ. რით აიხსნება ეს?

— წლების მანძილზე მე მხოლოდ გერმანულად ვლაპარაკობ. თვითონ კრაკოვშიც უმთავრესად გერმანელთა შორის ვცხოვრობდი და გერმანულის გაკვეთილებს ვუტარებდი. ამან, ეტყობა, გავლენა იქონია ჩემს აქცენტზე და ცუდი გამოთქმები დამჩემდა, რის გამოც გულწრფელად ვწუხვარ.

გამომძიებელმა შემხედა, სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა, მერე მდივანს მიუბრუნდა და რაღაც წყნარად უთხრა, საკმაოდ ნათლად გავარჩიე სიტყვები: „აშკარად შეკრთა.“ ის იყო ვრცელი ახსნა-განმარტება უნდა მიმეცა ჩემი ცუდი პოლონურის გამო, მაგრამ გამომძიებელმა სიტყვა შემაწყვეტინა და სრულიად მოულოდნელად მკითხა:

— ოდესმე ბ...ში თუ ყოფილხართ?

— ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ.

— კი მაგრამ კოენიგსბერგიდან აქეთ მომავალს ეს პატარა ქალაქი უნდა გაგევლოთ.

— იცით, მე სხვა გზა ავირჩიე.

— ვინმე მღვდელს ხომ არ იცნობდით იქაური კაპუცინთა მონასტრიდან?

— არა.

გამომძიებელმა ზარი დარეკა და ოთახში შემოსულ სასამართლოს ბოქაულს ჩუმად რაღაც დაავალა. მალე კარი გაიღო და შიშისა და შეძრწუნებისაგან კინაღამ გული გამისკდა, როცა მამა კირილუსი დავინახე.

— იცნობთ თუ არა ამ კაცს? — მკითხა გამომძიებელმა.

— არ ვიცნობ და არც არასოდეს მინახავს, — მივუგე.

მამა კირილუსი დაჟინებით შემომაშტერდა, ახლოს მოვიდა, მერე ტაში შემოკრა და ცრემლთა ფრქვევით იყვირა:

— მედარდუს, ძმაო მედარდუს! ღვთის გულისათვის მითხარი, რა გჭირს, რა მოგივიდა, ეს რა დღეში ჩავარდნილს გხედავ? ეშმაკეულ ცდუნებებს აყოლილი მკრეხელურ დანაშაულს ჩადიხარ! ძმაო მედარდუს, გონს მოდი, აღიარე ცოდვანი შენნი, მოინანიე. ღმერთი მოწყალეა და შეგინდობს!

გამომძიებელს, ეტყობა, არ მოეწონა მამა კირილუსის ქცევა, მოთქმა-ვაება შეაწყვეტინა და ჰკითხა:

— არის თუ არა ეს კაცი ბ...ს კაპუცინთა მონასტრის მღვდელი, რომელსაც მედარდუსი ჰქვია?

— რამდენადაც ყოვლად ძლიერი ზენაარსის უსაზღვრო წყალობის იმედი მაქვს, იმდენად დარწმუნებული ვარ, რომ ეს კაცი თავისი საერო ტანისამოსის მიუხედავად ნამდვილად იყო ბ-ს კაპუცინთა მონასტრის მემარხულე, რომელიც ჩემს თვალწინ ღირსეულად აღეკვეცა ბერად, — მიუგო მამა კირილუსმა, — მაგრამ ისიც მინდა იცოდეთ, რომ ძმა მედარდუსს კისრის მარჯვენა მხარეს ჯვრისებური წითლად დაჩენილი ჭრილობა აქვს და თუ ეს კაცი...

— როგორც გაიგონეთ, — შეაწყვეტინა გამომძიებელმა მღვდელს და მე მომმართა, — თქვენზე ითქვა, რომ კაპუცინი მედარდუსი ხართ ბ-ს მონასტრიდან. სწორედ მედარდუსს ედება ბრალად ამაზრზენი დანაშაულობანი და ახლა ხელსაყრელი შემთხვევა გაქვთ განფანტოთ ეს ეჭვი, რაც თქვენდა სავალალოდ არსებობს. იმ მედარდუსს კისრის მარჯვენა მხარეს ჯვრისებური ფორმის ჭრილობა ჰქონია, რაც, რა თქმა უნდა, თქვენ არ შეიძლება გქონდეთ, თუკი თქვენ მიერ მიცემული ჩვენებები სწორია. იქნებ გაისარჯოთ და ყელი მოიშიშვლოთ!

— მგონი, საჭირო აღარცაა, — თავშეკავებულად მივუგე მე, — ეტყობა, განგებამ მარგუნა ტყუპისცალივით ვგავდე ვიღაც ჩემთვის სრულიად უცნობ მღვდელ მედარდუსს — საქმე ის არის, რომ მეც მაქვს კისრის მარცხენა მხარეს წითელი ნაჭრილობები ჯვრის ფორმისა. სიმართლე რომ ვთქვა, ეს ნაჭრილობები ადრეული ბავშვობიდან მქონდა, როცა კარტეზიანული მონასტრის უბრწყინვალესმა აბატისამ მოსაფერებლად გულზე მიმიკრა და თავისი ბრილიანტის ჯვრით კისერი გამიფხაჭნა.

— თუ შეიძლება, ყელი მოიშიშვლეთ, — გაიმეორა გამომძიებელმა. მისი თხოვნა შევასრულე და კირილუსმაც იყვირა.

— ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ! ეს ხომ სწორედ ის წითელი ნაიარევია ჯვრის ფორმისა. მედარდუს, ძმაო მედარდუს! ნუთუ მთლად ღვთისპირიდან წავარდნილი გახდი და სულის ცხონებაზე სამუდამოდ აიღე ხელი?

ქვითინი აუვარდა, მერე კი ძალაგამოცლილი და მისავათებული სკამზე დაეშვა.

— რას იტყვით პასუხად ამ პატივმისაგებელი ბერის ჩვენებაზე?

ამ წუთას მთელ სხეულში ელვის კვეთებასავით დამკრა რაღაცამ და, იმის ნაცვლად, რომ სასოწარკვეთას მივცემოდი, სრულიად საწინააღმდეგო განწყობაზე დავდექი. შიში და უხერხულობა უკვალოდ გამიქრა. თითქოსდა თვითონ ეშმაკი მოვიდა ჩემთან და ყურში ჩამძახა: „რას დაგაკლებენ ეს უნიათო ბრიყვები შენ, სულითა და გონით ძლევამოსილს. სუთუ ავრელია შენი არ უნდა გახდეს?“ ამიტომაც გააფთრებული, დამცინავი სიჯიუტით შეპყრობილმა ვიღრიალე:

— ეს კაცი, აგერ უმწეოდ რომ ჩასვენებულა სავარძელში, ერთი ჭკუასუსტი მიხრწნილი ბებერია, რომელსაც სულელური მოლანდებები აქვს და მონასტრიდან გაქცეული ვიღაც კაპუცინი მღვდელი ვგონივარ, ვისაც ალბათ რაღაცით ვამსგავსებ.

აქამდე გამომძიებელი წყნარად და თავდაჭერილად იყო. სახეზე ნაკვთი არ შერხევია, არც მზერა შეცვლია და არც ხმა. ახლა კი პირველად მოეღრიცა სახე და პირქუში, სერიოზული, გამბურღავი თვალებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე ფეხზე წამოდგა და თვალი თვალში გამიყარა. მართალი გითხრათ, მისი სათვალის მინების ლაპლაპი აუტანელი და შემაძრწუნებელი მეჩვენა და ხასიათი გამიფუჭა. ლაპარაკის გაგრძელება აღარ შემეძლო. შინაგანი სასოწარკვეთილი მძვინვარებით შეპყრობილმა მრისხანედ შეკრული მუშტი შუბლზე მივიდე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიღრიალე:

— ავრელია!

— ეს რას ნიშნავს? რატომ ახსენეთ ეს სახელი? — გამძაფრებით მკითხა გამომძიებელმა.

— ჩემი ბნელით მოცული სვებედი სამარცხვინო სიკვდილს მიქადის, მაგრამ მე უდანაშაულო ვარ, სავსებით უდანაშაულო, — გატანჯული ხმით ჩავილაპარაკე, — თავი დამანებეთ, თუკი ბეწვისოდენა თანაგრძნობა გაქვთ, თავი დამანებეთ! გული მიგრძნობს, რომ ახლა გაგიჟება შეიძლება. ამიტომაც გთხოვთ, თავი დამანებოთ!

გამომძიებელმა კვლავ ადრინდელი მშვიდი გამომეტყველება მიიღო და მდივანს რაღაც უკარნახა, ხოლო სახელდობრ რა, ეს კი ველარ გავიგონე. მერე ოქმი წამიკითხა, რომელშიც შეტანილი იყო ყველა შეკითხვა, რაც კი დაკითხვის პროცესში დამისვეს, ასევე ჩემ მიერ გაცემული პასუხები. გარდა ამისა ოქმში აღწერილი იყო მღვდელ კირილუსთან ჩემი პირზე წაყენება. ამ ოქმზე ხელი უნდა მომეწერა. ამის შემდეგ გამომძიებელმა მთხოვა რამდენიმე სტრიქონი დამეწერა როგორც გერმანულად ასევე პოლონურადაც. გამომძიებელმა გერმანულად ნაწერი ფურცელი წინ დაუდო მამა კირილუსს, რომელსაც ამ ხნის მანძილზე სული მოეთქვა, და ჰკითხა:

— ჰგავს თუ არა ეს ნაწერი თქვენი ნაცნობი მღვდელ მედარდუსის ხელწერას?

— ჰგავს რომელიი, ზუსტად მისი ხელწერაა, თანაც ყველა წვრილმანი თავისებურების გათვალისწინებით. — კვერი დაუკრა მღვდელმა,

მერე კი მომიბრუნდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გამომძიებელმა არ დააცალა, ხმას ნუ იღებო, ანიშნა.

ამის შემდეგ გამომძიებელმა ყურადღებით დაათვალიერა ჩემი პოლონური ნაწერი, მერე წამოდგა, მომიახლოვდა და, მტკიცედ და სერიოზულად მითხრა:

— თქვენ, ბატონო ჩემო, პოლონელი არა ხართ. ეს ნაწერი არასწორადაა შედგენილი, უამრავი გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომა გაქვთ დაშვებული. არც ერთი დაბადებით პოლონელი ამნაირად არ წერს, რაგინდ თქვენზე ნაკლებ იყოს მეცნიერულად განსწავლული.

— მე დავიბადე კრჟინიევოში და, რა თქმა უნდა, პოლონელი ვარ. მაგრამ კიდეც რომ არ ვიყო პოლონელი, რაკი უაღრესად საიდუმლო მიზეზი მაქვს არ გავამხილო ჩემი ნამდვილი სახელი და სოციალური მდგომარეობა, მაინც ვერ ვიქცევი კაპუცინ მედარდუსად, რომელიც, აქ მოსმენილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მგონი, ბ-ს მონასტრიდან უნდა იყოს გაქცეული.

— ო, ძმაო მედარდუს, გონს მოდი, — სიტყვა შემაწყვეტინა კირილუსმა, — განა ჩვენმა ღირსპატივცემულმა წინამძღვარმა — მამა ლეონარდუსმა — საგანგებო დავალებით არ გაგგზავნა რომში, იმედი ჰქონდა რა შენი ღვთისმოსაობისა და ერთგულებისა? მაცხოვარს გაფიცებ ძმაო მედარდუს, ღვთისმგმობლის დარად უარს ნუ იტყვი შენს წმინდა წოდებასა და ღირსებაზე, ღვთის წინაშე შენ უკვე შესცოდე.

— გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით, ნუ მაწყვეტინებთ, — შენიშნა მღვდელს გამომძიებელმა, მერე კი მომიბრუნდა: — თავს მოვალედ ვთვლი, განგიცხადოთ, რომ პატივცემული მღვდლის ჩვენება მნიშვნელოვან სარწმუნო საბუთად მიმაჩნია. ეჭვი არ არის თქვენ ბრძანდებით მღვდელი მედარდუსი, არც იმას დავმალავ, რომ ვაპირებთ კიდევ რამდენიმე კაცი შეგახვედროთ პირისპირ, მედარდუსად რომ გიცნობენ. მათ შორის იქნება ერთი პიროვნება, რომლის წინაშე წარდგენაც მძიმე განსაცდელში ჩაგაგდებთ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი თქვენს პიროვნებაზე გამართლდება. თქვენს პირად ნივთებშიც ამ ეჭვის განმამტკიცებელი ბევრი მნიშვნელოვანი საბუთი იპოვნეს. მალე მივიღებთ აგრეთვე ცნობებს თქვენი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, რაზეც თხოვნით მივმართეთ პოზნანის სასამართლოს. უნდა გითხრათ, რომ საქმეთა ფაქტიურ ვითარებას ბევრად უფრო გულღიად განგიმარტავთ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვაკეთებ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ იოტისოდენა განზრახვა არა მაქვს, ვერაგული ხრიკი მოგიწყოთ და გუნება გაგიფუჭოთ. შეგიძლიათ მოემზადოთ შემდგომი დაკითხვისათვის. თუ ნამდვილად ლეონარდ კრჩინსკი ბრძანდებით, როგორც ამას აცხადებთ, და მხოლოდ შემთხვევის უცნაურმა თამაშმა შექმნა ესოდენი მსგავსება თქვენსა და ბრალდებულ მედარდუსს შორის, მაშინ რაღა გაქვთ სადარდებელი, არ დაგჭირდებათ წარმოუდგინოთ სასამართლოს ამის სარწმუნო საფუძვლიანი მტკიცებები. ახლა კი ვხედავ, ძლიერ მღელვარებას შეუპყრიხართ, ამიტომაც იძულებული ვარ გამოძიება დროებით შევწყვიტო. თუმცა უამისოდაც მინდოდა დრო მომეცა მოფიქრებისათვის. დღევანდელ დღეს მომხდარი ამბები კი დიდძალ საფიქრალს გაწვდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესე იგი, ჩემი ჩვენებები სიყალბედ მიგაჩნიათ, არა? გგონიათ, რომ ლტოლვილი მღვდელი მედარდუსი ვარ, ხომ? — ვკითხე გამომძიებელს და მანაც თავაზიანად დამიქნია თავი, თანაც მითხრა:

— ნახვამდის, ბატონო ფონ კრჩინსკი.

და კვლავ საპატიმროში შემიყვანეს.

გამომძიებლის სიტყვები თითქოს გავარვარებული რკინის ბრჭყალებივით ჩამერჭო გულში. დაკითხვისას ჩემი დღემდე გაცემული პასუხები გაცვეთილი და არაფრის მთქმელი მეჩვენა. შესანიშნავად ვიცოდი, რომ წინ მელოდა ავრელიასთან პირისპირ შეხვედრა და გამომძიებელსაც აწორედ ის ჰყავდა მხედველობაში, როცა ახსენა პიროვნება, რომლის დანახვა უსათუოდ შემაკრთობდა. და მართლაც არ ვიცი, როგორ უნდა ამეტანა ავრელიას ხილვა, მასთან პირისპირ შეყრა. თანაც ვცდილობდი გამეხსენებინა, რა შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ჩემს ნივთებში ისეთი, რაზეც ეჭვს მიიტანდნენ, და შიშით თმა ყალყზე დამიდგა, როცა გამახსენდა უამრავ ძვირფასეულობას შორის ბარონ ფ-ის სასახლეში ეფემიასაგან ნასახსოვრები ბეჭედი, რაზეც მისი სახელი იყო ამოტვიფრული, აგრეთვე გრაფი ვიქტორინის სამგზავრო ჩემოდანი, რომელიც გაქცევისას თან წამოვიღე და რასაც კაპუცინური ზონარი შემოვახვიე, და თავი დაღუპულად ჩავთვალე. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადგილს ვერ ვპოულობდი საკანში, წინ და უკან დავრბოდი, და უცებ თითქო ვილაცამ შხივილით ყურში ჩამჩურჩულა: „რამ წაგახდინა, სულელო, გული რამ გაგიტეხა? ხომ გახსოვს ვიქტორინი?“ ამის გაფიქრებისამებრ მოულოდნელად გამოვცოცხლდი და ხმამაღლა შევძახე:

— ო, არა, კი არ წავაგე, არამედ მოვიგე თამაში!

და ჩემი ტვინი ენერგიულად ამუშავდა. ჯერ ერთი, ამაზე ადრეც მიფიქრია, რომ ეფემიას ქაღალდებში შეიძლებოდა აღმომეჩინა წერილი, რომელშიც მინიშნებული იქნებოდა ვიქტორინის, ვითარცა სასულიერო პირის გამოჩენა სასახლეში. აქედან გამომდინარე მინდოდა განმეცხადებინა, რომ შევხვდი გრაფ ვიქტორინს ანუ მღვდელ მედარდუსს, რომლადაც მთვლიდნენ, გარდა ამისა მეთქვა, რომ გაგონილი მქონდა სასახლეში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბავი, თანაც არაერთხელ მიუთითებიათ, რაოდენ საოცრად ვგავდი გრაფ ვიქტორინსა და მღვდელ მედარდუსს. ყველაფერ ამის მეშვეობით უნდა შემეთხზა ისტორია, რომელიც ოსტატურად ამარიდებდა საფრთხეს და იდუმალს გახდიდა ჩემს პიროვნებას. მაგრამ საამისოდ საჭირო იყო ყველაფრის გონივრულად აწონ-დაწონა და სულ უმნიშვნელო წვრილმანის გათვალისწინებაც. გადავწყვიტე დამეწერა რომანი, რომელსაც უნდა გადავერჩინე. მოვითხოვე საწერი ქაღალდი, რათა წერილობით მომეხსენებინა სასამართლოსათვის დამატებითი ჩვენებები, რის შესახებაც ადრე არაფერს ვამბობდი და შეგნებულად ვდუმდი. ამაზე უარი არ უთქვამთ, ჩემი თხოვნა სასწრაფოდ შეასრულეს. შევუდექი წერას და მთელი ღამის განმავლობაში თავაუღებლივ ვმუშაობდი. ჩემს ფანტაზიას წერისას გზნება მოემატა. ჩემ მიერ შეთხზული რომანი თანდათან სულ უფრო მეტად დასრულებულ სახეს იღებდა, ჩემი უტიფარი გამონაგონის ცბიერად დაწნული ბადე, რისი შემწეობითაც გამომძიებელს ჩემს ვინაობას დავუფარავდი, თანდათან დამაჯერებელი ხდებოდა.

კოშკის ზარმა თორმეტჯერ ჩამოკრა და კვლავ გავიგონე წყნარი და მორეული კაკუნი, რამაც წინა ღამით გვარიანად შემაწუხა. თავდაპირველად ამაზე ყურადღების მიქცევა არ მინდოდა, მაგრამ კაკუნი თანდათან გაძლიერდა, გამოზომილად აკაკუნებდნენ. კაკუნს შიგადაშიგ სიცილი და კვნესა მოყვებოდა. მაგიდას მუშტი მაგრად დავკარი და ვიყვირე: „შენ ეი, მანდ ქვემოთმყოფო, წყნარად!“ მეგონა, ამ მუქარებით გულს გავიმაგრებდი და განვიშორებდი შეძრწუნებას, რამაც უნებლიეთ მომიცვა. ამ დროს სარდაფიდან კვლავ მოისმა გამკივარი და მძაფრი სიცილი, მერე კი ნაცნობმა ხმამ ენის ბორძიკით ჩამილაპარაკა: „ძამიკო, ძამიკო, შენკენ მოვდივარ, შენკენ. აბა გამიღე, გამიღე“. სწორედ ამ დროს ჩემთან სულ ახლოს იატაკში რაღაცამ ფაჩუნი, ფხეკა და ფხაჭნა იწყო, ამას სიცილი და კვნესაც მოსდევდა, რასაც ბოლო არ უჩანდა. ხმაური, ფაჩუნი და ფხაჭნა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. დროდადრო ყრუდ ისმოდა გრუხუნი და დახეთქების ხმა, გეგონებოდა, მძიმე სხეული დავარდაო. ლამპას ხელი დავტაცე და ფეხზე წამოვდექი, ვიგრძენი, როგორ ირწეოდა იატაკი ჩემ ფეხქვეშ. ნაბიჯი გადავდგი და აშკარად დავინახე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთი წუთის წინ ვიდექი, ქვაფენილი ამოწევას იწყებდა. ქვის ღუმელს ხელი დავავლე და ძალიან ადვილად მთლიანად ამოვქაჩე. ხვრელიდან მიმქრალი შუქი გამოჭიატიდა და მე დავინახე, როგორ გამოჰყო ვიღაცამ შიშველი ხელი, ხელში კი გაპრიალებული დანა ეჭირა. შეძრწუნებულმა უკან დავიხიე. ქვემოდან კი კვლავ დამელაპარაკა ვიღაც ენის ბორძიკით: „ძამიკო,... ძამიკო,... მედარდუსი აქაა... იგი შენკენ მოიწევს ზემოთ. აიღე, აიღე... გამოამტვრიე, გამოამტვრიე, ერთად გავიქცეთ ტყეში, ჰო, ტყეში“, — უცებ თავში გამიელვა ფიქრმა, რა იქნება, გაქცევით თავს ვუშველომეთქი, და შიშიც წამიერად გამიქრა. სასწრაფოდ ხელი წავატანე დანას, რომელიც შიშველმა ხელმა მომაწოდა. გულმოდგინედ შევუდექი ცემენტის გამომტვრევას ქვის იატაკზე. ქვემოთმყოფი თავგამოდებულად მოიწევს ზემოთკენ. ოთხი-ხუთი ქვა ჩამოვტეხე და მოულოდნელად ქვემოდან გამოძვრა თითქმის წელამდე შიშველი მამაკაცი, რომელიც მოჩვენებასავით შემომაშტერდა, მერე საშინელი გიჟური ხარხარი აუტყდა. ლამპის მკვეთრმა შუქმა სახეში მომანათა და ამ კაცში საკუთარი თავი ვიცანი. გრძნობამიხდილი მიწაზე დავვარდი. ღრმა გულწასვლიდან გამომაფხიზლა მკლავის ტკივილმა. მონათებულმა შუქმა თვალები ამიჭრელა. ჩემ წინ იდგა ციხის ზედამხედველი, ხელში ფარანი ეჭირა, რომელიც თვალისდამაბრმავებლად ანათებდა. თალებქვეშ ისმოდა ჯაჭვების ჟღარუნი და ჩაქუჩის ცემა. ბორკილებს ჭედდნენ ჩემთვის. ხელებზე და ფეხებზე ხუნდები დამადეს, არც ეს იკმარეს და წელზე რკინის ქამარი შემომარტყეს და ჯაჭვით კედელთან მიმაბეს.

— ახლა კი, ბატონო ჩემო, გაქცევაზე ფიქრსაც ველარ გაბედავთ! — მითხრა მეციხოვნემ.

— მაინც რა დააშავა ასეთი ამ კაცმა? — იკითხა მჭედელმა.

— არ გაგიგია, როსტ? — მიუგო ციხის უფროსმა — მთელი ქალაქი მასზე ლაპარაკობს. ამ წყეულმა კაპუცინმა სამი კაცი მოკლა თუ მეტი არა. სასამართლომ კიდეც გამოიტანა განაჩენი. მაგისი საქმე წა-

სულია. რამდენიმე დღეში დიდი თვალის სეირი გველის, მისი დაბორბლვა მოხდება.

მეტის მოსმენა აღარ შემეძლო, რადგან ხელახლა დამიბნელდა გრძნობა-გონება და გულიც შემიღონდა. გახევებული მდგომარეობიდან დიდის წვალებით გამოვედი. გარშემო კუნაპეტი ღამე იყო, [illegible] ძლივს შემოაღწია დღის მკრთალმა ნათელმა დაბალჭერიან, თაღებით დამშვენებულ კამერაში, რომლის დაშორება იატაკიდან ჭერამდე სულ რაღაც ექვსი ნაბიჯისოდენა თუ იყო. შიშითა და ძრწოლვით მივხვდი, რომ ჩემს ადრინდელ საკანში აღარ ვიმყოფებოდი. წყურვილისაგან ვიხრჩობოდი და წყლით სავსე ტოლჩას დავწვდი, ხელში რაღაც ცივი და ნესტიანი გამისრიალდა. დავინახე ამაზრზენი და გაბერილი გომბეშო, რომელიც ზლაზვნით გვერდზე გახტა. დოქს ზიზღით გავუშვი ხელი და თავი გამოუთქმელად უბედურ კაცად ვიგრძენი. აღარაფერი მეშველება-მეთქი, და საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი ყველაფერზე, შეუძლებელი მეჩვენა ამ უმძიმესი ყოფიდან თავის დაღწევა. ავრელია-თქო, ამოვიკვნესე თავს დატეხილ ენით უთქმელ მწუხარებაში ჩავარდნილმა. რად მინდა ამდენი სიცრუე სასამართლოს წინაშე და უსუსური განდგომილება? რად მჭირდება ფარისევლური ხრიკები სისხლისმწოველ გველაძუასი? მაინც რა გინდა, ვერ გამიგია? ხომ არ გგონია, რომ ავრელიას დაისაკუთრებ, შენი გახდება, როცა გაიგებს, რა გაუგონარი დანაშაულებანი ჩაიდინე? მთელ ქვეყანას რომ ატყუებ და უცოდველ კრავად მოგაქვს თავი, ხომ არ გგონია, იმან დაგიჯეროს, როცა შენში ჰერმოგენის შეჩვენებულ მკვლელს იცნობს, დაგიჯერებს კი არადა, სულის სიღრმემდე შეგიზიზღებს და ამ ზიზღს ვერც რა დააცხრობს. საწყალობელო და ყეყეჩო შერეკილო, სად გაქრა შენი ოცნებით ცაში მფრინავი ზრახვები და ჩანაფიქრები, რწმენა საკუთარი თავის ზებუნებრივი ძალოვანებისადმი, რისი მეშვეობითაც გეგონა, რომ ბედს ისე წარმართავდი, როგორც მოგეპრიანებოდა? შენ ხომ ვერა და ვერ მოჰკალი ის შხამიანი ჭია, გულს რომ მომაკვდინებელი ნესტრით გიღრღნის. მართლმსაჯულებამ კიდეც რომ შეგინდოს, საკუთარი სინდისის მსჯავრს ვერსით წაუხვალ და სულერთია მაინც დაინთქმები უნუგეშო წუხილსა და უსასოებაში.

ასე ხმამაღლა შევჩიოდი ბედს და ღონემიხდილი ჩალაზე მივეგდე. უცებ გულთან ახლო რაღაც მაგარი სხეული ვიგრძენი, ჩემი ჟილეტის მარჯვენა ჯიბეში აშკარად რაღაც იდო. ხელი ჩავყავი და იქიდან პატარა დანა ამოვაძვრინე. ციხეში ჩემი ყოფნის მთელი ამ ხნის განმავლობაში დანა თან არა მქონია. ეჭვი არ არის, იგი ჩემმა იდუმალმა ორეულმა დამიტოვა. რის ვაივაგლახით ზეზე წამოვდექი, დანა ფანჯარასთან მივიტანე და იქიდან შემოსულ მკვეთრ შუქზე დავათვალიერე. მისი ვერცხლის ბრჭყვიალა სახელური ვიცანი. ო, მიუკვლეველო ბედისწერავ! ეს ხომ ის დანა იყო, რომლითაც ჰერმოგენი გამოვასალმე წუთისოფელს და რომელიც ეს რამდენიმე კვირაა უკვალოდ დამეკარგა. უეცრად სულში იმედის საოცარი ნათელი ჩამელვარა, რამაც ნუგეში მცა და სიმშვიდე მომაგო. აშკარად ვიგრძენი, რომ სირცხვილისაგან თავს ვიხსნიდი, გადავრჩებოდი. დანა, რომელიც უცნაური მიუხვდომლობით დამიბრუნდა, ნიშანი იყო იმისა, რომ მარადიული ძალა მასწავლიდა გზას, როგორ მომენანიებია ცოდვები და რანაირად შემომერიგებინა ავრელია სი-

კვდილის მეშვეობით. კვლავ შემომენთო ავრელიასადმი უბიწო ტრფობის ღვთაებრივი გზნება, რომელიც განწმენდილი იყო ყველანაირი ბიწიერი ნდომისაგან. მომეჩვენა, რომ კვლავ ვუმზერდი ავრელიას, როგორც მაშინ კაპუცინთა მონასტრის ეკლესიაში ვიხილე სააღსარებოსთან მდგარი. იგი ნაზად ჩამჩურჩულებდა ყურში: „მიყვარხარ, მედარდუს, მართლა მიყვარხარ, მაგრამ შენ არასოდეს გესმოდა ჩემი. სიკვდილი ჰქვია ჩემს სიყვარულს", ჩურჩულით მეუბნებოდა იგი ამ სიტყვებს და მეც მტკიცედ გადავწყვიტე გამომძიებლის წინაშე მეღიარებინა ჩემი შეცოდებების საოცარი ამბავი, მერე კი თვითონვე მომესწრაფა საკუთარი სიცოცხლე.

საკანში ციხის ზედამხედველი შემოვიდა და ჩვეულებრივზე უკეთესი სასმელ-საჭმელი შემოიტანა, თან ერთი ბოთლი ღვინოც მოაყოლა. ჰერცოგის ბრძანებით ვიქმ ამასო, მითხრა. მსახურმა, რომელიც ზედამხედველს შემოჰყვა, ოთახში მაგიდა შემოათრია და ზედ სუფრა გაშალა. ზედამხედველის პირით გამომძიებელს შევუთვალე, საუბარი მსურს-მეთქი თქვენთან, მინდოდა ყველაფერი გამემხილა, რაც გულზე ლოდად მაწვა. ზედამხედველი შემპირდა ჩემს თხოვნას უსათუოდ შეასრულებდა. დიდხანს ამაოდ ველოდებოდი წაყვანას დასაკითხავად, მაგრამ საკანში შემოსული არავინ მინახავს, გარდა მსახურისა, რომელიც, მთლად რომ დაბნელდებოდა, თაღზე ჩამოკიდებულ სანთელს ანთებდა. ჩემს სულში სიმშვიდემ დაისადგურა, ასე დაწყნარებული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ სასტიკად დაღლილი ღრმა ძილმა წამიღო. ღამით მესიზმრა, როგორ მიმიყვანეს გრძელ, ჩაბნელებულთაღებიან დარბაზში, სადაც კედლის გასწვრივ მაღალ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ შავ ანაფორებში გამოხვეული მაღალი რანგის სასულიერო პირები. მათ წინ სისხლივით წითელ სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა მოსამართლე, ბოლო მის გვერდით — დომინიკანელი მღვდელი, ორდენის შესამოსელით მოსილი. მოსამართლემ პირი ჩემკენ იბრუნა და ამაღლებული საღდესასწაულო განწყობით განმიცხადა: „აი შენ, მოურჯულებელო და ცოდვილო მღვდელო, ამჟამად საეკლესიო სამსჯავროს წინაშე დგახარ და ამაოდ ცდილობ დამალო შენი ნამდვილი სახელი და წოდება. ფრანცისკუს, ბერობაში მედარდუსად სახელდებულო, აბა, მოგვახსენე, რა დანაშაულობანიც ჩაიდინე!"

მინდოდა წრფელად მეღიარებინა ჩემი ცოდვილი და დანაშაულებრივი ქმედებები, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ სულ სხვას ვლაპარაკობდი, იმას არა, რისი თქმაც განზრახული მქონდა, რისი გამხელაც მეწადა. ნაცვლად მოკრძალებული აღსარებისა და გულმართალი მონანიებისა, ჩემს ბაგეებს აღმოხდა ბრიყვული, არეულ-დარეული, ერთმანეთთან სრულიად შეუსაბამო სიტყვები. დომინიკანელმა ბერმა, რომელიც მთელი თავისი გიგანტური სიმაღლით აღიმართა ჩემ წინაშე, ამაზრზენად მოლაპლაპე გამბურღავი თვალებით შემხედა: „მაშინ ტანჯვა და წამება არ აგცდება, უტეხო და გულღრძო ხუცესო!"

ჩემ გარშემო წამოიმართნენ უცნაური სახეპანი, გრძელი მკლავები ჩემკენ გამოიწვდინეს და ამაზრზენად ჩახრინწული ხმით იყვირეს: „ტანჯვა და წამება არ აგცდება!"

ჯიბიდან დანა ამოვიღე და გულში მინდოდა ჩამეცა, მაგრამ ხელი არ დამემორჩილა, დანის პირი წითელ ჯვრისებურ ნაჭრილობებს შეეხო და წვრილ ნამსხვრევებად იქცა, თითქოსდა მინისა ყოფილიყო. ჯალათის მსახურებმა ხელი დამტაცეს და მიწისქვეშა თაღებთან სარდაფში წამათრიეს. დომინიკანელი ბერი და მოსამართლე ფეხდაფეხ მომდევნენ. მოსამართლემ კვლავ მიბრძანა დანაშაულის აღიარება. კვლავ დავატანე თავს ძალა, რომ მომენანიებია ყველაფერი, მაგრამ ისევ და ისევ დამეუფლა უთანხმოების განცდა აზრსა და სიტყვას შორის. სულის სიღრმეში ალალმართლად ვაღიარე ყველა ჩემი დანაშაული და უდიდესი წუხილით მოვინანიე ცოდვები, მაგრამ ჩემი ბაგეები წარმოთქვამდნენ უგონო, ბრიყვულ, აბდაუბდა ფრაზებს. დომინიკანელმა ნიშანი მისცა და ჯალათის თანაშემწეებმა თავიდან ფეხებამდე გამაშიშვლეს, ორივე ხელი ზურგზე მიმაბეს და ვიგრძენი, როგორ ამიყვანეს ჭიშკრის ზემოთ და ჭერზე ჩამომკიდეს, ფეხებზე ხუნდი დამადეს, სხეულის ყველა ნაწილი ისე დამეჭიმა, რომ სახსრებმა ჭაჭანი იწყეს. ტკივილის შეგრძნება იმზომ მძაფრი და აუტანელი იყო, რომ ხმამაღლა ვიყვირე და გამეღვიძა კიდეც. გაღვიძების შემდეგაც მტკიოდა ხელები და ფეხები, მაგრამ ამის მიზეზი იყო ჯაჭვი, რომლითაც შეკრული ვიყავი. თვალებზეც წნევა შემომაწვა და ველარ ვახელდი. მერე უცბად, თანაც მოულოდნელად, ყველაფერი გაქრა. შეიძლებოდა მეფიქრა, რომ ერთბაშად მომეხსნა მძიმე ტვირთი, რომელიც შუბლზე მიჭერდა. ჩალის ლეიბიდან სწრაფად წამოვდექი და დომინიკანელი მღვდელი დავინახე, რომელიც ჩემ წინ იდგა. სიზმარი სინამდვილედ იქცა. ვგრძნობდი, როგორ გამეყინა ძარღვებში სისხლი. მღვდელი ქანდაკებასავით უძრავად იდგა ჩემ წინ, მკერდზე ხელები გადაეჯვარედინებინა და თავისი გამგმირავი შავი თვალებით მიყურებდა. უცბად ის იდუმალი შემზარავი მხატვარი ვიცანი და ლამის გული შემიღონდა. ჩალის საწოლზე მივეგდე. იქნებ სიზმრიდან გამოყოლილი მღელვარე ილუზია დამეუფლა-მეთქი, გავიფიქრე და გული მომეცა, წელში გავიმართე, მაგრამ მღვდელი კვლავ უძრავად იდგა ჩემ წინაშე და თავისი ჩაღრმავებული გამბურღავი შავი თვალებით მომშტერებოდა. მაშინ სიგიჟემდე მისულმა განწირული ხმით ვიღრიალე:

— საზარელო კაცო, გაეთრიე აქედან! არა, შენ კაცი კი არა, სატანა ხარ, ჩემი ჩაგდება გინდოდა ჯოჯოხეთის წყვდიადში. აქედან გაეთრიე, წყეულო! მომწყდი თავიდან!

— საწყალობელო ბეცო შეშლილო! — მომიგო მღვდელმა, — მე სულაც არა ვარ ის, ვინც სამუდამოდ დაგაბა რკინის ხუნდებით და პირი გაბრუნებინა წმინდა საქმისაგან, რისკენაც განგებამ მოგიწოდა. მედარდეს, საწყალობელო ბეცო შეშლილო! მე მუდამ გაძრწუნებდი და საშინელ ყოფაში გაგდებდი ჩემი მოულოდნელი გამოჩენით, როცა მარადიული წაწყმენდის ღია საფლავებზე დაეხეტებოდი. მე გაფრთხილებდი, მაგრამ ამაოდ, ჩემი გაფრთხილება შენ არ შეისმინე. ახლა კი ადექი და წამომყევი!

ამ სიტყვებს მღვდელი მიჩუმებული, გულის სიღრმეში შემღწევი გამგმირავი ნაღველით ამბობდა. მისი მზერა, ადრე რომ ავრე რიგად მაბნევდა, ახლა ნაზი და თვინიერი გახდა, სახეზე ლმობიერება გამოეხა-

ტა. მთელი ჩემი არსება გამოუთქმელმა სევდამ შეიპყრო. მხატვარი, რომელიც ადრე ძრწოლას მგვრიდა, ახლა განგებისგან წარმოგზავნილად მომევლინა, ვისაც ნუგეში უნდა ეცა და სიმშვიდე მოეგვარა ჩემთვის ამ ძნელბედობის ჟამს. ჩალის საწოლიდან წამოვდექი და მივხვდი, რომ იგი ზმოჩვენება არ იყო, რადგან მის სამოსს ხელი შევახე; უნებურად მუხლი მოვიდრიკე მის წინაშე, იმან თითქო დამლოცა და თითქოს ხელი გადამისვა. ჩემს სულში ნათელ ფერებად გაცოცხლდა უმშვენიერესი სურათები.

— ო, მე ვიყავი წმინდა ტყეში. ეს ის მინდორი იყო, სადაც ჩემს ადრეულ ბავშვობაში უცხოდ შემოსილმა მლოცველმა არაჩვეულებრივი ბიჭი მომიყვანა. მე წინ მივიწევდი, ეკლესიაში მინდოდა შესვლა, რატომღაც მეჩვენებოდა, რომ მონანიება და მძიმე ცოდვებისაგან მსურდა განტევება, მაგრამ ბიჯს ვერ ვდგამდი წინ, ხმას ვერ ვიღებდი, მონუსხულივით ვიდექი ერთ ადგილზე გაქვავებული. საკუთარ მეს ვერ ვხედავდი, ვერ ვწვდებოდი. ამ დროს კვლავ ჩამესმა მისი ყრუ, ჩახლეჩილი ხმა, რომელიც შთამბეჭდავად მეუბნებოდა: „გინდ გიფიქრია და გინდ გაგიკეთებია, ეგ სულერთია". სიზმრისაგან გამოვფხიზლდი. მივხვდი, რომ ეს სიტყვები მხატვარმა წარმოთქვა, და ვკითხე:

— გაუგებარო სულო! განა შენ არ მომიყვანე იმ ავბედით დილას ბ-ს კაპუცინთა ეკლესიაში, მერე საიმპერიო ქალაქში, ხოლო ახლა აქ?

— გაჩუმდი! — შემაწყვეტინა მხატვარმა, — მე ყოველთვის შენ ახლოს ვტრიალებდი, მინდოდა გადამერჩინე დაღუპვასა და სირცხვილს, მაგრამ გულჩახვეული იყავი და შინაგანად არ მემორჩილებოდი. შენგნით მიკვლეულმა გარდასახვამ უნდა აღასრულოს შენი საკუთარი ხსნა და განკურნება.

— სად იყავი მაშინ?! — ვიყვირე სასოწარკვეთილმა — რატომ არ შემაყოვნე, როცა ბოროტეული ცდუნებით შეპყრობილმა იმ ყმაწვილზე ხელი აღვმართე?

— ეს ჩემს უფლებას აღემატებოდა, — მომიგო მხატვარმა, — მეტს ნურას მკითხავ, იცოდე კი, რომ უტიფრობაა წინ აღუდგე განგებით გარდაწყვეტილს... მედარდუს. ხვალ შენ მიზანთან ახლოს მიხვალ.

ყინულივით ცივმა ძრწოლამ დამიარა მთელ სხეულში და ამაკანკალა, რადგან დავიჯერე, რომ მხატვრის ჩანაფიქრი ძირისძირობამდე გავიგე. მეგონა, მან იცოდა ჩემი იდუმალი ზრახვა თვითმკვლელობაზე და აშკარად იწონებდა ამას. მხატვარი შეირხა და კარისაკენ ბიჯი გადადგა.

— როდის, კვლავ როდის გიხილავ?

— როცა მიზანთან მიხვალ! — მხატვარი კვლავ მობრუნდა ჩემკენ და ისე ძალოვანი და საზეიმო ხმით დაიბუბუნა ეს სიტყვები, რომ თაღები აზანზარდა.

— მაშასადამე, ხვალკე, არა? — უნებლიეთ გავიმეორე. კარი კი ძლივს გასაგონად ჩაირაზა და მხატვარიც უკვალოდ გაქრა.

როცა დილით კარგად ინათა, ჩემს საკანში შემოვიდა ციხის ზედამხედველი მსახურების თანხლებით, რომლებმაც დაწყლულებული ხელ-ფეხიდან ხუნდები ამხსნეს, თანაც მითხრეს, მალე დაკითხვაზე უნდა წაგიყვანოთო. მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრებში წასული დამძიმებული ნაბიჯებით ავუყევი სასამართლო დარბაზისაკენ მიმავალ კიბეებს.

ჩემი ჭკუით მომზადებული მქონდა მოსამართლისათვის სათქმელი მოკლე, მაგრამ ამომწურავი აღიარება ჩემი განვლილი ცხოვრების შესახებ. სასამართლოს გამომძიებელი სწრაფად შემომეგება, ეტყობა, უკიდურესად მოშლილი და წამხდარი გამოვიყურებოდი, რადგან ჩემს დანახვაზე მხიარული ღიმილი უმალ შეახმა სახეზე და ღრმა თანაგრძნობის გამომეტყველება მიიღო, ორივე ხელი მომკიდა და ფრთხილად ჩამასვენა სავარძელში. მერე დაჟინებით შემომაჩერდა და წყნარი, მაგრამ საზეიმო განწყობით მითხრა:

— ბატონო ფონ კრჩინსკი, სასიხარულო ამბავი უნდა გაუწყოთ. თქვენ თავისუფალი ბრძანდებით. თქვენ წინააღმდეგ აღძრული საქმე ჰერცოგის ბრძანებით შეწყვეტილია. თურმე ვიღაცაში შეეშალეთ, რისი მიზეზიც იყო იმ პიროვნებასთან თქვენი არნახული მსგავსება. ასე რომ, არ მიგიძღვით არავითარი დანაშაული.

ამის თქმა და ყველაფერი ჩემ ირგვლივ აშხუილდა, აზუზუნდა, ბზრიალ-ტრიალით დატრიალდა. მომეჩვენა, თითქო ერთი კი არა, ათასობით გამომძიებელი მომშტერებოდა მოქურუხებულ ნისლიდან. ამ სახეებმა ელვისებური სისწრაფით გაიელვეს ჩემ თვალწინ და ბოლოს ყველაფერი ღრმა წყვდიადში მიიკარგა. ვგონებ, რამდენიმე წუთს უგონოდ ვეგდე. როცა გონს მოვედი, ვიღაც შუბლსა და საფეთქელს მიზელდა. საკმარისად გამოვფხიზლდი თუ არა, გამომძიებელმა წამიკითხა მოკლე ოქმი, რომელიც მაუწყებდა სასამართლო პროცესის შეწყვეტას და ციხიდან ჩემს განთავისუფლებას. ოქმს ხმისამოუღებლივ ხელი მოვაწერე, ლაპარაკის თავი აღარ მქონდა. ენით აუწერელი, სულის დამხშობი გრძნობა სიხარულის ნებას არ მრთავდა. გამომძიებელი კეთილი და თანამგრძნობი თვალებით მიცქეროდა, მე კიდევ ძალიან მომინდა მას ჩემი უდანაშაულობა არ დაეჯერებინა და მის წინაშე გამემხილა ჩემი ავკაცური ქმედებები, მერე კი დანა ჩამეცა გულში და წუთისოფელს გამოვსალმებოდი. და აი, მოვემზადე კიდევაც სათქმელად, მაგრამ გამომძიებელმა საშუალება არ მომცა ხმა ამომეღო, პირიქით, მაიძულა ჩქარა გავცლოდი იქაურობას და მეც, ჩემდა უნებურად, კარისაკენ გავემართე. ისიც გამომყვა. დერეფანში რომ გავედით, ხმადაბლა მითხრა:

— ამჯერად აღარა ვარ გამომძიებელი და მინდა გითხრათ, როგორც კი განახეთ, მაშინვე საგანგებოდ დამაინტერესა თქვენმა პიროვნებამ. რამდენადაც ყველა მტკიცება თქვენს საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და ამაში თქვენც დამეთანხმებით, მით უფრო მეტად მინდოდა, რომ არამც და არამც არ აღმოჩენილიყავით ის ავისმქნელი თახსირი მღვდელი, რომლადაც მიგიჩნევდნენ. ახლა კი უფლებას ვიტოვებ საიდუმლოდ გითხრათ: თქვენ არა ხართ პოლონელი. არც კვიჩიჩევოში დაბადებულხართ და არც ლეონარდ ფონ კრჩინსკი ბრძანდებით. — მე კი ამაზე სრულიად დაბეჯითებით და მშვიდად ვუთხარი:

— თქვენ მართალი ხართ.

— არც სასულიერო პირი? — მკითხა სასამართლოს გამომძიებელმა და თვალი მომარიდა, ალბათ უნდოდა დავეზოგე და ინკვიზიტორის მზერით არ შევეხედა. ჩემს სულში მღელვარებამ იფეთქა.

— იქნებ ინებოთ და მომისმინოთ, — ძლივს ამოვილუღლუღე.

— წყნარად, — შემაწყვეტინა გამომძიებელმა, — ახლა სავსებით ვრწმუნდები ჩემი თავდაპირველი ვარაუდების სისწორეში. აშკარად ვხედავ, ამჯერად გამოუცნობი ვითარებები იმნაირად წარიმართა, რომ ბედისწერის იდუმალებით აღსავსე თამაშის წყალობით სასახლის გარკვეულ პირებთან დაგაკავშირეთ. მე არ შემეფერება ღრმად შევიჭრე ამ მოვლენებში. ამჯერად კი უხამს კადნიერებად მიმაჩნია თქვენგან რაღაც მონაცემები შევიტყო თქვენს ამჟამინდელ სახელსა და გვარზე და ასევე კიდევ თქვენი ცხოვრების საგანგებო გარემოებებზე. როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჯობებდა დაუყოვნებლივ წასულიყავით აქედან და ამით განრიდებოდით ყოველივეს, რაც კი თქვენს სიმშვიდეს დაემუქრებოდა? ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, თქვენი აქ ყოფნა უთუოდ უსიამოვნო იქნებოდა თქვენთვის.

როცა გამომძიებელი ამ სიტყვებს ამბობდა, ვიგრძენი, როგორ უკვალოდ გაქრა ის მრუმე ჩრდილი, მძიმე კირთად რომ აწვა ჩემს სულს. წუთისოფლის ჩარხი კვლავ ჩემს სასარგებლოდ შემოტრიალდა, სიცოცხლის ხალისი გზნებით გამიჯდა სისხლსა და ხორცში. ჩემს სულში კვლავ გაცოცხლდა ავრელიას სახება და ახლა ჩემგან კვლავ მოითხოვენ, რომ მე აქედან წავიდე და იმას მოვშორდე.

„განა შემიძლია მისგან წასვლა?" — ძლივს გასაგონად ჩავიდუდუნე და ვერც კი მივხვდი, თურმე ეს სიტყვები ხმამაღლა მითქვამს. გამომძიებელმა განცვიფრებით შემხედა, მერე კი აჩქარებით მითხრა:

— ვგონებ, უკვე ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, ღმერთმაც ქნას, ბატონო ლეონარდ, ის ცუდი წინათგრძნობა, რაც ამ წუთას გამიჩნდა, არ ახდეს და არ განხორციელდეს.

უცებ ჩემში რაღაც ძირფესვიანად შეიცვალა. მონანიების გრძნობა სავსებით გამინელდა. იგი იქცა დანაშაულის მტვირთველ უტიფრობად, რამაც მაიძულა ფარისევლური სიმშვიდით მეკითხა გამომძიებლისათვის:

— თქვენ მაინც დამნაშავე გგონივართ, არა?

— მომიტევეთ, ბატონო ჩემო, — ძალიან სერიოზულად მითხრა გამომძიებელმა, — მაგრამ ნება მომეცით საკუთარი აზრი არ გავამხილო და ჩემთვის შევინახო, მით უფრო, რომ შესანიშნავად გაირკვა და დადასტურდა სასამართლოს ყველა წესისა და რიგის დაცვით, რომ თქვენ არ შეიძლება იყოთ მღვდელი მედარდუსი, რადგან ეგ მედარდუსი ამჯერად აქ იმყოფება. მამა კირილუსი თავდაპირველად მოატყუა თქვენმა საოცარმა მსგავსებამ ამ მღვდელთან და როგორც კი იგი დაინახა, უმალ აღიარა თავისი შეცდომა. გარდა ამისა თვითონ იმ კაპუცინსაც არ მოფიქრებია არ გაემხილა თავისი ვინაობა. ამიტომაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო, რათა ყველანაირი ეჭვისაგან თავი დაგეღწიათ და ამის გამო ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მჯეროდეს, რომ თქვენ სრულიად უდანაშაულოდ გრძნობთ თავს.

სწორედ ამ დროს გამომძიებელთან შემოვიდა სასამართლოს ბოქაული და მოახსენა, პროკურორი გიხმობსო. ასე რომ, ჩემი საუბარი გამომძიებელთან იმ მომენტში შეწყდა, როცა იგი ჩემთვის მტანჯველი უნდა გამხდარიყო.

პატიმრობისას ჩამორთმეული ნივთები და საბუთები დამიბრუნეს. ყველაფერი დალუქულ პაკეტში ჩაეწყოთ და მაგიდაზე დაედოთ. ვერ ვიპოვე მხოლოდ ვიქტორინის საქაღალდე, ეფემიას ნაჩუქარი ბეჭედი და კაპუცინის თოკი. სწორედ ამ ნივთებმა გამოიწვია ეჭვი ჩემი პიროვნებისადმი. დიდი ხანი არც იყო გასული, რომ ჩემთან მოვიდა ჰერცოგის მსახური, რომელმაც ჰერცოგისაგან ბარათი და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს კოლოფი გადმომცა. ჰერცოგი მწერდა: „ბატონო ფონ კრჩინსკი, ვწუხვარ, რომ დიდად გაწყენინეთ, მაგრამ ეს პირადად ჩემი ბრალი არ არის და არც ჩემი სასამართლოა ამაში დამნაშავე. საქმე ის არის, რომ თქვენ ძალიან ჰგავხართ ერთ უკეთურ კაცს. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ წარიმართა. ჩემი კეთილგანწყობის ნიშნად გიგზავნით ამ საჩუქარს და იმედი მაქვს, მალე გიხილავთ".

ჰერცოგის გულმოწყალებას უხალისოდ შევხვდი, არც მისი საბოძვარი გამხარებია, ციხის მკაცრი პირობების ბრალი თუ იყო, რომ მას აქეთ მჭმუნვარე მელანქოლია დამჩემდა, რაიც სულსა და ხორცში გამიჯდა, მომსპო და მომიდნო. გარდა ამისა ფიზიკურადაც ვერ ვგრძნობდი თავს ჯანმრთელად. ამიტომაც გულზე მალამოდ მომეცხო ლაიბმედიკოსის გამოჩენა. ლაიბ-მედიკოსმა გამსინჯა, სნეულებები დამიდგინა და საჭირო წამლები გამომიწერა. — მაინც რა უცნაური ხვედრია, ყველამ საბოლოოდ დავიჯერეთ თქვენი და იმ ღვთისგარეგანი მღვდლის ერთიდაიგივეობა და განგების ნებით სწორედ ეს მღვდელი გამოგვეცხადა; რათა ერთბაშად განეფანტა თქვენ გარშემო წარმოშობილი ეჭვები და ამით ერთხელ და სამუდამოდ გშველებოდათ და გადარჩენოდით ამდენ დავიდარაბასო, — მითხრა მან.

— თქვენ წარმოიდგინეთ და, წესიერად არც კი ვიცი ის გარემოებანი, რამაც პატიმრობიდან ჩემს განთავისუფლებაზე მოახდინა ზემოქმედება. ოღონდ ეს კია, გამომძიებელმა სხვათა შორის მითხრა, შენ რომ გვეგონე, იმ კაპუცინ მედარდუსის კვალს მივაგენით და ამჟამად საპატიმროში გამოგვეცხადაო.

— კი არ გამოგვეცხადა, ეტლზე მიბმული ჩამოიყვანეს ზუსტად იმ დღეს, როცა თქვენ ინებეთ ჰერცოგის რეზიდენციაში ჩამობრძანება, რამაც ყველა გააოცა. ერთხელ ხომ გიამბეთ, ამ რამდენიმე წლის წინ სასახლეში მომხდარ უცნაურ მოვლენებზე და სწორედ იმაზე შევჩერდი, რომ გავიხსენე ფრანჩესკოს ბოროტი ვაჟიშვილი — მედარდუსი და ის ავკაცური საქმეები, რაც მან ბარონ ფ-ის სასახლეში ჩაიდინა. ახლა კი ნება მომეცით, მაშინ დაწყებული თხრობის ძაფი ხელახლა გავნასკვო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ და ჩვენი ჰერცოგის მეუღლისა ბ-ს კარტეზიანული მონასტრის იღუმენი — ქალია. მან გულთბილად მიიღო ერთი საწყალი ქალი ბავშვის თანხლებით, როცა იგი „წმინდა ცაცხვის" ეკლესიაში ყოფილა წასული და უკან ბრუნდებოდა.

— ეს ქალი ფრანჩესკოს ქვრივი ხომ არ ყოფილა, ხოლო ბიჭი — მედარდუსი?

— ეს მართლაც ასეა, მაგრამ თქვენ საიდან იცით ეს ამბავი?

— მეტისმეტად უცნაური კია, მაგრამ ჩემთვის შესანიშნავადაა ცნობილი კაპუცინ მედარდუსის იდუმალებით აღსავსე ცხოვრების გზა.

მე ზუსტად ვიცი ყველაფერი, რაც იქ მოხდა იმ წუთამდე, ვიდრე მედარდუსი ბარონ ფონ ფ-ის სასახლიდან გაიქცეოდა.

— კი მაგრამ, რანაირად შეიძლებოდა ეს მომხდარიყო და ვისი მეშვეობით?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი სიზმარეული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუმრობთ თუ რა დაგემართათ?

— სრულებითაც არა. მართლაც ისე მოხდა, რომ სიზმარში მოვისმინე ამ უბედური კაცის ამბავი, კაცისა, რომელიც ჯოჯოხეთის ბნელი ძალების სათამაშო ტიკინა გახდა, ვისაც ბედისწერა დანაშაულს დანაშაულზე ადენინებდა. აქეთკენ მომავალ გზაზე ჰერცოგისეული ტყე გამოვიარე, ტყეში ჩემს მეეტლეს გზა დაებნა და შემთხვევით მეტყევის სახლში მოვხვდი, აი, სწორედ იქ და...

— ახლა უკვე ყველაფერი გავიგე, თქვენ იქ გადააწყდით მღვდელს.

— ჰო, მაგრამ არა მგონია, მაშინ იგი სრულ ჭკუაზე ყოფილიყო. ახლა კი სავსებით ჭკვიანადაა. თუმცა სიგიჟის პერიოდშიც მოეგებოდა ხოლმე ხანდახან ჭკუაზე და გონება გაუნათდებოდა. ალბათ მაშინ თუ გაგანდოთ თავისი საიდუმლო?

— მთლად ასე არ ყოფილა. მან სულაც არ იცოდა ჩემი მეტყევის სახლში ყოფნა და ერთ ღამეს ჩემს ოთახში შემოვიდა. როცა დაინახა, რარიგ არნახულად, გაჭრილი ვაშლივით ვგავდით ერთმანეთს, საშინლად შეეშინდა ჩემი. მან ჩამთვალა თავის ორეულად, რომლის გამოჩენა მის სიკვდილს მოასწავებდა. მერე ენის ბორძიკით ალუღლუღდა, თავისი ცოდვილი ქმედებანი გამიმხილა. მე კი მგზავრობისაგან სასტიკად დაღლილი ვიყავი და ჩემდა უნებურად ძილმა თავი წამართვა. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქო მღვდელი მშვიდად და არხეინად განაგრძობდა ლაპარაკს და, მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, როგორ შემოვიდა ჩემში სიზმარი და წაშალა სინამდვილე, როგორ აირია ისინი ერთმანეთში და უკვე აღარც ვიცოდი, სად იწყებოდა ერთი და სად მთავრდებოდა მეორე. რატომღაც მგონია, რომ მღვდელი მიმტკიცებდა, თითქოს ჰერმოგენი და ეფემია მან კი არ მოჰკლა, არამედ გრაფმა ვიქტორინმა.

— უცნაურია, მეტისმეტად უცნაური! მაგრამ რად არ აუწყეთ ამის თაობაზე სასამართლოს გამომძიებელს?

— განა შემეძლო იმედი მქონოდა, რომ იგი ყურად იღებდა ნაამბობს, რომელიც მისთვის დაუჯერებელი იქნებოდა? და საერთოდ, შეიძლება განა სისხლის სამართლის სასამართლომ ჩვენს განათლებულ საუკუნეში სასწაულები დაიჯეროს?

— უკიდურეს შემთხვევაში ის მაინც ხომ უნდა გეფიქრათ, რომ იმ გიჟ მღვდელში შეეშლებოდით და კაპუცინ მედარდუსად ჩაგთვლიდნენ?

— თქვენ მართალი ბრძანდებით. ეს ეჭვი მართლაც შეიძლებოდა გამჩენოდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც ჭკუანაკლულმა ბერიკაცმა, რომელსაც, მგონი, მამა კირილუსი ერქვა, თავი მოიკლა და მაინცდამაინც თავისი მონასტრის ძმად მიმიჩნია. მაშინ არც კი მიფიქრია, რომ ეს გიჟი მღვდელი სწორედ მედარდუსი შეიძლებოდა ყოფილიყო და რომ აქაური სისხლის სამართლის სასამართლო იმ დანაშაულით დაინტერე-

სდებოდა, შეშლილმა ბერმა რომ მოინანია ჩემ წინაშე იმ ღამეს. მაგრამ როგორც მეტყევემ მითხრა, მას არასოდეს გაუმხელია თავისი ნამდვილი ვინაობა და თქვენ კიდევ რანაირად მიხვდით, ვინ იყო იგი?

— ძალიან ადვილად. თქვენ იცით, რომ მღვდელი ერთხანს მეტყევის სახლში იმყოფებოდა. იგი სავსებით განიკურნა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად ხელახლა წამოუარა საშინელმა სიგიჟემ, რის გამოც მეტყევე იძულებული გახდა შეშლილი ქალაქში წაეყვანა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოეთავსებინა. აქ იგი დღედაღამ ქანდაკებასავით იდგა გამოლენჩებული, გაქვავებული მზერა ერთ წერტილზე მიეპყრო და ხმას არ იღებდა, ჭამითაც ვერ ჭამდა საკუთარი ხელით, სხვები აჭმევდნენ. რა საშუალება არ იხმარეს, რომ გამოშტერება-გახევებისაგან ეხსნათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. უკიდურესი ზომებისაგან თავი შეიკავეს იმის შიშით, კვლავ არ გამძვინვარდეს და უბედურება არ დაატრიალოსო. ამ რამდენიმე დღის წინ ქალაქში ჩამოვიდა მეტყევის უფროსი ვაჟი, რომელმაც სნეული საავადმყოფოში მოინახულა. აქ მან ეს უბედური უნუგეშო ყოფაში ჩავარდნილი იხილა და ძალიან შეშფოთდა. იქიდან გამოსვლისას მეტყევის ვაჟს საავადმყოფოს შესასვლელთან მამა კირილუსი შემოხვდა, ვისაც აუწყა კაპუცინთა ორდენის საწყალი მღვდლის გასაჭირი და სთხოვა აუცილებლად ენახა ავადმყოფი, ორიოდე სანუგეშო სიტყვა ეთქვა მისთვის, რათა სნეულს სიცოცხლისაკენ ებრუნებინა პირი. კირილუსი შეაძრწუნა მღვდლის ხილვამ და შიშით უკან დაიხია.

— ო, ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო! — იყვირა კირილუსმა, — ეს ხომ მედარდუსია, საცოდავი მედარდუსი!

ამ სიტყვების გაგონებაზე გაბრუებული მღვდლის უაზრო მზერაში სიცოცხლის სხივმა ჩაიბუდა. იგი ფეხზე წამოდგა, ყრუდ ამოიკვნესა და უგონოდ დაეცა ძირს. ამის შემდეგ კირილუსი სხვა თვითმხილველი მოწმეების თანხლებით გაემართა სისხლის სამართლის სამსჯავროს თავმჯდომარესთან და ყველაფერი მოახსენა. მოსამართლე, რომელსაც დავალებული ჰქონდა თქვენი საქმის გამოძიება, მამა კირილუსთან ერთად დაუყოვნებლივ ეწვია საავადმყოფოს: მათ იქ ნახეს უკიდურესად დაოსებული და ძალაგამოცლილი მღვდელი, მაგრამ მას უკვე სიგიჟის ნასახიც აღარ ემჩნეოდა. მღვდელმა აღიარა, რომ იგი კაპუცინი მედარდუსია ბ-ს მონასტრიდან. თავის მხრივ, მამა კირილუსმა აუწყა გამომძიებელს, რომ იგი მოატყუა თქვენმა უჩვეულო მსგავსებამ მედარდუსთან და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ბატონი მედარდუსი თვალშისაცემად განსხვავდება თავის ორეულს ლაპარაკით, გამოხედვით, სიარულითა და მანერებით. ხოლო კისრის მარცხენა მხარეს აღმოჩენილმა ჯვრისებური ფორმის ნაჭრილობებმა ხომ სასამართლო პროცესზე სენსაცია მოახდინა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მერე მღვდელი დაკითხეს ბარონ ფ-ის სასახლეში დატრიალებული ამბების შესახებ. მან სუსტი, მილეული, ძლივს გასაგონი ხმით ამოილუღლუღა: „მე ერთი საშინელი, თავზეხელაღებული კაცი ვარ, შემზარავი ბოროტმოქმედი. ახლა კი ძალიან ვნანობ, მაგრამ რაღა დროს. ვაი, რომ, თავი დავიღუპე და ეშმაკს მივენდე, ნება მივეც ცდუნებათა ხლართებში გავებით. შემიცოდეთ

და თანაგრძნობა გამიწიეთ... დრო მომეცით... რომ ყველაფერი გაგიმხილოთ და გაგანდოთ!"

როცა ჰერცოგმა გაიგო ეს ამბავი, დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება სასამართლო პროცესის შეწყვეტისა და ციხიდან თქვენი გამშვების შესახებ. აი, სულ ეს არის თქვენი პატიმრობიდან განთავისუფლების ისტორია. ნამდვილი ბრალდებული — კაპუცინი მედარდუსი აგერ ზის სისხლის სამართლის დამნაშავეთა ციხეში.

— განა ყველაფერი გაგიმხილათ? ალბათ ისიც, რომ ეფემია და ჰერმოგენიც თავისი ხელით მოკლა. კი მაგრამ, ეგ გრაფი ვიქტორინი ვინღაა? აბა რატომ მახსენდება, თითქოს იმას ეთქვას, მაგათი მკვლელი გრაფი ვიქტორინი იყოო.

— რამდენადაც ვიცი, სასამართლო პროცესი ამ უკეთური მღვდლის წინააღმდეგ სწორედ დღეს იწყება. ხოლო რაც შეეხება გრაფ ვიქტორინს, რატომღაც მგონია, ყველაფერი, რაც კი ჩვენი სასახლის იმდროინდელ მოვლენებთანაა დაკავშირებული, ბურუსითაა მოცული და გაუგებარი უნდა დარჩეს. რაღაც არა მგონია, რომ ბარონ ფონ ფ-ის სასახლეში მომხდარი მოვლენები დაკავშირებული იყოს თქვენს სასახლეში დატრიალებულ კატასტროფასთან.

— მე იმდენად თვითონ მოვლენებს კი არ ვგულისხმობ, რამდენადაც მასში მონაწილე პიროვნებებს.

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ?

— ხომ გახსოვთ ჩემი ნაამბობი ჩვენს სასახლეში მომხდარ უბედურ შემთხვევაზე, რანაირად მოკლეს პრინცი?

— მახსოვს.

— განა თქვენთვის ნათელი არ არის, რომ ფრანჩესკო შეეპყრო იტალიელი პრინცესასადმი ცოდვიან სიყვარულს? ამიტომაც შეიპარა ახალდაქორწინებული პრინცის საძინებელ ოთახში და სიცოცხლე მოუსწრაფა. ვიქტორინი არის ნაყოფი ამ შემაზრზენი შეცოდებისა. იგი და მედარდუსი ერთი მამის შვილები არიან, ვიქტორინი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ შეიტყო. ყველანაირი მცდელობა მისი მოძებნისა ფუჭი აღმოჩნდა.

— მღვდელმა იგი ეშმაკის უფსკრულში ჩააგდო! წყეული იყოს ძმის მკვლელი ჭკუაზე შემცდარი მღვდელი!

ზუსტად იმ წუთებში, როცა გამძვინვარებულმა ეს სიტყვები წარმოვთქვი, წყნარი, ძალიან წყნარი კაკუნი მომესმა ციხეში მოლანდებული საფრთხობელისა. ამაოდ ვცდილობდი დამეფარა ის ამაზრზენი გრძნობა, რამაც ძალუმად შემიპყრო. ექიმს კი, ეტყობა, არც ეს კაკუნი გაუგონია და არც ჩემი მღელვარება შეუმჩნევია. იგი კვლავ მეკითხებოდა:

— ეს რანაირად მოხდა? განა მღვდელი გამოგიტყდათ, რომ ვიქტორინიც მან მოჰკლა?

— ჰო, რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნა შეიძლებოდა გამომეტანა მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი განცხადებიდან, თუკი ამ განცხადებას დავუკავშირებთ ვიქტორინის გაუჩინარებას. წყეულიმც იყოს ჭკუაშერყეული ძმის მკვლელი!

ამ დროს კიდევ უფრო ძლიერად მომესმა კაკუნი. ამას მოემატა ავადმყოფური კვნესა და ოხვრა. შორეული სიცილიც გავიგონე, რომელიც მთელ საკანში ზმუილის მაგვარად გაისმა: „მედარდუს, მედარდუს... ჰი, ჰი, ჰი... მიშველე!“

ექიმს ეს არც კი შეუმჩნევია და ლაპარაკს განაგრძობდა:

— თვითონ ფრანჩესკოს წარმომავლობა ბურუსითაა მოფენილი. ალბათ მას ნათესაური კავშირი აქვს ჰერცოგის ოჯახთან. იმას ხომ წყალი არ გაუვა, რომ ეფემია მისი ღვიძლი ქალიშვილია.

ამ დროს საშინელმა დარტყმამ კარი გაგლიჯა და ლამის ანჯამიდან ამოაგდო. ოთახში ხმამაღალი და მძაფრი გიჟური ხარხარი გავიგონე და მეც ჩემდა უნებურად გავიმეორე ეს სიტყვები:

— ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ძმიკო. — გიჟივით ვიღრიალე; — ჰო, ჰო, აქეთ გამოიწიე! ჩქარა, ჩქარა, თუ გინდა რომ შეგებრძოლო... ჭოტი ქორწილს იხდის. ორივე სახურავზე ავიდეთ და იქ შევებათ ერთმანეთს და ვინც მოერევა, მეფეც ის გახდება და სისხლსაც ის დალევს!

ლაიბ-ექიმმა მკლავებზე ხელი მტაცა და იყვირა:

— რა ხდება? რა ამბავია? თქვენ მართლა ავადა ხართ, საშინლად ავად, წადით და საწოლში ჩაწექით!

მე კი გაღებულ კარს მივშტერებოდი, რომ ჩემი საზიზღარი ორეული არ შემომეშვა, მაგრამ ვერავინ დავინახე, რადგან იგი არ გამოჩენილა და კიდევაც თანდათან მოვიკეთე და განვთავისუფლდი ველური გაავთრებისაგან რამაც ყინულივით ცივი ბრჭყალები ჩამასო. ბატონი ლაიბ-მედიკოსი მარწმუნებდა, რომ ბევრად უფრო მძიმედ ვიყავი ავად, ვიდრე თვითონ მეგონა. იგი ჩემს უქეიფობას მიაწერდა საპყრობილეში ხანგრძლივ ყოფნას და საერთოდ საგამოძიებო პროცესით მიყენებულ სულიერ შერყევას. ლაიბ-მედიკოსის წამალი კი დავლიე, მაგრამ ჩემი სწრაფი გამოკეთების მიზეზად მისი ჯადო-ხელოვნება კი არ მიმაჩნდა, არამედ ის გარემოება, რომ კაკუნი უკვე აღარ მესმოდა, ხოლო საშინელმა ორეულმა თავი საბოლოოდ დამანება.

და ერთ დილით გაზაფხულის მზემ კაშკაშა ოქროს სხივებით გაანათა ჩემი ოთახი და ფანჯრიდან ყვავილთა ტკბილი სურნელი შემოიჭრა. დაუსაბამო ნატვრა გამიჩნდა გარეთ გასვლისა, ყური აღარ დავუგდე ექიმის აკრძალვას და პარკში გავვარდი. აქ კი შრიალითა და ჩურჩულით მომეგებნენ ხეები და ბუჩქები მომაკვდინებელი სნეულებისაგან განკურნებულს. გამოუთქმელი ალტაცების მომგვრელი ღრმა ამოკვნესა აღმომხდა გულიდან და უსასრულოდ შეერია ჩიტების საამო ჟივჟივსა და ჟღურტულს და ჭრელი მწერების სიხარულისმომგვრელ ბზუილს.

დიახ, არა მხოლოდ სულ ახლახან მომხდარი მოვლენები, არამედ საერთოდ მთელი ჩემი ცხოვრება მონასტრიდან წასვლის შემდეგ მძიმე, გაუსაძლის სიზმრად მომეჩვენა, როცა მოულოდნელად ჭადრებით დაბურულ ხეივანში აღმოვჩნდი. ჰო, მე ვიყავი ბ-ს კაპუცინთა მონასტრის წალკოტში და მერე შორეულ ბუჩქებზე აღიმართა მაღალი ჯვარი, რომლის წინაშე ადრე არაერთხელ გზნებით და გულამოსკვნით მილოცნია, ზეგარდმო ძალებს შევთხოვდი, ცდუნებებს განმარიდეთ და ამით, სული გადამირჩინეთ-მეთქი. დაჟინებული სურვილი გამიჩნდა ამ ჯვა-

რამდე როგორმე მიმეღწია, მის წინ პირქვე დამხობილს მუხლი მომეყარა და აღსარება მეთქვა, მომენანიებია ჩემი მკრეხელური და ცოდვილი ოცნებები, სატანამ რომ თაღლითურად ჩამინერგა. და მე შევეშურე ჯვრისაკენ, წინ მივდიოდი და ხელაპყრობილი ზეცას ვევედრებოდი, თვალს არ ვაშორებდი ჯვარს, რომელიც ცხადლივ იდგა ჩემ თვალწინ. გაზაფხულის ნიავმა ფოთლები ააშრიალა და ძალუმად შეატოკა, შრიალი უფრო და უფრო მოსწვდა ყურს, მეგონა, მონასტრის ბერ-მონაზონთა გალობა ჩამესმაო. მაგრამ ეს იყო ტყის სასწაული ხმები, ქარმა რომ გააღვიძა და ხეებს ზუზუნით გადაუქროლა. მალე იმდენად დავიქანცე, ნაბიჯი ველარ გადავდგი, თავს მოვეჭიდე, რომ არ დავცემულიყავი, მაგრამ რაღაც ძალა შორეული ჯვრისაკენ მეწეოდა განუსაზღვრელი სიძლიერით. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე და ბარბაცით გავუყევი გზას, მაგრამ მხოლოდ ბუჩქებში ჩადგმულ ხავსმოდებულ სკამამდე მოვაღწიე. უეცრად მომაკვდინებელმა დაღლილობამ მომიდუნა მთელი სხეული. უმწეო, ილაჯგაწყვეტილი ბებერივით დავეშვი სკამზე და ყრუდ ამოვიკვნესე, რამაც გული შემიკუმშა და წუხილი შემიმსუბუქა. სწორედ ამ დროს ჩემს სიახლოვეს ხეივანში რაღაცამ გაიშრიალა... და უეცრად თავში გამიელვა ფიქრმა, ავრელიას ხომ არ ვხედავო. და მართლაც ავრელია იგა ჩემ წინაშე. მის ზეციურ თვალებში ბრწყინავდნენ არაამქვეყნიური ჭმუნვა-მწუხარებით მოგვრილი ცრემლები, მაგრამ ამ ცრემლებში უჩვეულოდ ანთებული სხივიც გამოკრთა, გამოუთქმელად ვნებიანი ლტოლვა, მანამდე მისთვის ესოდენ უცხო. ამ მზერაში ვიცანი ტრფობით აღსავსე გამოხედვა იმ იდუმალი არსებისა, საალსარებო სკამთან რომ ვიხილე და რომლის ზმანება მუდამ თან მახლდა, როცა ტკბილ ოცნებებს მივეცემოდი.

— განა მაპატიებთ ოდესმე? — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ავრელიამ.

აღტაცებისაგან გონდაკარგულმა, რისი გამოხატვაც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, მის წინაშე მუხლი მოვიდრიკე და შევღაღადე:

— ავრელია! ავრელია! მზად ვარ შენთვის ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავინთქე და ვიტანჯო, მოვკვდე კიდევაც.

ვიგრძენი, როგორ მომგვარა სიმშვიდე, ფეხზე დამაყენა, მომეხუტა. მისმა კოცნამ ცეცხლი მომიკიდა, ნეტარება მომანიჭა. მერე რაღაცამ გაიშრიალა და ავრელია შეკრთა, ჩემი ხვევნისაგან თავი გაინთავისუფლა. და მე სად შემეძლო წინააღმდეგობა გამეწია? იმან თითქოს თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ბოლოს და ბოლოს ხომ აღსრულდა ნატვრა და იმედი?

აი, ამ წუთას დავინახე გზად აქეთკენ მომავალი ჰერცოგის მეუღლე. მაშინვე სწრაფად ბუჩქებში ჩავიმალე და შევნიშნე, რომ რაღაც საოცარი ძალით ხის გამხმარი ნაცრისფერი ღერო ჯვარცმად მომელანდა.

უკვე დაღლის ნასახსაც აღარ ვგრძნობდი. ავრელიას კოცნამ სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა. მომეჩვენა, თითქოს ჩემი ყოფნის ნათელი და მშვენიერი საიდუმლო გაცხადდა. ო, ეს იყო ტრფობის საოცარი საიდუმლო, რამაც მთელი თავისი უბიწო დიდებამოსილებით მომიცვა.

ჩემი ცხოვრების უმწვერვალესი ჟამი დამიდგა. განგების ნებით ბედი ჩემი სხვაგვარად შეტრიალდა. ჩემი ცხოვრების ეს უბედნიერესი ხანა ღვთაებრივ ნეტარებად და ოცნებათა ხორცშესხმად მომევლინა. მოგონებების წიგნის წერა დავიწყე. მინდოდა ამ ხსოვნის წიგნში აღმენუსხა, რაც კი მნიშვნელოვანი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ვიხილე ავრელია. და შენ, ჩემო უცნობო და უცხო მკითხველო, თუკი ოდესმე ამ სტრიქონებს წაიკითხავ, უმორჩილესად გთხოვდი, შენც მოიგონო მზის მოქცევის ხანა შენი ცხოვრებისა და მხოლოდ მაშინ თუ თანაუგრძნობ უნუგეშო ჭმუნვასა და წუხილს ცოდვების განდობასა და მონანიებაში გაჭაღარავებული მღვდლისა. ერთხელ კიდევ გემუდარები, კვლავ მოიხილო ის საოცარი და ნეტარი დრო შენი ცხოვრებისა და მეც აღარ დამჭირდება გაუწყო, რაოდენ სისხლხორცეულად შეეცვალა ფერი ყოველივეს ჩემ ირგვლივ და თვითონაც რაოდენ ხელახლა ვიშვი, გადავსხვაფერდი, რანაირად მოხდა, რანაირად მოხდა, რომ ჩემს სულში ბნელი ფიქრები აღარ არსებობენ, ავრელიას სიყვარულმა ცოდვებისაგან განმწმინდა. ჩემში საოცარი ძალით აღმოცენდა შეურყეველი, მტკიცე რწმენა იმისა, რომ მე კი არ ვიყავი ჩამდენი ბარონ ფონ ფ-ის სასახლეში დატრიალებულ უსასტიკეს ავკაცობათა, მე კი არ მოვკლავს ეფემია და ჰერმოგენი, არამედ ეს უკეთურობანი ჩაიდინა მღვდელმა, რომელიც მეტყევის სახლში შემხვდა. ყველაფერი, რაც ლაიბექიმს გავანდე, თითქო ტყუილი კი არ იყო, არამედ მოვლენათა მართლაც იდუმალებით აღსავსე მდინარება, რაიც ჩემთვისაც გაუგებარი დარჩა. ჰერცოგმა ისე მიმიღო, ვითარცა დიდი ხნის დაკარგული მეგობარი, რომელიც კვლავ იპოვა. ამან, რა თქმა უნდა, განსაზღვრა საერთო განწყობილება ჩემი პიროვნებისადმი, რადგან სასახლეში გარკვეულწილად ყველა ანგარიშს უწევდა ჰერცოგის აზრს. ერთადერთი ჰერცოგის მეუღლე დარჩა ჩემ მიმართ ცივი და თავშეკავებული, მაგრამ წინანდელზე ბევრად უფრო თვინიერად და შემწყნარედ მექცეოდა.

ავრელია კი ბავშვური უშუალობით აღივსო და უსაზღვროდ დაემორჩილა თავის გრძნობებს. მისი სიყვარული უცოდველი იყო, თავისუფალი ყველანაირი ზაკვისაგან, ამიტომაც რაღად უნდოდა დაემალა იგი მაღალი საზოგადოებისათვის და აღარც მე შემწევდა ძალა შემენიღბა და მიმეჩქმალა ეს გრძნობა. მთელი ჩემი ცხოვრება ხომ ეს სიყვარული იყო მხოლოდ და სხვა არაფერი! ყველას თვალში ხვდებოდა ჩემი ურთიერთობა ავრელიასთან, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, რადგან ჰერცოგის მრავლისმთქმელი გამოხედვა მოწმობდა, იქნებ ამ სიყვარულს დიდად არ ვწყალობ, მაგრამ არც მისი ხელის შეშლა მაქვს განზრახული და დუმილით ვუჭერ მხარს, სიტყვის უთქმელად მინდა მოვითმინო ეს სიყვარულიო. ავრელიას ხშირად ვხვდებოდი და ზოგჯერ სრულიად მარტონიც ვრჩებოდით. ვეხვეოდი და ვკოცნიდი მას და ისიც პასუხობდა ჩემს ხვევნა-კოცნას. ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა იგი ქალწულებრივი უბიწო სიმორცხვით და არ შემეძლო ავყოლოდი ცოდვილ ვნებას. ყოველ ჩემს მკრეხელურ გაფიქრებას მღელვარების საოცარი თრთოლვა ახშობდა, რაც სულს უცნაურად აღმივსებდა. ავრელია საფრთხეს არც მოელოდა. მისთვის ეს საფრთხე სინამდვილეში არც არსებობდა. ხანდახან, როცა ოთახში მარტონი ვისხედით, იგი როგორც არასდროს ზეცი-

ური მშვენებით იყო სხივმოსილი და როცა ჩემში სიყვარულის ველური გზნება იფეთქებდა, იგი ისეთი არნახულად თვინიერი და უმანკო თვალებით შემხედავდა, მეჩვენებოდა ღმერთი მწყალობდა იმით, რომ მონანიე ცოდვილს აქ, დედამიწაზე უფლებას მაძლევდა ურთიერთობა მქონოდა ჭეშმარიტ წმინდანთან. მეჩვენებოდა, რომ ეს ავრელია კი არა, თვითონ წმინდა როზალია იყო. მუხლებზე დავეცი მის წინაშე და შევღაღადე:

— ო, ღვთისმოსავო, მაღალო წმინდანო, შემიძლია შენდამი მიწიური ტრფობა ვატარო გულში?

ავრელიამ ხელი გამომიწოდა, მერე კი ტკბილი და წყნარი ხმით მითხრა:

— ღვთისმოსავი ძალიანაც მინდა ვიყო, ხოლო წმინდანი კი ნამდვილად არა ვარ. მაგრამ შენ კი ძალიან, ძალიან მიყვარხარ.

ეს რამდენიმე დღეა ავრელია აღარ მენახა. იგი ჰერცოგის მეუღლესთან ერთად წავიდა ახლო მდებარე სამეჯლისო სასახლეში. უმისობა ველარ ავიტანე და სასახლისაკენ გავეშურე. გვიანი საღამო იყო. ბაღში შემომხვდა მოახლე გოგო, რომელმაც ავრელიას ადგილსამყოფელი მიმასწავლა. ნელა, სულ ნელა გავაღე კარი და ოთახში შევედი. ცხვირპირში მეცა სულისშემხუთველი ჰაერი, რომელიც ვარდების დამათრობელი საოცარი სურნელით იყო გაჟღენთილი. ბურუსით მოცული სიზმრებივით ამოტივტივდნენ ჩემში წარსულის მოგონებები. ეს ხომ ავრელიას ოთახი იყო ბარონის სასახლეში, სადაც მე... როგორც კი ეს გავიფიქრე, ჩემ წინაშე აღიმართა მრუმე სახება. „ჰერმოგენ!“ — აღმომხდა უნებლიეთ. შეძრწუნებული წინ გავიჭერი და ოთახის კარს მივეყრდენი. ავრელიას მუხლი მოეყარა, ჩემგან ზურგშექცეული იდგა ტაბურეტის წინ, რომელზეც გადაშლილი წიგნი იდო. დამფრთხალმა ჩემდა უნებურად უკან დავიხიე. აღარაფერს არ ვხედავდი, მხოლოდ უსაზღვრო აღტაცებით ვამბობდი: „ავრელია, ავრელია!“ იგი სასწრაფოდ მობრუნდა, მაგრამ ვიდრე ფეხზე წამოდგებოდა, გვერდით მივუწექი და მაგრად მოვეხვიე. „ლეონარდ, ჩემო სულისდგმავ!“ — წყნარად ჩამჩურჩულებდა იგი. ჩემს არსებაში აფეთქდა ბობოქარი სურვილი, ველური, ცოდვილიანი ნდომა. იგი უღონოდ მიესვენა ჩემს მკლავებში, თმა ჩამოეშალა და ხშირ საუცხოო კულულებად დაეფინა ჩემს მხრებს, ქალწულებრივი მკერდი აუთრთოლდა, მძიმედ სუნთქავდა. მე კი ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, რა მექნა, არ ვიცოდი. ავრელია ხელში ავიტაცე. იგი ღონემიხდილი ჩანდა. მის თვალებში უცხო, მისთვის უჩვეულო გზნებამ იელვა. ჩემს გაშმაგებულ კოცნას ცეცხლოვანი ვნებით პასუხობდა. უეცრად ჩვენ უკან რაღაცამ ჩქამი გამოსცა, თითქოს მძლავრი ფრთები გაიქნიესო, მერე მთელ ოთახში გაისმა გულისწამღები ყვირილი, გეგონებოდა, სასიკვდილოდ დაჭრილმა განწირულად ამოიგმინაო. „ჰერმოგენ!“ — იყვირა ავრელიამ და ღონემიხდილი მკლავებზე მომესვენა. საშინლად შეძრწუნებული გავვარდი გარეთ. წინკარში შევეფეთე ჰერცოგის მეუღლეს, რომელიც სეირნობიდან შინ ბრუნდებოდა. მან ჯერ სერიოზულად და ამაყად შემხედა, მერე კი მითხრა:

— მართალი გითხრათ ძალიან მიკვირს, აქ რომ გხედავთ, ბატონო ლეონარდ.

ერთი წუთით როგორლაც დავიოკე მღელვარება და იმაზე უფრო მტკიცე კილოზე მივუგე, ვიდრე ეს საჭირო იყო, რომ ძნელია მოთოკო სულის ღელვა და ხშირად შეიძლება არარიგიანად მოგეჩვენოს ის, რაც ყველაზე რიგიანად შეიძლება ჩაითვალოს. და როცა უკუნ ღამეში რეზიდენციიდან აქეთ გავეჩქარე, მომეჩვენა, თითქო ვიღაც სირბილით მომდევდა და ყურში ენის ბორძიკით ჩამჩურჩულებდა: „ძამიკო, ძამიკო მედარდუს, მე ყოველთვის შენთანა ვარ!" მოვიხედე და აშკარად დავინახე, რომ ეს იყო ჩემი ორეულის ფანტომი, რომელიც ჩემმა ფანტაზიამ შექმნა და სხვა არაფერი. მაგრამ ამ საზარელ წარმოსახვას ვერაფრით თავი ვერ დავაღწიე და ბოლოს იძულებული გავხდი ლაპარაკიც კი გამება მასთან. ის კი არადა, ვუამბე კიდეც, რომ კვლავ გავგიჟდი და მეშინია შეშლილი ჰერმოგენის. მაგრამ წმინდა როზალიას რომ ვერავინ შემეცილება, ეს კარგად ვიცი, მალე იგი ჩემი გახდება, მთლად ჩემი, რადგან ამიტომა ვარ მღვდელი და ვეკურთხე ბერად. მერე ჩემმა ორეულმა გაიცინა და კვნესა-კვნესით ამოილუღლუღა, როგორც ეს წინათ იცოდა, თან ენის ბორძიკით მითხრა: „მხოლოდ ჩქარა... ჩქარა. ცოტა მოითმინე, ჩემო ბიჭო, და ყველაფერი კარგად იქნება. ჰერმოგენს ისე ვერ მოვახვედრე, როგორც უნდოდა, მაგრამ არა უშავს, ჩემი დანა ბევრად უფრო მოპირულია და პირ-ალმასი მარჯვედაც ჭრის. ჰი, ჰი, ჰი, ჰი, ფრთხილად იყავი, ძამიკო, ვინძლო მიზანს არ ააცდინო!"

ასე მიწყდა ხმა ჩემი ორეულისა დილით ამოვარდნილი ქარის ზუზუნში, რამაც ცეცხლის ძოწეულად ამოიბრწყინა და მთელ აღმოსავლეთს მოეფინა.

ის იყო ჩემს ბინაში დავბრუნდი, რომ ჰერცოგმა თავისთან მიმიხმო. იგი ძალიან თბილად შემხვდა.

— მართალი გითხრათ, ბატონო ლეონარდ, — უაღრესად დიდი სიმპათია მოიპოვეთ ჩემი და არც იმას დავმალავ, ეს კეთილგანწყობა ჭეშმარიტ მეგობრობად იქცა. არ მინდოდა თქვენი დაკარგვა და გულწრფელად ვისურვებდი, ბედნიერი მენახეთ. გარდა ამისა უდიდეს საზოქვარსაც იმსახურებთ ყოველივე იმის გამო, რაც გადაიტანეთ. მაგრამ გეკითხებით, ბატონო ლეონარდ, ვინ აღძრა ეს საშინელი პროცესი და ვინ იყო თქვენი ბრალმდებელი?

— არ ვიცი, თქვენო მაღალღირსებავ.

— ბარონესა ავრელია. ალბათ გაგიკვირდებათ კიდეც, ამას რომ გაიგონებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ კეთილშობილმა ბარონესა ავრელიამ ჩაგთვალათ კაპუცინ მღვდლად. — ამის თქმაზე ჰერცოგმა გულიანად გადაიხარხარა, — ღმერთო ჩემო, რას არ იტყვის კაცის ენა. თქვენ კაპუცინი კი არადა, ყველაზე საყვარელი ვინმე ხართ, როგორიც ადამიანის თვალს ოდესმე უნახავს. გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, ბატონო ლეონარდ, მართლა მღვდელი ხომ არა ხართ?

— მოწყალეო ბატონო, არ ვიცი, რა ავი ბედისწერა წარმართავს ყველას, როცა იმ მღვდლად მიმიჩნევენ, რომელიც...

— გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ! მართლა ინკვიზიტორი ხომ არ გგონივართ? ისე კი გულწრფელად შემეცოდებოდით, საეკლესიო აღთქმა თუ გექნებოდაო მიცემული. მაგრამ ამაზე კმარა! ახლა კი საქმეს მივ-

ხედოთ. ხომ არ ისურვებდით შური გეძიათ ბარონესა ავრელიაზე, ვინაც ასეთ უბედურებაში ჩაგაგდოთ.

— განა შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს შურისძიების გრძნობა ამ ღვთაებრივი არსების მიმართ?

— თქვენ გიყვართ ავრელია! — სერიოზულად დაჟინებით მომაჩერდა. მე მდუმარე გულზე ხელი დავიდე. ჰერცოგმა კი განაგრძო:

— ვიცი, რომ თქვენ ავრელიასადმი სიყვარული პირველი ნახვისთანავე იგრძენით, როცა იგი ჰერცოგის მეუღლესთან ერთად დარბაზში შემოვიდა. თქვენ გიყვართ ერთმანეთი, თანაც იმ ცეცხლით და გატაცებით, რასაც ავრელიასაგან, ამ სათუთი და ბავშვურად უბიწო სულის არსებისაგან არც კი ველოდი. იგი მხოლოდ თქვენით ცხოვრობს. ამის შესახებ ჰერცოგის მეუღლემ მითხრა. დამიჯერეთ, რომ თქვენი დაპატიმრების შემდეგ ავრელია უიმედო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. საწყალი გოგო ლოგინად ჩავარდა და სიკვდილის პირას იყო მისული. მაშინ იგი თავისი ძმის მკვლელად მიგიჩნევდათ. ამიტომაც მისი უსაზღვრო წუხილი ჩვენთვის გაუგებარი რჩებოდა. ახლა კი მივხვდით, თურმე მაშინაც კი უყვარდით. ბატონო ლეონარდ, ან უფრო მართებული იქნება, თუ ასე მოგმართავთ, ბატონო კრჩინსკი, თქვენ დიდგვაროვანი ბრძანდებით, ამიტომაც მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სასახლეში საამური ცხოვრება მოგიწყოთ. თქვენ იქორწინებთ ავრელიაზე. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ნიშნობაც გექნებათ. თავად ვიქნები თქვენი ჯვრისწერის მამობილი.

ჰერცოგის ნათქვამი მდუმარედ მოვისმინე. გულზე ათასნაირი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრები შემომაწვა და მთლად ამიბნია ჭკუა-გონება.

ავრელია ჩემი ცოლი გახდება. ცოლი ცოდვებით დამძიმებული მღვდლისა. არა, რა ხვედრიც არ უნდა ერგოს საწყალს, ამაზე უარესი არ შეიძლება არსებობდეს, ამას ჯოჯოხეთის ბნელი ძალებიც კი არ ინდომებენ. ეს აზრი შეუჩნდა ჩემს სულს და სხვა დანარჩენი ამის საწინააღმდეგო გააქრო და გააცამტვერა. ვგრძნობდი, რაოდენ აუცილებელი ხდებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ამაო იყო მცდელობა იმისა, რაიმე უმტკივნეულო საშუალება მომეძებნა, რაც ავრელიასგან დაშორების წუხილს გამიქარვებდა. ჩემთვის აუტანელი იქნებოდა მისი არხილვა, მისგან შორს ყოფნა. მეორეს მხრივ, არც ის მინდოდა, ავრელია ჩემი ცოლი გამხდარიყო, რადგან ეს აზრი ჩემთვის გაუგებარი რისხვისა და მძულვარების გრძნობით მავსებდა. ჩემში სრულიად ნათლად იშვა საოცარი წინათგრძნობა იმისა, რომ თუ შეცოდებების მტვირთველი მღვდელი განიზრახავს საკურთხევლის წინ დგომას და ღვთის წინაშე მიცემული აღთქმის მკრეხელურად დარღვევას, უსათუოდ გამოეცხადება იდუმალი მხატვარი. ვიცოდი, რომ იგი ლმობიერ ნუგეშისმცემლად კი არ მომევლინებოდა, როგორც ეს საპყრობილეში მოხდა, არამედ შურისგებისა და სიკვდილის მაცნედ, სწორედ ისეთად, მამაჩემ ფრანჩესკოს რომ გამოეცხადა ჯვრისწერის ჟამს და ენით უთქმელ მწუხარებასა და სამუდამო ტანჯვა-ვაებაში ჩავვარდებოდი. ჩემი სულის იდუმალი წიაღიდან უცხო ხმა შემომესმა: „ავრელია ხომ მაინც შენი უნდა გახდეს, ჭკუათხელო რეგვენო. შეგიძლია განა შეცვალო

მსჯავრი, ბედისწერამ რომ განგიმზადა?“ მერე სხვა ხმამ ჩამჩურჩულა: „მუხლებზე დაეცი, ჭკუით ბრმობილო, და მოინანიე შენი ცოდვილი ზრახვები. იგი არასოდეს შენი არ გახდება. ის ხომ თვითონ წმინდა როზალიაა, შენ კი წაბილწე იგი მიწიერი სიყვარულის მაუწყებელი ხვეწნა-კოცნით“.

ასე ებრძოდა ჩემში ერთმანეთს ორი იდუმალი მრისხანე ძალა და აფორიაქებული აქეთ-იქით ვაწყდებოდი, წარმოდგენაც არ მქონდა იმაზე, რა მეფიქრა, რა მეღონა, რა გამეკეთებინა, რათა თავიდან ამეცილებინა ჩემი დაქცევა და განადგურება, რაიც ყოველი მხრიდან მემუქრებოდა. წინანდელი მღელვარე განწყობილება, რაც მთელ ჩემს ცხოვრებას გამსჭვალავდა, მეტადრე ჩემს საბედისწერო ყოფნას ბარონ ფონ ფ-ის სასახლეში, ახლა წარსულის მძიმედ მოსაგონარ სიზმრად მეჩვენებოდა. ამჯერად მჭმუნვარე სასოწარკვეთა დამჩემდა, რისი გავლენითაც საკუთარ თავში მხოლოდ მდაბალ ავხორცსა და ბოროტმოქმედს ვხედავდი. ყველაფერი, რაც მოსამართლეს და ლაიბ-ექიმს ვუამბე, სულელურ, ცუდად მოგონილ სიცრუედ ჩავთვალე, რაც ზეშთაგონებით სულაც არ იყო შექმნილი და ვცდილობდი ამაში საკუთარი თავი დამერწმუნებინა.

ღრმა ფიქრებში ჩაძირული ვიყავი, ვერც ვერაფერს ვხედავდი და არც არაფერი მესმოდა, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, ქუჩაში დავეხეტებოდი, უეცრად მეეტლის ხმამაღალი შეძახილი და ბორბლების ღრჭიალი მომესმა, რამაც საგრძნობლად გამომაფხიზლა და გვერდზე გადავხტი. თურმე ეტლმა ჩამიქროლა, ჰერცოგის მეუღლეს რომ დაატარებდა, კარეტიდან ლაიბ-მედიკოსმა გამოიხედა, თავი მდაბლად დამიკრა და თავაზიანად შემომთავაზა შევყოლოდი შინ. კარეტიდან გადმოსვლისას მითხრა:

— ეს-ეს არის ავრელიასაგან მოვდივარ და ბევრი რამე მაქვს თქვენთვის სათქმელი.

როგორც კი მის ოთახში შევედი, ლაიბ-მედიკოსმა დაიწყო:

— თქვენ, ბატონო ჩემო, ერთობ ფიცხი და წინდაუხედავი კაცი ბრძანდებით. ასე მოქცევა არ შეიძლება. მოჩვენებასავით გამოეცხადეთ ავრელიას და საწყალი გოგო, რომელსაც ნერვები არ უვარგა, ამის გამო ავად გახდა.

ექიმმა დაინახა, როგორ მეცვალა ფერი.

— ნუ გეშინიათ, ცუდი არაფერი მომხდარა, — განაგრძო მან, — ამჯერად უკეთ არის და ბალში სეირნობა შეუძლია. ხვალ კი ჰერცოგის მეუღლესთან ერთად რეზიდენციაში დაბრუნდება. ავრელიამ თქვენზე ბევრი მელაპარაკა. მას გულით უნდა კვლავ გიხილოთ, რომ ბოდიში მოგიხადოთ, ბრიყვი და სულელი არ ვეგონოთ.

როცა გამახსენდა, რა მოხდა ჩვენ შორის ქალაქგარეთ გასართობ სასახლეში, ვერაფრით ამეხსნა, რას ნიშნავდა ავრელიას ეს ნათქვამი. ეტყობა, ექიმმა უკვე იცოდა, რა განეზრახა ჰერცოგს ჩემთან დაკავშირებით. მან ეს აშკარად მაგრძნობინა და თავისი გადამდები სიცოცხლისმოყვარულობით მთლად განმიქარვა მჭმუნვარე განწყობილება და ჩვენი საუბარი საბოლოოდ მხიარულად წარიმართა. მან აღმიწერა, როგორ შეხვდა ავრელიას, რომელიც ბავშვივით ვერ გამოფხიზლებულიყო მძი-

მე სიზმრისაგან, საწოლში იწვა, პაწია თავი ხელებში ჩაერგო და თავის ავადმყოფურ ხილვებზე ჩიოდა. ლაიბ-მედიკოსი იმეორებდა ფერმიხდილი, მოკრძალებული გოგონას სიტყვებს, ბაძავდა მის ხმას, დროდადრო ღრმად ამოიხვნეშებდა, ზოგჯერ ხუმრობით გამოაჯავრებდა მის დაჩივლებას, ერთი-ორი თამამი ირონიული შტრიხით ისე ცხოვლად დახატა ავრელიას მომხიბვლელი სახე, რომ იგი კვლავ ცოცხლად დაუდგა თვალწინ და სიხარულისაგან გაბრწყინებული თვალებით მიღიმოდა. ამავე დროს ლაიბ-მედიკოსმა ავრელიასთან კონტრასტში წარმოადგინა მედიდური ამპარტავნობა ჰერცოგის მეუღლისა, რამაც გვარიანად გამართო და გამამხნევა.

— ხომ ვერც წარმოიდგენდით, ჰო, ვერც გაიფიქრებდით, რომ ჰერცოგის რეზიდენციაში მოხვდებოდით და ამდენი საოცარი რამ შეგემთხვეოდათ, ის ჭკუისდამაბნეველი გაუგებრობა, რამაც კრიმინალური სასამართლოს ხელში ჩაგაგდოთ, ხოლო შემდეგ ის მართლაც შესაშური და სანატრელი ბედნიერება, რაც თქვენმა უავგუსტოესმა მეგობარმა განგიმზადათ.

— მართალი გითხრათ, თავიდანვე ბედნიერ ხვედრად ჩავთვალე და დიდი სიამე მომანიჭა მისი უდიდებულესობის კეთილგანწყობამ და ახლა რომ ასე პატივს მდებენ და დიდ გულისყურს იჩენენ ჩემდამი სასახლეში, ეს ჰერცოგის წყალობაა და ამას ვუმადლი ჩემგან გადატანილ უსამართლობას, რაიც ბედმა თავზე დამატეხა.

— არა, აქ მთავარია სრულიად სხვა გარემოება, რასაც თვითონაც მიხვდებით.

— მგონი, საგანგებო მიხვედრილობით ვერ გამოვირჩევი.

— საქმე ის არის, მოწყალეო ბატონო, თუმცა ძველებურად ბატონ ლეონარდს გეძახიან უბრალოდ, მაინც უკვე ყველასათვის ცნობილი გახდა, დიდგვაროვანი რომ ბრძანდებით, რაკი ეს დამტკიცდა პოზნანიდან მიღებული ცნობებით.

— კი მაგრამ, როგორ შეიძლება ამ გარემოებამ ზეგავლენა მოახდინოს ჰერცოგზე და გამოხატულება ჰპოვოს იმ პატივისცემაზე, რითაც ვსარგებლობ სასახლის წრეებში. როცა პირველად გამეცნო ჰერცოგი და სასახლეში ყოფნა შემომთავაზა, უარი ვუთხარი, თანაც დავსძინე, იქნებ ჩემმა ბიურგერულმა წარმომავლობამ შემიშალოს-მეთქი ხელი. მაგრამ ჰერცოგმა მაშინ განმიცხადა, რომ სწორედ მეცნიერება მანიჭებს კეთილშობილ წარმომავლობას და შესაძლებლად ხდის ჩემს სასახლეში ყოფნას.

— რა თქმა უნდა, ჰერცოგი იცავს ამ თვალსაზრისს. კოკეტობს თავისი განმანათლებლური დამოკიდებულებით ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი. თქვენ ალბათ შეამჩნევდით სასახლის წრეებში ბიურგერული წარმოშობის მეცნიერებსა და ხელოვნებს, მაგრამ მათ შორის იშვიათად მოიპოვებიან ფაქიზი განცდის მქონენი, რომელთაც არ აკლიათ შინაგანი მყოფობის სიმსუბუქე შერწყმული ლაღ ირონიასთან მაღალი გაგებით და ეს უპირატესობა მათ გარშემო მყოფებზე მაღლა აყენებს. ასეთები კი იშვიათად კი არადა, საერთოდ არც არსებობენ. დიდგვაროვანის ქცევაში, როცა იგი ცდილობს თავი ცრურწმენისაგან განთავისუფლებულად მოგაჩვენოს, ხოლო უბრალო ბიურგერისადმი მის დამო-

კიდებულებაში თავს იჩენს შემწყნარებლობისა და მოთმინებისმაგვარი რამ. ამის ატანა კი არ შეუძლია ადამიანს, რომელსაც კანონიერი სი-ამაყე ეუფლება კეთილშობილთა საზოგადოებაში იმის გამო, რომ სწო-რედ ის უნდა იყოს შემწყნარე და მომთმენი გარშემო მყოფთა ყოველდღიური გაცვეთილობისა და უგემოვნების მიმართ. თქვენ თვითონ, ბატონო ლეონარდ, კეთილშობილი გვარის კაცი ბრძანდებით და, როგორც ყუ-რი მოვკარი, სოლიდური სამეცნიერო განათლება გაქვთ მიღებული. ამი-ტომაც იქნებ სწორედ თქვენ იყოთ პირველი დიდგვაროვანი, ვისაც აერაფერი შეუმჩნევია ამ სასახლეში დიდგვაროვნული, ამ სიტყვის ცუ-დი გაგებით. თქვენ იქნებ იფიქროთ, რომ ამჯერად გამოვხატავ წინას-წარშემუშავებულ ბიურგერულ საზრისებს ანდა პიროვნულად რაღაც ისეთი შემემთხვა, რამაც ჩემში ცრურწმენის გაჩენა გამოიწვია. მაგრამ ეს ასე არ არის. მე თვითონ იმ კლასის წარმომადგენელი ვარ, რომლის მიმართ ყველას გამონაკლისის სახით არა მხოლოდ მოთმინება, არამედ მოვლა და პატივისმიგება მართებს. ექიმები და სასულიერო მამები წა-რმმართველი მეუფეები არიან, ისინი ადამიანის სულსა და ხორცს პა-ტრონობენ, ამიტომაც შეიძლება ჭეშმარიტ დიდგვაროვნებად ჩაითვა-ლონ. კეთილშობილური გვარი როდი ათავისუფლებს კაცს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლილობისა ანდა ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვედრის შიშისაგან. და ეს მხოლოდ კათოლიკე სულიერ მამებზე თუ ითქმის, მხოლოდ ისინი თუ უთანაბრდებიან დიდ-გვაროვნებს, თორემ პროტესტანტი ქადაგები უფრო შინაურ ოფიცი-ანტებად გამოდგებიან და თუკი მოწყალე მებატონეებს გულს აუჩუ-ყებენ და სინდისში ჩაავდებენ, ნება მიეცემათ გაშლილ სუფრას სადმე კუთხეში მიუსხდნენ და ჩვეული თვინიერებით მიირთვან შემწვარ-მო-ხრაკულები და ზედ ღვინოც დააყოლონ. იქნებ ძნელიც იყოს გადაჩ-ვიო მენში ღრმად ფესვგადგმულ ცრურწმენას, მაგრამ უმთავრეს შე-მთხვევაში საამისო სურვილიც კი გიქრება, ხოლო საიმპერიო დიდგვა-როვანს უთუოდ ჰგონია თავისი კეთილშობილი წარმომავლობის გამო აქვს უფლება დაიკავოს თვალსაჩინო ადგილი მაღალ საზოგადოებაში, რომლის ღირსი იგი ოდნავადაც კი არ იქნებოდა, თუკი ამაში ხელს არ შეუწყობდა მისი გვარიშვილობა. ჩვენს სულიერებისაკენ მიდრეკილ საუკუნეში წინაპრებითა და დიდგვაროვნობით თავის მოწონება უკიდუ-რესად უცნაურ, ლამის სასაცილო გამოვლინებად იქცევა. რაინდობისა-გან, ომისა და იარაღიდან გამომდინარე, იქმნება კასტა, რომელიც სა-განგებოდ იცავს და მფარველობს საზოგადოების ყველა ფენასა და წო-დებას, ხოლო დაქვემდებარებული დამოკიდებულება დასაცველისა დამ-ცველის წინააღმდეგ თავისთავად წარმოიშვება. რამდენიც არ უნდა მოიწონოს თავი სწავლულმა თავისი მეცნიერებით, მხატვარმა თავისი ხელოვნებით, ხელოსანმა თუ ვაჭარმა თავისი ნახელავით, რაინდი მაინც ამბობს: „აი, ხომ ხედავთ, მოდის დაუძინებელი მტერი, რომელსაც თქვენ, საომარ ქმედებებში უმეცარნი, ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ. მე კი საფუძვლიანად გაწვრთნილი ვარ იარაღის ხმარებაში და ჩემეული საბრძოლო მახვილით ვდგები თქვენ წინაშე, რათა გადა-ვარჩინო თქვენი სიცოცხლე, თქვენი ავლადიდება“. მაგრამ მიწის უხეში ძალა სულ უფრო მეტად უჩინარდება, სულ უფრო მეტად ილწვის და

ქმედებს შემოქმედი სული, სულ უფრო მეტად იხსნის საბურველს. მისი ყოვლისმძლეველი ძალი. მალე აშკარა ხდება, რომ მაგარი მუშტი, ჯავშანი და ძალუმად შემართული მახვილი არ კმარა დახმლო[illegible], რაც სულს სწადია. ჩვენს დროში უკვე თვითონ ომი და საომარი ქმედებაც ემორჩილება სულიერ პრინციპს. ყოველი ადამიანის მდგომარეობა დიდადაა დამოკიდებული საკუთრივ მის შინაგან ღირსება-ღირსეულებაზე, იქამდე რომ, თუკი სახელმწიფოებრივი კანონები აღიარებენ მის უფლებას რომელიმე ბრწყინვალე საზოგადოებრივ პოსტზე, მან უნდა დაადასტუროს ეს უფლება შესაბამისი სულიერი განვითარებით. წინაპრებით თავის მოწონება რაინდული ტრადიციებიდან გამომდინარე იმ საპირისპირო პრინციპს ემყარება, რაც გამოხატულებას პოულობს სიტყვებში: „თუკი ჩემი წინაპრები გმირები იყვნენ, ეს იმას ნიშნავს, მეც გმირი ვარ". რაც უფრო მეტად წავლენ ეს გმირი წინაპრები ისტორიის სიღრმეში, მით უკეთესია. თუ ვინმეს ბაბუას წარსულში აზნაურობა უბოძეს, ადვილი ხდება იმის დანახვა, როგორ მიაღწია მან გმირობას, ხოლო ჩვენთან ახლო მყოფთ სულ ახლახან მომხდარი საოცრებებისა ჩვეულებრივ ძნელად სჯერათ. ყოველ შემთხვევაში რაინდული სიამაყის რაციონალური საფუძვლები ემყარება გმირულ სულსა და სხეულის ძალოვანებას, ჯან-ღონით სავსე, ფიზიკურად ძლიერ მშობლებს ჩვეულებრივ ასეთივე შვილები ჰყავთ. ასევე გადაეცემა მემკვიდრეობით აგრეთვე მებრძოლი სული და ფიზიკური სიმამაცე. დაცვა სისხლის სიწმინდისა რაინდულ კასტაში ფაქტიური მოთხოვნილება იყო ძველ დროში. და არცთუ მცირე იქნებოდა დამსახურება ძველი დიდგვაროვანი ასულისა, თუკი იგი შობდა იუნკერს, რომელიც საწყალ ბიურგერთა სამყაროს ვედრებით მიმართავდა: „კი ნუ შემჭამ, გეთაყვა, არამედ დამიფარე სხვა იუნკერებისაგან, კბილებს რომ ილესავენ ჩემზე". მაგრამ ინტელექტუალური შესაძლებლობა იშვიათად გადაეცემა ხოლმე მემკვიდრეობით, ბრძენი მამის შვილები უმრავლეს შემთხვევაში ყეყეჩები გამოდიან. ამიტომაც ჩვენს დროში, რომელიც სულიერ რაინდობას უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებს ფიზიკურთან შედარებით, წარმომავლობის თვალსაზრისით ბევრად უფრო საშიშია დაბადების ფესვებით ლაიბნიცის მოდგმისა იყო, ვიდრე ამადეუს გალელისა ანდა „მრგვალი მაგიდის" სხვა ძველისძველი რაინდებისა. ეპოქის სული ერთხელ დადგენილი მიმართულებით წინ მიიწევს, ხოლო მდგომარეობა დიდგვაროვნებისა, რომლებიც მუდამ ცდილობენ წარსულით თავის მოწონებას, საგრძნობლად უარ[illegible]ლება. ამით აიხსნება გერმანული საიმპერიო თავადაზნაურობის თავდა[illegible]ერლობა და უტაქტო ქცევა სხვა წოდების მატრაკვეცებთან მიმართებაში, რომლებმაც საკუთარი ტალანტისა და დამსახურების წყალობით წინ წამოიწიეს. ეს ქცევა, რომელიც წარმოადგენს რაღაც უცნაურ ნაზავს ფაქტიურ დამსახურებათა აღიარებისა და ყბადაღებული შემწყნარებლობისა, რაიც შესაძლოა საკუთარ უპირატესობათა შეგრძნებას ემყარებოდეს, ხომ არ აიხსნება ბუნდოვანი, ჯერ კიდევ მოკრძალებული შეგნებით ის, რომ ჭკვიანი ადამიანების თვალში შუა საუკუნოებრივი ტრადიციების მოძველებულმა ზიზილ-პიპილებმა კარგა ხანია რაც ჩირი მოგვჭამა და უკვე აღარც კი ძალუძს ნიღაბი ჩამოხსნას მასში დაგმანულ არარაობას და მთელი თავისი სიშიშვლით სასაცილოდ გამოიყურებიან.

ახლა კი ისღა დაგვრჩენია განგების ძალას მადლი შევწიროთ, იმის გამო, რომ მრავალი წარჩინებული გვარის მამაკაცმა თუ მანდილოსანმა შეიცნო თანამედროვე ეპოქის სული და გრანდიოზულ სიმაღლეზე აიყვანეს ხელოვნება და მეცნიერება. და ეჭვგარეშეა მა[illegible] დროთა განმავლობაში გაანთავისუფლონ დღევანდელი გერმანული თავადაზნაურობა ჩვენ მიერ ხსენებული სასაცილო და უაზრო თავისებურებებისაგან.

ლაიბ-მედიკოსის სიტყვებმა ჩემთვის დღემდე სრულიად უცნობი სამყარო გადამიშალა. აქამდე არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, განმესაჯა თავადაზნაურობა და მისი დამოკიდებულება ბიურგერთა კლასთან. ეტყობა, პატივცემული ლაიბ-ექიმი არც კი ეჭვობდა, რომ მე თვითონ ოდესღაც მივეკუთვნებოდი ამ კლასს, თანაც იმ ფენას, რომელზედაც არ ვრცელდება წარჩინებული გვარის კაცთა მძულვარე დამოკიდებულება. მე ხომ ნამდვილად ვიყავი დიდად პატივცემული და უაღრესად ღირსსაცნობი სასულიერო პირი ყველაზე დიდი გვარის ოჯახიდან ბ-ში. როცა ღრმად ჩავუკვირდი ჩემს მდგომარეობას, დავიჯერე, რომ საკუთარი ბედი თვითონვე შევცვალე, როცა სასახლის ხანდაზმულ ქალბატონთან საუბარში მოვიხსენიე, რომ დავიბადე კვიჩჩევოში და წარმომავლობით წარჩინებული გვარისა ვიყავი. აქედან წარმოიშვა აუცილებლობა თავი აზნაურ კრჩინსკად გამომეცხადებინა, და სწორედ ამან ჩააგონა ჰერცოგს ჩემთვის მოეთხოვებინა ავრელია.

ჰერცოგის მეუღლე დაბრუნდა. მე კი საჩქაროდ გავსწიე ავრელიასთან. იგი მომხიბვლელი ქალწულებრივი კრძალვით შემეგება. მოვეხვიე და ამ წუთში დავიჯერე კიდეც, რომ იგი შეიძლებოდა ჩემი ცოლი გამხდარიყო. თვინიერი იყო და მორჩილი, ასეთი არასოდეს მენახა. თვალები ცრემლებით ავსებოდა. უწყინარი ხმით მეუბნებოდა, დამწუხრებული შემუდარებოდა პატიებას, თითქოს ჭირვეული ბავშვი ყოფილიყო, და გამოტყდა, რომ ცუდად მოიქცა. მინდოდა გამეხსენებინა, როგორ ვეწვიე ჰერცოგის მეუღლის ქალაქგარე სასახლეში, თავი მოვიკალი, უსათუოდ ყველაფერი უნდა ვიცოდე-მეთქი. ვევედრებოდი ავრელიას, მითხარი, რა მოგივიდა იმ დღეს, ასე რამ დაგაფრთხო და შეგაშფოთა-მეთქი. ავრელია ხმას არ იღებდა, თვალები ძირს დაეხარა. სწორედ ამ წუთას შემიპყრო ჩემს შემაძრწუნებელ ორეულზე ფიქრმა და ვიყვირე:

— ავრელია, ყველა წმინდანს გაფიცებ, მითხარი, ვისი საშინელი სახება მოგელანდა მაშინ ჩვენს ახლოს?

იგი გაოცებული მიცქეროდა, მისი მზერა თანდათან გაქვავებული და უძრავი გახდა, მერე მკვირცხლად ფეხზე წამოდგა, თითქოსდა გაქცევა უნდოდა, მაგრამ გაჩერდა, იქაურობას აღარ მოშორებია. ქვითინი აუვარდა, სახეზე ხელები აიფარა.

— არა, არა და არა, ეს ხომ ის არ არის! — აღმოხდა მას და მეც ნაზად შემოვხვიე წელზე ხელი. იგი კი ძალაგამოცლილი ძირს დაეცა.

— ვინ ის? ვინ არ არის ის? — ვკითხე აღელვებული ხმით, კარგად მივხვდი, რაც ხდებოდა მის სულში.

— ო, ჩემო ძვირფასო, ჩემო სიცოცხლევ, — მეუბნებოდა წყნარი და მწუხარე, — გიჟ მეზღაპრედ ხომ არ ჩამთვლი, თუკი ყველაფერს,

ყველაფერს გეტყვი, რა მიშლის განუწყვეტლივ ხელს, რომ სრულად შევიტკბო ტრფობის უწმინდესი მადლი, სწორედ ეს ზმანება თავისი საშინელი ხილვებით რომ მიწამლავს მთელ ცხოვრებას, სულს მიფორიაქებს და გულშემზარავად დაძრწის ჩვენ შორის მას შემდეგ, რაც პირველად შევხვდით ერთმანეთს. სწორედ იმან ჩამოიქროლა თავისი ცივი, სიკვდილის მაუწყებელი ფრთებით ჰერცოგის მეუღლის ქალაქგარე სასახლეში, როცა მოულოდნელად შემოაღე ჩემი ოთახის კარი. კარგად იცოდე, ზუსტად ასეთ პოზაში, შენ რომ იყავი მაშინ, იდგა ოდესლაც ჩემ წინაშე შეჩვენებული მღვდელი მუხლებზე დაჩოქილი და უხდოდა წმინდა ლოცვა შეებილწა ბოროტნეული ქმედებით და მკრეხელური ცოდვა ჩაედინა. იგი ისე ცბიერად მოიწევდა ჩემკენ, როგორც მტაცებელი მხეცი მიეპარება ხოლმე თავის ნადავლს, მაგრამ ჩემს ძმას შეეჩეხა და სიცოცხლე მოუსწრაფა. მაგრამ შენ ხომ... შენი სახის ნაკვთები, შენი ხმა... გევედრები, ნუ მათქმევინებ, სჯობს გავჩუმდე!

ავრელია ნახევრად მიესვენა დივანზე, თავით ხელებზე დაეყრდნო. მისი ნორჩი დიდებული სხეული უფრო მაცდუნებლად იმზირებოდა, ვიდრე ოდესმე, ვიდექი მის წინაშე და ავხორცულად შევცქეროდი უსასრულო ტრფობით აღსავსე მის საოცარ მშვენებას. ამავე დროს ჩემს სულში გააფთრებული ებრძოდა ერთმანეთს ვნებიანი ნდომა, სასტიკად რომ წყუროდა მიწიური განცხრომა, და დემონური დამცინაობა, რომელიც გამუდმებით ჩამძახოდა ყურში: „ო, შე ბედკრულო სატანის კერძო! ხომ არ გგონია, რომ გამოექცეი იმ მღვდელს, რომელსაც ლოცვის ჟამს უნდოდა შენი ცდუნება? შენ ხომ იმისი სასძლო ხარ, სასძლო!"
ამ წუთში სრულიად გამიქრა ავრელიასადმი სიყვარული, რომელმაც ზეციურ ნათებად იფეთქა ჩემში, როცა ციხესა და სიკვდილს თავი დავაღწიე და კვლავ ვიხილე იგი პარკში. ახლა მთელი არსებით შემიპყრო ერთადერთმა ფიქრმა, რომ მისი დაღუპვა ჩემი ცხოვრების ყველაზე პრწყინვალე და ყველაზე ნათელი წამი შეიძლება გახდეს. ავრელიას ჰერცოგის მეუღლემ უხმო. თანდათან ცხადი გახდა, რომ ავრელიას ჩემთან რაღაც სრულიად უცნობი და გაუგებარი დამოკიდებულება აკავშირებდა, მაგრამ ვერასგზით ვერ შემეტყო, რა იყო ეს. იგი ამის შესახებ ჩემი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად არას მეუბნებოდა, თუმცა ხანდახან რაღაც გაურკვეველ ფრაზებს წამოისროდა ხოლმე, მაგრამ სრული ახსნა-განმარტებებისაგან თავს იკავებდა.

ერთმა შემთხვევამ გამოააშკარავა, რაზეც ავრელია დუმდა. ერთხელ ვინმე მოხელის ოთახში ვიმყოფებოდი, ვის მოვალეობასაც შეადგენდა ჰერცოგისა და სასახლის სხვა მკვიდრთა პირადი მიწერ-მოწერის მოწესრიგება. მოხელე სადღაც იყო გასული, ამ დროს ოთახში შემოვიდა ავრელიას მოახლე, დიდი წერილით ხელში. წერილი მაგიდაზე დადო, სადაც სხვა წერილებიც ელაგა. წერილს თვალი გადავავლე და შევამჩნიე ავრელიას ხელით დაწერილი მისამართი. წერილი ეგზავნებოდა აბატისას, ჰერცოგის მეუღლის დას. ელვისებური სისწრაფით გავიფიქრე, ამით ჩემთვის დაფარულ და მიუკვლეველ საიდუმლოს შევიტყობ-მეთქი, და ვიდრემდე მოხელე დაბრუნდებოდა, ავრელიას წერილს ხელი დავტაცე და ოთახიდან გავედი.

შენ არა ამასოფლისაგანო ანდა ამა სოფლის ჭაპანწყვეტაში ქანცგაწყვეტილო, ვისაც ჩემ მიერ განვლილი ცხოვრების გზა შეგონებად და გაფრთხილებად გქცევია, წაიკითხე მონანიე ცოდვილის სასოებადაკარგული მწარე ცრემლებით განბანილი ეს ფურცლები, რომლებიც ჩემს ვრცელ ნაამბობს დავურთავ, წაიკითხე უბიწო და უცოდველ[illegible] გამხელილი ფიქრები! დაე შენს სულში აღმობრწყინდეს ღვთისმოსავ გრძნობათა წრფელი სურვილების აღსრულება, ვითარცა სხივმოსილი ნუგეში ცოდვისა და ბრალის ამ საბედისწერო შერკინების ჟამს!

ავრელიას წერილი კარტეზიანული დედათა მონასტრის აბატისასადმი

ჩემო უძვირფასესო სათნო დედაო! სიტყვები ვერ მომიძებნია, რათა გამცნო, რაოდენ ბედნიერია შვილი შენი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს განიშორა ის შემზარავი სახება, რომელიც ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა, ვითარცა შემაძრწუნებელი, დამაფრთხობელი მოჩვენება, რამაც ცხოვრების ყველა ყვავილი დამიჭკნო, ყველანაირი სასოება წარმიკვეთა, იგი განიდევნა ჩემგან სიყვარულის ღვთაებრივი ჯადო-გრძნების მეოხებით, მაგრამ გულზე მძიმე ლოდად მაწევს ფიქრი ჩემს უბედურ ძმაზე, მამაზე, რომელსაც მწუხარებამ მოუღო ბოლო. უნუგეშო წუხილში ჩავარდნილმა მინდა გითხრა წმინდა აღსარება, მინდა გამცნო ბნელი საიდუმლო, რასაც გულში ვინახავდი და რაიც დღემდე არვისთვის გამიმხელია.

თითქოსდა რაღაც გამოუცნობმა უკეთურმა ძალამ მაცდუნა და ჩემი ცხოვრების ზენარი ნეტარება შემაძრწუნებელი სახით წარმომიჩინა. თითქოსდა ზღვის აბობოქრებულ ტალღებზე მოქანავე დანჯღრეული ნავივით აქეთ-იქით ვეხეთქებოდი და იქნებ განწირულიც ვიყავი დასაღუპავად. მაგრამ განგებამ შემიწყალა და ჩემდა გასაოცრად სწორედ იმ წამში გადამარჩინა, როცა საბოლოოდ გადავწყვიტე, აღარაფერი მეშველება-მეთქი, როცა ენით უთქმელ გასაჭირში ჩავარდნილს სრულიად დამეკარგა გადარჩენის იმედი.

ყველაფერი რომ გიამბო, ჩემი ბავშვობის ადრინდელ წლებს უნდა დავუბრუნდე, რადგან სწორედ მაშინ ჩაისახა ჩემს სულში პირველი მარცვალი, რომელიც თანდათან წლების მანძილზე დამღუპველად ღვივდებოდა. ჯერაც სამი თუ ოთხი წლის ბავშვი ვიყავი, როცა გაზაფხულის ერთ უმშვენიერეს დილას ჰერმოგენთან ერთად ჩვენი სასახლის ბაღში ვსეირნობდი. ათასფერადი ყვავილები დავკრიფე. ჰერმოგენი გვირგვინებს მიწნავდა, რაც მისთვის სრულიად უჩვეულო საქციელი იყო, მერე კი ნება დამრთო ამ გვირგვინებით მოვრთულ-მოვკაზმულიყავი. როცა თავიდან ფეხებამდე შევიმკე ყვავილებით და თავი გავიმშვენიერე, ძმას ვუთხარი, დედასთან წავიდეთ-მეთქი. ჰერმოგენი გველნაკბენივით წამოხტა და გააფთრებით მიყვირა: „არა, პაწია, სჯობს აქ დავრჩე, რადგან დედა თავის ცისფერ ოთახშია და ეშმაკს ელაპარაკება“.

მე არ ვიცოდი, რა მითხრა ჰერმოგენმა, მაგრამ შიშისაგან კი გავქვავდი და საწყალობლად ავქვითინდი. „რა გაღრიალებს, სულელო დაიკო! — მამშვიდებდა იგი, — დედიკო ყოველდღე ელაპარაკება ეშმაკს, მაგრამ ეშმაკი არაფერს უშავებს მას“. ხმა ველარ ამოვიღე, რადგან ჰერმოგენისა შემეშინდა, რაკი იგი მოღუშული მიყურებდა, თან ისე უკმეხად მელაპარაკებოდა, წარმოდგენაც არ მქონდა, რისი თქმა უნდოდა ამით. ამ დროს დედა ძალიან ავად იყო. ხშირად საშინელი კრუნჩხვები ემართებოდა და დიდხანს ეგდო მკვდარივით გულშეღონებული. ამ დროს მე და ჰერმოგენს ოთახში აღარ გვაჩერებდნენ, რის გამოც მუდამ ვტიროდი, ჰერმოგენი კი დაგუბული ხმით იმეორებდა, ამ დღეში დედა ეშმაკმა ჩააგდოო. და ასე გაჩნდა ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში ფიქრი იმაზე, რომ დედას კავშირი ჰქონდა ბოროტნეულ საძულველ მოჩვენებასთან, სხვაგვარად ეშმაკი ვერც წარმომედგინა, რადგან საეკლესიო მოძღვრებაში ჯერაც უმეცარი ვიყავი. ერთხელ როგორღაც მარტო დამტოვეს. უეცრად თავი უგუნებოდ ვიგრძენი, შიშმა ამიტანა და გონზე ვერც კი მოვედი, ისე აღმოვჩნდი ცისფერ ოთახში, სადაც ჰერმოგენის მტკიცებით დედა ეშმაკს ებაასებოდა. მოულოდნელად ცისფერი ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა დედა, რომელსაც სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა. იგი შიშველი გაჩერდა კედლის წინ, მერე ჩახლეჩილი, მუდარით აღსავსე ხმით იყვირა: „ფრანჩესკო!“ კედლის უკან რაღაცამ გაიშრიალა და გაიფაჩუნა. კედელი შეინძრა და მე დავინახე იისფერ მოსასხამში უცნაურად მოსილი ულამაზესი ჭაბუკის უზარმაზარი პორტრეტი. ჭაბუკის შესახედაობამ და პირისახემ მომხიბლა. იგი იმზომ მომეწონა, სიხარულისაგან ვიყვირე. დედამ მოიხედა, ადრე ჩემი იქ ყოფნა ვერც შეამჩნია და აღელვებულმა მკითხა: „შენ აქ რა გინდა, ავრელია? ვინ მოგიყვანა?“ დედა, მუდამ თვინიერი და სათნო, ახლა ნამეტნავად მრისხანე მეჩვენა. ასეთი იგი არასოდეს მენახა. თავი დამნაშავედ ვიგრძენი და აცრემლებულმა წავიბუტბუტე: „მე არ მინდოდა, მაგრამ მარტო დამტოვეს და თვითონაც არ ვიცი, აქ როგორ მოვხვდი.“ სურათი უკვე აღარსად იყო, იგი შეუმჩნევლად გაუჩინარდა. როგორც კი ეს დავინახე, წამოვიყვირე: „ო, ეს მშვენიერი სურათი სად გაქრა ნეტა? სად დაიკარგა საუცხოო სურათი ულამაზესი ჭაბუკის?“ დედამ ხელში ამიყვანა, მაკოცა, მომეფერა და მითხრა: „შენ ხომ ჩემი საყვარელი და კარგი გოგო ხარ, მაგრამ ეს სურათი თვალით არავინ არ უნდა ნახოს, ამიტომაც ვერც ვერავინ იხილავს იმას დღეის ამას იქით“.

რაც დამემართა, არავისთვის გამიმხელია, მხოლოდ ერთხელ ჰერმოგენს კი ვუთხარი: „მომისმინე. დედა ეშმაკს კი არ ელაპარაკება, არამედ ულამაზეს მამაკაცს, რომელიც სურათზე ხატია და იგი კედლიდან გადმოხტება ხოლმე, როცა კი დედიკო მოუხმობს“. ჰერმოგენი დიდხანს მომშტერებოდა გაქვავებული თვალებით, მერე კი წაიბუტბუტა: „ბატონი მღვდელი ბრძანებს, რომ ეშმაკს შეუძლია სხვადასხვა სახით გამოგვეცხადოს, მაგრამ შენ ნუ გეშინია, იგი დედას არაფერს დაუშავებს“.

საშინელმა შიშმა შემიპყრო და ჰერმოგენს მუდარით შევთხოვე, ეშმაკზე აღარასოდეს აღარ დამელაპარაკო-მეთქი. ჩვენ დედაქალაქში გა-

დავედით. მალე ეშმაკის არსებობა სრულიად მიმავიწყდა, ის სურათი ჩემს მეხსიერებაში დაიკარგა, მაშინაც კი არ გაცოცხლებულა, როცა დედა გარდაიცვალა და კვლავ სასახლეში დავბრუნდით. სასახლის იმ ფლიგელში, სადაც ცისფერი კაბინეტი მდებარეობდა, კვლავაც არავინ სახლობდა. აქ დედის საცხოვრებელი ოთახები იყო განლაგებული. მამას იქ შესვლა არ შეეძლო, რადგან ეშინოდა უმძიმესი მოგონებები არ გაეღვიძებინა იმ ოთახებში შესვლას. სასახლის რემონტთან დაკავშირებით საჭირო გახდა მისი გაღება და მე ცისფერ კაბინეტში შევედი სწორედ იმხანად, როცა მუშები იატაკს ჰყრიდნენ. ერთმა მათგანმა ოთახის შუა ალაგას პანელი ასწია და კედლის უკან რაღაცამ გაიშრიალა. კედელი გაიხსნა და გამოჩნდა უზარმაზარი პორტრეტი, რაზეც უცნობი მამაკაცი იყო მთელი ტანით გამოსახული. იატაკში აღმოაჩინეს ზამბარა, რომელიც, თითს დააჭერდი თუ არა, კედელში ჩატანებული მექანიზმის მეშვეობით მოძრაობდა, ხოლო ხის პანელით კედელი იხსნებოდა. როგორც კი პორტრეტი დავინახე, უმალ გამახსენდა ბავშვობაში განცდილი ამბავი. ჩემს მეხსიერებაში ცოცხლად აღიბეჭდა ბავშვობის მოგონება და ცხარედ ავტირდი, მაგრამ უცნობი მშვენიერი მამაკაცის პორტრეტს თვალი ვერ მოვწყვიტე, იგი თავისი ლაჟვარდისფერი თვალებით ცოცხალივით შემომცქეროდა. ეტყობა, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს მამას და ისიც სასწრაფოდ შემოიჭრა კაბინეტში. მე ამ დროს ჯერ კიდევ პორტრეტის წინ ვიდექი გაოგნებული. როგორც კი მამამ სურათი დაინახა, ძრწოლვამ შეიპყრო, ერთხანს შეჩერდა, მერე კი ჩაიბურტყუნა: „ფრანჩესკო! ფრანჩესკო!“ მერე მუშებს მიუბრუნდა და ბრძანების კილოთი უთხრა: „ახლავე ამოტეხეთ ეს სურათი კედლიდან, ტილოში გაახვიეთ და რაინჰოლდს გადაეცით!“ სასტიკად შევშფოთდი იმაზე, რომ ამიერიდან ვერასოდეს ვნახავდი ულამაზესი და დიდებული მამაკაცის პორტრეტს, საოცარი სამოსელით რომ გამომეცხადა, ვითარცა მაღალღირსსაქებარი სულთა მეუფე, მაგრამ რატომღაც შემეშინდა მამისათვის მეთქვა, პორტრეტს ნუ გაანადგურებ-მეთქი.

ამ მოვლენით გამოწვეული შთაბეჭდილება რამდენიმე დღეში უკვალოდ გაქრა. უკვე თოთხმეტი წლისა გავხდი და ჩემი თავშეუკავებელი, დაუდგრომელი ხასიათი სრულად განესხვავებოდა ჰერმოგენის საოცარ სერიოზულობას. მამას ხშირად უთქვამს წუხილით, რომ ჩემი ძმა წყნარ და მოკრძალებულ გოგონას ჰგავს, ხოლო მე — ცელქ და გიჟმაჟ ბიჭს. მაგრამ მალე ყველაფერი სავსებით შეიცვალა. მამის სურვილი აღსრულდა. ჰერმოგენი დიდის გატაცებითა და შემართებით შეუდგა რაინდულ წვრთნას. ომი და ბრძოლა სიზმრად ჰქონდა გადაქცეული. მამას ემუდარებოდა, თუ ომი იქნება, ნება დამრთე საომრად წავიდე და სამხედრო სამსახურს მივსდიოო. ნატრობდა ომს და კიდევაც აუსრულდა წადილი.

ამასობაში სავსებით შევიცვალე, რაღაც აუხსნელი განწყობილება დამეუფლა, რამაც მთელი არსება ამიფორიაქა და ვერაფრით შემეტყო, რა იყო ჩემი ეს შეშფოთება და შეცბუნება, რამაც სიცოცხლის ძალა წამართვა და მთლად დამთრგუნა. ხშირად ლამის გული მიმდიოდა, მერე საოცარი ხატები და ოცნებები მეხვეოდნენ გარს, მეჩვენებოდა, თითქოს

მეშვიდე ცაზე ვიყავი ნეტარებასა და განცხრომაში წასული და ნამძინარევი ბავშვივით თვალების გახელა არ შემეძლო. ხან სიკვდილის მომლოდინე სევდით ვიყავი აღსავსე, ხანაც ცელქი და გიჟმაჟი. ბეწვისოდენა საბაბი და, სულ ცრემლებად ვიღვრებოდი, რაღაც აუხსნელი წუხილი მიპყრობდა, სხეულის ყველა ნაკვთი ისე მტკიოდა, რომ კრუნჩხვები მემართებოდა. მამა ხედავდა, რა ყოფაშიც ვიყავი ჩავარდნილი, და ნერვიულ გაღიზიანებას მიაწერა ჩემი სულიერი აშლილობა. ექიმებს შველას თხოვდა. ისინი რა საშუალებებს არ მიმართავდნენ, მაგრამ ამაო იყო ყველა მათი მცდელობა. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე, რომ სრულიად მოულოდნელად გამომეცხადა იმ უცნაური მამაკაცის მივიწყებული ხატება. თითქოს იგი ჩემ წინაშე იდგა და თანაგრძნობით მიყურებდა. „ო, ნუთუ უნდა მოვკვდე. რა არის ეს, ასე უსაშველოდ რომ მტანჯავს?“ — მივაძახე ოცნების ხატს. იმან კი ღიმილით მომიგო: „შენ გიყვარვარ, ავრელია. ეს არის შენი სატანჯველი, მაგრამ ღვთისთვის მიცემულ აღთქმას ხომ ვერ გავტეხ, შენც ხომ არ მაიძულებ ამას?“ ჩემდა გასაოცრად ახლაღა შევამჩნიე, რომ უცნობს კაპუცინის სამოსი ეცვა. რის ვაივაგლახით ძალა მოვიკრიბე და სიზმარეულ ხილვებისაგან გამოვფხიზლდი, მტკიცედ დავაჯერე თავი იმაში, რომ ეს მღვდელი ჩემი წარმოსახვის მატყუარა თამაში იყო და სხვა არაფერი. მაგრამ ამავე დროს ცხადად ვიგრძენი, როგორ გაცხადდა ჩემ წინაშე სიყვარულის საიდუმლო. დიახ, მე მიყვარდა უცნობი მამაკაცი ჩემს გულში ჩაღვიძებული გრძნობათა მთელი სისავსითა და ძალმოსილებით, უსასრულო ვნებებითა და ფორიაქით. იმ წუთში, როცა ოცნებებში ვიძირებოდი, როცა მეგონა, რომ თვალწინ ვხედავდი უცნობ მამაკაცს, ჩემი ავადმყოფური აშლილობა ზენიტს აღწევდა. მერე კი სასწრაფოდ უკეთ ვხდებოდი, ნერვული სისუსტე გამივლიდა, ხოლო უცხო სახებისადმი გამუდმებული და ჯიუტი თავგადაგება და მისადმი ფანტასტიკური ტრფობა, რითაც მთელი არსებით ვიყავი შეპყრობილი და რაიც მაცოცხლებდა, მეოცნებე გოგოს იერსა და შესახედაობას მძენდა. მე დავკარგე ინტერესი ყველაფრისადმი ჩემ გარშემო. გარინდებული ვიჯექი ჩემთვის, როცა საზოგადოებაში მოვხვდებოდი, ფიქრებში წასული ყურადღებას არ ვაქცევდი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ, რას ლაპარაკობდნენ. თუ რაიმეს მკითხავდნენ, დაბნეულად ვპასუხობდი და არამქვეყნიურ არსებას ვედარებოდი. ერთხელ ჩემი ძმის ოთახში მაგიდაზე უცხო წიგნი დავინახე. გადავშალე და ვნახე, რომ ეს იყო ინგლისურიდან თარგმნილი რომანი „მღვდელი“. ცივმა ოფლმა დამასხა. ჩემი უცნობი სატრფოც ხომ მღვდელი იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სიყვარული ღვთისმსახური კაცისადმი შეიძლებოდა ცოდვილი ყოფილიყო. მაგრამ მოულოდნელად გამახსენდა ჩემი უცნობი მღვდლის სიტყვები: „ღვთისთვის მიცემულ აღთქმას ხომ ვერ გავტეხ. შენც ხომ არ მაიძულებ ამას?“ ამ სიტყვებმა ახლა ღრმა ჭრილობა მომაყენა და მძიმე ტვირთად დააწვა სულს. ამ წიგნის წაკითხვას თითქოს რაღაც უნდა განემარტა და აეხსნა ჩემთვის. და შევუდექი წიგნის კითხვას. რომანის საოცარმა ფაბულამ მომხიბლა, მაგრამ პირველი მკვლელობა როცა მოხდა, რასაც მღვდლის მიერ ჩადენილი უფრო შემზარავი ბოროტმოქმედება მოჰყვა, ბოლოს კი ყველაფერი უწმინდურ ძალასთან დამყარებული ურთიერთობით

დასრულდა, გამოუთქმელმა ძრწოლამ შემიპყრო და გამახსენდა ჰერმოგენის სიტყვები: „დედა ეშმაკს ელაპარაკება“. ახლა კი დავიჯერე, რომ-მანის მღვდელი იყო უცნაური მამაკაცი, რომელიც ბოროტ ძალას შეეპყრა და ჩემი ცდუნება ეწადა. ამის მიუხედავად მაინც არ შემეძლო დამეოკებინა მისადმი სიყვარული, გულში რომ მენთო. მხოლოდ ახლა მივხვდი და ვირწმუნე, რომ შეიძლება ცოდვიანი სიყვარულიც არსებობდეს და ჩემი მძულვარება ცოდვილი ტრფობისადმი ებრძოდა გრძნობას, რამაც ძალუმად შემიპყრო და მეტისმეტად მომაჯადოვა. ხშირად ამ კაცის სიახლოვეს შემაძრწუნებელი განცდა მიპყრობდა, რადგან ანაზდეულად მეჩვენებოდა, სწორედ იგი იყო მღვდელი, ვისაც ჩემთვის ხელი ჩაევლო და უფსკრულისაკენ მიმაქანებდა. ერთხელ მამას სასულიერო პირი ეწვია, ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდებოდა ჩვენს ოჯახში. მღვდელმა ვრცლად ილაპარაკა ეშმას ათასგვარ ხრიკსა და მანქანებზე, იგი არაფერს ერიდება, რათა ადამიანი აცდუნოს და ბოროტნეულ გზას გაუყენოსო. სხვათა შორის მღვდელმა ისიც თქვა, რომ ეშმაკი მეტადრე ერჩის ყმაწვილებს, მძლავრად იკიდებს ფესვს ნორჩ სულებში, რადგან ჭაბუკის წინააღმდეგობა ნაკლები ძალისაა. მამამ ისეთი რამ თქვა, მომეჩვენა, მღვდელს ჩემზე ელაპარაკებოდა. ამაზე მღვდელმა მიუგო, რომ შეუცვლელი მხოლოდ უსაზღვრო რწმენაა, რომ ხსნა და გადარჩენა მარტოოდენ რელიგიაში უნდა ეძებო და სხვაგან არსად. ამ შესანიშნავმა საუბარმა განსაზღვრა ჩემი შინაგანი მრწამსი და გადავწყვიტე ნუგეში ეკლესიაში მეძებნა და გულის წუხილი მღვდლის წინაშე ცოდვათა მონანიების წრფელი აღსარებით განმექარვებინა. მეორე დღეს სისხამ დილით ახლო მდებარე მონასტრის ეკლესიაში წავედი. მაგრამ წინა ღამე ძლივს გავათიე, ისეთ სატანჯველში ჩავვარდი, მსგავსი საშინელება სიცოცხლეში არ მენახა. საშინელი და შემაძრწუნებელი სახეები მთელი ღამე არ მშორდებოდნენ და სულს მიხუთავდნენ. იმათ შორის იდგა მღვდელი, რომელმაც ხელი გამომიწოდა, თითქოსდა ჩემი გადარჩენა უნდოდა, თან მომძახოდა: „მითხარი, რომ გიყვარვარ, და ყველანაირი შეჭირვება მიგატოვებს“. მეც ჩემდა უნებურად ვამბობდი: „ჰო, მედარდუს, მიყვარხარ“. ეს ვთქვი და ჯოჯოხეთის სულებიც განმშორდნენ. განთიადისას კი ავდექი, ჩავიცვი და მონასტრის ეკლესიისაკენ გავეშურე.

დილის ნათელმა მკრთალი სხივები დააფრქვია ფანჯრის მინებს და ათასფერადად აბრჭყვიალა. ეკლესიის ერთი მორჩილი იატაკს ხვეტავდა წინკარში. საყდარში კუტიკარით შევედი. იქვე წმინდა როზალიას საკურთხეველი იდგა, მცირე ხნით შევყოვნდი, მოკლე ლოცვა წარმოვთქვი და ნაბიჯი გადავდგი სააღსარებო სკამისაკენ, იქ კი ვიხილე მღვდელი. ო, ზეციურნო ძალნო, ეს ხომ ნამდვილად მედარდუსი იყო. ამაში ეჭვი არც მეპარებოდა. იდუმალმა ძალამ მითხრა ეს. გიჟურმა შიშმა და სიყვარულმა ერთდროულად შემიპყრო, მაგრამ ვგრძნობდი, სულის ურყევი მხნეობა გადამარჩენდა. მღვდელს აღსარება ვუთხარი. ვუამბე ჩემს შეცოდებაზე, როგორ მიყვარდა ღვთის მსახური... უფრო მეტიც დამემართა, ისიც კი მომეჩვენა იმ წამს, თითქო გამოუვალ სასოწარკვეთაში ჩავარდნილი ნაწილობრივ კიდევაც ვწყევლიდი იმ წმინდა ბორკილებს, ჩემს შეყვარებულს რომ ბოჭავდა. „შენ თვითონ ხარ,

მედარდუს, ის, ვინც ასე გამოუთქმელი გრძნობით მიყვარს!“ ეს იყო ბოლო სიტყვები, რისი ამოთქმაც შევძელი. ეს იყო და რელიგიის კეთილისმყოფელი ნუგეში ზეციური ბალზამივით დაიფრქვა მღვდლის ბაგეთაგან, რომელიც უეცრად ჩემს თვალში აღარ იყო მედარდუსი. მალე ამის შემდეგ მხცოვანმა ღირსპატივცემულმა მლოცველთა ხელი მომკიდა, მთავარი ალაყაფის კარი გამომატარა და ნელი ნაბიჯებით გამომიყვანა ეკლესიიდან. მისი სიტყვა იყო წმინდა, ამაღლებული, მაგრამ მისმა ამოდმოსასმენმა სიტყვებმა ისეთი ძილი მომგვარა, თითქო ბავშვი ვიყავი და ნანინას მიმღერდნენ დაძინების წინ. მე გონება დავკარგე და აღარაფერი მახსოვს, რა მოხდა. როცა გონს მოვეგე და გამოვფხიზლდი, ჩემს ოთახში დივანზე ვიწექი ჩაცმული და ვიღაცის ლაპარაკი შემომესმა: „მადლობა ღმერთსა და ყველა წმინდანს, რომ კრიზისმა მშვიდობით ჩაიარა და გოგონას გამოკეთების პირი უჩანს!“ ეს ექიმი ელაპარაკებოდა მამაჩემს. მითხრეს, რომ გულშემოყრილი, გახევებული, ლამის სიკვდილის პირას მისული მნახეს და შეეშინდათ, ნერვულმა შოკმა ბოლო არ მოუღოსო. როგორც ხედავ, ჩემო ღვთისმოსავო და ტკბილო დედაო. მღვდელ მედარდუსის წინაშე ჩემ მიერ წარმოთქმული აღსარება ცხოველი ოცნება იყო მხოლოდ, გამოწვეული ჩემი მეტისმეტად ძღელვარე ყოფით, მაგრამ წმინდა როზალიამ, ვისაც გამუდმებით ვევედრებოდი და ვისი ხატებაც სიზმარ-ცხადში არ მცილდებოდა, ხსნა და შვება იმით მომაგო, რომ აშკარად დამანახა, როგორ დავაღწიე თავი უკეთური და ცბიერი მაცდურის მიერ მზაკვრულად დაგებულ მახეს. გიჟური სიყვარული მღვდლის ანაფორაში გახვეული მატყუარა აჩრდილისადმი სავსებით გამიქრა. მალე სრულიად განვიკურნე და ფეხზე დავდექი, კვლავ ლაღი და უჭირველი ცხოვრებით ვიცხოვრე, მაგრამ ღმერთო მაღალო და განგებიანო, ეს საძულველი მღვდელმსახური მე კვლავაც შემხვდა სიკვდილის მომვლინებელი შემზარავი სახით. სწორედ მედარდუსად შევიცანი წამიერად ის მღვდელი, რომელიც სასახლეში მომევლინა და ვისაც ოცნებაში აღსარება ვუთხარი. „ეს ის ეშმაკია, ვისაც დედა ელაპარაკება. უფრთხილდი, უფრთხილდი მას! შენ იგი ცდუნების გზაზე დაგაყენებს!“ — გამუდმებით ჩამძახოდა ბედკრული ჰერმოგენის ხმა. ო, მე არ მჭირდებოდა ეს გაფრთხილება, ისედაც ვიცოდი, ვინც იყო ეს მღვდელი. პირველი ნახვისთანავე, მას შემდეგ რაც ავხორცული ნდომით ანთებული თვალები მომაპყრო, შემდეგ კი პირფერული აღფრთოვანებით მოუხმო წმინდა როზალიას, მისადმი დაუძლეველი და შემზარავი გრძნობა დამეუფლა. შენ იცი, ჩემო კეთილო და მოყვარულო დედაო, რა საშინელი ამბებიც მოხდა ამის შემდეგ სასახლეში. მაგრამ როგორ არ უნდა გაგიმხილო, რომ ეს მღვდელი ჩემთვის საშიში გახდა მას შემდეგ, რაც იმან ჩემი სულის იდუმალი სიმი შეარხია და პირველად დამანახა, რა იყო გრძნობა შეცოდებისა, რომელიც ჩემს არსებაში გაჩნდა და როგორ არ უნდა შევბრძოლებოდი ამ ბოროტნეულ ცდუნებას. ეს ბრძოლა კი არცთუ ისე ადვილი იყო. ზოგჯერ ამ გრძნობით დაბრმავებული მინდობილად ვუსმენდი მღვდლის პირმოთნე ღვთისმოშიშ სიტყვებს, ზოგჯერ ისიც კი მეჩვენებოდა, რომ მისი სული ღვთაებრივი ნაპერწკლით იყო განათებული და წმინდა ზეციური ტრფობით ძალუძდა ალგზნება. მაგრამ იმას ყოველთვის დამ-

ნაშაური ვერაგობით შეეძლო ღვთიური აღტყინების წუთებშიც კი ჩემში ჯოჯოხეთიდან მოვლენილი ვნების ცეცხლი დაენთო. წმინდანებმა, რომელთა წინაშე თავგადაკლულად ვლოცულობდი, მფარველ ანგელოზად ჩემი ძმა მომივლინეს. და ახლა წარმოიდგინე, ძვირფასო დედაო, რაოდენ ძლიერი იქნებოდა ჩემი შეძრწუნება, როცა სასახლეში პირველად გამოვჩნდი და ჩემკენ გამოეშურა კაცი, რომელშიც პირველი ნახვისთანავე ვიცანი მღვდელი მედარდუსი, თუმცა საერო ტანისამოსი კი ეცვა. როგორც კი იგი ვიხილე, უმალ გრძნობა დავკარგე და ჰერცოგის მეუღლის მკლავებში გონს მოსულმა ხმამაღლა დავიძახე: „ეს ის არის, ეს ის არის, ჩემი ძმის მკვლელი!“ „ჰო, ეს ის არის.“ — დამიდასტურა ჰერცოგის მეუღლემაც. „ეს კაცი მონასტრიდან გაქცეული საერო ტანსაცმელში გადაცმული მედარდუსია, ხოლო მისი ფრანჩესკოსთან უჩვეულო მსგავსება იმით აიხსნება, რომ იგი ფრანჩესკოს შვილია“. ო, ზეციურნო ძალნო, აღმომიჩინეთ შემწეობა! სწორედ ამ წუთში, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მისი სახელის ხსენებაზე შიშისაგან ძარღვებში სისხლი მეყინება. გამახსენდა პორტრეტი, ვისთანაც დედა საუბრობდა, მასზე ფრანჩესკო იყო გამოსახული და ჩემს გამტანჯველ მღვდელსაც ზუსტად ისეთივე სახის ნაკვთები ჰქონდა, როგორიც იმას, ვისაც ერთხელ ოცნებაში აღსარება ვუთხარი და თვალის დახამხამებაში ვიცანი ამ მღვდელში კაცი, რომელიც პირწავარდნილი ფრანჩესკო იყო და, რა თქმა უნდა, მედარდუსი — ფრანჩესკოს ვაჟიშვილი — ის ფრანცისკი იქნებოდა, ვისაც შენ, ჩემო კეთილო დედაო, შესანიშნავი სასულიერო განსწავლა მიეცი, მაგრამ სწავლა-განათლებამ იგი ვერ იხსნა დანაშაულისა და ცოდვისაგან. მე კი ვერაფრით გამეგო, რა აკავშირებდა დედაჩემს ამ ფრანჩესკოსთან, რატომ მიმალავდა მის პორტრეტს და როგორც კი იმას დაინახავდა, წარსულში განცდილი უბედნიერესი ჟამი ახსენდებოდა. ვერც ის გამეგო, რატომ მოელანდა ჰერმოგენს ეს პორტრეტი ეშმაკად, რატომ გახდა იგი ჩემი უცნაური და შეცოდებით აღსავსე ოცნებების წყარო. მეჩვენება, რომ კვლავ ეჭვები და წინათგრძნობები მახრჩობენ. ო, ღმერთო მაღალო, განა ძალმიძს თავი ავარიდო იმ უკეთურ ძალას, რომელმაც თავის ქსელში გამაბა? არა, მეტის წერა აღარ შემიძლია. ჩემ ირგვლივ თითქო ბურუსით ბნელი ღამე ჩამოწვა და იმედის პაწაწკინტელა სხივიც კი ვერ აღწევს ჩემამდე, რათა კეთილსაიმედოდ გამინათოს სიკეთისაკენ სავალი გზა.

(რამდენიმე დღის შემდეგ).

არა, ბნელი და ბურუსით მოცული ეჭვები და წინათგრძნობები ვერ დამინისლავენ ნათელ და მზიან დღეებს, ჩემს ცხოვრებაში რომ დიდებული სხივმოსილებით შემოიჭრა და მწუხარებით აღსავსე სინამდვილე გამიმშვენიერა. ღირსპატივცემულმა მამა კირილუსმა, რამდენადაც ვიცი, უკვე შენ მისხალ-მისხალ გაუწყა, ძვირფასო დედაო, რა ცუდად შემოტრიალდა სასამართლო პროცესი ლეონარდისა, რომელიც ჩემი ნაჩქარევად მიცემული ჩვენებების საფუძველზე ჩაუვარდა ხელში სისხლის სამართლის სამძებროს. დიახ, მე ნამეტნავად ავჩქარდი, როცა იგი დამნაშავე მღვდელი მეგონა და ჩემი მაშინდელი დაუფიქრებლობა და წინდაუხედავობა კინაღამ საბედისწერო არ გახდა კაცისათვის, რომელიც ახლა მთელი არსებით მიყვარს. შენ ისიც იცი, ძვირფასო დე-

დაო, რომ ნამდვილი მედარდუსი მართლმსაჯულებას გადაეცა, რომ მისი გამოგონილი სიგიჟე გაქრა, რომ იმან აღიარა თავისი დამნაშავე ქმედებები, რისთვისაც უმკაცრესი განაჩენი ელის და რომ... მაგრამ აღარ მინდა გავაგრძელო, რადგან ვიცი, უთუოდ გულს გატკენს და გაგაწბილებს სამარცხვინო ხვედრი დამნაშავისა, რომელიც ბავშვობის წლებში ასე ძვირფასი იყო შენთვის. სასახლეში ახლა გამუდმებით ლაპარაკობენ ამ უცნაურ სასამართლო პროცესზე. ლეონარდს ცბიერ, მოურჯულებელ დამნაშავედ მიიჩნევდნენ, რადგანაც იგი ჯიუტად ამბობდა უარს ყველაფერზე, რაზეც ბრალს დებდნენ. მაღლა ღმერთი ხედავს, რომ ეს სიტყვები გულზე ლახვარივით მესობა. იდუმალი ხმა კი საოცარი ძალით ჩამძახოდა: „იგი უდანაშაულოა და მალე მისი ეს უცოდველობა დღესავით ნათელი გახდება“. მისადმი ულრმეს თანაგრძნობას განვიცდიდი და იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რაც თავი მახსოვს, მისი სახება ჩემში აღტყინებას იწვევდა, ამიტომაც არ შემეძლო მისთვის ორაზროვნად შემეხედა-მეთქი. დიახ, მე იგი გამოუთქმელად მიყვარდა მაშინაც კი, როცა ყველას დამნაშავე ბოროტმოქმედი ეგონა. ველოდი სასწაულს, რომელსაც იგი უნდა ეხსნა და გადაერჩინა. და თუ ლეონარდი ჯალათის ხელით მოკვდებოდა, ამას ვერაფრით გადავიტანდი. ეს სასწაული მოხდა. იგი უდანაშაულოა და ვუყვარვარ, მალე მთლად ჩემი გახდება. ასე რომ, იდუმალი წინათგრძნობა, ჩემს ადრეულ ბავშვობაში რომ იშვა და რასაც ჩემდამი მტრულად დაპირისპირებული ძალები მზაკვრულად იყენებდნენ ჩემსავე წინააღმდეგ, არნახული დიდებულებით იქცა ნეტარ სინამდვილედ. დაგვლოცე მე და ჩემი სატრფო, ღვთისმოსავო დედაო! ო, როგორ სწადის შენს სვებედნიერ ასულს გულში ჩაგეკრას და ცრემლთა ფრქვევით გამცნოს თავისი ზეციური გახარება. ლეონარდი ძალიანა ჰგავს ფრანჩესკოსა და მღვდელ მედარდუსს, ოღონდ უფრო წარმოსადეგი მეჩვენება გარეგნობით, თანაც ეროვნული თავისებურებებით საგრძნობლად განსხვავდება ორივესგან (შენ იცი, რომ იგი წარმოშობით პოლონელია). საერთოდ სისულელეც კია, ეს განათლებული, საზრიანი და დიდებული კაცი ლტოლვილ მღვდელს შეადარო. მაგრამ იმზომ დიდია შემზარავი შთაბეჭდილება, რომელიც სასახლეში დატრიალებულმა ამბებმა მოახდინა ჩემს მგრძნობიარე სულზე, რომ ზოგჯერ, როცა ლეონარდი მოულოდნელად ოთახში შემოდის და თავისი ლაჟვარდისფერი თვალებით დაჟინებით მომაშტერდება, უცნაურია, მაგრამ აშკარად მგონია, რომ ეს იმ მედარდუსის თვალებია და ჟრჟოლიით თრთოლვა ამიტანს ხოლმე და ჩემი ამ ბავშვურად მიამიტი ქცევით შეურაცხვყოფ კიდევაც სატრფოს. მგონია, მარტოოდენ მღვდლის ლოცვა-კურთხევა თუ განდევნის ბნელით მოცულ აჩრდილებს, რომელთაც ავისმომასწავებელი ბინდისფერი ღრუბლებივით მოუქუფრავს ჩემი ცხოვრება. მოგვიხსენიე მე და ჩემი სატრფო შენს ღვთისმოსავ ლოცვებში, ძვირფასო დედაო! ჰერცოგს სურს ჩვენი ქორწინება მალე მოხდეს. მე შეგატყობინებ, როდის იქნება დღე ჩვენი ნიშნობისა, რათა კეთილად მოიხსენიო შენს ლოცვებში შენი ასულის ცხოვრებაში ეს საზეიმო და ბედისწერით მოვლენილი ღირსშესანიშნავი დღე და ა. შ. და ა. შ.

მრავალჯერ წავიკითხე ავრელიას ხელით დაწერილი ეს სტრიქონები. თითქო ზეცის წმინდა ნათელი მეღვრებოდა სულში და ცოდვილი და უკეთური ქმედებით გამოწვეულ გიჟურ გზნებას მინელებდა. ავრელიას ხილვისას უკვე უზადო კრძალვა მიპყრობდა. უწინდელივით ველარ ვბედავდი ბობოქარ და მშფოთვარე ალერსს. ავრელიამ ჩემს ქცევაში ცვლილება შეამჩნია. და მე გულის თრთოლვით გავუმხილე, რომ ჩემი ამ კრძალვის მიზეზი იყო მისი წერილი აბატისასადმი. მე პატიება ვთხოვე მას ჩემი აუხსნელი სწრაფვის გამო, რაიც უხილავმა ზენა ძალამ წარმოშვა და რისი დაურვება არასდიდებით არ შემეძლო. მე ვარწმუნებდი, რომ სწორედ ეს ზენა ძალა იყო ჩემზე ზემოქმედების მომხდენი, მან შემაცნობინა ის ხილვები და ოცნებები, საალსარებოში რომ მომევლინა, და მაჩვენა, რომ კავშირი ჩვენს გულთა შორის განგებითაა გარდაწყვეტილი. „ჰო, ჩემო ღვთისმოსავო ზეციურო არსებავ, — ვეუბნებოდი სატრფოს, — ოდესღაც მეც გამომეცხადა საოცარი ზმანება, რომელმაც შენი ჩემდამი სიყვარული გამიმხილა, მაგრამ მე ხომ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილი ბედუკუღმართი, დათრგუნული მღვდელი ვიყავი, რომელსაც ჯოჯოხეთის აურაცხელმა სატანჯველმა რაგვარად არ გაუპო გული. შენ, შენ მიყვარდი სახელდაურქმეველი გულისთქმით, მაგრამ ჩემი სიყვარული შეცოდება იყო, ორწილი უღვთო შეცოდება, რადგან მე მღვდელი ვიყავი, შენ კი — წმინდა როზალია“.

ავრელია შეშინებული წამოვარდა, „ღვთის გულისათვის, — მეუბნებოდა იგი, — ღვთის გულისათვის, გევედრები მომისმინო. მე ვხედავ, ჩვენს ცხოვრებას ღრმა და გამოუცნობი საიდუმლო გამსჭვალავს. ო, ლეონარდ, ხელს ნუ შევახებთ იმ საბურველს, ირგვლივ რომ გვმოსავს. ვინ იცის, რა შემზარავი და მძრწოლვარე რამ იმალება იმის მიღმა. ვიყოთ ღვთისმოშიში და შეუცვლელნი ერთმანეთისადმი უანგარო სიყვარულში, ასე უკეთესად გავუმკლავდებით ბნელ ძალებს, რომელთა სულები ეგებ დაღუპვასაც გვიმზადებდეს. ჩემი წერილი თუ წაიკითხე, ეს ასეც უნდა იყოს. თვითონ უნდა გადაგიშალო გული და ყველაფერი გაგიმხილო. ჩვენ შორის საიდუმლო არც უნდა არსებობდეს. ხანდახან მგონია, ისეთ რამეებს ეჭიდები, რაც წინათ დამღუპველად შემოიჭრა შენს ცხოვრებაში და რიოში სიმორცხვე ხმას ვერ გაღებინებს. იყავი გულწრფელი, ლეონარდ! დამიჯერე, გულსადაგი აღსარება შვებას მოგაგებს და წმინდა ნათელს მოჰფენს ჩვენს სიყვარულს“.

როგორ გამტანჯა და გამაწვალა ავრელიას ამ სიტყვებმა, სიყალბის სული ჩემში კვლავაც ბინადრობდა. რა მკრეხელურად ვაცდუნე ამ რამდენიმე წუთის წინ ეს ღვთისმოსავი ბავშვი. ამ გრძნობამ საოცარი ძალით შემიპყრო. მინდოდა ავრელიასათვის ყველაფერი, ყველაფერი გამენდო, გამემხილა და საიდუმლო აღარაფერი დამეტოვებინა და ამით მისი სიყვარული მომეპოვებინა. „ავრელია, ჩემო ღვთაებავ, ეს შენ მიხსენი“ და ამ წუთში ოთახში ჰერცოგის მეუღლე შემოვიდა. მისმა დანახვამ კვლავ ჯოჯოხეთის ცეცხლსა და კუპრში მისროლა. კვლავ შემომენთო დამღუპველი და გესლიანად გამქირდავი ზრახვები და ფიქრები, ჰერცოგის მეუღლე იძულებული გახდა ჩემი აქ

ყოფნა მოეთმინა. და მეც გაბედულად და კადნიერად წარვსდექი მის წინაშე, როგორც ავრელიას საქმრო. ბოროტმა ფიქრებმა მაშინ მიმატოვა, როცა ავრელიასთან მარტო დავრჩი. მერე კი ზეციური ზეტარებით ვიხარეთ. ამჯერად ცხოველი სურვილი დამებადა ავრელიაზე მექორწინა. იმ ღამეს დედა მესიზმრა. იგი ცოცხალივით იდგა ჩემ წინაშე. მინდოდა ხელით შევხებოდი, მაგრამ იგი ხორციელი არსება კი არა, მოჩვენება იყო. „საიდან მომივიდა თავში ეს უაზრო ილუზია!“ — ვიყვირე განრისხებულმა. დედას თვალთაგან ბროლივით გამჭვირვალე უმანკო ცრემლები წასკდა, ეს ცრემლები ვერცხლისფრად მოკაშკაშე ვარსკვლავებად იქცნენ. ვარსკვლავებიდან წვეთ-წვეთად ძირს ეცემოდა ციური ცვარ-ნამი, წვეთები ჩემ გარშემო ბრუნავდნენ და ტრიალებდნენ, თითქო ჩემ ირგვლივ უნდოდათ ნათელი მოეფინათ, მაგრამ ვიღაცის მსახვრალი ხელი ბნელი წყვდიადით ბურავდა გამუდმებით ამ ნათელს. დედა კი ნაზი და თვინიერი ხმით მეუბნებოდა: „ო, შენ, ვინც ყველანაირ ცოდვისაგან განრიდებულმა გშობე უზაკვო და უცოდველი, განა გატყდი სულით და აღარ ძალგიძს სატანისეულ ცდუნებას გაუმკლავდე? ახლა, როცა მიწიური ტვირთი განვიშორე, შემიძლია მოვიხილო შენი სული. ამაღლდი, ფრანცისკუს. მე მინდა ჭრელჭრელი ბაფთებითა და ფერად-ფერადი ყვავილებით შეგამკო, რადგან წმინდა ბერნარდუსის დღე დადგა და შენ კვლავ ღვთისმოსავი ბიჭი უნდა გახდე!“ მინდოდა წინანდებურად წმინდანის სადიდებელი ჰიმნი მეგალობა, მაგრამ სიმღერის ნაცვლად მკერდიდან საშინელი ველური ღრიალი აღმომხდა და ჩემსა და დედის სახებას შორის შრიალით ჩამოეშვა შავი საბურველი.

რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ეს ზმანება ვიხილე, ქუჩაში სასამართლოს გამომძიებელს გადავაწყდი. იგი გულღიად შემხვდა. მითხრა: კაპუცინ მედარდუსის სასამართლო პროცესი კვლავ დაიხლართა და საეჭვიო გახდა. ის იყო სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს და კიდევაც უნდა შევდგომოდით მის აღსრულებას, რომ მას კვლავ აღმოაჩნდა შეშლილობის აშკარა ნიშნები. ამის მიზეზი იყო სისხლის სამართლის სასამართლოში მოსული ცნობა მისი დედის გარდაცვალების თაობაზე. მე გავაცანი ბრალდებულს ეს ცნობა და მან ისე გამძვინვარებით გადაისროლა ქაღალდი და ისეთი ხმით იღრიალა, რომ თვითონ უდრეკი სულის კაცსაც კი შეაძრწუნებდა. „ჰა, ჰა, ჰა, ჰა. — პრინცესა ხომ რა ხანია მიიცვალა“ (მან წარმოთქვა სახელი ჰერცოგის მოკლული ძმის ცოლისა). ჩაატარეს ახალი სამედიცინო ექსპერტიზა. მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ მღვდელი თავს იგიჟიანებდა. იგი სრულიად ჯანმრთელი იყო.

დედაჩემის გარდაცვალების დღე და საათი ზუსტად შევიტყვე. აღმოჩნდა, რომ იგი სწორედ სიკვდილის წუთებში მინახავს სიზმრად. იგი ღრმად შემოიჭრა ჩემს სულსა და გრძნობებში. დარწმუნებული ვიყავი, რომ დედა, რომელიც ასე უსამველოდ დავივიწყე, გახდა შუამავალი ჩემსა და იმ ზეციურ სულს შორის, ვისაც მინდოდა შევრთვოდი. ახლა უკვე ბევრად უფრო ნაზი და თვინიერი გავხდი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ. ასე შევიცან სრულად ჩემი ავრელიასადმი სიყვარული. მე

იმას უცოდველ და უზაკველ მხსნელად და ნუგეშისმცემლად ვსახავდი და არ მინდოდა მასთან განშორება. ის ბნელი საიდუმლო, რომელიც უკვე აღარც მეკითხებოდა, ჩემთვის რაღაც შეუცნობელ და მიუკვლეველ, განგებისად გარდაწყვეტილ მოვლენად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა დღე ჰერცოგის მიერ დახიშნული ჩვენი ქორწინების [illegible]რელიაზე ჯვარი უნდა დამეწერა ახლო მდებარე მონასტრის ეკლესიაში წმინდა როზალიას საკურთხევლის წინ. ის ღამე თეთრად გავათენე. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვილოცე ასეთი კხებით და გატაცებით. მე საწყალი და თვალისჩინდაკარგული ვერც კი ვგრძნობდი, რომ სწორედ ლოცვა იყო ჯოჯოხეთური კადნიერება და იგი ცოდვას განმიმზადებდა. როცა ავრელიას ოთახში შევედი, იგი ანგელოსური მშვენებით ანათებდა, თეთრ კაბაში შემოსილს ვარდების თავბრუდამხვევი სურნელი ასდიოდა. მის ჩაცმულობას და თმის ვარცხნილობას თითქოს ძველმოდურობის ჩრდილი დაჰკრავდა, რის გამოც მღვრიე მოგონებას აღმიძრავდა. ძარღვებში ჟრუანტელმა დამიარა, როცა მოულოდნელად ჩემ თვალწინ გაცოცხლდა საკურთხეველი, რომლის წინაშეც ჯვარი უნდა დაგვეწერა. ეს იყო წმინდა როზალიას საპატივცემულოდ აგებული ტაძარი. ავრელიას სწორედ ის სამოსი ემოსა, როგორც წმინდა როზალიას. ძალიან გამიჭირდა იმ საშინელი შთაბეჭდილების დაფარვა, რაც ჩემზე ამ გარემოებამ მოახდინა. ავრელიამ ტრფობისა და ნეტარების დაუმცხრალი შუქით განათებული მზერა მომაპყრო და ხელი გამომიწოდა. ეს ხელი მკერდზე მივიკარი, შევეხე და წმინდა ალტაცების გამომხატველი კოცნა მივაგებე. ამით კვლავ აღმენთო რწმენა იმისა, რომ ჩემი სულის ხსნა ოდენ ავრელიას შეეძლო. ჰერცოგის მსახურმა გვამცნო, რომ მისი ბრწყინვალება ჩვენს მისაღებად მზად იყო. ავრელიამ სასწრაფოდ ჩაიცვა ხელთათმანები, მე ხელკავი გავუკეთე და ის იყო მისი უდიდებულესობის წინაშე უნდა წარმედგინა, რომ მოახლემ შეამჩნია ავრელიას ჩამოშლილი თმა და თმის სარჭების მოსატანად გაიქცა. ჩვენ კართან ველოდებოდით. ამ დაყოვნებამ ავრელიას უსიამო გრძნობა განაცდევინა. სწორედ ამ დროს მოულოდნელად ქუჩაში რაღაც ხმაური ატყდა. ხმაური ჯერ ყრუდ გაისმა, მერე გაურკვეველ ხმებში აირია და მძიმედ, ნელა მავალი ეტლის ბორბლების ჭრიალი გავიგონე, ფანჯარას მივვარდი და სასახლის წინ დავინახე, როგორ მიჰყავდა ეტლი ჯალათის მონას, ეტლში კი ზურგშექცეული იჯდა გათოკილი მღვდელი, მის წინ კი კაპუცინი იდგა და ბედკრულთან ერთად ხმამაღლა და გულმოდგინედ ლოცულობდა. მოახლოებული სიკვდილის შიშით გამოწვეულ ფერმიხდილობას და აბურძგნულ წვერს მისი სახე საზარლად დაემახინჯებინა, მაგრამ მაინც ვიცანი სახის ნაკვთები ჩემი შემაძრწუნებელი ორეულისა. ხალხი ჯგროდ მოაწყდა ეტლს და წამით შეაჩერა. და როცა ეტლი ბორბლების ჭრიალით კვლავ შეუყვა გზას, მღვდელი გაქვავებული, ამაზრზენი და მოელვარე თვალებით შემომაჩერდა, მერე გიჟივით გადაიხარხარა და გაშმაგებული ნადირივით იყმუვლა: „სიძევ! სიძევ! მოდი, მოდი და სახურავზე ავიდეთ! ჰო, სახურავზე! იქ ვიკენწლაოთ, არ გინდა? ვინც გაიმარჯვებს, მეფეც ის იქნება და სისხლსაც ის დალევს!“ გაალმასებულმა ვიყვირე: „რა გინდა ჩემგან? რა გინდა ჩემგან, რას მე-

რჩი, მითხარი ერთი, შე წყეულო და ამაზრზენი კაცო?“ ავრელია მომეხვია და მუდარით მომაცილა ფანჯარას. „ღვთის და წმინდა ღვთისმშობლის გულისთვის, წავიდეთ აქედან! ის ხომ მედაროდესია, ჩემი ძმის მკვლელი და სიკვდილმისჯილი. ლეონარდ, ლეონარდ!“ ამ სიტყვების გაგონებაზე ჩემში ჯოჯოხეთის სულებმა გა[illegible] ძალა გამოიღეს, ყალყზე შედგნენ, ავისმომასწავებელი ძა[illegible]ართხენ და ცოდვათა უტიფარ მტვირთველს ეკვეთნენ. გაცოფებულმა ხელი დავტაცე ავრელიას, რომელიც ჩემმა ქცევამ შეაძრწუნა, და მძვინვარედ ახარხარებულმა მივახალე: „სულელო, გიჟო დედაკაცო! შენი სატრფო ვარ, შენი საქმრო, მე თვითონა ვარ მედაროდესი... შენი ძმის მკვლელი! გაიგე, რომ მღვდლის საცოლე ბრძანდები, ბრიყვო, და ახლა მაგ შენი წკმუილით გინდა დაღუპო საქმრო შენი! ჰა, ჰა, ჰა, ჰა, დიახ, მეფე ვარ და შენს სისხლსაც მევე დავლევ!“ ეს ვთქვი და როგორღაც დანა ამოვაძვრე და ავრელიას სასწრაფოდ მკერდში ჩავეცი. იგი იატაკზე დაეცა, სისხლის ნაკადმა იფეთქა და ხელები წითლად შემეღება. კიბეებზე თავქვე დავეშვი შურდულივით. ხალხის ხროვა გავარღვიე და თვალის დახამხამებაში ეტლთან გავჩნდი, იქიდან მღვდელი გამოვათრიე, მიწაზე დავანარცხე და გაქცევა დავაპირე. მალე შემიპყრეს, მაგრამ გააფთრებული დანას ისე ვიქნევდი, რომ შეეშინდათ და ხელი გამიშვეს. თავს გაქცევით ვუშველე. ჩემს კვალს გამოუდგნენ. მხარში დაჭრილი რომ ვიყავი, ამას აშკარად ვგრძნობდი, რადგან საშინელი ტკივილი მაწუხებდა. მარჯვენა ხელში დანა მეჭირა და გააფთრებით ვიქნევდი აქეთ-იქით, მარცხენათი მუშტი მომეღერებინა და ბრბოში გზას ვიკვლევდი, ამგვარ ყოფაში ჩავარდნილმა ბოლოს პარკის გისოსთან მივაღწიე და თავქუდმოგლეჯით გადავახტი, უკან კი საზარელი სიტყვებით მომძახოდნენ: „მკვლელი... მკვლელი... დაიჭირეთ მკვლელი“. ეს ხმები ჩემამდე აღწევდა. უცებ ხმაური მომესმა, პარკის ჩარაზული ჭიშკრის შემომტვრევა უნდოდათ. სულმოუთქმელად გავრბოდი, რომ ვინმე არ დამწეოდა. პარკის ათავებასთან თხრილამდე მივაღწიე, ტყეს რომ ესაზღვრებოდა, მაგრამ ვისკუპე და თხრილს გადავახტი, მერე ტყეს გავუყევი სირბილ-სირბილით და მანამ ვირბინე, ვიდრე ქანცგამოლეული ერთი ხის ძირში არ გავიშხლართე და ძილს მივეცი თავი. უკუნი ღამე იყო, როცა ღრმა, რაღაც გაქვავების მსგავსი ძილ-ბურანისაგან გამოვფიხზლდი და თავში მხოლოდ გაქცევაზე ფიქრი მიტრიალებდა. თავს ნადირივით ვგრძნობდი, დაგეშილ ძაღლებს რომ მიუსევენ მონადირენი. ის იყო თვალის დახამხამებაში წამოვვარდი და ძლივს მოვასწარი ორიოდ ნაბიჯის გადადგმა, რომ ულრანი ტყიდან გამოსული ვიღაც კაცი ზურგზე შემომახტა და მკლავები კისერზე შემომხვია. ამაოდ ვცდილობდი ტანი მომექნია და ჩამომებერტყა ტკიპასავით სხეულზე მიკრული კაცი, მაგრამ მიწაზე დავგორდი და ზურგით ხეებს მივეხალე, ვერასგზით მისგან თავი ვერ გავინთავისუფლე. იგი დამცინოდა, ხითხითებდა, ხმამაღლა ხარხარებდა. მერე მთვარემ მობურულ ნაძვებს დაანათა მქრქალი სხივები და უმალ ვიხილე საშინელი, მიცვალებულივით ფერმიმქრალი პირისახე მღვდლისა, რომელიც მედაროდესად მომეჩვენა და ჩემი ორეული იყო. იგი შემაძრწუნებელი თვალებით მომშტერებოდა, როგორც მაშინ, როცა ეტლ-

ში იჯდა. „ჰი... ჰი... ჰი... ძამიკო, მუდამ შენთანა ვარ, მუდამ შენთან... არც მიგატოვებ... არა, არ მიგატოვებ! მე არ შემიძლია შენსავით ჩქარად ვირბინო, მაგრამ ეს არაფერია, ზურგზე მოგიგდებ და ისე წაგიყვან. სახრჩობელიდან პირდაპირ შენთან მოვედი... ჩემი დაბორკილება უნდოდათ, მაგრამ ვერ მივართვი... ჰი, ჰი, ჰი!“ მქვიხვარე მონსტრი იცინოდა, ღრიალებდა, იკლაკნებოდა, მე კი ენით უთქმელი შიშისაგან ძალაგამოცლილმა ვეფხვის ნახტომი გავაკეთე, თითქოსდა ტანზე უზარმაზარი გველი შემომხვეოდა. მერე ხევის წავეტანე და კლდის ჩამონატეხებს ვეძგერე, ეგებ ამ გზით თუ არ მოვკლავ, რითიმე მაინც ზიანს მივაყენებ ზურგზე შემოხვეულ ურჩხულს და ამით რაიმე შეშველება-მეთქი. იმან კიდევ უფრო უმატა სიცილს, რამაც გული დამიკოდა. იგი ისე მარჯვედ სცვლიდა თავის პოზას, თვითონ საღ-სალამათი რჩებოდა, მე კი კარგა მაგრა ვზიანდებოდი. შევეცადე ნიკაპზე თოკით მიბმული ხელები შემომეხსნა, მაგრამ იგი ისე მიჭერდა ყელში, რომ კინაღამ დავიხრჩვე. ერთხელ კიდევ მოვიკრიბე ძალა ველური გამძვინვარებით და თავი გავინთავისუფლე, მაგრამ წამიც არ გასულა და შემაძრწუნებელი საფრთხობელა კვლავ მომაჯდა ზურგზე და ყელზე ჩამომეკიდა, ზუსტად ვერ ვიტყვი, კიდევ რამდენ ხანს დავძრწოდი ტყეში ჩემს მოუშორებელ ჭირთან და ორეულთან ერთად. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემი ეს ტანჯვა-წამება რამდენიმე თვეს გაგრძელდა, და მთელი ეს ხანი არც მიჭამია და არც მისვამს. ჩემს მახსოვრობაში საგანგებოდ ცოცხლად აღიბეჭდა მხოლოდ ერთი წამი ნათელხილვისა, რასაც უგონო გულის წასვლა მოჰყვა. ის იყო ორეული ზურგიდან გადავისროლე, რომ დაბურულ ტყეში მზის ნათელმა სხივმა შემოიჭყიტა და ჰაერში საამო ხმები გაისმა. უმალ ვიცანი მონასტრის ზარების რეკვა. მაგრამ უეცრად თავში გამიელვა ფიქრმა: „შენ ხომ ავრელია მოჰკალი.“ ეს ფიქრი სიკვდილის ყინულივით ცივი ბრჭყალებით ჩამებღაუჭა. ამის გაფიქრება და, გონება დავკარგე და უგრძნობლად დავეცი მიწაზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუსული პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა თამარ ჩიქოვანმა

ფიოდორ ტიუტჩევი

●

ნუ განიკითხავ, ნუ გაირჯები!..
სიშლეგე ეძებს, სიბრიყვე განსჯის.
განკურნე სიზმრით დღის ჭრილობები,
ხვალემ თავისი გაიღოს ხარჯი.

გადაიტანე წუხილი ლაღად,
თუ სიცოცხლესთან არა ხარ უბრად,
სხვა რა ვისურვო, ვინაღვლო რაღა?
დღე გადაგორდა — და მადლი უფალს!

უცხო მხრიდან

(ჰაინედან)

პირქუშ ჩრდილოეთში, უსახურ კლდეზე,
თოვლში ქათქათებს კედარი ობლად,
იგი სიამეს სიზმარში ეძებს,
სადაც ქარბუქი ალერსით ბორგავს.

სულ ეზმანება ის ნორჩი პალმა,
შორეულ ზღვარზე აღმოსავლეთის,
თაკარა ბორცვზე ცეცხლოვან ალად
დგას და ყვავილობს კვლავ ერთადერთი...

ათანას ფეტი

●

ის, რაც ჯადოსავით ასე მნუსხავდა,
რისთვისაც ამდენი ხანი მაცხოვრა,
თან გაიყოლა ზამთრის ცივ სუსხმა
და სამუდამოდ დაცხრა.

აღარც იმედი, არც ბრძოლის განცდა,
მხოლოდ შფოთის დროს იწყება განსჯა —
ამაყ ფიქრივით, სალოცავ ტაძრად
აღიმართება წარსულში ტანჯვა.

●

სიონის მეუფეო, ლამპარი ჩემი
წყვდიადში გინთია მკრთალი ნათებით.
ყველაფერს სძინავს, — სულია მთელი
ლოცვებითა და ტკბილი სიჩუმით.

ახლობელი ხარ... სულით მორჩილი
ვლოცულობ მაინც და მით ვნათდები.
ბედნიერებას შეასხი ფრთები,
სხვასთან თუ ჩემთან, არაფერს ვჩივი.

ო, არა! თუკი სულმოკლედ
გყვედრი,
შემინდე!.. გვიცნობ: ჩვენი ხვედრია
ვიხსნათ სულები, ლოცვას რომ
ერთვის.

მაშ, მომეც ძალა, სიწმინდე
გვმართებს,
განშორების ჟამს რომ უფრო
ნათლად
შევძლო ლამპარის ანთება შენთვის.

კონსტანტინ ბალმონტი

●

ამქვეყნად მოვედ, მზე რომ ვიხილო
და საწიერი თვალთა.
ამქვეყნად მოვედ, მზე რომ ვიხილო
და მწვერვალები მთათა.
ამქვეყნად მოვედ, ვიხილო მზე და
ველის ხასხასა ფერი.
მე ზავი დავდე მთელ სამყაროსთან,
ვარ მბრძანებელი.
მე დავამარცხე თავდავიწყება,
ოცნების სვეტი ვაგე.
ზეშთაგონების წამი მეწყება,
სიმღერით მეწვის ბაგე.
გამომიფხიზლა ტანჯვამ ოცნება,
ვინ არის ჩემი დარი?
სიმღერაში ვინ გამიტოლდება?
არავინ, არვინ.
ამქვეყნად მოვედ, მზე რომ ვიხილო
მაგრამ დღე ქრება, ჩანს,
მაინც ვიმღერებ... ვიმღერებ მხოლოდ
მზეზე სიკვდილის ჟამს!

●

ქარი ვარ ლაღი და დავქრი შვებით,
ვალელვებ ტალღებს, ტირიფით ვხარობ,
ფოთლებში ვსუნთქავ და სამშვინველით
თავზე ვევლები ბალახს და ყანობს.

გაზაფხულზე ვით მაცნე ვარდების
მე ვკოცნი შროშანს — ოცნების სატრფოს,
და დაედნობა ქარს როს ლაჟვარდი —
დავქრი და ჰროლით დიდ სივრცეს ვნატრობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ვით ორგული ციკლონებს ვთესავ,
ვიტაცებ ღრუბლებს, არც ზღვებს არ ულხინთ,
გადავუქროლებ გაბმული კვნესით
და გავაღვიძებ დუმილში ქუხილს.

ზოგჯერ ბუმბულზე უფრო მსუბუქი
ხან სად ვთავდები, ხან სად ვიწყები...
ვეკვრი ტანს ხეთა, ყანებზე ვბუქნავ
და მივქრი, მივქრი თავდავიწყებით.

მე არ ვიცი სიბრძნე

მე არ ვიცი სიბრძნე სხვისთვის გამოსადეგი,
ლექსში წამიერების შემაქვს მხოლოდ ბადაგი
და მე ვხედავ სამყაროს ამ წამიერებაში
სავსეს ცვალებადობის მხიარული თამაშით.

ნუ დამწყევლით, ბრძენკაცნო, რა საქმე გაქვთ
ჩემთან,
მე ვარ მხოლოდ ღრუბელი შენივთული ცეცხლთან,
მე ვარ მხოლოდ ღრუბელი, დახეთ, როგორ ვცურავ,
მეოცნებე მრევლს ვეძახი... თქვენ არ გიხმობთ
სულაც!

ლელქაში

შუაღამისას მიყრუებულ ჭაობში
ჩუმი შარიშურით შრიალებს
ლელქაში.
რაზე ჩურჩულებენ? რატომ
ანათებენ
მათ შორის მკრთალი
ციცინათელები?
კრთიან, ციმციმებენ — უმალვე
ქრებიან
და კვლავ ნაპერწკლებად
გამოკრთებიან.
შუაღამისას შრიალებს ლელქაში,
აქ ბუდობს გომბეშო გველების
ხახაში.
სახე მომაკვდავი ჭაობში
ცახცახებს. —
მთვარემ მეწამულმა თავი თუ
წახარა.
შმორის სუნია და ნესტიც
მოცოცავს —
გისრუტავს, გბოჭავს, გიტყუებს
როცა.
რისთვის ან ვისთვის ნეტავ
ოცნებობენ,
რატომ ენთებიან ციცინათელები.
უსიტყვოდ თავს ხრის ნაღვლიანი
მთვარე,
არ იცის... და უფრო იხრება
მდუმარედ.
დაღუპულ სულზე არის ოხვრაში,
ჩუმი შარიშურით შრიალებს
ლელქაში.

ივან ბუნინი

●

მშვიდი გამოხედვა, მსგავსი
ირმისა —
ყველაფერი, რაც შენში მიყვარდა
წყნარად,
აქამდე იგი სევდის ჟამსაც არ
დამვიწყნია,
მაგრამ სახება შენი უკვე მოიცვა
ნისლმა.
და თუ იქნება დღე — ტანჯვა[illegible]
ავიშორ[illegible]
მოგონებათა სიზმარი კი
გადალურჯდება;
ბედნიერება აღარ არის, არც
ტანჯვის დელგმა,
მიმტევებელი არის ყოვლის
მხოლოდ შორეთი.

ალექსანდრ ბლოკი

●

მე მივდიოდი წვიმიან ღამის
წყვდიადში და ძველ სახლის
სარკმელთან
ჩაფიქრებული — ჩემი ნაღველის
თვალები მეცნო... ცრემლების
კმევით
ნესტიან შორეთს ის გასცქეროდა,
მე კი ვტკბებოდი გაუთავებლად —
თითქოს განვლილი ახალგაზრდობა
შემომაფეთეს სახის ნაკვთებმა.
მან შემომხედა... და შემეკუმშა
გული, როს ცეცხლი შთანთქა
უკუნმა.
ინათა და მის ჭირხლიან შუშას
ნოტიო დილამ მიუკაკუნა.

●

ადამიანთა შორის ყოფნა რარიგ
ძნელია,
თანაც თავი არ მოაჩვენო დაღუპულ
კაცად,
და ვისაც ჯერ არ უცხოვრია, მინდა
ძალიან
ტრაგიკულ ვნების თამაშებზე
მოვუთხრო მკაცრად.
ჩაკვირვებული საკუთარი ღამის
ურჩხულებს
რიგს პოულობდე ურიგოთა
გრიგალის ძალით,
რომ ხელოვნების მკრთალ არილში
შეიცნონ ეგებ
მთელი ცხოვრების დამღუპველი
მწვავე ხანძარი.

●

კურთხეულ იყოს, რაც იყო დღემდე,
უკეთეს ხვედრს მე ველოდი
არც კი.
რამდენ სიყვარულს, გულო, მიენდე,
გონებავ, რამდენს აგემე მარცხი.
თუმცა ტანჯვამ და ბედნიერებამ
თავისი მწვავე დამღა დამადეს,
არ დამიკარგავს ქარბუქში ვნების

ის ნათელი, რაიც მადგა მანამდე.
სულ ახალ-ახალ სატანჯველს
ითვლი...
შემინდე... ვიყოთ სჯობს ერთად
ასე.
ყველაფერი, რაიც სიტყვით არ
ითქმის,
ამოვიკითხე მე შენს სახეზე.
მიცქერის შენი თვალები ეშხით
და მკერდში გული ძალუმად მიცემს.
თოვლიან ღამის ცივ სიბნელეში
მე ჩემს ჩვეულ გზას მივყვები ისევ.

●

ნუ მომიწოდებ, ამის გარეშეც
ტაძარში მოვალ.
მოვიდრიკები შენს ფერხთ წინაშე
მდუმარე ყოვლად.
თან ყურს მივუგდებ შენს
ბრძანებებს
და აღვასრულებ.
წამიერ მზერას დავედევნები
და კვლავ გისურვებ.
დამარცხებული ვნებების წყრომით
ულელქვეშ ვგმინავ,
ზოგჯერ — მსახური, ხან —
გულის სწორი,
და მუდამ მონა!

ანა ახმატოვა

●

საღამოს ბინდბუნდს სიყვითლე
ახლავს,
აპრილის სიგრილეს სინაზე შვენის...
დაიგვიანე ათი წლით, მაგრამ
მოხარული ვარ მე მაინც შენი.

მოდი, ჩამოჯექ და მხიარული
თვალების მზერით მომეალერსე —
უნდა გიჩვენო ლურჯი რვეული
ჩემი ბავშვური ლექსებით სავსე.

შემინდე ჩემი ნაღველის გამო,
არ შევხაროდი არც მზეს იმედით.
ო, მაპატიე, მე ახლა ვნანობ —
შენ მაგივრად რომ სხვასაც მივენდე.

●

არ ვიცი, ცოცხლად გიგულვო,
თუ ისევ მკვდრებში გეძიო,
ან იქნებ სჯობდეს, გამოგიგლოვო—
ღამის ფიქრებში თბილად გეძინოს.
შენთვის ზვარაკად ყველა ესენი —
უძილობა და შუადღის ლოცვა
და თეთრი ფარა ჩემი ლექსების
და ეს თვალები — ინთება როცა.

შენზე ძვირფასი მე არ მყოლია,
ვუწამებივარ არავის ასე —
არც მას, ვინც ტანჯვით გამიყოლია,
ბოლომდე ვინც არ მაკლებდა
ალერსს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მე შევისწავლე ბრძნული ცხოვრება,
ვუცქირო ზეცას, ვილოცო
ღმერთზე...
ხეტიალი არ მეუცხოვება —
ფუჭი განცდისგან დახსნის გზას
ვეძებ.
როცა ღრანტეში ოროვანდები
შრიალებს, ჭნავიც ხრის წითელ
დეზებს —
მაშინ მე ვრითმავ ლექსებს
ვარდებით
წარმავალსა და მშვენიერ დღეზე.
შინ მობრუნებულს მილოკავს
თითებს
მაამებელი კრუტუნით კატა.
კაშკაშა ცეცხლი სადღაც ინთება —
ეს სამხერხაო იძლევა პატაკს.
ზოგჯერ ყარყატი გაარღვევს უკუნს
და გადაუფრენს სახლის
კრამიტებს...
ამ დროს თუ კარზე მომიკაკუნე —
ასე მგონია, ვერც კი გავიგებ.

●

ალ. ბლოკს

მივედი პოეტთან სტუმრად
ზუსტად შუადღით, კვირას.
ოთახში სიჩუმე სუფევს,
ფანჯრის მიღმა კი ყინავს.
ცისფერი კვამლის ზევით
მოცხარისფერი მზე...
მდუმარე მასპინძელივით
ნათლად მიცქერის მე.

მას თვალები აქვს ისეთი,
დაიმახსოვრო უნდა,
ხოლო მე ვიჩენ სიფრთხილეს,
რომ არ შევხედო სულაც.
საუბარი კი მახსოვს
იმ კვამლიან დღეს, კვირას,
მაღალჭერიან სახლში,
ნევის საზღვაო ბჭესთან.

მუზა

როდესაც ღამით მის მოსვლას ველი,
სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია მაშინ.
რაა პატივი, ან სიყმაწვილე —
სტვირით მოსული სტუმრის წინაშე.
ჰა, შემოვიდა, საბურველი მოიხსნა
უცებ
და დაჟინებით მომაპყრო მზერა.
ვკითხავ: „ეს შენ ხარ,
დანტეს ფურცლებს რომ
კარნახობდი ჯოჯოხეთისას?“
მპასუხობს: „მე ვარ!“

ექო

დიდი ხნის წინათ ჩაიკეტა გზები
წარსულის.
რაში მჭირდება იგი, არადა —
რა არის იქით? — ფილებია
სისხლით მოსვრილი
თუ დაგმანული მძიმე დარაბა.

იქნებ ექოა, დადუმება რომელსაც
ახლა
არ შეუძლია, რაც უნდა თქვო.
თუმცა ამ ექოს თავს ის გადახდა,
რასაც აქ ჩემი გული ფლობს
მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ნულარ დაჭმუჭნი, ძვირფასო,
ბარათს
და წაიკითხე იგი ბოლომდე.
მომბეზრდა ვიყო უცნობი მარად
და თანაც უცხო მეგზური ოდენ.
ნუ მიმზერ ასე მრისხანე თვალით,
მოსიყვარულე გული ძგერს
შენთვის...
მე არც მწყემსი ვარ, არც
დედოფალი
და მონაზონიც კი აღარ მეთქმის.

ყოველდღიური ეს ჩემი კაბა
და გათელილი ფეხსაცმლის
ქუსლი —
ისევ იმ მწველი ალერსით ლამბავს
და შიშს ასხივებს თვალებში ნუშის.
ძვირფასო, წერილს ნულარ
დაჭმუჭნი,
სანუკვარ ტყუილს მისტირი ნულარ
და იგი მაგ შენ საზურგე ჩანთის
ფსკერზე დამალე, ერთგული თუ
ხარ.

გაბრიელ გარსია მარკესი

დიდი დედის დაკრძალვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანურიდან

თარგმნა ელზა ახვლედიანმა

ყური მომაპყარით, ურწმუნო, ურჯულო ადამიანებო. მინდა გიამბოთ ნამდვილი ამბავი დიდ დედაზე, მაკონდოს სამეფოს ერთპიროვნულ მმართველ ქალზე, რომელიც ზუსტად ოთხმოცდათორმეტ წელიწადს განაგებდა ქვეყანას და რომელმაც გასული სექტემბრის ბოლო სამშაბათ დღეს მიაბარა სული უფალს. მის დაკრძალვაზე თვით რომის პაპმაც კი ინება ჩამობრძანება.

ახლა, როცა მწუხარებით შეძრული ერი როგორც იქნა გონს მოეგო, როცა სანხასინტოელი მესტვირეები, გუახირელი კონტრაბანდისტები, სინუელი ბრინჯის მომყვანნი, გუაკამაიელი კახპები, სიერპელი ჯადოქრები და არაკატაკელი ბანანის მკრეფავნი ბოლოს და ბოლოს დაშოშმინდნენ და მოსკიტებისაგან დასაცავი ბადეები გაჰკიდეს, რათა ამდენი ღამისთევის მერე ცოტა მაინც მოეთქვათ სული, ახლა, როცა სახელმწიფო საქმეებს უკვე დამშვიდებულებმა მოჰკიდეს ხელი რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მისმა მინისტრებმა და ყველამ, ვისაც კი პატივი ერგო ყოფილიყო ხალხის, ხელისუფლებისა თუ ზეცის მსახურთა წარმომადგენელი ამ უდიდეს დაკრძალვაზე, რომლის მსგავსსაც ვერ ამოიკითხავთ ისტორიულ ანალებში, ახლა, როცა უწმინდესი პაპის სული და ხორცი უკვე აღევლინა ზეცას, ხოლო მაკონდოს ქუჩებში შეუძლებელი გახდა გავლა ცარიელი ბოთლების, პაპიროსის ნამწვავების, დახრული ძვლების, თუნუქის ქილების გროვასა და ექსკრემენტში, ასე უხვად რომ დაეტოვებინა დაკრძალვაზე ჩამობრძანებულ დიდძალ ხალხს, — სწორედ ახლა დადგა დრო ჭიშკრებთან ჩამოვსხდეთ და ვიდრე მეისტორიენი არ მოსულან, დაწვრილებით და მართლად მოვყვეთ ამ საყოველთაო მწუხარების ამბავს.

თოთხმეტი კვირის წინ წურბელებით, მდოგვის ცხელ-ცხელი საფენებით, უძილო ღამეებით გატანჯულ-განაწამებმა და კარსმომდგარი სიკვდილის აგონიით ძალაგამოცლილმა დიდმა დედამ ბრძანა გადაესვათ იგი თავის საყვარელ ჩალის სარწეველა სავარძელში, რათა ბოლოს და ბოლოს გამოეცხადებინა თავისი უკანასკნელი სურვილი და ამით დაესვა წერტილი ყოველივე მიწიერთან. ჯერ კიდევ დილით მოაგვარა სულიერი საქმეები მღვდელ ანტონიო ისაბელთან, ხოლო შემდეგ თავის პირდაპირ მემკვიდრეებს, ცხრა ძმისწულს — მის საწოლს რომ არ შორდებო-

დნენ — ზანდუკების თაობაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ანტონიო ისაბელი შორიახლოს იჯდა და რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. ეს ლამის ასი წლის ბერიკაცი ათმა ღონიერმა კაცმა ხელში ატატებული მოიყვანა, პირდაპირ დიდი დედის საწოლ ოთახში დასვეს და იქვე დატოვეს კიდეც, რათა გადამწყვეტ წუთს აღარ დასჭირვებოდათ მისი ხელმეორედ მოყვანა.

უფროსი ძმისწული, ბრგე და ჯმუხი ყმაწვილი კაცი ნიკანორი, რომელსაც დეზებიანი ჩექმები და ხაკის სამოსი ეცვა და უბეში ოცდათვრამეტკალიბრიანი, გრძელლულიანი რევოლვერიც ედო, ნოტარიუსის მოსაყვანად წავიდა. აგერ უკვე ორ კვირაზე მეტი იყო, დაძაბულ მოლოდინს შეეპყრო დიდი ორსართულიანი სახლი, სადაც თაფლისა და თავშავას სურნელი იდგა, ხოლო ნახევრად ბნელ ოთახებში ტევა არ ჰქონდათ კარგა ხნის წინ მიწადქცეულ, ლამის ოთხი თაობის კუთვნილ ათასგვარი ხარახურით პირთამდე სავსე კიდობნებსა და ზანდუკებს. გრძელ დერეფანში, სადაც სულ ახლახან კედლებში ჩამაგრებულ კაუჭებზე შაშხი და აგვისტოს ბუღიან კვირადღეებში სისხლისგან დაწრეტილი მოკლული ირმები ეკიდა, ახლა გლეხები მიყრილიყვნენ მარილით სავსე ტომრებსა და სამუშაო ხელსაწყოებზე და ძილ-ღვიძილში ელოდნენ პირველსავე ბრძანებას, რათა ცხენებს მოხტომოდნენ და ქვეყნისთვის მოედოთ სამწუხარო ამბავი. დარბაზში თავი მოეყარა დიდი დედის ნათესაობას. უძილობითა და მემკვიდრეობით მიღებული სისხლნაკლულობის გამო ფერგამკრთალ ქალებს, როგორც ყოველთვის, ახლაც ძაძები ემოსათ, — ოდინდელი და უიმედო ძაძები, — რამეთუ მათ საგვარეულოს მიცვალებული არ ელეოდა. პატრიარქალური ძალაუფლებით აღვსილმა დიდმა დედამ თავის საგვარეულოსა და ქონებას მტკიცე კედელი შემოავლო თავიდანვე. ამ კედლის მიღმა ბიძაშვილები ბიძაშვილებზე ქორწინდებოდნენ, ბიძები — ძმისწულ-დისწულებზე, ძმები — რძლებზე და ბოლოს ისე აირია სისხლი, რომ გვარის გაგრძელება უკვე ცოდვილიან წრედ დატრიალდა. მხოლოდ უმცროსმა ძმისწულმა — მაგდალენამ მოახერხა ამ წრიდან დაეღწია თავი: მღვდელ ანტონიო ისაბელს შეევედრა, მიხსენი ბოროტი სულებისაგანო, თმა გადაიპარსა და სამოციქულო პრეფექტურის ერთ მონასტერში განერიდა ამა ქვეყნის სიამესა და ამაოებას.

საგვარეულოს ღირსეული მამრნი არაფერს იკლებდნენ, პირველი ღამის უფლებით სარგებლობდნენ და სადაც მოიხელთებდნენ — მწყემსთა სადგომებში, ბილიკებზე თუ ბუჩქებში — ყველგან ამრავლებდნენ თავიანთ გვარს უკანონოდ გაჩენილი მთელი თაობებით, რომლებიც შემდგომში დიდი დედის სახელსა და კალთას შეფარებულნი ტრიალებდნენ შინაურებში.

მოახლოებული სიკვდილი გასჯდომოდა არაქათგაცლილ ლოდინს. მომაკვდავის პატივსა და მორჩილებას ნაჩვევი ხმა ორღანის დაბალი ბანივით ყრუდ ისმოდა ჩაკეტილ ოთახში, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი სამფლობელოს უშორეს კუთხე-კუნჭულსაც კი სწვდებოდა. ერთი ადამიანიც არ იყო, გულთან არ მიეტანა ეს სიკვდილი. დიდი დედა თითქმის ერთი საუკუნე იყო მაკონდოს სიმძიმის ცენტრი, ისევე როგორც მისი ძმები, მშობლები და მშობლების მშობლები იყვნენ ძველად, ორი ასეუ-

ლი წლის მანძილზე. სამეფოც ხომ მათი გვარის ირგვლივ შეიქმნა! ზუსტად არავინ იცოდა, წარმოშობით ვინ იყო დიდი დედა, რამდენი ქონება ჰქონდა ან რამდენი სამფლობელო, მაგრამ კარგა ხნის შეჩვეულები იყვნენ იმ აზრს, რომ დიდ დედას ხელთ ეპყრა გამდინარე თუ გაუმდინარე წყლები, მოსული თუ მოსასვლელი წვიმები, გზები და [illegible] სატელეგრაფო ბოძები, ნაკიანი წელიწადები და გვალვები. მემკვიდრეობითი უფლების ძალით ხელთ ეპყრა აგრეთვე ლამის სიცოცხლეცა და მთელი მიწებიც. საღამოობით თავის სახლის აივანზე რომ გამოვიდოდა სულის მოსათქმელად და ძველ სარწეველა სავარძელში ჩაეტენებოდა ხოლმე თავისი დასიებული სხეულითა და დიდებულებით დამძიმებული, მართლაც ჰგავდა უსაზღვროდ მდიდარსა და ძალაუფლებიან ქალს მთელს დედამიწაზე.

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ დიდი დედა სხვებივით მოკვდავი იყო? არავინ იფიქრებდა მისი ნათესავებისა და თვით დიდი დედის გარდა. განსაკუთრებით მაშინ იყო საგრძნობი მისი მოკვდავობა, როცა მღვდელი ანტონიო ისაბელი უწყალებდა ხოლმე გულს თავისი ბებრული შეგონებებით. და მაინც დიდ დედას სჯეროდა, რომ ას წელიწადზე მეტხანს იცოცხლებდა დედის მხრიდან თავისი ბებიის მსგავსად, რომელმაც 1875 წელს საკუთარ სამზარეულოში გამაგრებულმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჯარისკაცებს. დიდი დედა მხოლოდ სულ ახლახან, ამა წლის აპრილში მიხვდა, რომ ღმერთი აღარ გადმოხედავდა მოწყალების თვალით და აუსრულებელი დარჩებოდა ფედერალისტ მასონთა ურდოს დამარცხება ბრძოლის ველზე.

პირველ ხანებში, შინაექიმის რჩევით, ავადმყოფს მდოგვის საფენებს ადებდნენ და შალის წინდებს არ აშორებდნენ. ეს ექიმი დიდ დედას მემკვიდრეობით ერგო. მონპელიეში ჰქონდა დიპლომი მიღებული და ყოველგვარ მეცნიერულ პროგრესს უარყოფდა წმინდა ფილოსოფიური მოსაზრებებით. დიდმა დედამ მაკონდოდან გააძევა თითქმის ყველა მკურნალი და იმასაც მეტი რა გზა ჰქონდა, მთელს სამეფოში ცალად დარჩენილს, ცხენზე ამხედრებულს უწევდა შორ-შორს სიარული და მომაკვდავი, უმძიმესი ავადმყოფების მონახულება. გულუხვმა ბუნებამ მას არაერთი უკანონოდ გაჩენილი ბავშვის მამობაც არგუნა ბედად, მაგრამ ერთხელ ნავში საშინელმა ართრითმა მოუარა და მას შემდეგ ავადმყოფებს დაუსწრებლად, ზეპირად, ვარაუდით, ხან წერილობით და ხანაც რჩევა-დარიგებებით მკურნალობდა. ქუჩაში მხოლოდ მაშინ გავიდა, როცა დიდმა დედამ უხმო: პიჟამოიანმა, ორ ჯოხზე საცოდავად დაყრდნობილმა ექიმმა დიდი ჯახირით გადაჭრა მოედანი და ასე გამოეცხადა ავადმყოფს პირდაპირ საწოლ ოთახში. მერვე დღეს, როცა ექიმი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ დიდ დედას დიდი დღე აღარ ეწერა, ბრძანა მოეტანათ ყუთი, სადაც ლათინურწარწერიან წამლის შუშებსა და პატარა ქილებს ინახავდა: მთელი სამი კვირა აწვალა ავადმყოფი, იქამდე აწვალა ძველისძველი წესებით, მიქსტურით, სანთლებით, წურბელებითა და შებოლილი ბაყაყებით, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ დაუდგა დაეჭვების ნათელი წამი — იქნებ სჯობდეს სისხლის გამოსაშვებად დალაქისთვის დაგვეძახნა ან შესალოცად მღვდელი ანტონიო ისაბელი მოგვეყვანაო. ჰოდა, ნიკანორმაც მაშინვე აფრინა ათი ღონიერი მსახური მღვდლის

მოსაყვანად. იმათაც ეს გადაღძუებული ღვთის მსახური სასწრაფოდ მოაჩიქჩიქეს მომაკვდავის ოთახში თავის ჭრიალა ჩალის სავარძლიანად. მთელ ამ მსვლელობას თან ახლდა ზანზალაკების წკრიალი, რომელიც კვეთდა სექტემბრის განთიადის სიჩუმეს და უბედურების პირველ მაცნედ ევლინებოდა მაკონდოელებს. მზის ამოსვლისას კი დიდი დედის სახლის წინ მოედანი სოფლის ბაზარს ჰგავდა უკვე.

ძველი დრო გაახსენდა ბევრს. გაახსენდათ, რა ზარ-ზეიმით გადაიხადა დიდმა დედამ დაბადების სამოცდაათი წლისთავი: უბრალო ხალხს მოედანზევე გამოუტანეს ღვინით სავსე დაწნული ბოცები, მოედანზევე დაკლეს საქონელი, ხოლო შემაღლებულ ფიცარნაგზე სამი დღე და ღამე შეუსვენებლივ უკრავდა ორკესტრი. მტვრიანი ნუშების ძირში, სადაც ამ საუკუნის პირველ კვირას პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჯარი იდგა, ახლა ფუნთუშეულით, სისხლიანი ძეხვეულით, ხიწიწებით, ბუტერბროდებით, ტკბილეულით, ფენოვანი ნამცხვრებით, ქოქოსის კაკლით, ათასნაირი წვრილმანითა და ხიბახუბით ვაჭრობდნენ. თამაშდებოდა ლატარეა, ძიძგილაობდნენ მამლები და ამ აფუთფუთებულ მორევში საღდებოდა ესტამპები და სამკერდე ლენტები დიდი დედის გამოსახულებით.

ზეიმი ჩვეულებისამებრ იწყებოდა ორი დღით ადრე და მთავრდებოდა დაბადების დღეს იუბილარის სახლში გამართული საოჯახო მეჯლისითა და დიდებული ფეიერვერკით. ძველ პიანოლაზე მოდურ საცეკვაო მუსიკას უკრავდნენ, ცეკვავდნენ საპატივცემულო სტუმრები და მასპინძლებიც, რომელთაც ემსახურებოდნენ დიდი დედის სახლშეფარებული ბუშები. თავად დიდი დედა დარბაზის ერთ კუთხეში სავარძელში დაბრძანებულიყო ფარჩის ბალიშებით გარშემოვლებული და იქიდან ადევნებდა თვალს ზეიმს. ყველაფერი ემორჩილებოდა მისი მარჯვენა ხელის მოძრაობას, რომლის ყველა თითზეც ბეჭდები ბრწყინავდა. იგი იმ დღეს აცხადებდა ხოლმე მომავალ ქორწილებს შეყვარებულ ქალ-ვაჟთან შეთანხმებით ან სულაც უფრო საკუთარი ხუშტურით. დიდებული ზეიმის დასასრულს დიდი დედა გამოდიოდა გირლანდებითა და ქაღალდის ფარნებით მორთულ აივანზე და ხალხში ფულს ყრიდა.

ეს ტრადიცია კარგა ხანია დავიწყებას მიეცა ოჯახში გაუთავებელი მგლოვიარობისა და ამ ბოლო ხანებში გავრცელებული მერყევი პოლიტიკის გამო. ახალმა თაობამ მხოლოდ გადმოცემით იცოდა ამ დიდებული ზეიმების ამბავი. აბა, ისინი საიდან ნახავდნენ, დიდ დედას როგორ უქრიალებდა მარაოს სამოქალაქო სამსახურის რომელიმე წარმომადგენელი სადღესასწაულო წირვაზე! ამაღლებაზე მხოლოდ მას შეეძლო არ დაჩოქილიყო, ჰოლანდიური მაქმანით გაწყობილი, გახამებული კაბის კალთები რომ არ დაჭმუჭნოდა. მხოლოდ მოხუცების ხსოვნას შემორჩა შორეული სიყმაწვილის ჩვენებასავით ძველი სახლიდან მთავარ სამლოცველომდე გაფენილი ორასი მეტრი ხალიჩა და ის საღამო, როცა ამ ხალიჩაზე გაიარა ოცდაორი წლის ქალიშვილმა მარია დელ როსარიო კასტანიეტა იმონტ ერომ: იგი თავისი ღირსმოსაგონარი მამის დაკრძალვიდან ბრუნდებოდა უკვე დიდი დედის ახალი და დიადი სახელით დამძიმებული. ეს შუასაუკუნეების შესაფერისი სანახაობა არა მარტო დიდი დედის საგვარეულოს ისტორიის საკუთრება გახდა, არამედ მთელი ერის ისტორიისა, დიდი დედა ნელ-ნელა ჩამოშორდა უბრალო მოკვდავთ.

განმარტოვდებოდა ხოლმე აყვავებულ გერანიებში, აივანზე ჩამოწოლილ ბულს რომ ჩარჩოდ შემოვლებოდნენ და საკუთარი შარავანდედის ჩრდილს შეფარებული ითქვამდა სულს. მხოლოდ ნიკანორის მეშვეობით აგებინებდა თავისი ბრწყინვალების ნება-სურვილს დანარჩენებს. ყვე-ლამ იცოდა, ანდერძის გამოქვეყნების მერე დიდი დედა ტრადიციულ სამდღეღამიან დღესასწაულს გადაიხდიდა. ისიც იცოდნენ, რომ ანდერძს მხოლოდ სიკვდილის წინ გაახსნევინებდა, თუმცა რომ გეკითხათ, არავის სჯეროდა, რომ იგი მოკვდავი იყო. მაგრამ განთიადისას ზანზალაკების წკრიალმა მაკონდოელებს ამცნო, რომ დიდი დედა მოკვდავი კი არა, უკვე კვდებოდა.

მისი აღსასრულის დღეც დამდგარიყო. იწვა თავის ტილოს თეთრეულში ჩაკარგული, ზემოდან დამტვერილი და გაცრეცილი მარკიზეთი ეფარა, ყელზე ალოეს ფოთლები დაედოთ, ქალწულებრივი და პატრიარქალური მკერდის ქვეშ ძლივს შესამჩნევადღა ფეთქავდა სიცოცხლე. დიდ დედას ორმოცდაათ წლამდე არ მოჰკლებია მგზნებარე თაყვანისმცემლები, მაგრამ ყველას სასტიკი უარით ისტუმრებდა და თუმცა ბუნებამ ასეთი მოზრდილი მკერდი დაანათლა, არაერთი და ორი ნაშიერის გამოკვება რომ შეეძლო, მაინც ქალწული, ხელუხლებელი და უშვილძირო ტოვებდა ამ ქვეყანას. იგი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ხელები ისე მაგრად მოემუშტა, რომ მღვდელმა ანტონიო ისაბელმა ვერაფრით ვერ გაუხსნა ხელის გულებზე წმინდა მირონის წასაცხებად, და სხვები მოიხმო საშველად. ამაოდ შეეჭიბრნენ ერთმანეთს ძმისწული ქალები: მკერდზე მიკრული ძვირფასი ბეჭდებით დამძიმებული და დამუშტული ხელი ვერც იმათ გაუხსნეს. მომაკვდავმა უფერული, გაყინული თვალები მიაპყრო ქალებს და პირველად ამ კვირაში ამოთქვა: „ქურდებო!“ მერე მღვდელ ანტონიო ისაბელსა და იქვე მდგომ თას-ზანზალაკებიან ყმაწვილს ჩაეჭიდა თვალებით და უბრალოდ, ულონოდ წაიჩურჩულა: „ვკვდები“. თითიდან დიდი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი წაიძრო და, წესისამებრ, ყველაზე უმცროს მემკვიდრეს — მორჩილ მაგდალენას გაუწოდა, მაგრამ დაირღვა ტრადიცია: მაგდალენამ უარი თქვა მემკვიდრეობაზე, ეკლესიას გადაეცესო.

განთიადისას დიდმა დედამ მოისურვა მარტო დაეტოვებინათ ნიკანორთან, რათა უკანასკნელი რჩევა-დარიგება მიეცა მისთვის. თითქმის ნახევარი საათი ელაპარაკა საქვეყნო საქმეებზე სადად და გონივრულად, შემდეგ კი საკუთარ დაკრძალვაზე ჩამოუგდო საუბარი. „აბა, შენ იცი. ძვირფასეულობა კარგად ჩაკეტე, ხომ იცი ხალხის ამბავი. ასეთ დროს საქურდლად უფრო მოდიან, ვიდრე მიცვალებულის ღამის სათევად“. ნიკანორთან საუბრის შემდეგ კვლავ მღვდელი მოიხმო. მღვდელმაც გულდასმით მოისმინა მისი გრძელი და დაწვრილებითი აღსარება და თავის მხრივ მოუხმო ნათესავებს, რათა მათი თანდასწრებით ეზიარებინა მომაკვდავი. სწორედ მაშინ მოითხოვა დიდმა დედამ თავის სარწეველა სავარძელში ჩაესვათ, რათა საჯაროდ გამოეცხადებინა უკანასკნელი სურვილი.

ნიკანორს ოცდაოთხი ფურცელი დასჭირდა, გარკვევით და დაწვრილებით რომ ჩაეწერა დიდი დედის ქონების ნუსხა. მანამდე კი ექიმისა

და მღვდლის თანდასწრებით თვითონ დიდი დედა კარნახობდა ნოტარიუსს მშვიდად და მკაფიოდ თავისი სიმდიდრის — თავისი სახელისა და ძალაუფლების ერთადერთი მტკიცე საყრდენის — დაწვრილებით აღწერა-ჩამოთვლას. მის სამფლობელოთა რეალური მოცულობა სამ ენკომიენდას[1] ეყრდნობოდა. ეს ენკომიენდები სამეფო სიგელით ჰქონდათ მიკუთვნებული პირველ კოლონისტებს. შემდგომში კი ერთობ ჩახლართული, მაგრამ ყოველთვის გვარის სასარგებლოდ დადებული საქორწინო ხელშეკრულებების ძალით მიწები ნელ-ნელა გადადიოდა დიდი დედის საკუთრებაში. ხუთი მუნიციპიის უკიდეგანო მიწა-წყალზე, სადაც ბატონებს საკუთარი ხელით ერთი თესლიც კი არასოდეს ჩაეგდოთ, სახლობდა იჯარის გადამხდელი ორმოცდათორმეტი ოჯახი. ყოველ წელიწადს, დიდი დედის დაბადების დღის წინა დღეებში, ხორციელდებოდა ძალაუფლების ერთი აქტი, ხარკის აკრეფა: ამ ოჯახებიდან იღებდნენ საკმაო მისალებს და ამით თითქოს დიდი ქალბატონი სახელმწიფოს ნიშნს უგებდა: ამ მიწების იმედი ნუ გექნება, მე მეკუთვნის უკუნითი უკუნისამდეო. იჯდა დიდი დედა დერეფანში გამოდგმულ სავარძელში და ისევე იღებდა ხალხისაგან მის მიწა-წყალზე ცხოვრების უფლების საფასურს, როგორც ოდესღაც მისი წინაპრები იღებდნენ ახლანდელ გადამხდელთა წინაპრებისაგან. სამი დღის განმავლობაში საბატონო სახლი ლამის წელში იზნიქებოდა აურაცხელი ხორაგისაგან. მოჰყავდათ ღორები, ინდაურები, ქათმები, მოჰქონდათ ბუმბული, აუარება ხილი და ბოსტნეული. დიდი დედა ამ გადასახადს იმ მიწებიდან იღებდა, არსად რომ არ იყო აღნიშნული და, სულ ცოტა, ასი ათასი ჰექტარი რომ ეჭირა. მაგრამ რაკი ამ მიწებზე ისტორიის ნება-სურვილით შვიდი ქალაქი და თვით დედაქალაქი მაკონდოც აღმოცენდა, — სადაც ხალხის საკუთრებად მხოლოდ კედლები და სახურავები ითვლებოდა, — ისევე უხდიდნენ დიდ დედას საკუთარ სახლებში ცხოვრების საფასურს, როგორც მთავრობა უხდიდა გულუხვად ქუჩებში სიარულის საფასურს.

წყურვილით პირგამშრალი და პატრონის თვალს მოკლებული უთვალავი საქონელი მოსდებოდა მაკონდოს შორეულ კუთხე-კუნჭულებს. ყოველ მათგანს გავაზე ესვა ბოქლომის გამოსახულებიანი დაღი — დიდი დედის ძალმოსილებაზე შექმნილი ლეგენდის ერთგული მსახური. ბატონის საჯინიბოები რაღაც მიზეზთა გამო — რაზეც არავინ დაფიქრებულა — ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს შეთხელდა და ნელ-ნელა გადაიქცა ფარდულებად, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდნენ მონჯღრეული ბრინჯის საფქვავები, შაქრის ლერწმის წნეხები და ათასნაირი ხარახურა.

დიდი დედის სიმდიდრეთა ნუსხაში მოხსენებული იყო ყველასათვის ცნობილი ოქროს მოროკოტებით სავსე სამი სურა. ეს სურები ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ, დამოუკიდებლობისათვის ომის დღეებში სადღაც ჩაფლეს სახლში და მიუხედავად საგულდაგულო ძებნისა, ჯერაც ვერ ეპოვათ. საიჯარო წესით დამუშავებული მიწის მეათედი წილის, პირველი მოსავლისა და სხვა ათასნაირი გამოსაღების უფლების ძალით ახალ მემ-

1. მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება.

კვიდრეებს საშუალება ეძლეოდათ, ბედი ეცადათ და თითქმის ყოველდღიურად დაეხვეწათ და დაეზუსტებინათ გათხრების გეგმა.

დიდ დედას ლამის სამი საათი დასჭირდა, თავისი მიწები რომ ჩამოეთვალა. მისი ხმა ოთახში დამდგარ ბუღს კვეთდა და რაღაც განსაკუთრებულ წონას მატებდა თითოეულ ჩამოთვლილ საგანს. ბოლოს, როცა ეს მნიშვნელოვანი საბუთი თავიანთი გაკრული ხელმოწერით განამტკიცეს დიდმა დედამ და ორმა მოწმემაც, იდუმალმა ჟრჟოლამ დაუარა სახლის წინ, მოედანზე მტვრიანი ნუშების ძირში თავმოყრილ ხალხს.

ახლა იმ სიმდიდრის ჩამოთვლის ჯერი დადგა, რაც დიდ დედას მორალური უფლებით ეკუთვნოდა. მომაკვდავმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა — ასე იქცეოდნენ მისი წინაპრებიც: სიცოცხლესთან განშორების დროსაც კი არ ავიწყდებოდათ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი რომ იყვნენ — თავის მონუმენტურ თეძოებს დაეყრდნო და მბრძანებლურად, გარკვევით მოჰყვა თავის უხილავი საკუთრების ჩამოთვლას. ესენი იყო:

მიწისქვეშა სიმდიდრეები, ტერიტორიული წყლები, დროშის ფერი, ეროვნული სუვერენიტეტი, ტრადიციული პოლიტიკური პარტიები, ადამიანთა უფლებები, მოქალაქეთა თავისუფლება, პირველი მაგისტრატი, მეორე ინსტანცია, დებატები, სარეკომენდაციო წერილები, ისტორიული კანონმდებლობა, თავისუფალი არჩევნები, სილამაზის დედოფლები, ბრძნული გამონათქვამები, დიდებული მანიფესტაციები, ბრწყინვალე სენიორიტები, თავმომწონე კაბალიეროები, ღირსეული სამხედროები, უწმინდესი სამღვდელოება, უმაღლესი სასამართლო, შემოსატანად აკრძალული საქონელი, ლიბერალი ქალები, ხორცის პრობლემა, ენის სიწმინდის პრობლემა, საქვეყნოდ მისაბაძი მაგალითები, სამართალდაცვა, თავისუფალი, მაგრამ მართალი ბეჭდვითი ორგანოები, სამხრეთამერიკული კულტურის ცენტრი — ლა ატენა, საზოგადოებრივი აზრი, დემოკრატიის გაკვეთილები, ქრისტიანული მორალი, სავალუტო შიმშილი, პოლიტიკური თავშესაფრის უფლება, კომუნისტური საფრთხე, გონივრული სახელმწიფო პოლიტიკა, ცხოვრების სიძვირე, რესპუბლიკური ტრადიციები, ლატაკთა კლასი, მისალოცი წერილები...

ბოლომდე ველარ ჩაამთავრა. თუკი რამ ძალა ჰქონდა შემორჩენილი, იმ ნუსხის ჩამოთვლას მიახარჯა, სული შეუგუბა აბსტრაქტულ ფორმულათა ნიაღვარმა, რომელიც მისი გვარის მორალურ ძლიერებას წარმოადგენდა ორი საუკუნის მანძილზე. დიდმა დედამ ერთი ხმამაღლა დააბოყინა და სულიც განუტევა.

დედაქალაქის მიკარგული და მიყრუებული უბნების მცხოვრებლებმა საგანგებოდ დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე იმ საღამოსვე იხილეს ოცი წლის ქალიშვილის სურათი და იფიქრეს, ალბათ ახალი სილამაზის დედოფალიაო. გადიდებულ სურათზე, — გაზეთის ოთხი სვეტი რომ ეკავა, — დიდ დედას თითქოს ხელმეორედ დაუბრუნეს ყმაწვილქალობა; სახელდახელოდ რეტუშირებულ სურათზე დიდებული თმა სპილოს ძვლის სარჭით ჰქონდა დამაგრებული, მაქმანებში ჩაძირულ მაცდუნებელ მკერდზე კი ძვირფასი გულსაბნევი ეკეთა. ეს სახე, — საუკუნის დასაწყისში რომ აღბეჭდა მაკონდოში შემთხვევით გავლილმა ვიღაც ფოტოგრაფმა, — თავის ჟამს კარგა ხანი ელოდა მოთმინებით და აი, ახლა, როგორც იქნა, ეღირსა გამომზეურება, რა-

თა მომავალ თაობებს სწორედ ასეთი დამახსოვრებოდათ იგი. დანჯღრეულ ავტობუსებში, სამინისტროთა ლიფტებში, გაცვეთილი გობელენებით მოფენილ პირქუშ ჩაიხანებში და ყველგან მოკრძალებულად ჩურჩულებდნენ უდიდეს პიროვნებაზე, რომელიც აღესრულა ცრებისა და პაპანაქება სიცხეების მხარეში, ლაპარაკობდნენ დიდ [illegible] -ვისი სახელიც სულ რაღაც ერთ-ორ საათში მთელ ქვეყანას [illegible] სიტყვის წყალობით. წვრილი თქორი გამვლელთა სახეს მწვანე ფერსა და რაღაცნაირი შიშნარევი მოლოდინის დაღს ასვამდა. ეკლესიების სამრეკლოებზე მიცვალებულის სულის მოსახსენიებელს აგუგუნებდნენ. რესპუბლიკის პრეზიდენტი ის იყო კურსდამთავრებული ცხრა კადეტის გამოსაშვები საზეიმო ცერემონიალისთვის ემზადებოდა, რომ დეპეშით აცნობეს ეს სამწუხარო ამბავი. დეპეშის მეორე მხარეს მან მაშინვე საკუთარი ხელით მისწერა წერილი სამხედრო მინისტრს: საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას, გთხოვთ, გამოაცხადოთ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ დიდი დედის ხსოვნასო.

ამ სიკვდილმა დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ ვითარებაზე. თვით რესპუბლიკის პრეზიდენტსაც კი, ვის ყურამდეც თითქმის გაფილტრული აღწევდა ხოლმე ხალხის ყოველი სიტყვა თუ მოსაზრება, რაღაცნაირი რისხვანარევი მძიმე გრძნობა დაეუფლა, როცა მანქანის სარკმლიდან მეჰყურებდა სარუმეში გარინდულ ქალაქს, სადაც მხოლოდ საეჭვო დუქნები და ცხრადღიანი გლოვისთვის მზადმყოფი ტაძარი იყო ღია. ეროვნულ კაპიტოლიუმში დორიული სვეტები და აწ გარდაცვლილ პრეზიდენტთა გარინდული ქანდაკებები ერთგულად დარაჯობდნენ გაზეთებწაფარებულ უსახლკაროთა და უპოვართა ძილს. კონგრესის შენობის ფანჯრებში სინათლე ჩახჩახებდა. საყოველთაო მწუხარებით გაოცებული პირველი მანდატარი თავის კაბინეტში რომ შევიდა, მინისტრები მაშინვე ფეხზე წამოუდგნენ. აქაც გლოვის ნიშნად ყველას შავი სამკლავურები ეკეთათ და ჩვეულებრივზე მეტად ზარზეიმურნი და ფერგამკრთალნი ჩანდნენ.

გაივლის ხანი და ის ღამეც და მომდევნო ღამეებიც ისტორიის გაკვეთილად იქცევა და ეს მოხდება არა იმიტომ, რომ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა სულს ამ დღეებში ჭეშმარიტად ქრისტიანული გრძნობიერება დაეუფლა, არამედ იმიტომაც, რომ უკიდურესად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები გმირული თავგანწირვით შეაკავშირა ერთმა საერთო საქმემ — დიდი დედის დაკრძალვის საქმემ.

დიდი დედა ყალბი საარჩევნო ბიულეტენებით სავსე სამი ზაულის დახმარებით წლების მანძილზე ედგა დარაჯად მაკონდოს სამეფოს სოციალურ სიმშვიდესა და პოლიტიკურ თანხმიერებას, რაც, რა თქმა უნდა, იმ სიმდიდრეთა ნუსხაში შედიოდა, რის ჩამოთვლაც მან ვერ მოასწრო ბოლომდე. მამრობითი სქესის ყველა მსახური — მოიჯარე თუ მის სახლს შეკედლებული, დიდი თუ პატარა — არათუ პირადად მონაწილეობდა პოლიტიკურ არჩევნებში, არამედ გასულ საუკუნეში გარდაცვლილ ამომრჩეველთა ხმითაც სარგებლობდა. დიდი დედა განსახიერება იყო იმ ტრადიციული მბრძანებლისა, რომელიც ადვილად იმორჩილებს უხერხემლო პიროვნებებს, განსახიერება იყო მმართველი კლასი-

სა, რომელიც ადვილად უმკლავდება პლებეებს, და — ღვთიური სიბრძნისა, რის წინაშეც არარაობაა მოკვდავთა უდღეური დოგმები. მშვიდობიან წლებში დიდი დედა პირადად აუქმებდა სინეკურებსა და პრებენდებს, პირადად ხსნიდა და ნიშნავდა კანონიკებს, ლამის ცეცხლში ვარდებოდა თავისიანების საკეთილდღეოდ, ამიტომაც ერია მისი ხელი საარჩევნო ბიულეტენების ბნელ საქმეებში, ამიტომაც იყო შეკრული ბნელ ძალებთან. არეულობის ჟამს საიდუმლოდ ამარაგებდა იარაღით თავის მოკავშირეებს, ხოლო ყველას დასანახად კი დახმარების ხელს უწვდიდა თავისსავე მსხვერპლთ. ასეთი პატრიოტული აღტყინების გამო ერგო დიდ დედას უმაღლესი პატივისცემა.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოისურვა, ამჯერად თვითონ მას, ყოველგვარი მრჩევლების გარეშე განესაზღვრა საკუთარი ისტორიული პასუხისმგებლობის მთელი სიდიადე. იგი ბოლთას სცემდა კიპარისების ხეივანში, სადაც კოლონიური მმართველობის დასაწყისში ერთმა პორტუგალიელმა ბერმა თავი ჩამოიხრჩო უიმედო სიყვარულის გამო. ეს ხეივანი ერთმანეთს უკავშირებდა სასახლის სააუდიენციო დარბაზსა და პატარა მოკირწყლულ ბაღს, სადაც ძველად ვიცემეფეების ეტლების სადგომი იყო. პრეზიდენტს დიდი იმედი არასოდეს ჰქონია თავისი პირადი დაცვისა — ჩინ-მედლებით დახუნძლული ოფიცრებისა — და ყოველთვის, როცა კი ამ ბაღში უწევდა გავლა საღამო ხანს, რატომღაც შიში ეუფლებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა, ამ ღამეს, პრეზიდენტი შეეპყრო ტკბილსა და სასიამოვნო თრთოლვას, სწორედ ამ ღამეს შეიცნო მან მთელი სისავსით საკუთარი პიროვნების ისტორიული მნიშვნელობა: მან ხომ უყოყმანოდ მოაწერა ხელი ცხრადღიანი საყოველთაო გლოვის დეკრეტს, რის მიხედვითაც დიდი დედა ისეთი პატივით უნდა დაეკრძალათ, როგორც ბრძოლის ველზე დაცემულ გმირს შეეფერება. თანამოძმეებისადმი მიმართულ თავის დრამატულ სიტყვაში, ალიონზე რომ გადაიცა ეროვნული რადიოსა და ტელევიზიის ყველა არხით, ერის პირველმა კაცმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ დიდი დედის დაკრძალვის ცერემონიალი ახალი სიტყვა იქნება მსოფლიო ისტორიაში.

მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ამ უმაღლესი მიზნის აღსრულებას თავისებური სიძნელეებიც დაერთო. საქმე ის არის, რომ დიდი დედის შორეული წინაპრების მიერ შექმნილი ქვეყნის მართვის სისტემაში თავის დროზე რატომღაც დავიწყნოდათ ამდაგვარ მოვლენათა საგანგებოდ ჩატარების საკითხის შეტანა. ჰოდა, კანონთა მცოდნე დოქტორებიც და სამართლის ნამდვილი ალქიმიკოსებიც ჩაყურყუმელავდნენ სილოგიზმებსა და გერმენევტიკაში, გულმოდგინედ ეძიებდნენ ისეთ ფორმულებს, რის თანახმადაც პრეზიდენტს შეეძლებოდა დიდი დედის დაკრძალვაში მონაწილეობის მიღება. მღვდელმსახურებსა და პოლიტიკოსებს ჭეშმარიტად მძიმე დღეები დაუდგათ. კონგრესის ნახევრად წრიულ დიდ დარბაზში, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელთა სურათები და დიდ ბრძენ ფილოსოფოსთა ქანდაკებები ერთმანეთს ეცილებოდნენ დიდებულებაში, — გუნდრუკს უკმევდნენ დიდი დედის სახელს. ამ დროს კი მისი გვამი მაკონდოს სექტემბრის ხვატში ბუშტულებით იფარებოდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დიდ დედაზე ლაპარაკისას არაფერი ითქვა არც მის საყვარელ სარწეველა სავარძელზე, არც ძილზე, ნასა-

დილევს რომ უყვარდა ხოლმე, და არც მდოგვის საფენებზე. ახლა იგი იყო უმწიკვლო, წლებით დაუმძიმებელი დიდი დედა, ვისი სახებაც ახალი შარავანდედით იმოსებოდა.

უსასრულო საათებს ყლაპავდა სიტყვები, სიტყვები, სიტყვები, რომლებიც მთელს რესპუბლიკას მოედო ბეჭდვითი სიტყვის მამამთავართა მონდომებითა და მეოხებით. ბოლოს გაჩნდა ერთი კაცი, ვისაც რეალობის გრძნობა აღმოაჩნდა და ასეპტიკურ მამამთავრებს შეაწყვეტინა ისტორიული ბრახაბრუხი; მიცვალებული რომ თავის გზას ელოდება ორმოცი გრადუსი სიცხის ქვეშ ჩრდილში, დაგავიწყდათო? მაგრამ ერთმა-ორმა კაცმა თუ მიაქცია ყურადღება ამ ჯანსაღი აზრის შეჭრის მცდელობას რკინისებურ და უცოდველ კანონში. მართალია, მიცვალებულის დაბალზამება ბრძანეს, მაგრამ ახალი ფორმულის ძებნას მაინც არ მოეშვნენ, ერთმანეთს უთანხმებდნენ მოსაზრებებს, შესწორება შეჰქონდათ კონსტიტუციაში, ყოველნაირად ცდილობდნენ მოეძებნათ პატარა საბაბი მაინც, რომ პრეზიდენტს შესძლებოდა დაკრძალვაზე დასწრება.

იმდენი ილაყბეს და ილაქლაქეს, რომ მათმა მონაჩმახმა სახელმწიფო საზღვრები გადალახა, გადასერა ოკეანე და წინათგრძნობასავით ეწვეია პაპის სავანეს — კასტელგანდოლფოს. მის უწმინდესობას ის იყო ძილბურანისათვის ძლივს დაეღწია თავი, იდგა ფანჯარასთან და ღრმად ჩაფიქრებული უცქერდა, როგორ ჩადიოდნენ ტბაში მყვინთავები, რათა ეპოვათ მხეცურად მოკლული ქალიშვილის თავი. ამ ბოლო ხანებში საღამოს გაზეთები მხოლოდ ამ მკვლელობაზე წერდნენ და, რაღა თქმა უნდა, მის უწმინდესობასაც როგორ შეეძლო გულთან არ მიეტანა ეს საიდუმლო, რის ამოხსნასაც ასე თავგამოდებით ცდილობდნენ ზედ მის საზაფხულო რეზიდენციასთან, მაგრამ ერთ საღამოს ყველაფერი შეიცვალა: გაზეთებში სწრაფად გაქრა სავარაუდო მსხვერპლთა სურათები და მათ მაგივრად გაჩნდა ოცი წლის ქალიშვილის შავ ჩარჩოში ჩასმული სურათი. „დიდი დედა!“ — აღმოხდა მის უწმინდესობას. მან იცნო ის დაბინდული დაგეროტიპი, დიდი ხნის წინათ, წ. პეტრეს სავარძელში მისი დაბრძანების დღეს რომ აჩვენეს. „დიდი დედა!“ — თითქმის ერთდროულად აღმოხდათ საკარდინალო კოლეგიის წევრებსაც თავ-თავიანთ აპარტამენტებში. უკიდეგანო საქრისტიანოს მთელი ოცი საუკუნის მანძილზე ეს უკვე მესამედ დაატყდა თავს არეულობის, მღელვარებისა და აქეთ-იქით უაზრო სირბილის წუთები. ბოლოს ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მისი უწმინდესობა ჩასვეს გრძელსა და შავად ალაპლაპებულ ლიმუზინში და გაისტუმრეს დიდი დედის შორეულსა და ფანტასტიკურ დაკრძალვაზე.

უკან დარჩა სხივიანი ატმის ხეები და „ძველი აპიის“ გზაც, სადაც მზე ოქროსფრად ფერავდა კინოვარსკვლავთა მოთენთილ სხეულებს. იქ ჯერაც არაფერი იცოდნენ ამ სამწუხარო ამბის შესახებ. უკან დარჩა აგრეთვე ტიბრის ფონზე წამომართული პირქუში და ვეება კასტელსანტანჯელო. ჭაობის ლერწმებში, სადაც გადიოდა საზღვარი რომის იმპერიისა და დიდი დედის წმინდათაწმინდა სამფლობელოებს შორის, მოსკიტების შიშით ბადის ქვეშ შეხუთულ მის უწმინდესობას მოსვენებას არ აძლევდა ადამიანის სიახლოვით აფორიაქებული მაიმუნების ყვირი-

ლი. ღამის სიბნელეში კანოე გზადაგზა ივსებოდა იუკით სავსე ტომრებით, მწვანე ბანანით, ცოცხალი ფრინველით და, რა თქმა უნდა, ქალებითა და კაცებითაც, რომლებიც სარფიანი ვაჭრობის იმედით მიეშურებოდნენ დიდი დედის დაკრძალვაზე. ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მისი უწმინდესობა გამ[illegible]ლობით გამოწვეულმა ქრჟოლამ და ტროპიკულმა მოსკიტებმა, მაგრამ დიდი დედაბრის სამფლობელოს თავზე დანთებული რიჟრაჟის ჯადოსნურმა ფერებმა, იგუანასა[1] და აყვავებული ბალზამინას სამეფოს სილამაზემ წამში დაავიწყა მოგზაურობისას განცდილი უსიამო წუთები და ასწილ მიუზღო საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებისათვის.

ნიკანორი კარზე სამჯერ დაბრაგუნებამ გააღვიძა, ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ მისი უწმინდესობა ჩამობრძანდა. სიკვდილმა დაიპყრო მთელი სახლი. პრეზიდენტის ფერადოვანმა, ამაღლებულმა სიტყვებმა და პარლამენტარების გაცხარებულმა დავამ, — მათ კარგა ხანია ხმა წაერთვათ და ახლა ხელების დახმარებით ლაპარაკობდნენ, — ასობით ადამიანს მიეტოვებინა საქმე და ვინ ცალკე და ვინ კიდევ კონგრეგაციებად მოედვნენ დიდი დედის სახლის ბნელ დერეფნებს, დახავსებულ კიბეს, ბუღჩამდგარ სხვენებს. დაგვიანებით მოსულნი შეძლებისდაგვარად თავსდებოდნენ პირუტყვის საკლავებში, სათვალთვალო კოშკებზე, საყურადო სარკმლებთან. მთავარ დარბაზში კი უმაღლეს გადაწყვეტილებას ელოდა დაბალზამებული დიდი დედა, ვის სხეულზეც დეპეშების მთა აღმართულიყო. ერთმანეთის მიბაძვით ეჭვიანობის ექსტაზში შესული და ტირილით დაოსებული ცხრა ძმისწული ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა მიცვალებულს, რომელიც ნელ-ნელა ემსგავსებოდა მუმიას.

კიდევ არაერთი დღე უწევდა ხალხს დაძაბული მოლოდინი. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც კედლის გასწვრივ ოთხი ტყავგადაკრული სკამი, ხოლო მაგიდაზე გამოხდილი წყლით სავსე სურა იდგა, მის უწმინდესობას უძილობა ჰკლავდა და სულისშემხუთველი ღამეების შესამოკლებლად მემორიალებსა და ადმინისტრაციულ განკარგულებებს კითხულობდა. დღისით კი ხან იტალიურ კამფეტებს ურიგებდა მის დასანახავად ფანჯარასთან ახლო მისულ ბავშვებს, ხან კი მღვდელ ანტონიო ისაბელთან, უფრო იშვიათად კი ნიკანორთან ერთად, დიდხანს უჯდა ხოლმე სუფრას ხვეული ასტრომელიების ფანჩატურში. ასე მიათრევდა პაპი არაქათგამცლელ უსასრულო კვირეებს, თვეებს მანამდე, სანამ არ დადგა ის ღირსახსოვარი დღე, როცა შუა მოედანზე გამოჩნდა მღვდელი პასტრანა თავის ბარაბნიანად და ქვეყანას ამცნო უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება: იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი საშიშროებაო... — რამპა-რამპა-რამპაპა... — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაევალა რესპუბლიკის პრეზიდენტს... — რამპა-რამპა-რამპაპა... — და სწორედ ამიტომაც მას უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დიდი დედის დაკრძალვაში !.. — რამპა-რამპა-რამპაპა!...

დადგა დიადი დღეც. მარჯვე მოისარნი-მეარბალეტეები გზას უთავისუფლებდნენ მთავრობის წევრებს, რადგან ქუჩებში ბლომად ირეოდა ხალხი სათამაშო რულეტებთან, სალატარიო დახლებთან, სასაუზმეებთან.

---

1. ხვლიკის სახეობა.

პატარა მოედანზე მოსკიტებისაგან დასაცავი ბადეები გაებათ, ყელზე გველშემოხვეულ ნათელმხილველებს ჭილოფებზე მოერთხათ ფეხი და წითელი ქარისა და უკვდავების ბალზამს ამზადებდნენ. ვის არ ხაზავდით აქ დიადი წუთების მოლოდინში თავმოყრილთ: სან-ხორხელ მრეცხავ ქალებს, კაბო დე ველელ მარგალიტის მაძიებლებს, სიენეგელ მებადურეებს, ტასახერელ კრევეტის შემბოლველებს, მოხანელ მაჭანკლებს, მახაურელ აკორდეონზე დამკვრელებს, აიაპელელ ცხენის მხედხავებს, სან-პელაიოელ პაპაით მოვაჭრეებს, ლა კუეველ ლაზღანდარებს, საბანას დე ბოლივარელ მუსიკოსებს, რებოლოელ მტვირთავებს, მაგდალენელ უსაქმურებს, მონპოქსელ გაქნილებს და კიდევ ბევრს იმათთან ერთად, ვინც მოთხრობის დასაწყისში მოვიხსენიეთ. ის კი არადა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ვეტერანებიც კი მოვიდნენ საზეიმოდ გამოწყობილნი; დიდი დედისა და მისიახების მიმართ ასწლიანი ბოღმა ედოთ გულში, მაგრამ მაინც მოვიდნენ ხახადაღებულ ვეფხვის ტყავით შემოსილ ჰერცოგ მარლბოროს მეთაურობით. ვეტერანებს იმედი ჰქონდათ რესპუბლიკის პრეზიდენტს იმ სამხედრო პენსიების საქმეს შეახსენებდნენ, აგერ უკვე სამოცდაათი წელიწადი ამაოდ რომ ელოდნენ.

დილის თერთმეტი საათისათვის პაპანაქება სიცხისაგან გადარეულმა და განაწამებმა ბრბომ, რომელსაც მოქარგულ დოლომანებიანი წესრიგის დამცველთა ელიტა აკავებდა, წარმოუდგენელი რამ დაინახა: სატელეგრაფო შენობის მხრიდან გამოჩნდნენ შავ ფრაკებსა და ცილინდრებში გამოწყობილი, საკუთარი ღირსებით აღსავსე პრეზიდენტი და მისი მინისტრები. მათ მოჰყვებოდათ პარლამენტის კომისია, უმაღლესი სასამართლო, სახელმწიფო საბჭო, ტრადიციული პოლიტიკური პარტიები, უმაღლესი სამღვდელოება, ბანკების, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები. მელოტი, ტანჩია, ბებერი და სნეული პრეზიდენტი მიცუნცულობდა აღტყინებული ადამიანების წინ, ამ ადამიანებმა იგი ოდესღაც უნახავად აირჩიეს პრეზიდენტად და მხოლოდ ახლა დარწმუნდნენ მის რეალურ არსებობაში; პრეზიდენტის გვერდით მოაბიჯებდნენ ასევე საკუთარი ღირსებით დამძიმებული არქიეპისკოპოსები და მკერდგაჯგიმული, ორდენების გაუმტარი ჯავშნით აღჭურვილი სამხედროები. მაგრამ ძალაუფლების სხივს მხოლოდ ერის მამა აშუქებდა.

შემდეგ სამგლოვიარო აბრეშუმის ერთნაირი შარიშურით მოდიოდნენ დედოფლები — დღევანდელიც და ხვალინდელიც. წინ მთავარი დედოფალი მიუძღოდათ ყოველგვარი მორთულ-მოკაზმულობის გარეშე, მერე მოდიოდა მანგოს დედოფალი, მერე მწვანე აუიამასი, გვინეის ბანანისა, ფქვილისებური იუკასი, ქოქოსის ზეთის, წითელი ლობიოსი, იგუანას კვერცხების ოთხას ოცდაექვსმეტრიანი ასხმულასი და სხვა დედოფლებიც. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, ამბავი გაგვიგრძელდება.

ფორმალინის უკვდავებით გაჟღენთილი დიდი დედა იწვა მეწამულ ფუნჯებიან კუბოში და რვა რკინის ტურნიკეტით განრიდებული ყოველივე მიწიერისაგან ვერ გრძნობდა თავისი პიროვნების მთელ სიდიადეს. ყველაფერი, რაზეც კი უოცნებია თავის აივანზე პაპანაქება

სიცხეში, ახლა აუხდა: ორმოცდარვა ფსალმუნში ეპოქის ყველა სიმბოლოძ სათანადო ქატივი მიაგო ძის ხსოვნას. ტყუილად როდი ეზმანა სიკვდილის წინ მისი უწმიხდესობა: იგი ოქროს ეტლით დაფრინავდა ვატიკახის ბაღების თავზე. ჰოდა, აგერ ეს უპირველესი მღვდელმთავარი პალმის ტოტით შეეჭიდა ტროპიკულ ბუღს და თავისი დასწრებით პატივჰყო მსოფლიოში ყველაზე უდიდესი დაკრძალვა.

მდაბიონი ისე მიშტერებოდნენ ბატონებს, რომ ვერც კი გაიგონეს ფრთების ტყლაშუნი დიდი დედის სახლის ზღურბლთან, საიდანაც ღირსთა შორის ღირსმა მამებმა მოურიდებელი ლანძღვა-გინებით გამოიტანეს მხრებზე შედგმული კუბო. არავის დაუნახავს პროცესიის ჩავლის მერე ქუჩებში მოფენილი სკორე, არც ეჭვად გაუვლია ვინმეს, რომ დიდი დედის ძმისწულებს, მის სახლს შეკედლებულ საყვარელ ადამიანებს შეეძლოთ მიცვალებულის გამოსვენებისთანავე აეყარათ იატაკი, ჩამოეგლიჯათ კარები, დაენგრიათ კედლები ,გაეყოთ სახლი. სამაგიეროდ ყველამ გაიგონა, რა თავისუფლად ამოისუნთქა ბოლოს და ბოლოს ხალხმა, როცა ორკვირიანი ლოცვისა და გაუთავებელი დითირამბების მერე, როგორც იქნა, სამარეს დაახურეს დიდი ტყვიის ფილა. ვისაც ცოტაოდენი ჭკუა მაინც ჰქონდა, მიხვდა, ახალი ეპოქის დასაწყისის მოწმეები ვხდებითო. უმაღლესმა მღვდელთმთავარმა აღასრულა თავისი უდიდესი მოვალეობა ცოდვილ მიწაზე და ახლა შეეძლო სულითა და ხორცით ამაღლებულიყო ზეცად, პრეზიდენტიც ახლა უკვე საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართავდა სახელმწიფოს, დღევანდელ და ხვალინდელ დედოფლებს შეეძლოთ გათხოვილიყვნენ, ყოფილიყვნენ ბედნიერები და გაეჩინათ ბევრი შვილი. უბრალო ხალხიც სადაც მოისურვებდა, იქ გააბამდა ნოსკიტებისგან დასაცავ ბადეს, რამეთუ დიდმა დედამ, — ვისაც მოკვდავთა შორის ერთადერთს ძალუძდა ამის აკრძალვა, — უკვე ლპობა დაიწყო ტყვიის უზარმაზარი ფილის ქვეშ. ახლა სასწრაფოდ უნდა მოეძებნათ კაცი, ვინც ჭიშკართან გამოდგამდა სკამს, დაჯდებოდა და მოჰყვებოდა ამ ამბავს ისე, როგორც მოხდა სინამდვილეში, რათა მომავალ თაობებს გაკვეთილად და სიცილის საბაბად გამოდგომოდათ. სასწრაფოდ უნდა მივიდეს ეს ამბავი უკლებლივ ყველა ურწმუნო კაცის ყურამდე, თორემ ოთხშაბათ დილით მოვლენ მეეზოვეები და სამარადჟამოდ გაგვიან დიდი დედის დაკრძალვის მერე დარჩენილ მთელ ნაგავს.

„პირველი ნაბიჯები"

ფრენკ ო, კონორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ოიდიპოსის კომპლექსი

ინგლისურიდან

თარგმნა მარიკა აბაშიძემ

მამა ჯარში მსახურობდა მთელი ომის მანძილზე, პირველ მსოფლიო ომზე ვამბობ. ხუთ წლამდე ძალზე იშვიათად ვნახულობდი· ყველაფერი, რაც ხდებოდა, დიდად არ მაწუხებდა. ზოგჯერ ვიღვიძებდი და ვხედავდი, ხაკისფერ ფორმაში გამოწყობილი დიდი ფიგურა სანთლის შუქზე როგორ ჩაკვირდებოდა. ხან დილით ადრე მესმოდა წინა კარის გაჯახუნების ხმა და დალურსმული ჩექმების ბრახუნი ქვემოთ, ვიწრო ქუჩის ქვაფენილზე. ასე მოდიოდა და მიდიოდა მამა სანტა კლაუსივით უჩინრად.

სინამდვილეში მე ჩვეულებრივზე მეტად მომწონდა მისი გამოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ სივიწროვე იყო, როცა მასა და დედას შორის მათ დიდ საწოლში ვძვრებოდი ხოლმე დილით ადრე. ის ეწეოდა, რის გამოც სასიამოვნო ნოტიო სუნი ასდიოდა და წვერს იპარსავდა, რაც განსაცვიფრებელი ინტერესის საგანი იყო ჩემთვის. ყოველი წასვლის შემდეგ სუვენირების წყებას ტოვებდა — ტანკის მოდელებს და გურხა დანებს, ტარები რომ სავაზნეებიდან ჰქონდათ გაკეთებული, გერმანულ მუზარადებსა და ქუდის კოკარდებს, ასევე საკინძეებსა და სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობას. ეს ყველაფერი საგულდაგულოდ ჰქონდა გადამალული გრძელ ყუთში გარდერობის თავზე, ვინიცობაა ოდესმე დასჭირებოდა, როგორც კაჭკაჭებს სჩვევიათ ხოლმე. მას ეგონა, რომ ყველაფერი გამოადგებოდა. როდესაც ზურგით შებრუნებული იყო, დედა ნებას მრთავდა სკამი მიმეტანა და მის განძეულობებში მექექა. ეტყობა, რომ დედა მათზე ისეთივე აზრისა არ იყო, როგორიც მამა.

ომი ყველაზე მშვიდობიანი ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში. ჩემი მანსარდის სარკმელი სამხრეთ-აღმოსავლეთს უყურებდა. დედას ზედ ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ ეს არ შველოდა. მე ყოველთვის ვიღვიძებდი მზის პირველ სხივთან ერთად. წინადღის ყველა მოვალეობამივიწყებული, თავს ვგრძნობდი როგორც მზე, მზად რომაა სიკაშკაშისა და მხიარულებისათვის. ცხოვრება არასდროს ყოფილა ისეთი მარტივი, ნათელი და შესაძლებლობლებით აღსავსე, როგორც მაშინ. ტანსაცმლიდან გამოვჰყოფდი ხოლმე ფეხებს — ანუ მათ ვეძახდი როგორც ქალბატონ მარცხენას და ქალბატონ მარჯვენას — და ვიგონებდი მათთვის დრამატულ სიტუაციებს, სადაც ისინი დღის პრობლემებზე სჯაბაასობდნენ. უნდა ითქვას, რომ ქალბატონ მარჯვენას ყველაფერი გამოსდიოდა. ის გამოსახტვის ნიჭით იყო დაჯილდოებული· რაც შეეხება ქალბა-

ტონ მარცხენას, შედარებით ნაკლებ ვაწუხებდი. იგი უმეტესად თავს აქნევდა ხოლმე თანხმობის ნიშნად.

ისინი კამათობდნენ, რა უნდა გაგვეკეთებინა მე და დედას დღის განმავლობაში, რა უნდა მოეტანა სანტა კლაუსს შობას პატარა ბიჭისათვის და რა ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო სახლისთვის უფრო მხიარული ელფერის მისანიჭებლად. მაგალითად, საუბარი იყო თოთო ბავშვზე. დედამ და მე ვერ შევძელით ამაზე შეთანხმება. ჩვენი სახლი ერთადერთი იყო ტერასებიან ქუჩაზე თოთო ბავშვის გარეშე. დედამ თქვა, რომ ჩვენ, ვერ შევძლებდით მის ყოლას, სანამ მამა არ დაბრუნდებოდა ომიდან, რადგან ეს თოთო 17 გირვანქა და 6 პენსი დაგვიჯდებოდა. აქედან ჩანდა, თუ რა მიამიტი იყო დედა. გინესების ოჯახს გზის ალმა ჰყავდა თოთო ბავშვი, თუმცა ყველამ იცოდა, რომ მათ არ ჰქონდათ 17გირვანქისა და 6 პენსის გადახდის საშუალება. ალბათ ეს იაფიანი ბავშვი იყო, დედას კი უნდოდა რაღაც განსაკუთრებული, უფრო ძვირიანი, და ვგრძნობდი, რომ ის თავის აზრს არ შეიცვლიდა. არადა, გინესების თოთო ბავშვი შესანიშნავად გვაწყობდა.

დავაწყე რა დღის გეგმები, ავდექი, სკამი მანსარდის სარკმლის ქვეშ მივდგი და ჩარჩო იმ სიმაღლეზე ავწიე, თავი რომ გამეყო. სარკმელი ტერასის წინა ბაღებს გადაჰყურებდა ჩვენი სახლის უკან თუ მის ქვემოთ მდებარე ღრმა ხეობის მოპირდაპირე გორაზე მდგარი მაღალი, წითელაგურიანი სახლების რიგებამდე, რომლებიც ჯერ კიდევ ჩრდილში იყვნენ, მაშინ როცა ჩვენი ხეობის მხარეს ყველა სახლი გაჩახჩახებული იყო მიუხედავად იმ გრძელი, უცნაური ჩრდილებისა, მათ უცნაურ შესახედაობას რომ აძლევდა, უდრეკსა და შეფერადებულს.

ამის შემდეგ დედას ოთახში შევედი და დიდ საწოლში შევძვერი. დედას გაეღვიძა და მეც ჩემი გეგმების მოყოლა დავუწყე. ამ დროისთვის, თუმცა ამას ვერასოდეს ვამჩნევდი, თურმე ისე გავითოშე სიცივისაგან ჩემს ღამის პერანგში, რომ ლაპარაკის დროს თოშმა დნობა დაიწყო, სანამ ბოლო სულ არ გაღნა და მის გვერდით არ ჩამეძინა. მხოლოდ მაშინ გამეღვიძა, როცა გავიგონე, რომ ქვემოთ სამზარეულოში დედა უკვე საუზმეს ამზადებდა.

საუზმის შემდეგ ქალაქში წავედით. მოვისმინეთ წირვა წმინდა ავგუსტინეს ეკლესიაში, ვილოცეთ მამასთვის და ვიყიდეთ საყიდლები. თუ კარგი ამინდი იყო, შუადღისას ან სასეირნოდ მივდიოდით ქალაქგარეთ, ან დედას ძველ მეგობართან, წმინდა დედა დომენიკთან ქალთა მონასტერში სტუმრად. დედა ყველას ალოცვინებდა მამასთვის. მე კი ყოველღამ დაწოლისას ღმერთს ვთხოვდი, რომ ომიდან უვნებელი დაებრუნებინა იგი ჩვენთვის. თუმცა კი არც ვიცოდი, რატომ ვლოცულობდი!

ერთ დილით ავძვერი დიდ საწოლში და იქ, მართლაც მამა დამხვდა მისი ჩვეული სანტა კლაუსის მაგვარი სიდინჯით. მოგვიანებით სამხედრო ფორმის ნაცვლად თავისი საუკეთესო ლურჯი კოსტუმი ჩაიცვა. დედა ძალიან კმაყოფილი იყო ამით. მე კი ვერაფერ მოსაწონს ვერ ვხედავდი, იმიტომ, რომ სამხედრო ფორმის გარეშე, მამა ნაკლებად საინტერესო ჩანდა. დედა კი გაიბადრა და განგვიმარტა, რომ ჩვენი ლოცვები შესმენილ იქნა. მერე წავედით წირვაზე. რომ მადლობა შეგვეწირა უფლისათვის მამის შინ უვნებლად დაბრუნების გამო.

აი დაცინვა თუ გინდა! სწორედ იმ დღეს, როცა მამა სადილად მოვიდა, ჩექმები გაიხადა, ოთახის ფოსტლები ჩაიცვა, ჭუჭყიანი ძველი ქუდი დაიხურა, რომელსაც ის სახლში ატარებდა სიცივის გამო, გადააჯვარედინა ფეხები, მან სერიოზული საუბარი გაუბა დედას, რომელიც აღელვებული ჩანდა. ჩვეულებრივ მე არ მომწონდა, როცა იგი ჯღლავდა, რადგან ეს აუშნოებდა ჩემს ლამაზ დედას. უცბად მამას სიტყვა გავაწყვეტინე.

— ერთი წუთით, ლერი! — ნაზად მითხრა დედამ. ასე მხოლოდ მაშინ ამბობდა, როცა მოსაბეზრებელი სტუმრები გვყავდა. ამდენად შეწიშვნა არად ჩავაგდე და ლაპარაკი განვაგრძე.

— დაწყნარდი, ლერი! — მითხრა უკვე მოუთმენლად. — ვერ ხედავ, რომ მამიკოს ველაპარაკები?

ეს იყო პირველად, როცა ეს სიტყვები მითხრა, მამიკოს ველაპარაკებიო, და მეც უნებურად გავიფიქრე, თუ ღმერთი ასე პასუხობს ლოცვებს, მაშასადამე, ის მათ დიდი ყურადღებით არ უსმენს ხოლმე.

— რატომ ელაპარაკები მამიკოს? — ვკითხე ისე გულგრილად, როგორც შემეძლო.

— იმიტომ, რომ მამიკოს და მე განსახილველი გვაქვს რაღაც. ხელს ნუღარ შეგვიშლი!

შუადღისას დედას თხოვნით მამამ სასეირნოდ წამიყვანა. ამჯერად ჩვენ ქალაქში წავედით, იმის ნაცვლად, რომ ქალაქგარეთ გავსულიყავით, როგორც მჩვეოდა თავიდან, ოპტიმისტურად გავიფიქრე, რომ მამა გამოსწორების გზას ადგა. არაფერი ამდაგვარი. მამას და მე სრულიად სხვადასხვა შეხედულება გვქონდა ქალაქში სეირნობაზე. ის არცთუ ისე იყო დაინტერესებული ტრამვაებით, გემებით, ცხენებით. ერთადერთი, რაც მას აინტერესებს, ეს იყო საუბარი მისივე ასაკის ადამიანებთან. როცა მე მინდოდა შეჩერება, ის გზას განაგრძობდა და ძალით მიმათრევდა. როცა მას უნდოდა გაჩერება, სხვა არჩევანი არ მქონდა, გარდა იმისა, რომ დავყოლოდი. შევამჩნიე, რომ, როდესაც კედელს მიეყრდნობოდა, ეს უთუოდ იმის ნიშანი იყო, რომ დიდხანს უნდოდა გაჩერება. მეორედ რომ დავინახე კედელს მიყრდნობილი, გავბრაზდი — თითქოსდა სამუდამოდ იქ აპირებდა დარჩენას. პალტოზე და შარვალზე დავექაჩე, მაგრამ დედასაგან განსხვავებით, რომელიც როცა გავჯიუტდებოდი, გაბრაზებული მეუბნებოდა: ლერი თუ წესიერად არ მოიქცევი, ერთს კარგად მიგტყეპავო, მამას განსაკუთრებული უნარი ჰქონდა თავაზიანი უყურადღებობისა. როცა ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი მასზე, მეგონა, რომ მომხვდებოდა, მაგრამ ჩანდა, რომ ძალზე შორს იყო, ასეთი რამეც კი ეწყენოდა. სინამდვილეში ეს უფრო მთასთან სასეირნოდ წასვლას ჰგავდა! ის ან არაფრად აგდებდა ჩემს ქაჩვასა და მუშტების ცემას, ან თავშესაქცევი კმაყოფილებით და კბილების კრეჭით გადმომხედავდა ხოლმე თავისი მწვერვალიდან. მანამდე არავინ შემხვედროდა, საკუთარ თავში ასე ჩაფლული, როგორიც ის ჩანდა.

ჩაის სმის დროს დედამ ისევ დაიწყო — მამიკოს ველაპარაკებიო, ამჯერად გართულებული იმ ამბით, რომ მამა საღამოს გაზეთს კითხულობდა და ყოველ წუთში დაბლა სწევდა, რათა დედისთვის ეამბნა რა-

ღაც ახალი იქიდან. ვგრძნობდი, ეს წესგარეშე თამაში იყო — მამაკაცისა მამაკაცთან. შემართული ვიყავი ნებისმიერ დროს შევეჯიბრებოდი, რომ დედის ყურადღება მიმექცია, მაგრამ როცა სხვები ასე იქცეოდნენ, სხვა გამოსავალი აღარ მრჩებოდა. რამდენჯერმე შევეცადე შემეცვალა თემა მაგრამ ამაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა მამიკო კითხულობს, ჩუმად უნდა იყო, ლერი, — მოუთმენლად მითხრა დედამ.

ცხადი იყო, რომ მას ან ნამდვილად უფრო მეტად მოსწონდა მამასთან საუბარი, ვიდრე ჩემთან, ან მამას ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა, მასზე, რომ მისი შიშით სიმართლეს ვერ აღიარებდა.

— დედიკო, — ვუთხარი დაწოლისას, როცა ღამის პერანგს მისწორებდა, — შენი აზრით მაგრად რომ ვილოცო, ღმერთი მამიკოს ომში უკანვე გაგზავნის?

შევატყვე, რომ წუთით დაფიქრდა ამაზე.

— არა, ძვირფასო, — მითხრა ღიმილით, — არა მგონია, რომ ეს გააკეთოს.

— რატომ არა, დედიკო?

— იმიტომ, რომ ომი აღარ არის, ძვირფასო.

— მაგრამ, დედიკო, არ შეუძლია ღმერთს სხვა ომი წამოიწყოს, თუ სურს?

— მას არ სურს ეს, ძვირფასო. ცუდი ხალხი იწყებს ხოლმე ომებს და არა ღმერთი.

— ოოჰ! — ამოვთქვი მე.

ამან იმედი გამიცრუა. გადავწყვიტე, რომ ღმერთი სულაც არ იყო ისეთი კეთილი, როგორც ხალხი ამბობდა.

მეორე დილით ჩვეულებრივ დროს გავიღვიძე და თავს შამპანურის ბოთლივით ვგრძნობდი. გამოვყავი ფეხები და შევთხზე გრძელი დიალოგი, სადაც ქალბატონი მარჯვენა საუბრობდა იმ გასაჭირზე, სანამ მამას „ჩვენს“ ჩასვამდა. სრულებით არ ვიცოდი, რას ნიშნავდა „ჩვენს“, მაგრამ ჟღერდა, როგორც შესაფერისი ადგილი მამისათვის. შემდეგ მივიტანე სკამი და თავი გადავყავი მანსარდის სარკმლიდან. განთიადი ის-ის იყო დგებოდა — დამნაშავის იერით, რამაც მაიძულა მეფიქრა, რომ გამოვიჭირე რაღაც ცუდ საქციელში. ისევ ავჩანჩალდი გვერდითა კარიდან. თავი მისკდებოდა ამ ამბებით და გეგმებით. ნახევრად ბნელში დიდ საწოლში შევცოცდი. დედას მხარეს ადგილი აღარ იყო, ისე რომ, მასა და მამას შორის უნდა მოვთავსებულიყავი. ამ დროისათვის დამავიწყდა კიდეც მისი არსებობა. რამდენიმე წუთი გამართული ვიჯექი და ტვინს ვიჭყლეტდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი და რა უნდა მექნა მისთვის. მას საწოლის უფრო მეტი ნაწილი ეკავა, ვიდრე ეკუთვნოდა და მოხერხებულად ვერ მოვთავსდებოდი, ამიტომ რამდენიმეჯერ წიხლი ვკარი. მან ჩაიზმუვლა, გაიწია და საკმაო ადგილი დამიტოვა. დედას გაეღვიძა და ხელი მომიფათურა. თბილ საწოლში მოხერხებულად მოვკალათდი და ცერა თითი პირში ჩავიდე.

— დედიკო! — წავიბზუე კმაყოფილმა ხმამაღლა.

— სსუ! ძვირფასო. — წაიჩურჩულა მან, — მამიკო არ გააღვიძო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იმაზე მეტი სერიოზული მოთხოვნა იყო, ვიდრე მამიკოს ველაპარაკებით. დილაადრიანი კონფერენციების გარეშე ჩემი ცხოვრება არა და არ გამოდიოდა.

— რატომ? — ვკითხე მკაცრად.

— იმიტომ, რომ საწყალი მამიკო დაღლილია.

ეს მე ყოვლად შეუფერებელ მიზეზად მეჩვენა. გული ამირია მისმა სენტიმენტალურმა სიტყვებმა საწყალი მამიკოო, — არასოდეს მომწონდა გრძნობების ამგვარი გამომჟღავნება. ეს ყოველთვის არაგულწრფელი მეჩვენებოდა.

ოოჰ! — ვთქვი უდარდელად. შემდეგ კი ჩემი ყველაზე მოზეიმე კილოთი წარმოვთქვი: — იცი, სად მინდა წავიდე დღეს შენთან ერთად დედიკო?

— არა, ძვირფასო, — ამოიოხრა მან.

— მე მინდა ხეობაში ჩავიდე და ზურგეკალა დავიჭირო ჩემი ახალი ბადით, მერე მინდა ფოქს ენდ ჰაუნდზში წავიდე და...

— მამიკოს ნუ გააღვიძებ! — გაბრაზებით წამოისისინა მან და ტუჩებზე ხელი მომარტყა.

მაგრამ უკვე გვიანი იყო. მამას ეღვიძებოდა ან იღვიძებდა. მან რაღაც წაიბურტყუნა და ასანთს მისწვდა, შემდეგ დაეჭვებით დააცქერდა მაჯის საათს.

— ჩაის ხომ არ დალევ, ძვირფასო? — ჰკითხა დედამ ისეთი მოკრძალებული კილოთი თითქოს შიშითაც, როგორიც მისგან ადრე არასოდეს გამეგონა.

— ჩაის? — აღშფოთებით წამოიძახა მამამ. — რომელი საათია თუ იცი?

— მერე კი მინდა რატკუნი როუდზე ავიდე, — ვთქვი ხმამაღლა იმის შიშით, რომ რაღაც დამავიწყდებოდა ამდენჯერ შეწყვეტინებისას.

— ახლავე წადი დასაძინებლად, ლერი! — მიყვირა დედამ.

ავზლუქუნდი. აზრებისთვის თავის მოყრა არ შემეძლო, გეგმების აკვანშივე მოშთობა მათ დამარხვას ჰგავდა.

მამამ არაფერი თქვა, მაგრამ ჩიბუხს მოუკიდა და მოქაჩა, თან ჩრდილებს უყურებდა და ჩვენ თითქოს ვერ გვამჩნევდა. ვიცოდი, ძალიან გაჯავრებული იყო. როცა რაღაც შენიშვნას ვიტყოდი ხოლმე და დედა გაღიზიანებული მაჩუმებდა, თავს დამცირებულად ვგრძნობდი. ვგრძნობდი, ეს არ იყო სამართლიანი; რაღაც ავისმომასწავებელიც კი იყო. ყოველთვის, როცა ვუთითებდი დედას, რომ ორი საწოლის გაშლა ზედმეტია-მეთქი, მაშინ როცა ორივეს შეგვეძლო ერთში ძილი! ის მეუბნებოდა, ჯანმრთელობისთვის ასე სჯობიაო. ახლა კი აქ იყო ეს უცხო კაცი, ვისაც იძინა მასთან და სულაც არ ადარდებდა მისი ჯანმრთელობა!

მამა ადრე ადგა და ჩაი მოამზადა, და თუმცა დედას ფინჯანი ჩაი მიუტანა, ჩემთვის არ მოუტანია.

— დედიკო! — დავიყვირე მე, — მეც მინდა ჩაი.

— დიახ, ძვირფასო, — მოთმინებით თქვა მან, — შენ შეგიძლია დედიკოს ლამბაქიდან დალიო.

ამით საქმე მოგვარდა. მაგრამ მაინც ან მამას ან მე უნდა დაგვეტოვებინა სახლი. მე არ მინდოდა დედის ლამბაქიდან დალევა, მე მინდო-

და მომქცეოდნენ როგორც თანასწორს ჩემს საკუთარ სახლში. ამიტომაც, უბრალოდ, დედის ჯიბრზე ჩაი მთლიანად დავლიე და არაფერი დავუტოვე. მან ესეც მშვიდად მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა იმ ღამეს, როცა ლოგინში მაწვენდა, ნაზად მითხრა:

— ლერი, მინდა რაღაცას შემპირდე.

— რას? — ვკითხე მე.

— რომ არ მოხვალ და არ შეაწუხებ საწყალ მამიკოს დილაობით. მპირდები?

კვლავაც „საწყალი მამიკო"! უკვე ეჭვით ვუყურებდი ყველაფერს, რაც იმ აუტანელ კაცს ეხებოდა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ საწყალი მამიკო შეწუხებულია და დაღლილი და კარგად არ სძინავს.

— რატომ არა, დედიკო?

— განა არ იცი, როდესაც ის ომში იყო, დედიკო ფულს ფოსტიდან რომ იღებდა?

— მის მაკარტისაგან?

— სწორია. მაგრამ ახლა, იცი, მის მაკარტის აღარ აქვს მეტი ფული, ამდენად მამიკო უნდა წავიდეს და იშოვოს. ხომ იცი, რა მოხდება, ფული რომ ვერ იშოვოს?

— არა, — მე ვთქვი, არ ვიცი.

— მაშინ ალბათ მოგვიწევს გარეთ გასვლა და მათხოვრობა შაბათის მათხოვარივით. ჩვენ ხომ ეს არ გვინდა, არა?

— არა, — დავეთანხმე მე, — არ გვინდა.

— ისე რომ, შენ დამპირდები, რომ არ მოხვალ და არ გააღვიძებ, ხომ?

— გპირდები.

არ დაგავიწყდეთ, რომ ვიცოდი, რასაც ვამბობდი. ვიცოდი, რომ ფული სერიოზული საქმე იყო და მთელი არსებით წინააღმდეგი ვიყავი იმისა, რომ გარეთ გავსულიყავი და შაბათის მათხოვარივით მემათხოვრა. დედამ ყველა ჩემი სათამაშო წრედ ისე დაალაგა საწოლის გარშემო, რომ, როგორაც არ უნდა წამოვმდგარიყავი, უთუოდ ერთ-ერთ მათგანს დავეცემოდი.

როდესაც გავიღვიძე, კარგად მახსოვდა დანაპირები. ლოგინიდან წამოვდექი, იატაკზე დავჯექი და ჩემი აზრით რამდენიმე საათი ვთამაშობდი. შემდეგ სკამი მივიტანე და მანსარდის სარკმლიდან ვიყურებოდი კიდევ უფრო დიდხანს. ვნატრობდი, მამის გაღვიძების დრო ყოფილიყო; ვნატრობდი, ვინმეს ჩემთვის ფინჯანი ჩაი მოეტანა; სულაც არ ვგრძნობდი თავს მზესავით მხიარულად, პირიქით, მოწყენილიც ვიყავი და გაყინულიც! უბრალოდ, ძალიან მენატრებოდა დიდი ბუმბულის საწოლის სითბო და სიფაფუკე.

ბოლოს და ბოლოს ველარ მოვითმინე. მეორე ოთახში გავედი. რადგანაც კვლავ არ იყო ადგილი დედას მხარეს, ზედ გადავაცოცდი და უნებურად გავაღვიძე.

— ლერი, — დაიჩურჩულა მან და თან ხელი მაგრად ჩამჭიდა, — რას დამპირდი?

— მაგრამ მე ხომ... — ავსლუკუნდი მე დანაშაულზე წასწრებულმა, — მე ხომ ჩუმად ვიყავი აქამდე.

— ოჰ, ძვირფასო, სულ მთლად გაყინულხარ! — თქვა შეწუხებულმა და მთელ ტანზე მომიფათურა ხელი. — ახლა კი, თუ დარჩენის ნებას მოგცემ, დამპირდები, რომ არ ილაპარაკებ?

— მაგრამ მე რომ ლაპარაკი მინდა, დედიკო — ავწუწუნდი მე.

— ამას არაფერი საერთო არა აქვს საქმესთან, — მითხრა მტკიცე ხმით, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო.

— მამიკოს ეძინება, ნუთუ არ გესმის?

ეს შესანიშნავად მესმოდა, მაგრამ მე ლაპარაკი მინდოდა, მას კი ძილი — ვისი სახლი იყო ბოლოსდაბოლოს?

— დედიკო, — ვუთხარი მეც მტკიცედ, — მე ვფიქრობ, რომ მამიკოს ჯანმრთელობისათვის უკეთესი იქნებოდა, საკუთარ საწოლში რომ ეძინოს.

როგორც ჩანს, ამან დედა შეაცბუნა, რადგან ერთხანს ვერაფერი თქვა.

— ახლა, ერთხელ და სამუდამოდ, — მითხრა ბოლოს, — ან საერთოდ გაჩუმდები, ან შენს ლოგინში წახვალ. რომელი გირჩევნია?

ამ უსამართლობამ ძალიან გამანერვიულა. დედას ცვალებადობასა და უგუნურებაში დავდე ბრალი. მას არც კი უცდია პასუხის გაცემა. გაბოროტებულმა მამას წიხლი ვკარი ისე, რომ დედას არც შეუნიშნავს. მამამ დაიხრუტუნა და შეშინებულმა გაიღვიძა.

— რა დროა? — დაფეთებული ხმით იკითხა, დედას არც კი შეხედა, ისე. კარებისკენ იყურებოდა, თითქოს იქ ვიღაცას ხედავდა.

— ჯერ ადრეა, — დაამშვიდა დედამ. — ბავშვი იყო. დაიძინე... ახლა, ლერი, — საწოლიდან წამოდგომისას დაამატა მან, — შენ მამიკო გააღვიძე, ამიტომ შენს საწოლში უნდა დაბრუნდე...

ამჯერად გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად ვიცოდი, რომ არ ხუმრობდა. ვიცოდი, რომ ჩემთვის მნიშვნელოვან უფლებებსა და პრივილეგიებს ჩალის ფასი ექნებოდა, თუ მათ მყისვე არ დავიცავდი. დედამ რომ ამწია, ისე დავიწივლე, მკვდარიც კი გაიღვიძებდა, მამაზე რომ არაფერი ვთქვათ. მან დაიკვნესა:

— ეს წყეული ბავშვი! ნუთუ არასოდეს სძინავს?

ასეა დაჩვეული, ძვირფასო, — წყნარად თქვა დედამ, თუმცა ვხვდებოდი, რომ გაჯავრებული იყო.

— მერე რა, დროა გადაეჩვიოს, — დაიყვირა მამამ და საწოლში აწრიალდა. მერე მობღუჯა ლოგინის თეთრეული და კედლისკენ გადაბრუნდა და, როცა გამოიხედა, ორი მუქი პატარა ბოროტი თვალი დავინახე, ძალზე გაავებული.

საწოლი ოთახის კარი რომ გაეღო, დედა იძულებული იყო დაბლა დაესვი. თავი გავითავისუფლე და ყველაზე შორ კუთხეს კივილით მივაწყდი. მამა ლოგინში გაჭიმული იჯდა.

— მოკეტე, შე ლეკვო! — მოგუდული ხმით მითხრა. ამან ისე განმაცვიფრა, რომ კივილი შევწყვიტე. ასეთი კილოთი არასოდეს, არასოდეს არავინ არ დამლაპარაკებია. უნდობლად ვუყურებდი, ვხედავდი მის

მრისხანებისაგან დალმეჭილ სახეს. მხოლოდ ახლა მივხვდი, როგორ მომიზლო ღმერთმა, ამ ურჩხულის უვნებლად დაბრუნებას რომ ვთხოვდი.

— შენ თვითონ მოკეტე! — ვიღრიალე მოთმინებიდან გამოსულმა.

— ეს რა თქვი? — იყვირა ბამამ და გიჟივით გადმოხტა ლოგინიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიკ, მიკ! — მუდარით დაიძახა დედამ. — ვერ ხედავ, ბავშვი რომ ჯერ ვერ შეგეჩვია?

— ვხედავ, რომ უფრო გაზულუქებულია, ვიდრე აღზრდილი, — ხელების ქნევით დაიღრიალა მან. — უკანალი ექავება.

რაც აქამდე იყვირა, მონაგონი იყო ამ უშვერ სიტყვებთან, ჩემი პიროვნებისადმი რომ იყო მომართული. მათ მართლაც სისხლი ამიდუღეს.

— შენ თვითონ გექავება! — დავიკივლე ისტერიულად. — შენ, შენ თვითონ მოკეტე! მოკეტე!

ახლა კი დაკარგა მოთმინება და ისე გამთათხა, რასაც ასეთი კაცისაგან უნდა მოელოდე დედის შეძრწუნებული თვალების მიხედვით. ყველაფერი კი უბრალო გატყეპით დასრულდა. მაგრამ აშკარა უპატივცემულობამ, საერთოდ იმ ამბავმა რომ ვიღაცა უცხომ დამარტყა, ვინაც ჩემი უფლებების მიამიტი დათმობის კვალობაზე ყველა ხერხი გამოიყენა, რათა ომიდან ჩვენს დიდ საწოლში შემომძვრალიყო, სრულად შემშალა. ვწიოდი და ვკიოდი, ტიტველ ფეხებს ვატყაპუნებდი, მამა კი, ზანჯგვლიანი და სამარცხვინო შესახედი, ცარიელი მოკლე ნაცრისფერი მაისურის ამარა მრისხანე მთასავით მიყურებდა, შენი განადგურება რომ აქვს განზრახული. ალბათ სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ეჭვიანობდა კიდეც. დედა თავის ღამის პერანგში იქვე იდგა, ჩვენ ორის გამო გულგაპობილი. იმედია, იმასვე გრძნობდა, როგორც გამოიყურებოდა. ჩემი აზრით კი მან ეს ყველაფერი დაიმსახურა.

იმ დღიდან მოყოლებული ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა. მე და მამა მტრებად გადავიქეცით და დაუფარავი ურთიერთშეტაკებების მთელი სერია გავმართეთ. ორივენი ვცდილობდით ერთმანეთისთვის დედასთან ყოფნის დრო წაგვერთმია. როცა დედა ჩემს საწოლზე იჯდა და რაიმეს მიამბობდა, მამა რაღაც ძველი ჩექმების ძებნას იწყებდა, რომელიც მისი მტკიცებით ომში წასვლამდე დატოვა. დედას როცა ელაპარაკებოდა, მე ხმაურიან თამაშს ვიწყებდი, რათა ჩემი სრული უინტერესობა მეჩვენებინა. ერთ საღამოს საშინელი სცენა მოაწყო, როცა შინ სამუშაოდან დაბრუნდა და მის ყუთთან მიპოვა, მის ლეგიონის სამკერდე ნიშნებთან, გურხა დანებთან და საკინძეებთან მოთამაშე. დედა წამოდგა და ყუთი წამართვა.

— არ უნდა ითამაშო მამიკოს სათამაშოებით მისი ნებართვის გარეშე, ლერი, — მკაცრად მითხრა მან. — მამიკო შენი სათამაშოებით არ თამაშობს. — რატომღაც მამამ ისე შეხედა, თითქოს დედამ სილა გაარტყა, და შემდეგ მოღუშული შებრუნდა.

— ესენი სათამაშოები არ არის, — დაიღრინა ყუთის კვლავ ჩამოღებისას, რათა ენახა, რამე ხომ არ ავაწაპნე. — იმ ანტიკვარულ ნივთთაგან ზოგი ძალზე იშვიათი და ძვირფასია.

თანდათან უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მან დედისა და ჩემი დაშორება მოახერხა. რაც ყველაზე უარესი იყო, ვერ ვხვდებოდი და ვერც ვხედავდი, დედა რას ხედავდა მასში მიმზიდველს. ყველა შემთხვევაში მასა ნაკლები წარმატებით სარგებლობდა ჩემთან შედარებით. ლაპარაკითაც ჩვეულებრივ ლაპარაკობდა, ჩაისაც ხვრეპით სვამდა. ერთხანს ვფიქრობდი, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო გაზეთებიდან ახალი ამბებით დაინტერესება, ამიტომ მეც ჩემი პატარ-პატარა ახალი ამბები შევაგროვე დედისთვის წასაკითხად. შემდეგ ვიფიქრე, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო იმის ბრალი, რომ მამა ეწეოდა, რასაც მე პირადად მიმზიდველად მივიჩნევდი. ამიტომ ავიღე მისი ჩიბუხები, სახლს გარშემო დავუარე და მოწევის ნაცვლად მათში ვიდორბლებოდი, სანამ მამამ არ გამომიჭირა. ჩაი ხვრეპა-ხვრეპითაც კი დავლიე, მაგრამ დედამ მხოლოდ ის მითხრა, საძაგელი ბიჭი ხარო. როგორც ეტყობა, ყველაფერი იმ ერთად ძილის არაჯანმრთელ ჩვევის გამო ხდებოდა. ამიტომ, როგორც წესი, მათ საწოლ ოთახში შევიდოდი ხოლმე ყველაფრის გამოსაკვლევად, დასაყრდნობად, თან ჩემს თავს ველაპარაკებოდი, რათა არ მიმხვდარიყვნენ, რომ ვუთვალთვალებდი. მაგრამ ისინი ისეთს არაფერს აკეთებდნენ, რისი დანახვაც არ შეიძლებოდა. ბოლოს დავნებდი. როგორც ჩანს, ასაკი და ტელეფონზე რეკვა იყო ყველაფრის მიზეზი და მივხვდი, რომ ლოდინი მომიწევდა. თუმცა ამავე დროს მინდოდა მამას დაენახა, რომ ბრძოლას კი არ ვწყვეტდი, არამედ მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ველოდებოდი.

ერთ საღამოს, როცა მამა მეტისმეტად აუტანელი იყო და ჩემს თავს ზემოთ ლაქლაქებდა, მე არაფერი მითქვამს.

— დედიკო, — ვუთხარი მერე დედას, — იცი, რას გავაკეთებ, რომ გავიზრდები?

— არა, ძვირფასო, — მიპასუხა მან. — რას გააკეთებ?

— ცოლად მოგიყვან, — ვთქვი მშვიდად. მამას ხარხარი აუტყდა, მაგრამ ვერ გამაცურა. ვიცოდი, ეს მხოლოდ თავის მოკატუნება იყო. დედა კი ყველაფრის მიუხედავად კმაყოფილი ჩანდა. ვიგრძენი, რომ შესაძლოა ესიამოვნა კიდეც ის ამბავი, რომ ერთ დღეს მამის გავლენას თავს დააღწევდა.

— კარგი იქნება განა? — ღიმილით თქვა დედამ.

— ძალიან კარგიც იქნება, — თავდაჯერებულად ვუპასუხე. — იმიტომ, რომ უამრავი ბავშვი გვეყოლება.

— სწორია, ძვირფასო, — მშვიდად მითხრა მან. — მითუმეტეს, რომ მალე ერთი გაგვიჩნდება და საკმაოდ ბევრიც ვიქნებით.

ეს უზომოდ მესიამოვნა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მამას მხარი აუბა, დედა მაინც ანგარიშს უწევდა ჩემს სურვილებს. გარდა ამისა, ეს გინესების ოჯახს თავის ადგილზე დასვამდა.

თუმცა ეს ასე არ მოხდა. ჯერ იმით უნდა დავიწყო, რომ დედა ძალზე დაკავებული იყო — ალბათ იმით, თუ სად უნდა ეშოვნა 17 გირვა-

ნქა და 6 პენსი. და თუმცა მამა გვიან საღამომდე შინ არ მოდიოდა, ჩემთვის ამას დიდი სიკეთე არ მოუტანია. დედამ შეწყვიტა ჩემი სასეირნოდ წაყვანა, ძალზე ფხუკიანი გახდა და სულ უმიზეზოდ მიტყაპუნებდა. ზოგჯერ ვფიქრობდი, ნეტა არასოდეს მეხსენებინა ის წყეული თოთო ბავშვი — როგორც ჩანს, დიდი ნიჭი მქონდა საკუთარი თავის გასაჭირში ჩაგდებისა.

და მართლაც იყო გასაჭირი! ბიჭუნა ისეთი შემაძრწუნებელი ღრიანცელით მოვიდა — ისეთი ალიაქოთით, რომ პირველივე წუთიდან შევიძულე. აუტანელი ბავშვი იყო — ყოველ შემთხვევაში ჩემთვის აუტანელი და მეტისმეტ ყურადღებას ითხოვდა. დედა მასზე უბრალოდ ჭკუას კარგავდა და ვერ ამჩნევდა, რომ ის განგებ იმანჭებოდა, როგორც კომპანიონი, ძალზე უმაქნისი იყო. მთელი დღე ეძინა და ფეხის წვერებზე უნდა მევლო, რომ არ გაღვიძებოდა. მამის ძილის დარღვევას უკვე აღარავინ დაეძებდა. ახლა ლოზუნგი იყო: ბიჭუნა არ გააღვიძო. არ მესმოდა, რატომ არ იძინებდა თავის დროზე. ამიტომ ყოველთვის, როცა დედა მიბრუნდებოდა, ვაღვიძებდი ხოლმე და რომ არ დასძინებოდა, ვჩქმეტდი კიდეც. ერთ დღეს წამასწრო და სასტიკად გამთათხა.

ერთ საღამოს, როცა მამა სამუშაოდან მოდიოდა, წინა ბაღში მატარებლობანას ვთამაშობდი. თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ შევამჩნიე და ჩემთვის ხმამაღლა ვთქვი: „თუ ამ სახლში კიდევ შემოვა სხვა წყეული თოთო ბავშვი, მე წავალ."

მამა გახევდა და გადმომხედა.

— რაო? — მრისხანედ მკითხა მან.

— მე მხოლოდ ჩემს თავს ველაპარაკები, — ვუპასუხე რათა შიში დამეფარა, — ეს საიდუმლოა.

ის შებრუნდა და უსიტყვოდ შევიდა შინ. მერწმუნეთ, ეს სიტყვები განზრახული მქონდა, როგორც საზეიმო გაფრთხილება, მაგრამ სულ სხვანაირად გამოვიდა. მამა ჩემ მიმართ უფრო ყურადღებიანი გახდა. რა თქმა უნდა, ეს გასაგებიც იყო. დედა ხომ პირდაპირ მიჯაჭვული იყო ბიჭუნაზე. სადილობის დროსაც კი ადგებოდა და აკვანში დააშტერდებოდა, რაღაც სულელური ღიმილით და მამასაც ეუბნებოდა ასევე მოქცეულიყო.

მამა ყოველთვის თავაზიანი იყო ამ დროს, მაგრამ ადვილად შეამჩნევდით, არ იცოდა, დედა რაზე ლაპარაკობდა. მამამ რომ დაიჩივლა, ბიჭუნა ღამღამობით ტირისო, დედა ძალიან გაჯავრდა და თქვა, ბიჭუნა არასოდეს არ ტირის, თუ რამე არ აწუხებსო — რაც აშკარა ტყუილი იყო, რადგან ბიჭუნას არაფერი აწუხებდა და ყურადღების მისაქცევად ტიროდა. მართლაც გული მტკიოდა დედის გულუბრყვილობაზე. მამა დიდად სიმპატიური არ იყო, მაგრამ შესანიშნავი მიხვედრილობა კი ჰქონდა, კარგად იცნობდა ბიჭუნას და ისიც იცოდა, რომ მეც ასევე კარგად ვიცნობდი ახლა.

ერთ ღამეს მოულოდნელად გამეღვიძა. საწოლში ჩემ გვერდით ვიღაც იყო. რატომღაც წუთით დარწმუნებული ვიყავი, დედაა-მეთქი, რომელიც გონს მოეგო და მამა სამუდამოდ მიატოვა მ გრამ შემდეგ

გვერდით ოთახიდან გავიგონე, როგორ იჭაჭებოდა ბიჭუნა, დედა კი ამშვიდებდა, არაფერი, არაფერიო. ისე რომ, მივხვდი ეს დედა კი არა, ჩემ გვერდით მამა იწვა ფართოდ თვალებგახელილი, მძიმედ სუნთქავდა საშინლად გაბრაზებული.

ცოტა ხნის შემდეგ მივხვდი, რაზეც იყო გაბრაზებული, რომ ახლა მისი ჯერიც დადგა, რომ ჩემი გამოგდების შემდეგ დიდი საწოლიდან ისიც გამოაგდეს. დედა ახლა აღარავის უწევდა ანგარიშს, გარდა იმ საზიზღარი კნუტისა. უნებლიეთ შემეცოდა მამა. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე მქონდა გამოცდილი და იმ ასაკშიც დიდსულოვნება არ მაკლდა. დამშვიდება დავუწყე, თან ვეუბნებოდი, არაფერია, არაფერი-მეთქი!

პასუხის გაცემის ხასიათზე სწორედ არ იყო.

— შენც არ გეძინება? — შემომიღრინა მან.

— მოდი, ხელი მომხვიე, თუ შეგიძლია, — ვუთხარი მე და მანაც მომხვია, თუ ამას მოხვევა ერქვა, უფრო ფრთხილად, ჩემი აზრით, როგორც თქვენც იტყოდით. ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ სულ არაფერს მაინც ჯობდა.

შობას კი არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ ჩემთვის წართლაც შესანიშნავი რკინიგზის მოდელი ეყიდა.

ლუიზე რინსერი[1]

წითელი კატა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ციცია ლუღუშაურმა

ჩემდა უნებურად სულ იმ წითელ ეშმაკზე, იმ წითელ კატაზე ვფიქრობ და დღესაც არ ვიცი დანამდვილებით, შეიძლება თუ არა გამართლება იმ საქციელისა, რაც მაშინ ჩავიდინე.

ეს ამბავი ასე დაიწყო: მე ჩვენს ბაღში ყუმბარისგან დარჩენილი ორმოს გვერდით ქვების გროვაზე ვიჯექი. ამ ქვების გროვას ჩვენი სახლის ნახევარზე მეტი წარმოადგენს, დარჩენილ მცირე ნაწილში კი ვცხოვრობთ მე, დედა, პეტერი და ლენი, ჩემი უმცროსი და-ძმა. მაშ ასე, ქვების გროვაზე ვიჯექი, რომლის ირგვლივ ჭინჭარი ამოსულიყო, აქაიქ სხვა ბალახიც ერია. ხელში ხმელი პურის ნაჭერი მეჭირა. დედა ხშირად ჩაგვაგონებდა, ძველი პური უფრო მარგებელია, ვიდრე ახალიო. სინამდვილეში კი ამას იმიტომ ამბობდა, რომ ხმელ პურს უფრო დიდხანს სჭირდება ღეჭვა — ასე გგონია თითქოს ბევრს ჭამ და მალე ძღები. თუმცა, მე თუ მკითხავთ, მე სულ სხვა აზრი მქონდა ამაზე. უცბად ხელიდან გამივარდა პურის პატარა ნატეხი, ასაღებად დავიხარე, მაგრამ ჭინჭრებიდან მოულოდნელად წითელი თათი გამოჩნდა და ის ნატეხი თვალის დახამხამებაში დაითრია. სახტად დავრჩი, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი. იმავ წამს მელასავით წითელი და გაძვალტყავებული კატა დავინახე ჭინჭარში.

— წყეულო, — დავუყვირე და ქვა ვესროლე დასაფრთხობად. მგონი, მოხვდა კიდეც, რადგანაც დაიკნავლა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, როგორც ჩვილ ბავშვს სჩვევია ხოლმე, გაქცევით კი არ გაქცეულა. გული ამიჩუყდა, ვინანე, ქვა რომ ვესროლე, და შევეცადე იქიდან გამომეტყუებინა. არაფერი გამომივიდა. მხოლოდ მისი აჩქარებული სუნთქვა მესმოდა და ვხედავდი, როგორ აუდ-ჩაუდიოდა წითელი ბალანი მუცელზე. მომწვანო თვალებს კი მაინც არ მაშორებდა.

— ნეტა ვიცოდე, რა გინდა ჩემგან? — ვკითხე ბოლოს, თუმცა ეს წყლის ნაყვას უფრო ჰგავდა, რადგანაც მას ჩემი ნათქვამის არა გაეგე-

---

1. გერმანელი მწერალი ქალი.

ბოდა. არც იმის, თუ რა ბრაზი მომივიდა მასზეც და საკუთარ თავზეც. მისკენ აღარ გამიხედავს, ისე გადავუგდე დარჩენილი პურის ნატეხი — ჩემი ბოლო ლუკმა და გულმოსული გავეცალე იქაურობას.

ბაღჩის წინ პეტერი და ლენი დავინახე ცერცვით პირგამოტენილები. ლენიმ ხმადაბლა მკითხა, პურის პატარა ნატეხი ხომ არ გაქვსო.

— ერთი ამას დამიხედეთ! — წამოვიძახე, — შენც ხომ ზუსტად ჩემოდენა ნატეხი გქონდა, შენ ჯერ ცხრისა ხარ, მე კი ცამეტის. დიდებს უფრო მეტი არ სჭირდებათ?

— ეგ მეც ვიცი, — და გაჩუმდა. პეტერმა კი დაამატა:

— მაგან თავისი წილი კატას შეაჭამა.

— რომელ კატას? — ვკითხე მე.

— ეჰ! — ჩაილაპარაკა ლენიმ, — სხვანაირად არ შემეძლო; აი იქ კატა ზის, წითელ მელას ჰგავს, შეგეცოდება, ისეთი გამხდარია. როგორც კი მოკბეჩას დავაპირებდი, მაშინვე თვალებში მომაჩერდებოდა.

— სულელო, — დავუცაცხანე ბრაზმორეულმა, — ჩვენ რა, თავზე გადაგვდის?!

ლენიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და უმალ იმ კატასავით წითურთმიან პეტერს გადახედა, ეჭვი არაა, თავისი პური იმანაც კატას შეაჭამა. გუნება გამიფუჭდა და გადავწყვიტე გამევლ-გამომევლო.

როგორც კი მთავარ ქუჩაზე გავედი, ამერიკელების მანქანა დავინახე, დიდი, გრძელი მანქანა. მძღოლმა ინგლისურად მკითხა, რატუშისკენ რომელი გზა მიდისო. ცოტაოდენი ინგლისური ვიცოდი და შევეცადე ამეხსნა: „The next street, and then left and then..."[1] — ინგლისურად სიტყვა „პირდაპირ" არ ვიცოდი, ამიტომაც ხელი მოვიშველიე და ისე ვაჩვენე. ის მიმიხვდა. — „And behind the church is the marketplace with the Rathaus"[2] ვფიქრობ, კარგი ამერიკული გამომივიდა, ვინაიდან ქალმა რამდენიმე ნაჭერი თეთრი პური მომაწოდა მანქანიდან, თეთრზე თეთრი, როგორც შევამჩნიე, ნაჭრებს შორის ძეხვის სქელი ნაჭერიც იდო.

სახლისკენ მოვკურცხლე. სამზარეულოში შევედი თუ არა, შევამჩნიე, რომ პატარებმა ტახტის ქვეშ რაღაც შემალეს, ალბათ ის წითელი კატა. იატაკზე ცოტა რძე ესხა. ჩემთვის ცხადი გახდა ყველაფერი.

— თქვენ რა, გაგიჟდით? — დავუცაცხანე. — ოთხ სულს ნახევარი ლიტრი მოხდილი რძე დღეში პირის გასასველებლადაც არ გვყოფნის, თქვენ კი... — კატა გამოვათრიე და ფანჯრიდან გადავაგდე. პატარები გაისუსნენ. ამერიკული თეთრი პური ოთხ ნაწილად გავყავი და დედის წილი კარადაში შევინახე.

— სად იშოვე? — მკითხეს მათ და გულმოსულებმა შემომხედეს.

1. შემდეგი ქუჩა, შემდეგ მარცხნივ და შემდეგ...
2. ჰოდა, ეკლესიის უკან არის ბაზრის მოედანი რატუშით.

— მოვიპარე, — უკმეხად მივახალე და ისევ წავედი.

გზატკეცილის დათვალიერება გადავწყვიტე, იქნებ კომბოსტოს თავებს გადავეყარო-მეთქი. ეს-ესაა კომბოსტოთი დატვირთულმა მანქანამ ჩაიარა და, როგორც ყოველთვის, ახლაც შეიძლება იქიდან რამდენიმე თავი გადმოგორებულიყო გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოში ისევ წითელი კატა მეცა თვალში, მზერას არ მაშორებდა.

— მოუსვი აქედან! — შევუღრინე და ფეხი ამოვარტყი. არ გაიქცა, მხოლოდ პატარა პირი გააღო და დაიკნავლა. სხვა კატები ამ დროს ხმამაღლა დაიჩხავლებდნენ, მან კი არც შეიმჩნია, ვითომცდა აქ არაფერიიო. რატომ? ამისი ახსნა დღესაც არ შემიძლია. თანაც მწვანე თვალებს არ მაშორებდა. გაგულისებულმა დარჩენილი თეთრი პურიც მას დავუგდე, თითქოსდა ამითი ჩემი საქციელი გამოვისყიდე.

გზატკეცილზე გავედი თუ არა, დავინახე, ჩემზე უფროს ორ ბიჭს უკვე აეკრიფათ კომბოსტოს თავები. გვერდზე რომ ჩავუარე, შევამჩნიე, მთელი სათლი სავსე ჰქონდათ.

— ფუ! — გადავაფურთხე, ის წყეული კატა რომ არა, ეს ნადავლი ჩემი იქნებოდა. რა ვახშამი დავკარგე, რა ქათქათა თავები დამისხლტა ხელიდან!

მოგვიანებით საადრეო კარტოფილით დატვირთულ მანქანას დავხვდი, იქიდან ორი კარტოფილი გადმოვაგდე, მერე კიდევ ორი და ჯიბეებსა და ქუდში დავმალე. როგორც კი მძღოლმა კაბინიდან გამოიხედა, ვუთხარი, კარტოფილი გიცვივდებათ-მეთქი, და შინისაკენ გავიქეცი.

დედა მარტო იყო, კალთაში ის წითელი კატა ეჯდა.

— დაწყევლოს ღმერთმა! — წამოვიძახე, — ისევ აქ არის ეს საძაგელი?

— ნუ უხეშობ, — შემომიტია დედამ, — ეს უპატრონო კატაა და, ვინ იცის, რამდენი ხანია ლუკმაც არ გადასვლია ყელში. შეხედე, ცარიელი ძვალი და ტყავია.

— ჩვენც ცარიელი ძვალი და ტყავი ვართ, — ვუთხარი.

— სულ ერთი ნამცეცი პური ვაჭამე ჩემი წილიდან, — მითხრა დედამ და ალმაცერად გადმომხედა.

უმალ თვალწინ დამიდგა ჩვენი ნორმირებული პური, ჩვენი რძე და „თეთრი პური“, მაგრამ კრინტი აღარ დამიძრავს. ვახშმად კარტოფილი მოვხარშეთ; დედა კმაყოფილი იყო, მაგრამ არ უკითხავს, საიდან მოიტანეო, თუმცა, ჩემი აზრით, უნდა ეკითხა.

მერე შავი ყავა მოადუღა, იმ საძაგელს კი რძე დაუსხა. ყველა მას მივჩერებოდით, როგორ სვლეპდა რძეს თასიდან. რომ მორჩა, იკადრა და ფანჯრიდან გადახტა. არ დავაყოვნე, მივკეტე ფანჯარა და შვებით ამოვისუნთქე.

დილის ექვსი საათიდან ბოსტნეულის რიგში ვიდექი, მხოლოდ რვიათვის დავბრუნდი შინ. პატარები უკვე საუზმობდნენ, მათ შორის კი სკამზე წითელი კატა ჩამოსკუპებულიყო და დენის ლამბაქიდან დამბალ პურს შეექცეოდა. მალე დედაც მოვიდა, ექვსის ნახევრიდან ხორცის რიგში იდგა, დაინახა თუ არა იმ საძაგელმა, მისკენ გაიქცა შესაგებებლად. დედას ეგონა, ვერ შევამჩნევდი, და ვითომც უნებლიეთ ძეხვის

მოზრდილი ნაჭერი გაუშვა ხელიდან. ეს არანორმირებული ძეხვი იყო, მართალია, ცოტა მორუხო, მაგრამ მეც სიამოვნებით მივატანდი პურს, რაც დედამაც კარგად იცოდა. ბრაზმორეულმა ცრემლები გადავყლაპე, ქუდს ხელი ვტაცე და გარეთ გავედი. სარდაფიდან ძველი ველოსიპედი გამოვაგორე და ქალაქის გარეუბნისკენ გავქანდი. იქ ერთი გუბურა მეგულებოდა, სადაც თევზი იცოდა. ანკესი არ მქონდა, ჯოხით ვეთევზაობდი ხოლმე, რომლის წვერზეც ორი გრძელი წვეტიანი ლურსმანი იყო ჩარჭობილი და თევზს მათზე წამოვაგებდი ხოლმე. ზოგჯერ ბედი მწყალობდა. ამჯერადაც ასე მოხდა. ჯერ ათი საათიც არ იყო, უკვე ორი მოზრდილი თევზი დავიჭირე, რაც ერთი სადილისთვის სავსებით საკმარისი გახლდათ. მაშინვე შინისკენ გავქანდი, თევზები სამზარეულოს მაგიდაზე დავდე და სარდაფში ჩავირბინე, სადაც დედა სარეცხს რეცხდა.

იმავ წამს შემოვბრუნდით და რას ვხედავთ! მაგიდაზე მხოლოდ ერთი, ისიც მომცრო თევზილა დევს. ფანჯრის რაფაზე კი ის წითელი ეშმაკი ზის და ბოლო ლუკმას სანსლავს. თავი ვერ შევიკავე, გამწარებულმა შემას წამოვავლე ხელი და გავუქანე. მოხვდა კიდეც, ფანჯრიდან გადავარდა და სავსე ტომარასავით ბრაგვანი მოადინა.

— ესეც შენ, ღირსი ხარ! — ნიშნის მოგებით ჩავიბურდღუნე, — ხომ მიიღე საკადრისი.

ამის თქმა იყო და დედამ ერთი გემრიელი სილა მტკიცა, რასაც სულ არ მოველოდი. ცამეტის ვარ და უკვე ხუთი წელია დედას ხელი არ დაუკარებია ჩემთვის, თანაც სადისტი მიწოდა. მიტკალივით ფერი დაედო. ერთი სიტყვით, ძალიან გამიბრაზდა. რაღა უნდა მექნა, ისევ ეზოში გავედი.

სადილად თევზის სალათი გვქონდა, რომელსაც კარტოფილისა უფრო ეთქმოდა. სამაგიეროდ წითელი ეშმაკი, როგორც იქნა, მოვიშორეთ თავიდან. მაგრამ ნურას უკაცრავად, ამან სიმშვიდე დაუკარგა ჩემს ოჯახს. პატარები დილიდან საღამომდე ბაღში დაეძებდნენ იმ საზიზღარს, დედა კი ყოველ საღამოს კარის წინ რძეს დგამდა პატარა თასით, თანაც საყვედურით გადმომხედავდა ხოლმე. ბოლოს იძულებული გავხდი მეც მომეძებნა იგი და ცოცხალი ან მკვდარი მეპოვა.

არც კი დაიჯერებთ, რომ სამი დღის შემდეგ კატა თვითონ დაბრუნდა. კოჭლობდა, მარჯვენა წინა თათზე ჰქონდა ჭრილობა. ალბათ ჩემგან ნასროლი შემისგან. დედამ თათი შეუხვია და აჭამა კიდეც. მას შემდეგ ყოველდღე მოდიოდა, უმისოდ აღარ ვსადილობდით, აბა კარგი შვილი იყავი, მისთვის გამოგეპარებინა რამე. საკმარისი იყო პირი გაგენძრია, იმავე წამს ჩამოჯდებოდა და მოგაჩერდებოდა. ჩვენც იძულებული ვიყავით გვეწილადებინა ყველაფერი, რასაც კი მოგვთხოვდა. მისდამი ჩემი სიძულვილის მიუხედავად მეც ასე ვიქცეოდი. ისე გასუქდა, რომ, ჩემი აზრით, მართლა ლამაზი კატა დადგა.

ორმოცდაექვსი წელი მიიწურა და ორმოცდაშვიდის ზამთარი დადგა. საკვების მარაგი თითქმის სულ გამოგველია. რამდენიმე კვირა იყო ხორცი თვალითაც არ გვენახა, მხოლოდ გაყინულ კარტოფილზე გადავდიოდით. სიგამხდრისგან ტანსაცმელი ზედ გვეკიდა. მშიერმა ლენიმ ერთხელ პურიც კი მოიპარა საცხობიდან. ჩემს მეტმა ეს არავინ იცოდა.

დადგა თებერვალი. როგორც იყო, გავბედე და დედას შევაპარე:

— ახლა კი დროა დავკლათ.

— დავკლათ? რა უნდა დავკლათ? — გაიკვირვა მან და გაბრაზებულმა შემომხედა.

— რადა, კატა, — შევაგებე გულგრილად, თუმცა ვიცოდი, [illegible] აქციაც მოყვებოდა ამას. თქმაც ვერ მოვასწარი, ყველა ერთად მომესია!

— რაო? ჩვენი კატა? არა გრცხვენია?..

— არა, არ მრცხვენია, — უკან არ დავიხიე მე, — ის ხომ ჩვენი ლუკმით გამოვკვებეთ და დასაკლავი გოჭივით გავასუქეთ, თანაც სულ ნორჩია. ასე არაა?

ლენი აღრიალდა, პეტერმა მაგიდის ქვემოდან წიხლი მითავაზა. დედამ სევდიანად ჩაილაპარაკა: — არ მეგონა, ასეთი გულქვა თუ იყავი. კატა კი ღუმელზე იწვა და არხეინად ეძინა. მართლაც ისე ჩამრგვალდა და გაზარმაცდა, გარეთაც კი აღარ უნდოდა გასვლა.

აპრილი დადგა და კარტოფილიც გამოგველია. არ ვიცოდით, რა გვეჭამა. ერთ დღესაც დარდისგან ჭკუაზე აღარ ვიყავი და შევეცადე ამეხსნა კატისთვის ჩვენი გასაჭირი.

— ვერ ხედავ, საჭმელი აღარაფერი გვაქვს? — პურისა და კარტოფილის ყუთებიც გადმოვაპირქვავე. — წადი აქედან, ხომ უნდა მიხვდე, რა დღეში ვართ?

მან კი ნებივრად დახუჭა თვალები და გვერდი იცვალა, სიბრაზისგან ყვირილი აღმომხდა და სამზარეულოს მაგიდას მუშტები დავცხე. მას სულ არ ადარდებდა ჩვენი გასაჭირი. ავდექი, ხელი ვტაცე, ამოვიღლიავე და ქუჩაში გავვარდი. უკვე ბინდდებოდა. პატარები და დედა რკინიგზის ახლო-მახლო კომბოსტოს მოსაძებნად იყვნენ წასული. გაზარმაცებულ კატას თითიც არ გაუნძრევია თავის დასაღწევად. მდინარისკენ მიმავალ გზას დავადექი. წინ მხოლოდ ერთი უცნობი კაცი შემომხვდა და მკითხა, კატას ხომ არ ყიდიო. დიახ, ვყიდი-მეთქი, — უმალ ვუპასუხე და იმედის ნაპერწკალმა გამიელვა გულში. მან კი დამცინავად ჩაიცინა და გზა განაგრძო.

მალე მდინარესთან აღმოვჩნდი. დინებას ყინულის დიდი ნატეხები მოჰქონდა. ირგვლივ ბურუსი იდგა და ციოდა. კატა მომეკრო. ხელი გადავუსვი და ვუთხარი: აღარ შემიძლია იმის ატანა, ჩემს და-ძმას მშიერს რომ ვუყურებ, შენ კი მათ ლუკმას ჭამ და კანში ვეღარ ეტევი-მეთქი. — ამის თქმა იყო და ჩემდა უნებურად საზარლად ვიკივლე, კატას უკანა ფეხებში ვწვდი და ხის ფესვებზე დავახეთქე. როგორც იქნა, იკადრა და ჩხავილი მორთო. შემდეგ ისე ძლიერ დავახეთქე, რომ თავი გაუსკდა და თოვლი წითლად შეიღება. იგი ბავშვივით ჩხაოდა. ერთი პირობა გადავწყვიტე თავი დამენებებინა, მაგრამ საქმეს დაუმთავრებელს ხომ არ დავტოვებდი? ისევ და ისევ ვახეთქებდი ფესვებზე. მესმოდა ტკაცუნი, თუმცა არ ვიცი, მისი ძვლები ტკაცუნობდა თუ ყინული. ის კი მაინც არ კვდებოდა. გაგონილი მქონდა, კატას შვიდი სიცოცხლე აქვსო. მას კი ნამდვილად მეტი ჰქონდა. ყოველი დახეთქებისას უფრო და უფრო ხმამაღლა ჩხაოდა. ერთხელ მეც გიჟივით შევყვირე სიმწრისგან.

სიცივის მიუხედავად ოფლი დამედინა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა გაკმინდა. მდინარეში გადავაგდე და ხელები თოვლით გავიწმინდე. როცა მდინარეს გავხედე, იგი დინებას მიჰქონდა ყინულებს შორის. მალე ბურუსმა შთანთქა...

შემამცივნა, მაგრამ სახლში წასვლის სურვილი არ მქონდა; ქალაქის ქუჩებში ვიხეტიალე და გვიან დავბრუნდი შინ.

— რა დაგემართა? — მკითხა დედამ, — მკვდრის ფერი გადევს, ქურთუკი კი სისხლით გაქვს მოთხვრილი.

ჩემთვის აღარ შემოუხედავს, ისე მივიდა ღუმელთან და პიტნის ჩაი მომიმზადა. მოულოდნელად გული ამერია და გარეთ გავვარდი. რომ შემოვბრუნდი, პირდაპირ ლოგინში შევძვერი. ცოტა ხნის შემდეგ დედა შემოვიდა და საოცარი სიმშვიდით მითხრა:

— კარგად მესმის შენი. არასოდეს აღარ იფიქრო ამაზე. შუაღამემდე მესმოდა ბალიშებში თავჩარგული პეტერისა და ლენის ზლუქუნი.

ჰოდა, დღემდე არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, ბოლო რომ მოვუღე იმ წითელ ეშმაკს. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ისე ბევრს ჭამენ ეს ცხოველები.

მარგარეტ ჰანი

მე

ცხრის ოცი წუთია. ზალცბურგისკენ მიმავალ მატარებელში ვზივარ. ცას ზაფხულის ლაჟვარდი გადაჰკრავს, თბილა, მზიანი ამინდია. მსუბუქი თეთრი გამჭვირვალე კაბა მაცვია, ძალიან მიხდება. მომავლისთვის ბევრი რამ მაქვს გამიზნული. ახლა რომანს ვკითხულობ, ჩახლართული და ვნებიანი სიყვარულის ამბავს ვამთავრებ. ასეთ ამბებს წიგნებში ბედნიერი Happy-End-ი აქვთ ხოლმე. ნეტავი ჩემი ცხოვრებაც ასე დამთავრდეს. ზალცბურგია ჩემი მიზანი. თანაც ნამდვილი სასიყვარულო თავგადასავლის მოლოდინში ვარ.

თავს ისე მჩატედ ვგრძნობ, თითქოს ჰაერში დავფრინავდე, თუმცა ჩემი სხეულის შეგრძნების უნარიც არა მაქვს დაკარგული. მსიამოვნებს, მარტო რომ ვარ კუპეში; ისე კი გული მწყდება, რომ ისეთი მამაკაცი არ მიზის წინ, რომელიც დამაინტერესებდა და მაინც კარგ გუნებაზე ვარ.

სიამოვნებას მგვრის მატარებლით მგზავრობა, ასე მგონია, თითქოს ლოგინში ვწევარ და ვირწევი. ვნეტარებ და მაგონდება იშვიათად

---

1. ავსტრიელი მწერალი ქალი.

განცდილი სასიამოვნო ვიბრაციები, რომლებიც სქესობრივი აქტის რხევებს წააგავს. ალბათ ამიტომაც მიყვარს ასე ძალიან მატარებლით მგზავრობა. ქალის სასიამოვნო ხმა რადიოს შიდა კვანძით ბედნიერ მგზავრობას მისურვებს. ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა ავსტრიის ფედერალურ რკინიგზებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბრკოლებლად მივქრივართ წინ და სულ უფრო ვუახლოვდებით ჩემს მიზანს. მოულოდნელად, გზის ერთ სწორ მონაკვეთზე მატარებელი მკვეთრად მუხრუჭდება, ნელი სვლით ცოტა უკან იხევს და მერე რყევა-რყევით ჩერდება. ნეტა რა მოხდა? გაფუჭდა? კითხვას მაინც არ ვანებებ თავს, ცოტა ხნის შემდეგ კი გვერდზე ვდებ წიგნს. დავყურებ ჩემს წვივებს, მოხდენილსა და ჩამოსხმულს. ფეხზე მაღალქუსლიანი პრიალა წითელი ფეხსაცმელი მაცვია. ჯიბიდან სარკეს ვიღებ და ჩემს სახეს ვაკვირდები. საკმაოდ მიხდება ქუთუთოებზე კონტური, ტუშიც არ გადამსვლია წამწამებიდან, ლურჯი ჩრდილები თვალების ირგვლივ მათ უფრო დიდსა და ელვარეს აჩენს. ტუჩებზე წითელ პომადას ვისვამ. დარწმუნებული ვარ, ასე უფრო მომხიბლავი ვიქნები. ახლა ტუჩებისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ფერი შეხამებულია. სარკეში ვუცინი ჩემს თავს, მარგალიტივით თეთრი კბილები მომიჩანს, ისევ ვიცინი და უფრო მეტად მომწონს ჩემი თავი. მატარებელი გაჩერებულია. მეც ვიცდი. სარკეს ჯიბეში ვინახავ. ჩემს გარეგნობაში ეჭვი აღარ მეპარება.

შიდა კვანძით აცხადებენ, რომ რაღაც უბედური შემთხვევის გამო მატარებელი ნახევარი საათით შეყოვნდება. ნეტა რა უბედური შემთხვევა მოხდა? ვდგები, კაბას ვისწორებ და კუპედან გავდივარ. გასასვლელში არც ისე მოსაწონი ქალები დგანან, ამას თვალის ერთი შევლებით ვხვდები. მოთმინებადაკარგული მამაკაცები კი წრიალებენ, ჩემი აზრით, ალბათ რაღაც შეხვედრებზე აგვიანდებათ.

რა ამბავია? მოხდა რამე? ფანჯრიდან მოჩანს თვალუწვდენელი სივრცე, მწვანე მდელოები, მინდვრები, შორი-შორს ჩადგმული სახლები, ლამაზი, სუფთა და რიგიანად მოვლილი შემოღობილი ბაღები.

ეს ადგილი მართლაც ულამაზეს ნახატს წააგავს. ჩემს წაწვეტებულ ფრჩხილებს დავყურებ, ისინი წითლად პრიალებენ. მართლაც რომ მომხიბლველი ვარ. ვერ ვიჯერებ, რომ გზის ამ უმშვენიერეს მონაკვეთზე, სადაც ყველაფერი ასე მოწესრიგებული, ჰარმონიული და ხელუხლებელია, შეიძლება რაღაც უბედური შემთხვევა მომხდარიყო!

ვაგონის კარს აღებს ვილაც და რამდენიმე მგზავრი ჩადის. მეც მინდა ვნახო, რა ხდება იქ, და უკან მივდევ მათ. მზე აცხუნებს. ცოტა ხნით ვჩერდები და მის სხივებს სახეს ვუფიცხებ. დარწმუნებული ვარ, ცოტაოდენი სიშავე უფრო მიმზიდველს გამხდის. ჩემი ფეხსაცმელის წვეტიანი ქუსლები მიწაში ეფლობა და ოდნავ სველი ნაფხვენი ზედ რჩება. არადა, რა გულმოდგინედ გავაპრიალე, ნეტავი ტყავი ხომ არ აექერცლა?

ორთქლმავლის წინ ხალხია შეგროვილი, ხმას არავინ იღებს. ვერაფერს ვხედავ, ამიტომაც ხალხს ვაწვები და რკალის გარღვევას ვცდილობ. უცბად საოცრად ჭრელი წითელი კაბის წინ აღმოვჩნდი. არა, ეს ხომ სისხლია! ყანგიან ყავისფერ ლიანდაგზე გაჭყლეტილი, დასახიჩრე-

პული სხეული პირქვე გდია, ხშირი, გრძელი, ჩალისფერი სწორი თმა სისხლით შეღებილია, ლამაზად მოჩითული ჭრელი კაბა აცვია, მაგრამ იგი მკვდარია, ლიანდაგებს შორის — ამ უმშვენიერეს ადგილზე აგდია, გასხივოსნებული ლურჯი ცა ზედ გადაფარებია მის სხეულს, საიდანაც სისხლი მიედინება ყველა მიმართულებით, ის კი ვეღარასოდეს შეძლებს მოძრაობას. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ატყვია. მართლაც რომ შემაძრწუნებელი სურათია. ირგვლივ საოცარი სიჩუმე დგას, მხოლოდ რამდენიმე ბუზი დაფრინავს, ვილაც რომ ცდილობს მოუგერიოს.

ყველა ჩურჩულით ლაპარაკობს. ამასობაში მატარებელი დაძვრას აპირებს. მეც ვიხელთე დრო და შევათვალიერე. დაზიანებული ხომ არაფერი აქვს-მეთქი. მხოლოდ სისხლის ლაქები აჩნდა.

შემძრა ბორბლებით გადაჭყლეტილი სხეულის დანახვამ. წარმოვიდგინე, როგორ შეასკდა იგი ორთქლმავალს, როგორი ტკაცუნით დაელეწა ძვლები, როგორ დაეცა და მას შემდეგ აი აქ, ლიანდაგებს შორის გდია.

რაღა მაინცდამაინც ამ უმშვენიერეს ადგილზე მოხდა ეს? კიდევ ერთხელ შევავლე თვალი იქაურობას. თვითმკვლელობაა ჭრელ კაბაში, ვასკვნი და ეჭვი არც მეპარება.

ორი ჟანდარმი მოვიდა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მალე გავემგზავრებით. მდელოზე და ჟანგიან ლიანდაგებზე სისხლის კვალია. ფეხები მოღრეცია ქალს, ელეგანტური, ძვირად ღირებული ფეხსაცმელი აცვია. აცვია მხოლოდ ცალი, მეორე ალბათ სადმე გასძვრა. მისი სახის დანახვა ვერ შევძელი, ნეტა ლამაზი თუ იყო? მოვტრიალდი და ვაგონისკენ წამოვედი. ჩამიმწარდა ეს დღე.

მოულოდნელად „დიპლომატიანმა" მამაკაცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ჩანს, ძალიან ეჩქარება, პირველი კლასის ვაგონის წინ წრიალებს და წამდაუწუმ საათზე იყურება, ალბათ „Rolex"-ის მარკის საათი იქნება, ჩემი აზრით, ძალიან სიმპათიურია. შეძლებისდაგვარად ვსწორდები წელში და ყელს ვიღერებ, ნიავი მსუბუქად მიფრიალებს კაბას და შავ თმასაც მიწეწავს. ვუცინი. ის მიყურებს, მე კი მისი თვალით ვუყურებ ჩემს თავს. უფრო მეტად ვაღებ პირს და ისე ვუცინი, რომ ჩემი თეთრი კბილები კარგად დაინახოს, მიმანიშნებლად ვილოკავ ენით ზედა ტუჩს, მის მზერას ვიჭერ და თვალს აღარ ვწყვეტ, ვინ იცის, იქნებ ზუსტად ამ წუთს ინასკვება ჩემი სასიყვარულო თავგადასავალი? ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს, თითქმის მთლად შიშველ სხეულს ნაზი სიო მოესალბუნა. რაც უფრო დიდხანს ვუმზერ ამ ლურჯ თვალებს, ფრთებს უფრო ისხამს ჩემი ფანტაზია და მით უფრო მეტად მეუფლება ტკბობის სურვილი. ეს მძაფრი მომენტი რომ გავაცნობიერე, შინაგანად კმაყოფილმა თითქოს წონაში მოვიკელი და უფრო მოხდენილი გავხდი, მკერდი ჯერჯერობით საკმაოდ მკვრივი მაქვს.

როგორც იქნა, მზერა მოვწყვიტე მის თვალებს და თეძოების ნარნარი რხევით გავემართე ჩემი ვაგონისაკენ. სიარულის დროს უსიამოვნო შეგრძნებას მიტოვებს წვეტიან ქუსლებზე დარჩენილი ცოტაოდენი ნამიანი მიწა.

მართლაც რომ გამორჩეული ადგილია აქ და მამაკაციც ძალიან მიმზიდველი, ჭაღარა, გრუზა თმიანი, მოლურჯო პიჯაკში; ელეგანტური, პირველი კლასის მგზავრი. რად არ გავიმეტე ჩემთვის პირველი კლასის ვაგონის ბილეთი? რად არ გამოვიჩინე ხელგაშლილობა საკუთარი თავის მიმართ?

ჩემს კუპეში ფანჯარას ვაღებ, საიდანაც გაზაფხულის სურნელი შემოდის და სიამოვნებას მგვრის. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელიც დაიძრა; საათს ვუყურებ, ორმოცდაათ წუთს ვაგვიანებთ. ტაატით მივიწევთ წინ და უკან ვიტოვებთ ქალს, რომელიც უკვე გადააწვინეს ლიანდაგიდან. ვიღაცას თეთრი ნაჭერი გადაუფარებია მისთვის, მხოლოდ ჭრელი კაბის ბოლო და ცალი ფეხი მოუჩანს. სახის დანახვა ისევ ვერ მოვახერხე. მატარებელი კი მიდის კრიალა, მწვანე, ახლად გაღვიძებულ ბუნებაში და თანდათან უმატებს სვლას.

ფეხსაცმელი გავიხადე. ჩემს ლამაზ ფეხებს ვაკვირდები. ფეხის ფრჩხილებზე წითელი საღებავი მიბრწყინავს. გადავწყვიტე მოვძებნო პირველი კლასის ვაგონი, იქნებ ის საინტერესო მამაკაცი ვიპოვო, მერე ალბათ ვაგონ-რესტორანშიც შევივლი, რადგანაც ჭამის სურვილი გამიჩნდა, პირისა და ხელების განძრევისაც.

მანამდე კი კვლავ წიგნს ვიღებ და კითხვას ვაგრძელებ. ისევ კარგ გუნებაზე ვარ. წარმოვიდგინე, რაც უფრო დავშორდებით მკვდარ ქალს, რომელიც ლიანდაგების მოშორებით წევს, მით უფრო პატარა და შეუმჩნეველი წერტილი დარჩება მისგან.

მატარებელი კვლავაც სასიამოვნოდ ირწევა, ჩემი სხეულიც მასთან ერთად. მაინცდამაინც არც მეჩქარება, ალბათ მოვასწრებ წიგნის დამთავრებას. ზალცბურგში ჩასვლისას კი ისედაც დიდი გეგმები მიდევს წინ.

ჯილდა ენდრიუს-რუსიკა

ჩვენი ახალი ჰანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა რუსუდან ჟიღაშვილმა.

სულ რაღაც ერთი წლის წინ არავის არაფერი სმენოდა ჩვენზე. უბრალოდ გახლდით მოყვარული პოპჯგუფი — ერთ-ერთი მრავალთაგანი მხოლოდ ბარჩესტერში.

ჯგუფში ოთხნი ვიყავით: ბილ კელი, ჰარი ბლეკი, კენ მაგდონალდი და მე. გრძელი და საკმაოდ უცნაური სახელებით გატაცების გამო თავს წვიმაში მომღერლებს ვუწოდებდით ძველი ამერიკული მიუზიკლის მიბაძვით, რომელშიც ბილის მოგვარე ჯინ კელი მონაწილეობდა. ეს სახელი ავირჩიეთ არა იმიტომ, რომ მისი მუსიკა გვხიბლავდა, რამდენადაც შესატყვისი ჩაცმულობის საშუალებას გვაძლევდა. კონცერტებზე გამოვდიოდით მუშამბის კოსტუმებით და ვეებერთელა გაშლილი ქოლგებით (ცხადია, წარმოდგენის დაწყებისთანავე მათ იატაკზე ვდებდით). მართალია, მუსიკალურად დიდად არ განვსხვავდებოდით ბარჩესტერის სხვა ჯგუფებისგან, მაგრამ განსხვავებული იერი მაინც გვქონდა. ნეტავ კი შეგვძლებოდა ასევე განსხვავებული ჰანგიც გვეპოვა!

ჩვენი ამბავი ორი წლის წინ დაიწყო. როდესაც ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდით. ერთ პარასკევს, ნაშუადღევს ბილის სახლში ახალ საკონცერტო ნომერს ვამუშავებდით. ბილს ნახევარსარდაფის სართულზე დიდი ოთახი ეკავა, სადაც შეგვეძლო რეპეტიციების ისე ჩატარება, რომ არავინ შეგვეწუხებინა. იმ განსაკუთრებულ პარასკევ დღეს საშინელ განწყობაზე ვიყავით, რადგან იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი ახალი სიმღერა ყოვლად უვარგისია, ჰანგი... თუმცა, სიმართლე რომ ითქვათ, ძნელად თუ დაერქმეოდა მას ეს სიტყვა და არც ტექსტი ბრწყინავდა დიდად; ჰოლივუდის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით გარითმული გვქონდა „მელოდია — მთვარე“ და „სიყვარული — ვარსკვლავები ცაზე“. უფრო თანამედროვე ელფერისათვის კი ყოველი სტროფის შემდეგ „ია-ია“-ს ვუმატებდით („ბითლზები“ იმ წელს ისევ მოდაში იყვნენ). ცხადია, ჩვენი კარიერა ღრმა კრიზისს განიცდიდა. ამჟამად მხოლოდ სრულიად ახალ ჰანგს შეეძლო ჩვენი ხსნა. უიმედობამ შეგვიპყრო. ჰარი გიტარას აჩხაკუნებდა და უაზროდ იჭმუხნებოდა. კენ მაგდონალდმა, ჩვენმა ხაზინადარმა, ბლოკნოტი ამოიღო და რაღაც რთული თანხების გაანგარიშებას მოჰყვა. მე ვიჯექი და ცეცხლს მივშტერებოდი. ბილი ზემოთ ავიდა. ყველა მას ველოდებოდით. როდესაც ჩამოვიდა, ხელში „ბარჩესტერ სენტინელი“ ეჭირა, ჩვენი ადგილობრივი გაზეთი, რომელიც პარასკევობით გამოდიოდა.

— აი, რაც გვჭირდება, — შესძახა მან და გაზეთი ჰაერში აათ-რიალა. — საკონსულო სიმღერის კონკურსს აწყობს. პირველი პრიზის მფლობელი იტალიაში, ვერონაში გაემგზავრება. გახსოვთ ალბათ რომეო და ჯულიეტა და მისთანები. სიმღერაც ვერონაზე უნდა იყოს.

ყველანი მივაჩერდით: ჰარიმ გიტარას თავი ანება, ბილს [illegible]ვებისგან ბლოკნოტი გაუვარდა.

— რატომ ვერონა? — იკითხა მან. — და არა რომი ან ვენეცია? შეგვეძლო მშვენიერი სიმღერა დაგვეწერა რომზე. ის ირითმება.

— „home და ...foam“ და „...dome“,[1] — ვუკარნახე, მე, — ვერო-ნას შესაფერისი რითმის პოვნა კი ძნელი იქნება.

ბილმა მხრები აიჩეჩა.

— „ვერ გაიგეთ“, — იქვე მოგვიჭრა მან — ვერონა უნდა იყოს, რადგან ის ახლა ჩვენი ტყუპისცალი ქალაქია.

— ტყუპისცალი? რა შუაშია ტყუპები? — გაიკვირა ჰარიმ, — რას ბოდავ ბილი?

ბილმა ამოიოხრა.

— კარგი, მარტივად აგიხსნით. ბარჩესტერი ახლახან შევიდა ტყუ-პი ქალაქების პროექტში. ჩვენი ტყუპისცალი ვერონაა, რომელსაც დაახ-ლოებით ჩვენოდენა მოსახლეობა და რაღაც რომაული ნანგრევები აქვს. მათ ჰყავთ რომეო და ჯულიეტა, ჩვენ კი შექსპირის სამიკიტნო, სადაც გადმოცემით ძველმა ბიჭმა 1593 წელს ღამე გაათია. გასაგებია? მარტ-ში დელეგაცია ვერონიდან ბარჩესტერში ჩამოვა, ზაფხულში კი ჩვენ — საპასუხო ვიზიტით ჩავალთ.

ჰარიმ ბილს გაზეთი გამოართვა და თავისთვის ჩაიკითხა.

— ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ გამოგრჩა, — შენიშნა მან, — აქ ნათქვამია, რომ ერთ-ერთი პირობა პირველი პრიზის მოსაპოვებლად იტალიური ენის შესწავლაა. „კონკურსის მესვეურნი აპირებენ პატარა ზეპირი გამოცდის ჩატარებას იტალიურში“, — ამოიკითხა მან. — ამა-ზე რას იტყვით?

ვერაფერი ვთქვით. ჩვენი სკოლა ყველაზე დიდი და მრავალმხრი-ვია მთელ საგრაფოში და ენების შესასწავლი კარგი ლაბორატორიაც აქვს. მაგრამ მხოლოდ ფრანგულს ვსწავლობდით. მთელი სამი კვირა ის ჩვენი უსაყვარლესი საგანი იყო, ვიდრე მისტერ ფენტონმა, ფრანგულის მასწავლებელმა, არ აღმოაჩინა, რომ ლაბორატორიაში უახლესი პოპ-მუსიკის ჩანაწერებს ვუსმენდით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფრანგუ-ლი აქცენტი გაუმჯობესდა, მაგრამ მისტერ ფენტონი მაინც უკმაყოფი-ლო იყო.

— იქნებ მისტერ ფენტონმა იცის იტალიური? — ვარაუდი გამო-ვთქვი მე. — ვთხოვოთ რამდენიმე გაკვეთილის ჩატარება. უკვე და-ვიწყებული ექნება გასულ სემესტრში ჩვენი ოინბაზობა.

— შეგვიძლია ლინგაფონური (იტალიური ენის სწავლების) კურსი გამოგვეტანა ბიბლიოთეკიდან, — შემოგვთავაზა კენმა. — საინტერესოა,

1. „სახლი და... ტალღა და ...თაღი“.

ბიბლიოთეკა

ენის საკმაოდ შესასწავლად ნეტა რამდენი დრო დაგვჭირდება. მარტი ხომ ორი თვის შემდეგაა.

— სწორია, — დაადასტურა ბილმა, — მაგრამ ნუ ღელავთ, პასუხიც მზად არის. შეხედეთ!

მან „სენტინელის" ბოლო გვერდზე თითი პატარა განცხადებების მჭიდროდ დაბეჭდილ სვეტებს გააყოლა, სანამ არ იპოვა, რასაც ეძებდა. „რატომ დავკარგოთ ძვირფასი დრო? — წავიკითხოთ, — იოცნებეთ ახალ წარმატებებზე და ამალამვე შეუდექით სხვა ენის შესწავლას ჩვენი უახლესი — ძილში სწავლების მეთოდით. კურსები შედგენილია ენის გამოცდილი სპეციალისტების მიერ პროფესორ ალისტერ ს. ლითის პირადი ხელმძღვანელობით. შედეგი გარანტირებულია. არადა, ფული უკან დაგიბრუნდებათ. ყველა ძირითადი ენა ფირფიტებზე ან კასეტებზეა წარმოდგენილი".

— სიმართლისათვის მეტისმეტად კარგად ჟღერს, — აღნიშნა კენმა, — რაიმე ხრიკი იქნება. ალბათ ფულს თუ უკან მოვითხოვთ, აღმოჩნდება, რომ სადღაც აორთქლებულა.

— ყოველ შემთხვევაში გვთავაზობენ უფასო საცდელ კასეტას ორმოცდაათი ზოგადი ფრაზით.

ბილის არგუმენტმა დაგვარწმუნა. ბოლოს და ბოლოს არაფერს ვკარგავდით საცდელად ერთი უფასო კასეტის შეკვეთით. ბილი ზემოთ ავიდა დედასთან საწერი ქაღალდის, კონვერტისა და რამდენიმე მარკის სათხოვნელად. შემდეგ დავსხედით და მივწერეთ ძილში სწავლების ინსტიტუტს, რომელსაც თავისი ოფისი ლონდონის ცენტრში გერარდ სტრატის ქუჩაზე ჰქონდა, პარი ფოსტაში გაეშურა წერილის გასაგზავნად, ბილი კი ამასობაში ბუხრის წინ დაგებულ ფარდაგზე გაიშხლართა და ვერონას სიმღერისათვის შესაფერისი რითმების ძებნას შეუდგა.

სიმღერის კონკურსმა ბარჩესტერში დიდი ინტერესი გამოიწვია. მთელმა მოსახლეობამ აუბა მხარი. „ფინქ-პანტერები"[1] იტალიურის შემსწავლელ საღამოს კლასს ესწრებოდნენ შემდგომი სწავლების კოლეჯში. „შუგარ"[2]-მა და „სპაის"[3]-მა ცენტრალური ბიბლიოთეკიდან ერთადერთი ლინგაფონური კურსი გამოიტანეს. იტალიური თვითშემსწავლელის ექვსივე ასლი ერთ ღამეში გაქრა ვ. პ. სმითის მაღაზიიდან და განცვიფრებული მენეჯერი იძულებული გახდა ახლები ლონდონში ტელეფონით შეეკვეთა. „ბარჩესტერის ბარნაკლები"[4] კი ყველაზე მარიფათიანები აღმოჩნდნენ. მათი ჩვეული შეხვედრის ადგილი გახლდათ ქალაქში ყველაზე იაფი და საუკეთესო ფ. ნ. ტუს ჩინური რესტორანი. ახლა კი ტონის იტალიურ ბისტროში დაიწყეს სიარული. ტონისთან მათ თითქმის ყოველ საღამოს ნახავდით სუფრაზე სპაგეტით სავსე დიდი თეფშებით. რამდენად ისწავლეს იტალიური, არ ვიცი, მაგრამ წონაში გვარიანად რომ მოიმატეს, ეს კი ცხადია.

ჩვენც ასევე დიდი სურვილი გვქონდა იტალიურის სწავლა მაშინვე დაგვეწყო. მაგრამ ერთ კვირაზე მეტი გავიდა, ვიდრე ძილში სწავ-

---

1, 2, 3, 4 — პოპჯგუფები.

ლების ინსტიტუტიდან რაიმე ცნობა მოვიდოდა. ყოველ დილას ბილი უარყოფის ნიშნად თავს აქნევდა, როცა მოლოდინით სავსე ჩვენს თვალებს აწყდებოდა. და აი მოვიდა ის დღეც, როდესაც მან, როგორც იქნა, თავი დააქნია. იმ ნაშუადღევს — მახსოვს, ხუთშაბათი იყო — ბილის ნახევარსარდაფში მივიჩქაროდით, რათა ფოსტალიონის მიერ მოტანილი საგულდაგულოდ გახვეული ამანათი გაგვეხსნა. [illegible] ცეცებით ვადევნებდით, როგორ აილო კენმა ჯაყვა და ყავისფერი ქაღალდის ფენებს დაუსვა. მხოლოდ ბილი არ იჩენდა ინტერესს — ის ჯერ კიდევ ცოდვილობდა პრიზის მოსაპოვებელ სიმღერაზე.

კენმა ფრთხილად გადახსნა ყავისფერი ქაღალდი და პატარა ნაცრისფერი პლასტიკატის კასეტა ამოიღო, თავის მხრივ გახვეული რომ იყო დაბეჭდილ ფურცელში სათაურით: „იტალიური — ორმოცდაათი სასარგებლო ფრაზა დამწყებისათვის".

— „როგორ ბრძანდებით? ჩემი სახელი ჯონ ბრაუნია", — ამოიკითხა ჰარიმ.

— მზე ანათებს, — წარმოთქვა კენმა საკმაოდ უადგილოდ, რამეთუ გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

— „უკაცრავად, ხომ ვერ მიმასწავლიდით გზას სადგურისაკენ" — წავიკითხე მის მხრებს უკნიდან. — „ჩემს დას თქვენთან შეხვედრა სურს. რატომ არ ურეკავთ მას?"

— ეს რა იყო? — წამოიძახა ბილმა თავის საყვარელი ადგილიდან ანუ — ფარდაგიდან, — აბა ერთხელ კიდევ თქვი.

— „ჩემს დას თქვენთან შეხვედრა სურს. რატომ არ ურეკავთ მას", — გავიმეორე. — ვერონ... დაურეკე მას... აი რითმაც, როგორც იქნა: უსმინეთ: „ჩემი გოგონა წავიდა ვერონას,

არ ვიცი, რატომ არ ვურეკავ მას".

— რას იტყვით? — ცუდი არ არის, — მოუწონა ჰარიმ, — შიგ არის ვერონა, სასიყვარულო ინტერესი და თანამედროვე ტექნიკა — ყველაფერი ორ სტროფში.

— უფრო მელანქოლიური გახადე, — ვურჩიე მე, — ბედნიერება წელს მოდაში არ არის. სევდიანია, მარტოა, რადგან მისი გოგონა ვერონაშია.

— ჰმ..., — ჩაიბუტბუტა ბილმა, — ვერონა... მარტოა... აჰ! მზად არის: ჩემი გოგონა ვერონაშია,

მან სულ მიმატოვა, აჰ!

— რატომ აჰ? — ვკითხე.

— უბრალოდ რითმისთვის. ახლა კი მოკეტეთ და ყურადღებას ნუ მიფანტავთ. ნახევარ საათში მზად იქნება. მანამდე კი შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, ვის შეხვდება პირველად კასეტა. კენმა განრიგი შეადგინოს. მოგეხსენებათ, როგორ უყვარს ქაღალდებში კირკიტი. ჩემთვის პარასკევის გარდა ნებისმიერი ღამე მისაღებია.

ბედის ცდა პირველად მე მერგო. შინ მისვლისას ფურცელი კვლავ გადავიკითხე და ინსტრუქციას გულმოდგინედ მივყევი. ზემოთ საძილე ოთახში ავიტანე ერთი ჭიქა თბილი რძე და აბაზანაში წყალი მოვუშვი.

ვიდრე ის წყლით აივსებოდა, თერმომეტრი მოვძებნე. წყლის ტემპერატურა ზუსტად 98° (ფარენგეიტით) უნდა ყოფილიყო. მერე მივიღე აბაზანა, დავლიე რძე და ლოგინში ჩავწექი. ყველა ამ მოსამზადებელმა სამუშაომ ისე მომადუნა, როდესაც მაგნიტოფონი ჩავრთე გასაკვირი არაა, რომ თვალები უკვე მებლიტებოდა. ხავერდოვანი ტკბილი ხმა განაწყობდა მშვიდად წოლისა და მოსვენებისათვის. ვგრძნობდი, როგორ მარწევდნენ უცნაური ელექტრონული მუსიკის ტალღები და ნელ-ნელა ძილის სამეფოში მითრევდნენ.

დილით დედა შემოვიდა ჩემს გასაღვიძებლად.

— აბა, — მკითხა, — როგორ მიდის შენი იტალიური? წუხელ რაც მესმოდა, იტალიურს არ ჰგავდა, უფრო ხვრინვა ეთქმოდა.

გამეცინა. ჩემი ხვრინვა ოჯახში ხუმრობის საგანი იყო. ლოგინში წამოვჯექი და ფანჯრიდან გავიხედე. მშვენიერი დილა იდგა. წვიმას გადაეღო, — და ქარსაც ღრუბლები გაეფანტა. დედა ისევ მოლოდინით შემომცქეროდა. აბაზანის თერმომეტრს რომ ვეძებდი, მაშინ მოვუყევი ყველაფერი ძილში სწავლების პროექტზე და ეხლა ერთი სული ჰქონდა შედეგით დამტკბარიყო.

— ვწუხვარ, დე, — გავიქნიე თავი, — თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ, მშვენივრად გამოვიძინე, მაგრამ არაფერი მახსოვს.

— ნუ დარდობ, საყვარელო! — თავზე ხელი გადამისვა მან, — ცოტა ხანს მოგიწევს დაცდა. რომი ერთ დღეში არ აშენებულა, დროა ისაუზმო, თუ არ გინდა სკოლაში დაგვიანება.

სკოლაში მისვლისას ბიჭებმა იმედით შემომხედეს.

რომი ერთ დღეში არ აშენებულაო, გახდა ჩვენი საყვარელი გამოთქმა მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში. თითოეულს რამდენჯერმე ერგო კასეტა, მაგრამ არანაირი პროგრესი არ შეინიშნებოდა. მართალია, ჩინებულად კი გვეძინა, თუმცა უძილობას არცერთი ჩვენგანი აქამდეც არ უჩიოდა, პირიქით.

კენმა პირველმა გამოთქვა ეჭვი.

— არ გეჩვენებათ, რომ რაღაც სასაცილო ხდება ფირთან დაკავშირებით?

— სასაცილო რატომ? — ვკითხე.

— რომელიმეს ერთხელ მაინც თუ მოგისმენიათ ისე, ვგულისხმობ, სიფხიზლეში?

აღმოჩნდა, რომ არც ერთს.

— ხედავთ! — გადმოგვხედა კენმა გამარჯვებული სახით. — ახლა მართლაც საოცარ ამბავს გეტყვით. წუხელ შევეცადე არ დამეძინა, მაგრამ როგორც კი მუსიკა დაიწყო მაშინვე ჩამეძინა.

— ეს თბილი რძისა და აბაზანის ბრალია — აღვნიშნე მე, — საშინლად მომთენთავია, ძილს თავს ველარ გაართმევ.

— საქმეც მაგაშია, — განაგრძო კენმა, — მე მოვიტყუე. მაგათ ნაცვლად ყავა და ცივი შხაპი მივიღე.

— და მაინც დაგეძინა? — განვცვიფრდით ყველა, — ჩანაწერს ვერ მოუსმინე?

— რაღაც კი გავიგონე, — აღიარა კენმა, — მაგრამ აზრი ვერ გამოვიტანე. დილით კი ვერაფერი ვერ გავიხსენე. რა უნდა ვქნათ?

ვისხედით და ერთმანეთს შევყურებდით. ბოლოს ბილმა დაარღვია სიჩუმე:

— შეიძლება მართალიც ხარ, — თქვა მან. — აქ რაღაც უცნაურობაა. იქნებ იტალიურს სულაც არ ვსწავლობთ. არ გიფიქრიათ ამაზე?

— წუხელ ტონისთან წავედი, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა კენმა, — „ბარნაკლები"-დან ყველანი იქ იყვნენ და საკმაოდ თავისუფლად ჭყბედობდნენ იტალიურად.

— რას გვთავაზობ? — ვკითხე მე — რაიმეს შეცვლა უკვე გვიანაა. იმის თქმა გინდა, რომ ყველაფერს თავი დავანებოთ?

— არა, არა, — ჰარი გამოუსწორებელი ოპტიმისტი გახლდათ, — ერთხელ კიდევ გადავხედოთ ფურცელს. — მან კასეტის კოლოფიდან ინსტრუქცია ამოიღო.

— „შედეგებს უნდა ელოდოთ ოთხი-ხუთი სეანსის შემდეგ, — ამოიკითხა მან, — სრული რელაქსაცია დაგეხმარებათ ნასწავლის გახსენებაში".

— მოდი ვცადოთ, — თქვა ბილმა. ის ადგა და ფარდები ჩამოუშვა, მერე ყველანი სიბნელეში ვისხედით, ვუყურებდით ელექტროღუმელის ერთადერთ მოელვარე შუქს და ვცდილობდით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, არაფერზე გვეფიქრა. თვლემა მომერია. მეგონა კიდეც, რომ საწოლში ვიწექი და მაგნიტოფონს ვუსმენდი. ყურში ბუტბუტი ჩამესმოდა. მოულოდნელად წარმოვთქვი: Kiel vi nomigas, senioro?".[1] — „Mi nomigas ken Macdonald",[2] — მძინარე ხმით მიპასუხა კენმა.

ეს ამაღელვებელი მომენტი იყო. როგორც იქნა, გაირღვა ყრუ კედელი, თუმცა ბილი და ჰარი ჩვენს გაუგებარ საუბარს ვერ შეუერთდნენ.

— ალბათ რელაქსაციას სრულად ვერ ვახერხებთ, — დაასკვნა ბილმა, — ყოველ შემთხვევაში ორზე მეტი სეანსი გვჭირდება. უნდა დაველოდოთ და ვნახოთ.

შევთანხმდით, რომ აღარ ვიღელვებდით და მთელ ძალისხმევას ვერონაზე სიმღერის შექმნას მოვანდომებდით. წესით სიხარულისგან უნდა გვეცეკვა, ძილში სწავლებამ ბოლოს და ბოლოს შედეგი რომ გამოიღო, მაგრამ მაინც უგუნებოდ ვიყავით. ჩვენი სიმღერა ყოვლად უხეირო ჩანდა. ის პწკარებიც კი, რითაც ადრე ვამაყობდით, ახლა სრულიად უაზროდ ჟღერდა. შესრულებას კი ხალისი აკლდა. ბოლოს ინსტრუმენტები გვერდზე გადავდეთ და ბარში წავედით. სტილის ძირფესვიანად შეცვლა აშკარად იყო საჭირო — ახალი მუსიკალური დასაწყისი.

ტყუპი ქალაქების ზეიმი 15 მარტს ვერონადან დელეგაციის ჩამოსვლით დაიწყო. მათ მისასალმებლად სადგურზე მერი დახვდა სასულე ორკესტრით. აქვე იყო მის რობერტას ცეკვის სკოლიდან სამი პატარა გოგონა ყვავილებით, ერთიანად რომ კანკალებდნენ ფუმფუშებიან კა-

---

1. თქვენი სახელი, სენიორ? (იტალ.).
2. კედ მაგდონალდი მქვია. (იტალ.).

პეშში. სანამ ორკესტრი „აიდადან“ მარშს უკრავდა, მერი გარშემომყოფთ ხელს ართმევდა. ისინიც თავის მხრივ თაიგულებს არიგებდნენ. „სენტინელის“ რეპორტიორმა რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ როგორც იყო მოახერხა მთელი სცენის გადაღება. მერე ყველანი სადგურის გარეთ მომლოდინე დიდ შავ ლიმუზინებში ჩასხდნენ. მისის ჩესტერტამ კი თავისი გოგონები სადგურის მოსასვენებელ ოთახში — წაიყვანა ცულა-ცხელი ჩაის დასალევად.

რამდენიმე დღის შემდეგ რატუშაში მიგვიწვიეს იტალიურში ზეპირი გამოცდის ჩასაბარებლად. საგამოცდო კომისიაში შედიოდნენ: შემდგომი სწავლების კოლეჯის იტალიურის მასწავლებელი, „სენტინელის“ რედაქტორი მისტერ ბრაუნინგი და ვერონას დელეგაციის ორი წევრი. სკოლის შემდეგ რატუშასთან შევიკრიბეთ და ერთად შევედით. „პანტერები“ სწორედ მაშინ გამოდიოდნენ იმ ოფისიდან, სადაც გამოცდა ტარდებოდა. სახეზე თვითკმაყოფილება ეხატათ.

— ბევრის ცოდნას არ ითხოვენ, — დაგვამშვიდეს მათ, — მართლა ადვილია.

მომდევნო „ბარნაკლები“ იყო. მერე ჩვენი ჯერიც დადგა. ოთახში შევვლალეს და გამომცდელებს ჩვენი თავი წარუდგინეს. ყველამ წარმოვთქვით: „Bon giorno“,[1] და პირველ შეკითხვას დაველოდეთ.

— ლაპარაკობთ იტალიურად? — შეგვეკითხა ერთ-ერთი იტალიელი. ბილმა ჰარის შეხედა, ჰარიმ კი მე. მერე ყველამ მზერა კენზე გადავიტანეთ. ის სკამზე იჯდა უკან, თვალები დაეხუჭა და ცდილობდა დამშვიდებულიყო. ხელები კალთაში ჩაეწყო და ტუჩებს აცმაცუნებდა. მეც დავხუჭე თვალები და შევეცადე არაფერზე მეფიქრა. ყურებში რაღაც ჩაქუჩივით მირტყამდა. პირველად ბუხრის თავზე მდგარი საათი მეგონა, მაგრამ მერე გავაცნობიერე, რომ საკუთარი გულისცემა იყო. ოფლმა დამასხა. რაღაც დროის შემდეგ, რომელიც უსასრულოდ მეჩვენა, კენმა უეცრად თვალი გაახილა, რამდენჯერმე დაახამხამა და თქვა:

— Bonon atenan.

ამან ნიშანივით გაიჟღერა. უცბად დანარჩენებმაც ამოვიდგით ენა.

— Kiel agrabl renkontu, — თქვა ჰარიმ.

— Mi estas anglo, — არ ჩამოვრჩი მე და სკამის ზურგებზე გადავწექით იმით კმაყოფილები, რომ წარუშლელი შთაბეჭდილება მოვახდინეთ.

პირველი ნიშანი იმისა, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე, გამომცდელების რეაქცია გახლდათ. მათ ერთმანეთს გადახედეს, თავი გააქნიეს, შუბლი შეიჭმუხნეს და წინ გადმოიხარნენ, თითქოს სწორად ვერ გაიგეს ნათქვამი. ორი იტალიელიდან უფროსმა რაღაც უთხრა მეორეს. მერე მოგვიბრუნდა და გვკითხა:

Cu vi paralas Esperanto?[2] — ინგლისურად კი დაუმატა — დღეს არც ისე ბევრი ახალგაზრდა ლაპარაკობს ესპერანტოს. რატომ შეისწავლეთ ეს?

1. სალამი (იტალ.).
2. თქვენ იცით ესპერანტო? (იტალ.).

ესპერანტო! თავზარდაცემულებმა ერთმანეთს გადავხედეთ მთელი ეს ღამეები ამაოდ გაგვიფლანგავს ესპერანტოს შესწავლაზე იტალიურის მაგივრად. როგორ მოგვივიდა ასეთი შეცდომა! ჩვენი იმედები, რომ სიმღერის კონკურსზე გავიმარჯვებდით, ვერონას რომაულ არენაზე ან კიდევ სადმე აღფრთოვანებული ხალხის წინ გამოვიდოდით, — [illegible]ლასავით დაინგრა. იტალიელები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ხოლო მისტერ ბრაუნინგი ძალზე შეშფოთებული ჩანდა.

— მომისმინეთ, — თქვა მან, — გვათამაშებთ თუ რას ნიშნავს ეს ყოველივე? თქვენგან იტალიურს ელოდებიან და არა ესპერანტოს.

ბილი, როგორც ყოველთვის, პირველი მოეგო გონს.

— ეტყობა, შეცდომით სხვა ფირი გამოგვიგზავნეს, — წამისისინა მან, — როგორმე უნდა გამოვძვრეთ ამ მდგომარეობიდან. — ის გამომცდელებს მიუბრუნდა და მათი ყურადღების მისაქცევად ერთი-ორჯერ ჩაახველა.

— ბატონებო, — დაიწყო მშვიდად (ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავით მისი თავდაჭერით კრიტიკულ მომენტებში), — ჩვენ ესპერანტოს საშუალებით საერთაშორისო ურთიერთობის საზოგადოების წევრები ვართ. სხვების ესპერანტოთი დასაინტერესებლად გადავწყვიტეთ სიმღერის კონკურსში ის იტალიურის ნაცვლად გამოგვეყენებინა.

აქ მან თვალი მისტერ ბრაუნინგზე შეაჩერა, რომელიც მოკლე ჩანაწერებს აკეთებდა. — იქნებ „სენტინელმა" ჩვენს შესახებაც დაბეჭდოს?

— ბუნებრივია, ჩვენს სიმღერაშიც ესპერანტო აჟღერდება, — დაურთო ჰარიმ სასწრაფოდ, მცირე ყოყმანის შემდეგ კი დაუმატა, — მას ჰქვია „ვერონა, ო, ვერონა".

ეს განცხადება, რაღა თქმა უნდა, გვავალდებულებდა ერთ ღამეში შეგვექმნა სრულიად ახალი სიმღერა, სამაგიეროდ უფლებას გვაძლევდა დანარჩენ კითხვებზე პასუხის გაუცემლად დაგვეტოვებინა იქაურობა. ყველანი ავდექით, თავაზიანად დავემშვიდობეთ იქ დამსწრეთ და ოთახიდან გავედით.

დანარჩენი კარგადაა ცნობილი. თუ გახსოვთ, „ვერონა, ო, ვერონა", ჩვენი პირველი ჰიტი იყო. ბილის ოთახში ღამე თეთრად დაგვათენდა სიმღერის შეთხზვაში. ჩვენ ხომ მხოლოდ ორმოცდაათი სასარგებლო ფრაზა გვქონდა, მაგრამ შედეგი არ იყო ცუდი.

ხომ ვერ მიმასწავლით გზას ვერონასაკენ,
სადაც მზე კაშკაშებს, კაშკაშებს...
მატარებელი 6-30-ზე გადის და
ვშიშობ, ქოლგა ხომ არ დავკარგე.

სალამი, ვერონა, სალამი, ვერონა
გიკვეთავთ ორ ოთახს აბაზანით,
სალამი, ვერონა, ნახვამდის, ვერონა,
სადგური იმ კუთხის იქით მეგონა.

მართალია ინგლისურად საკმაოდ მოსაწყენად ჟღერს, მაგრამ ესპერანტოზე ის მოულოდნელად საოცრად იდუმალი და ამაღელვებელი გახდა. დიახ, ჩვენდა უნებურად თურმე ახალი ჰანგი შევქმენით. დიდებული ენაა ესპერანტო. მარტო იმიტომ არა, რომ სასიმღეროა, მას ყველა ენებისგან აქვს რაღაც ნასესხები, რაც გაფიქრებინებს, რომ თითქმის შეგიძლია მისი გაგება. თითქმის და არა სავსებით. მაგრამ ისე კი დიდი უპირატესობა აქვს. შეიძლება წეროთ მთვარესა და მელოდიაზე და მაინც ორიგინალურად იჟღეროს. ჩვენმა პირველმა მცდელობამ იმდენად აღგვაფრთოვანა, რომ გადავწყვიტეთ მომავალში მთელი ჩვენი ლირიკა ესპერანტოზე დაგვეწერა.

„ვერონა, ო, ვერონამ“ პირველი პრიზი მოიპოვა სიმღერის კონკურსში და „პანტერასთან“ ერთად იტალიაში მივემგზავრებით. პარასკევის „სენტინელში“ ჩვენზე ვრცელი სტატია დაიბეჭდა: „ბარჩესტერის ბიჭები შემოიჭრნენ მუსიკაში — ესპერანტოთი“.

მას შემდეგ ჩვენი ახალი ჰანგი ყველაზე მოდური გახდა, გამოვიდა ჩვენი პირველი დისკი, ამან კი პოპროკელთა თავში გაგვინაღდა ადგილი. სულ ახლახან ჯგუფის ძველი სახელი „ესპე“-თი შევცვალეთ, რადგან იგი გამოხატავს, როგორც ექსტრასენსორულ აღქმას, ისე ესპერანტოს. არ მეთანხმებით? დიახ, იყო რაღაც ექსტრასენსორული ჩვენს ძილში სწავლებაში — იგი იყო და დარჩა მისტერიად. ძილში სწავლების ინსტიტუტში მიწერილი წერილები უკან დაგვიბრუნდა ასეთი წარწერით: „ადრესატი უცნობია“, ხოლო ოფისი პერარდ სტრიტზე ცარიელი აღმოჩნდა. მივწერეთ ესპერანტოს საზოგადოებას და ენის სწავლების სხვადასხვა ორგანიზაციებს, მაგრამ პროფესორ ალისტერ ს. ლითზე ან მის ძილში სწავლების მეთოდზე თურმე არავინ არაფერი უწყოდა.

პირველად ცოტა არ იყოს შეშფოთებული ვიყავით ჩვენი თავგადასავლით. მაგრამ საბოლოოდ არც ერთ ჩვენთაგანს ამით არაფერი დაშავებია. კენის მამამ შეამოწმა ფირი უახლეს ელექტრონულ აპარატურაზე. თუმცა უცნობი ხერხით ჩაწერილი, ის სავსებით უვნებელი აღმოჩნდა. მისტერია მაინც რჩებოდა — თითქოს ვიღაც შერეკილი გენიოსი ზრუნავდა, რომ ესპერანტო ყველას ესწავლა. მაგრამ რატომ გაუჩინარდა? განა ცუდი მომავალი ელოდა? გვინდოდა პროფესორ ალისტერ ს. ლითთან შეხვედრა. ვგრძნობდით, ჩვენი დიდება მისი დამსახურება იყო. ყოველ შემთხვევაში ჩვევად გვექცა გაზეთებში პატარა განცხადებების დიდი გულდასმით კითხვა — იქნებ როდესმე ისევ გამოჩენილიყო, ამასობაში კი ჩვენი ახალი ჰანგი სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენს და ჩვენი პირველი ხანგრძლივი დასაკრავი ფირფიტა დეკემბერში გამოვიდა და მეორესაც სულ მალე იხილავთ.

ალექსეი კოლცოვი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

მწარე ხვედრი

ჰყავდა ჩემი ბავშვობა
საბულბულო გალობას,
სიხარული გამშორდა,
ბედმა რომ მიწყალობა.

ოქროს ხანა გაფრინდა,
დღეებს ვათრევ, ვაგორებ,
თვალს ბინდი მოეძალა,
დამეშრიტა ძალ-ღონე.

ჩემი წუთისოფელი
უკვე წარსულს მიბარდა
და მას აღარ ვუყვარვარ,
ვინც მე გულით მიყვარდა.

სიჭაბუკე ქარს გაჰყვა,
განძივით რომ მებარა,
ჭირხლი შემომეპარა,
მზეს ნისლი გადეფარა.

ყველა განცდა დაძველდა,
ვით ძვირფასი სამოსი,
ირგვლივ უფრო მოძალდა
ფერები საღამოსი...

დავალ უსიყვარულოდ,
ვიშავდღევე, ვიწვალე,
ვერსად ვერ გავექეცი
ამ საწუთროს სიმწარეს.

სერზე მუხა ხარობდა,
ვით დევკაცი გრძნეული,
ახლა დაბლა გართხმულა
ტოტებჩამომსხვრეული.

ბერიკაცის სიმღერა

შევკაზმავ ჩემს ცხენს ლამაზად,
რომ სივრცეს ლაღად სერავდეს,
იორღაა და ჯომარდი,
აჯობებს ფრთამალ შევარდენს.

გადაიქროლებს ტრამალებს,
ზღვის გაღმაც გაინავარდებს
და დავიბრუნებ ყრმობის წლებს,
სიბერეს ჯანი გავარდეს!

რა თავში ვიხლი ჭალარას,
გადავიქცევი ჭაბუკად;
ქალწულთა მწველი თვალები
კვლავინდებურად დამბუგავს.

მაგრამ იმ დღეებს გაფრენილს,
სად თქმულა, ვინმემ გაასწროს,
ვაი, რომ დასავლეთიდან
მზე არ ამოვა არასდროს.

წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი ფანჯიკიძე

ნიკო ყიასაშვილის „ულისე" ქართული თარგმანის ისტორიის კონტექსტში

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თარგმანის ისტორიაში ამჯერად არ ვგულისხმობთ ძველ საუკუნეებს, ლაპარაკი გვექნება მე-19-20 საუკუნეებზე, რადგან მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთ მოვლენაზე, როგორიც ჯეიმზ ჯოისის „ულისეს" თარგმანია. თვით ეს ფაქტი მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებს განეკუთვნება. „ულისეს" პირველი ეპიზოდი 1976 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „საუნჯეში", შემდეგ მისი პირველი ნაწილი წლების მანძილზე ამავე ჟურნალში იბეჭდებოდა, წიგნად გამოიცა 1983 წელს და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ნელი საყვარელიძის სახით მყისვე გამოუჩნდა კვალიფიციური შემფასებელი, რაც იშვიათი მოვლენაა ქართული თარგმანის ისტორიაში.

ცხადია, „ულისეს" გამოქვეყნების თარიღის მოხსენიება აუცილებელია, მაგრამ იგი ჩვენ სხვა კუთხითაც გვაინტერესებს, კერძოდ, საინტერესოა, რა მნიშვნელოვანი თარგმანები უძღოდა მას წინ. რა სიახლე მოიტანა „ულისეს" თარგმანმა ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში და რა ადგილს დაიჭერს იგი ქართული თარგმანის ისტორიაში.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოკლე ექსკურსი დაგვჭირდება, ოღონდ, როგორც აღინიშნა, იგი მე-19-20 საუკუნეებს მოიცავს, რადგან ამ პერიოდს განეკუთვნება ივ. მაჩაბლის შემოქმედება, ანუ პირველი ნიშანსვეტი ქართული თარგმანის ისტორიაში. ამ დროს უკვე თარგმნილია დასავლეთევროპული ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში, კერძოდ, სერვანტესის „დონ-კიხოტი", ჰიუგოს „საბრალონი", ვაზოვის „დამონებულნი", მოპასანის ნოველები, ბოკაჩოს „დეკამერონი", სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილით" და სხვა, მაგრამ ჯერ ერთი, მათი უმრავლესობა ორიგინალიდან არ იყო თარგმნილი, მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ ივ. მაჩაბლამდე ჩვენ არ გვყოლია მთარგმნელი, რომელიც თავის მიზანდასახული და პროდუქტიული მოღვაწეობით მთელ ეპოქას ქმნიდა ქართულ ლიტერატურაში. ამჯერად ივ. მაჩაბლის შემოქმედებაზე ვრცელ საუბარს არ ვაპირებთ, მისი შემოქმედება მხოლოდ განსაკუთრებულ ასპექტში, კერძოდ, სტილის ასპექტში გვაინტერესებს. ამ მიზნით ცოტა უკან დავიხიოთ და გავიაზროთ, რა ფუნდამენტს ემყარება მაჩაბლის შემოქმედება, რადგან, ცხადია, იგი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენდებოდა.

ჩემი თეზისი, გნებავთ ჰიპოთეზა, ასეთია: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, ანუ „ვეფხისტყაოსანში". მას შემდეგ ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა ხუთსაუკუნოვანი ვაკუუმი, რამაც უცვლელად შემოინახა ეს ენა და ენის განვითარება მის ბაზაზე ერთბაშად დაიწყო მე-17-18 საუკუნეებში, მე-19 საუკუნეში მან მხოლოდ ახალი ეპოქისმიერი ცვლილებები განიცადა, რაც ძირითადად ლექსიკის სფეროს შეეხო, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი, შეიძლება ითქვას, ივ. მაჩაბელმა დაასრულა ახალი ქართული სალიტე-

რატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი. შემთხვევითი სულაც არაა, რომ ეს ფაქტი თარგმანის სფეროში ხდება, რადგან, თუ ერთ ცნობილ თეორეტიკოსს დავესესხებით, თარგმანი არის „გიგანტური“ ბუნებრივი ლინგვისტური ექსპერიმენტი“. ჭეშმარიტი მთარგმნელის წინაშე ძევს მთელი ენობრივი საგანძური, იგი მიმართავს მის ყველა შრეს, ამდიდრებს მას ახალი, უცხო ცნებებით, რასაც საბოლოოდ ეპოქის შესაფერი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ეს ენა კი თავის მხრივ საფუძვლად ედება სხვადასხვა სტილისტურ სისტემას, რომლის ყალიბშიც თავსდება რომელიმე უცხო ლიტერატურის ნიმუში. ასეთი სტილისტური სისტემა შექმნა ივ. მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიებისათვის (ცნობილია, რომ მას არ უთარგმნია შექსპირის არცერთი კომედია): ზომიერად შეაწეული და სიტყვაუხვი, გამდიდრებული აპლიკაციებით, ანუ ქართული ლიტერატურიდან ამოკრებილი შედარებებით, ეპითეტებით, მზამზარეული ფრაზებით, პოეტური სახეებითა და რიტმებით, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა ბარათაშვილისა და ბესიკის პოეზიის გავლენა. საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი სტრიქონები: „ყოფნა არყოფნა, საკითხავი აი ეს არის“. (შდრ. „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი“). ამდაგვარი შენაკადების მიუხედავად, ივ. მაჩაბელმა შექმნა თავისი შექსპირი, რომელსაც ჰქონდა დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება, ათეული წლების მანძილზე ითვლებოდა თარგმანის ეტალონად და ასევე ესადაგებოდა ქართულ თეატრალურ სტილისტიკასაც. პარადოქსია, რომ ჯერაც არ დაწერილა სერიოზული შეპირისპირებითი გამოკვლევა, სადაც დადგინდებოდა, რამდენად ზუსტად შეესაბამება მაჩაბლის მიერ შემუშავებული სტილისტური სისტემა შექსპირის სტილისტიკას, მაგრამ ფაქტია, რომ **ქართველი მკითხველისათვის დღემდე შექსპირი არის ის, რაც შემოგვთავაზა ივ. მაჩაბელმა,** მიუხედავად იმისა, რომ შექსპირის სულ სხვა სტილისტიკით ამეტყველების ცდებიც მოგვეპოვება.

მაჩაბლის შემდეგ ერთიანი სტილისტური სისტემის შექმნის ცდას [illegible] გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში [illegible] ზოგადფრანგული ნატიფი სტილი, რომელიც მცირე ვარიაციებს განიცდის სხვადასხვა ფრანგი ავტორების თარგმნისას, ხოლო როგორც სტილისტური ფენომენი, მძლავრ ზეგავლენას ახდენს ფრანგული ლიტერატურის სხვა მთარგმნელებზე. ეს სტილისტური ფენომენი დიდხანს ერთპიროვნულადაა გაბატონებული და მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში, ცალკეული მთარგმნელების შემოქმედებაში ირღვევა.

50-იან წლებში მოწმენი ვხდებით, როგორ იჭრება ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში სრულიად ახალი სტილისტიკა, უფრო სწორად, შემოდის ჰემინგუეის პროზა, რომელიც ვერასგზით ვერ თავსდება ქართული კლასიკური პროზის სტილისტიკაში და მთარგმნელებისაგან სრულიად ახალი გზების ძიებას მოითხოვს. უნდა ითქვას, რომ მეტნაკლები წარმატებით ეს გზები მაინც გაიკვალა და ჰემინგუეის სტილმა მიმბაძველებიც კი გაიჩინა ქართულ ორიგინალურ პროზაში.

60-იან წლებში იწყება კიდევ ერთი სტილისტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საფუძვლად უდევს ბაჩანა ბრეგვაძის შემოქმედების იმ დიდ ნაწილს, რომელსაც პირობითად შეიძლება ფილოსოფიურ-ბიოგრაფიული პროზა ვუწოდოთ, და იგი დარბაისლური ინტონაციით, ზომიერი არქაიზაციით, ლოგიკურობითა და აზრის სიცხადით ხასიათდება.

აქვე უნდა დავასახელოთ დედნის სტილის რეპროდუქციის ან რომელიმე დიდი მწერლის შექმნის ცალკეული წარმატებული ცდები: ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“ (ჯორჯანელები), სადაც კარგად მიგნებული სტილისტური ადეკვატის სრულყოფილებას ხელი შეუშალა კ. გამსახურდიას ინტონაციებმა, სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ (ვ. ჭელიძე), როგორც

ახალგაზრდული ჟარგონის სელექციისა და მისი მხატვრულ სიმაღლეზე აყვანის ცდა, ფრანსუა ვიიონის მცირე და დიდი ანდერძი (დ. წერედიანი), შანდორ პეტეფის პოეზია (გრ. აბაშიძე), კენტერბერული მოთხრობები (გ. ნიშნიანიძე), ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“ (ნ. გოგოლაშვილი), მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ (ე. ახვლედიანი), რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ (გ. გოგიაშვილი), გილგამეშის ეპოსი (ზ. კიკნაძე), გიტანჯალი (თ. ჩხენკელი), უპანიშადები (ლ. ალიმონაკი), რილკე (ვ. კოტეტიშვილი), შუა საუკუნეების ებრაული პოეზია (ჯ. აჯიაშვილი), როგორც უნიფიცირებული სტილისტური სისტემის შექმნის ცდა, ჩემი თომას მანი, სადაც შევეცადე ერთი სტილისტური სისტემის წიაღში მიკროსტილისტური სისტემები შემექმნა კლასიკური რომანის („ბუდენბროკები“), ინტელექტუალური რომანისა („ჯადოსნური მთა“) და ავანტურისტული რომანის („ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“) სტილის გადმოსაცემად.

ზემოთქმულის შესაჯამებლად ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგი: ყველა დასახელებულ თარგმანს საფუძვლად უდევს გამართული ქართული ენა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არცერთი მათგანი არ ადგას თვალისახვევის გზას, როცა ქართული ენის დამახინჯების ფაქტები დედნის სტილის ადეკვატად საღდება ხოლმე. აქვე მოვიშველიებ ჩემს ერთერთ ძირითად დებულებას: გამართული ქართული ენა არის ის საფუძველი, რომელიც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად აქცევს და მხოლოდ ამ საფუძვლის არსებობის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ, მოხერხდა თუ არა თარგმანში დედნის სტილის რეპროდუქცირება.

ასეთივე ამოცანა იდგა ნ. ყიასაშვილის წინაშე, როცა მან ხელი მოჰკიდა „ულისეს“ თარგმანს, რადგან ეს ნაწარმოები სხვა დიდ სიძნელეებთან ერთად, წმინდა ენობრივი პრობლემების გადაჭრასაც მოითხოვდა. უმთავრესი სირთულე კი, ცხადია, იყო სათარგმნი მასალის უნიკალურობა, თუ გნებავთ მისი უთარგმნელობის, უფრო მეტიც, მისი გაგების შეუძლებლობის მითი. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ალბათ არ მოიძებნება მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელიც, ერთი მხრივ, რჩეულთა მეტად ვიწრო წრისთვისაა განკუთვნილი, მეორე მხრივ კი არსებობს აზრი, რომ იგი საერთოდ არ არის მაღალმხატვრული ნაწარმოები. მოვიყვან ერთ ციტატას „ულისეს“ წინასიტყვაობიდან, რომელიც, ნ. ყიასაშვილის თქმით, ანონიმურ რეცენზენტს ეკუთვნის:

„და მაინც რას წარმოადგენს ეს წიგნი, რომელმაც ასეთი დავიდარაბა გამოიწვია? ჩვენ წავიკითხეთ იგი და ვაცხადებთ, რომ, ჩვენის აზრით, მისი წაკითხვა შეუძლებელია — არა იმდენად მისი შინაარსის გამო, რამდენადაც იმ მიზეზით, რომ იგი ისერიგად მომაკვდინებლად მოსაწყენია — კაცის გონება ვერ გააღწევს მისი ბარბაროსული სტილის ლაბირინთებს და უზომო რაოდენობის გვერდებს. მხოლოდ სამართლიანობა მოითხოვს, რომ წიგნი წავიკითხოთ, ვიდრე მსჯავრს გამოვიტანდეთ... მასში არ არის ამბავი, სიუჟეტი, თხრობა; არ არის კონფლიქტი თუ მოტივირება. სახეები ზოგჯერ გამოჩნდება, რათა კვლავ მიიკარგოს სიტყვების ზღვაში“.

აქ მართლაც ბევრი რამ იკარგება სიტყვების ზღვაში და მათ შორის ე. წ. ცნობიერების ნაკადიც, რადგან მეტწილად ძნელდება მისი აღქმა და ნაწარმოების საერთო ქსოვილიდან მისი გამორჩევა, ანუ მისი ფარგლების დადგენა, რადგან ფორმალურად არაფერი არ მიგვანიშნებს მის თავსა და ბოლოზე. ამ ლიტერატურულ ხერხში გარკვევა ჯერ მთარგმნელისაგან, შემდეგ კი მკითხველისაგან უნივერსალურ განათლებას მოითხოვს. ეს განათლება, ცხადია, არ აკლდა თვით ნიკო ყიასაშვილს, მაგრამ იგი თითქოს ბოლომდე დარწმუნებული არ არის, რომ თვით ყველაზე კვალიფიკაციურ მკითხველს საკმარისად აღმოაჩნდება სათანადო ერუდიცია და ამი-

ტომ ლამის ყოველ წინადადებას ურთავს კომენტარს. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ეს „საუნჯის" ნომრებში, სადაც თითოეული გვერდის ლამის სამი მეოთხედი სქოლიოს ეკავა. ეს გარემოება შეიძლება მართლა ეხმარებოდა მკითხველს ტექსტის გაგებაში, მაგრამ უეჭველად აფერხებდა ნაწარმოების ესთეტიკურ აღქმას. ამ მხრივ ნამდვილად მოიგო წიგნად გამოცემულმა თარგმანმა, სადაც კომენტარები ბოლოშია გადატანილი. ნიკო ყიასაშვილის ეს შიში და მკითხველზე არაჩვეულებრივი ზრუნვა გამოსჭვივის წიგნის წინასიტყვაობაში, საიდანაც რამდენიმე მომენტს გამოვყოფდი:

1. „ულისეს" გაგებისათვის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ იგი ჰომეროსის „ოდისეას" სქემითაა აგებული და ისიც, რომ სახელი ულისეც ოდისევსის ინგლისური ვარიანტია. აქედან გამომდინარეობს რჩევა, რომ „ულისეს" მკითხველს „ოდისეას" პროზაული თარგმანი მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, რათა მიხვდეს, რომ „ულისე" „ოდისეას" გადამუშავების ცდას კი არა, მის პაროდიას წარმოადგენს.

2. ნ. ყიასაშვილი მკითხველს თავიდანვე აცნობებს, რომ ჯოისის გამოჩენა ლიტერატურაში ფაქტიურად ახალი სამწერლო ენის შემოტანას ნიშნავდა და გზადაგზა არჩევს იმ აზრს, რომ თარგმანშიც უნდა მოველოდეთ თამამ ენობრივ ექსპერიმენტებს, რადგან უამისოდ „ულისე" ჩადგებოდა იმ თარგმანების მწკრივში, სადაც თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არ ჩანს მთავარი — მხატვრული ღირებულება.

3. მთარგმნელმა თვითონ ზედმიწევნით კარგად იცის და, აქედან გამომდინარე, მკითხველსაც ნათლად უხსნის, რა არის ცნობიერების ნაკადი და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, სადაც გაანალიზებულია „ულისეში" მათი ჩართვის მიზანი. წყარო და ავტორისეული ინტერპრეტაცია.

4. ცნობილია, რომ თარგმანისას ყველაზე ძნელი დასამორჩილებელი პრაგმატული და შიდაენობრივი მნიშვნელობებია, ცხადია, მაშინ, როცა მათ საგანგებო სტილისტური ან აზრობრივი დატვირთვა გააჩნიათ.

მაგალითად, ნ. ყიასაშვილი წინასიტყვაობაში საკმაო ადგილს უთმობს რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ბლუმის სახელის გაშიფვრა-გააზრებას, რადგანაც მას სიმბოლური დატვირთვა აქვს, თარგმანის მკითხველს კი არაფერს ეუბნება. მოვიყვანთ ციტატის ერთ ნაწილს. „მეხუთე ეპიზოდის უკანასკნელი სიტყვაა „ყვავილი", მასში თავს იყრის ჯოისისეული „ლოტოფაგების" (ამ ეპიზოდის პირობითი ჰომეროსისეული სათაური) ყველა მინიშნება თუ სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ლეოპოლდ ბლუმის „სინონიმია" („ბლუმ" ინგლისურად ყვავილს ნიშნავს, ლეოპოლდის მამა-პაპათა გვარი უნგრეთში ყვავილს ნიშნავდა. მისი ფსევდონიმიც „ფლაუერ" — ყვავილია). ამავე დროს, ამ ეპიზოდის ანალოგიაც ჰომეროსთან სწორედ „ყვავილის" (მცენარის) მეშვეობით ხორციელდება (ბლუმი — ფლაუერი — ყვავილი — ლოტოსი). ჰომეროსისეული „ლოტოსის ეფექტი" (დავიწყება, ნებისყოფის მოდუნება) ერთის მხრივ თხრობის „მეთოდით" ან „ტექნიკით" მიიღწევა, რომელსაც ჯოისმა ნარცისიზმი უწოდა, ხოლო მეორეს მხრივ რამდენიმე ძირითადი სიმბოლოსა თუ განზოგადებული დეტალის გამოკვეთით". მისივე დასკვნით, „ყვავილის სიმბოლიკის გრძელი რიგი იმით მთავრდება, რომ იგი, როგორც სხეულის ნაწილის გამომხატველი მეტაფორა, ბლუმისა და მასთან ერთად მთელი დუბლინის, მთელი ირლანდიის (კაცობრიობის) ფიზიკურ და სულიერ იმპოტენციას მიანიშნებს".

* * *

სანამ ენობრივი ექსპერიმენტის რამდენიმე მაგალითს შემოგთავაზებდეთ, ერთხელ კიდევ ვიტყვი, რომ ნიკო ყიასაშვილი-

ლის თარგმანის საფუძველი არის გამართული ქართული ენა და ამიტომ ჯოისისეული ოკაზიური წარმონაქმნების ადეკვატები ქართული ენის შელახვად იშვიათად აღიქმება. სხვა საქმეა, რომ შეიძლება ყველა ამგვარი მცდელობა არ იყოს ოსტატობით აღბეჭდილი, ზოგი შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს ან ჩაფიქრებულისგან განსხვავებულ ასოციაციას აღძრავდეს, მაგალითად, ამ ფრაზაში: „თეთრად ჩაწიკწიკებულ კბილებში აქა-იქ ოქრო უელავდა. ოქროპირი". „ოქროპირი" ქართულში მჭევრმეტყველის სინონიმია და არა ოქროს კბილებიანი პირისა, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია, ჯოისის სიტყვათქმნადობის ნიმუშების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ტექსტში იოლი წესაცნობია და სავსებით გასაგებიც. მაგ. „ტალღაქათქათა შეუღლებული სიტყვების კიაფი დაბინდულ ზღვაზე", „მუშკამბარსურნელოვანი", „მგლის ლაშებიდან გადმოკიდებული ენის ჩვარი"; „აბრეშუმცვრიანი საქონელი", „ფარშევანგციმციმა წამწამები", „დანაცრულსუნთქვიანი ქალის მოჩვენება" და სხვა. გასაგებია ჯოისისეული უჩვეულო წარმოსახვანი: მაგ: „თაკარა მზე უხუნებდა უხეიროდ შეღებილი თმების თაფლს"; „სტივენს, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარი სულის ტკივილისაგან თრთოდა, მოესმა თბილი დაფრქვეული მზის მუქი"; „გახამებულ საყელოსა და ჯიუტ პალსტუხს იკეთებდა" და სხვა.

ნ. ყიასაშვილი ასევე ზედმიწევნით იცავს ჯოისისეულ პუნქტუაციას, რომელიც არ ცნობს პერსონაჟის სიტყვებისა და რემარკის გამოყოფას, არ გაურბის უზმნო სინტაგმების სიუხვეს და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება ერთი პასაჟი, რითაც დავასრულებთ კიდეც ჯოისის სტილის ცალკეულ ელემენტებზე საუბარს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი მოსაზრებები დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზიდან არ გამომდინარეობს. ისინი ჯოისის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, თვით მთარგმნელის ახსნა-განმარტებებს და ე. წ. კვალიფიციური მკითხველის ინტუიციას ეყრდნობა, რომელსაც ისე წარმოუდგენია ჯოისის სტილი, როგორც ქვემოთ მოყვანილ ერთ პატარა ნაწყვეტში ხედავს:

„ყველა იცდიდა. არაფერი ითქვა. გვირგვინებს თუ ალაგებენ. რაღაცა მაგარზე ვზივარ. აჰ, საპონი უკანა ჯიბეში. ჯობია სხვაგან გადავიტანო. შესაფერ დროს მოვუცდი.

ყველა იცდიდა. მერე ბორბლების ხმა გაისმა წინ, შემდეგ უფრო ახლოს, მერე ცხენის ფლოქვების ხმა. შენჯღრევა. მალე ეტლი დაიძრა ჭრიალით და ქანაობით. უკან დანარჩენი ფლოქვები და ჭრიალა ბორბლები ამოძრავდნენ. ჩაიარეს ავენიუს დარაბებმა და მეცხრე ნომერმა, ზავენაჭერშემოკრული დასაკაკუნებლით, ღიად დაგდებული კარით. ნელა.

წყნარად იცდიდნენ, მუხლებს ერთმანეთს ახლიდნენ, ვიდრე ხაზზე გადაუხვევდნენ. ტრიტონვილ როუდ. უფრო ჩქარა. ბორბლები ქვაფენილს მისდევდნენ რახრახით და ჩარჩოში მუშები ზანზარებდნენ".

* * *

დავუბრუნდეთ დასაწყისში დასმულ კითხვებს: რა სიახლე მოიტანა „ულისეს" თარგმანმა და რა ადგილს დაიჭერს იგი ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში. ამ კითხვებს მოკლედ შეიძლება გაეცეს პასუხი: ნიკო ყიასაშვილმა შექმნა ახალი სტილისტური სისტემა, ფაქტიურად მან გაკაფა გზა ჯოისის თარგმნის სფეროში და ჯოისის მომავალ მთარგმნელებს დაუტოვა ზუსტად მიგნებული ორიენტირები. მისმა „ულისემ" ქართული თარგმანის ისტორიაში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დედნის სტილის გადმოტანა არათუ აუცილებელი, არამედ შესაძლებელიც არის და არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში ნაწარმოები, რომლის ადეკვატის შექმნა ქართული ენის ბაზაზე არ შეიძლებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ ჯონსონი

თარგმნა ნანა ახობაძემ

გავხადოთ კაპიტალიზმი მორალური

შეიძლება თუ არა კაპიტალიზმის სიძლიერე მისი დინამიზმის დაუზიანებლად ჩავაყენოთ ზნეობრივი იდეალების სამსახურში? ამ კითხვას ინგლისელი ისტორიკოსი პოლ ჯონსონი უწოდებს „რეალურ, პრაქტიკულ საკითხს, რომელიც დღეს დამდგარა კაცობრიობის წინაშე". წინამდებარე სტატიაში იგი გვიხსნის, როგორ უნდა ემსახუროს თანამედროვეობის ზნეობრივი პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტას თავისუფალი სამეწარმეო სისტემა.

ჩვენი საუკუნის 60-იანი წლები კაცობრიობის ცხოვრების იდეოლოგიურ წყალგამყოფს წარმოადგენს. მსოფლიომ ისინი საბაზრო კაპიტალისტური სისტემის სიმძლავრის, სიუხვის შეუნელებელი ზრდისა და სოციალისტურ-ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური საშუალებებისადმი რწმენის დაკარგვის წლებად გამოაცხადა. ათეული წლების ძიებათა და წარუმატებლობათა კულმინაციად იქცა კოლექტივიზმისადმი ნდობის გაქრობა.

მთელი XX საუკუნის მანძილზე მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ კოლექტივისტური ალტერნატივა ხანგრძლივ და დამქანცველ ცამოცდას დაუქვემდებარა და უზარმაზარი ზარალიც ნახა. ექსპერიმენტი ყველა ქვეყანაში სრული კრახით დასრულდა. სწორედ 80-იან წლებში, როგორც იქნა, გააცნობიერეს ეს ჭეშმარიტება სოციალისტურ სახელმწიფოთა მთავრობების იმ მეთაურებმა, რომლებიც ადრე თავგამოდებით დაუპირისპირდნენ მას, დღეს კი თავადვე მიაშურეს მანამდე უარყოფილ საბაზრო მექანიზმებს.

თანდათანობით, მაგრამ შეუქცევლად

ამასობაში კაპიტალისტური მსოფლიო დიდი სისწრაფით მიიწევს წინ და ქმნის არნახული მასშტაბის მატერიალურ დოვლათს. ეტყობა, კაპიტალიზმი როგორც სტიქიური ძალა და არა როგორც იმთავითვე ჩამოყალიბებული იდეოლოგია, გამუდმებით განიცდის სახეცვლილებას და ჩვენ არ ძალგვიძს განვჭვრიტოთ, რა გზას დაადგება მისი ევოლუცია XXI საუკუნეში. მაგრამ გავბედავ და **ვიწინასწარმეტყველებ**, რომ ჩვენი საუკუნის მწარე გამოცდილებით გათვითცნობიერებული კაცობრიობა ამიერიდან ეჭვს აღარ შეიტანს კაპიტალიზმის შემოქმედებით ძალმოსილებაში და სერიოზულად აღარასოდეს შეეცდება მის შეცვლას მისგან საფუძველშივე განსხვავებული რომელიმე სისტემით.

ჩვენ უკვე ვუახლოვდებით[1] ისტორიული ეპოქის დასასრულს, რომლის მსვლელობაშიც კაპიტალიზმმა დაამარცხა კოლექტივიზმი და ეკონომიკური აქტიურობის განვითარების ძირითად პრინციპად დაემკვიდრა მთელს მსოფლიოში.

მაგრამ საკითხავია, სად მიგვიყვანა ყოველივე ამან? — სერიოზულ ზნეობრივ პრობლემასთან, რასაც მოკლედ ასე გამოვხატავ: როგორ მივანიჭოთ ზნეობრივი შინაარსი კაპიტალიზმის ტრიუმფით სვლას? ჩემთვის ერთი რამ ცხადზე ცხადია, — მა-

---

1 სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „ამერიკის" 1991 წლის აპრილის ნომერში.

ტერიალურ ფასეულობათა შექმნა, მართალია, კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა განსაკუთრებით იმ სამყაროში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა გამალებით მატულობს, მაგრამ მხოლოდ ამას არ ძალუძს ბედნიერება მოუტანოს კაცობრიობას, რამეთუ ადამიანი მარტო მიწიერი კი არა, სულიერი არსებაცაა და დაკმაყოფილებულად ვერ იგრძნობს თავს, თუკი ზნეობრივ მიზანს არ მოემსახურება თუნდაც პირობითად და არასრულყოფილად. სწორედ ამ თვალსაზრისით კაპიტალიზმი — სისტემა გახლავთ.

იშვიათი მიზანსწრაფულობა

არ უნდა ითქვას, თითქოს კაპიტალიზმი ამორალურია. როცა ამის დასაბუთებას ცდილობენ მღვდელმსახურები და ქადაგებისას ამათრახებენ კაპიტალიზმს, სრულ გაუგებრობაში ექცევიან თავიანთ წინამორბედთა მსგავსად, რომელნიც ასი წლის წინათ ამტკიცებდნენ, სოციალიზმის ყველა ფორმა ამორალურიაო. უეჭველია შეიძლება იყო კარგი ქრისტიანი და იყო კაპიტალისტი ისევე, როგორც შეიძლება იყო კარგი ქრისტიანი და იყო კოლექტივისტი. მაგრამ ზოგადად კაპიტალიზმის არსი მორალურ ნეიტრალურობაში, ზნეობრივი არჩევანისადმი გულგრილობაში გამოიხატება. კაპიტალიზმი, ისევე როგორც საბაზრო სისტემა, რომელიც მისი სიძლიერისა და ეფექტურობის საფუძველია, ასახავს მხოლოდ ერთადერთ მიზანს, ამიტომაა იგი ძლიერი მწარმოებლური სისტემა. კაპიტალიზმი ბრმა არის ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორიცაა კლასობრივი და რასობრივი წარმომავლობა, კანის ფერი, რელიგია, სქესი, ეროვნება, სიკეთისა და ბოროტების ცნებები. და რაკი უსწრაფესად და შეუმცდარად რეაგირებს ყოველგვარ საბაზრო სტიმულებზე, ამით განამტკიცებს აზრს თავისი მატერიალურობის, გულგრილობისა და ადამიანურ გრძნობათა სიმწირის თაობაზე.

შეიძლება კაპიტალიზმი შევადაროთ უზარმაზარ ბუნებრივ კომპიუტერს, რომელიც ვერ აღდენს განსხვავებას იმისა, რაც მის პროგრამაში არ არის ჩადებული, კაპიტალიზმი არ ფლობს [illegible] შესაძლებლობა ფლობდეს სულს და ამ[illegible]ის რაიმე ზნეობრივ მისწრაფებებს.

მორალური გულგრილობისა და ეფექტიანობის გამო, რომელსაც უდიდესი მატერიალური სიკეთეც მოაქვს და დიდი ტანჯვაც, ჯერ კიდევ XIX საუკუნის გარიჟრაჟზე დაინახა კაპიტალიზმის ბუნებაში ბევრმა იდეალისტმა ბოროტების სათავე; ზურგი შეაქცია მას და შემცვლელის ძიება დაიწყო.

ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, როცა ასეთმა არგუმენტაციამ აბსოლუტურად დაკარგა ფასი. ჩვენ უკვე ვირწმუნეთ, რომ კაპიტალიზმის ეფექტური შემცვლელი არ არსებობს, რომ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია გარდა ერთისა — მივიღოთ, ვცნოთ იგი მატერიალური კეთილდღეობის წარმოების მთავარ საშუალებად და მისი სისტემის ფარგლებში ზნეობრივ ფასეულობათა შექმნის პროცესი გავაჩაღოთ.

ვამბობთ, „გავაჩაღოთ"-თქო, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით ჩვენ უკვე ორასი წელია ვადგავართ ამ გზას. საფაბრიკო კანონები, კანონები შახტებზე, მონოპოლიებზე და ვაჭრობაზე — ერთი სიტყვით, მთელი ამ რიგის უამრავი საკანონმდებლო აქტები სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ გასაქანი არ მიეცეს ადამიანის გაუმაძღრობას, რომელიც საბაზრო სისტემის დამახინჯებას ესწრაფვის.

მაგრამ ეს კაპიტალიზმის ექსცესების კორექტირების ამაო ცდებია, დამოუკიდებლად ისინი კაპიტალიზმს ვერ ანიჭებენ პოზიტიურ ზნეობრივ მიზანს — ასეთი მიზნის მიღწევა გაცილებით უფრო ძნელი ამოცანა გახლავთ, რამეთუ კაპიტალიზმისათვის ზნეობრივი მიზანსწრაფულობის მინიჭების ნებისმიერი მცდელობა დანგრევით ემუქრება, ფუნდამენტურ საბაზრო მექანიზმს, რომლის შესაძლებლობათა საფუძვლებში მატე-

რიალურ ფასეულობათა შექმნა მოიაზრება.

მაგალითად, მატერიალურ თანასწორობის მიღწევის იარაღად კაპიტალიზმის გამოყენების ყოველი მცდელობა ხელახალი გადანაწილებისა და გადასახადების მკვეთრად მომატებით გაზრდილი შემოსავლების კვალობაზე ავიწროებს კაპიტალიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალის — მსყიდველობითი იმპულსის ანაზღაურების გზებს და ასეთი მცდელობის დაგვირგვინებად იქცევა საყოველთაო გაღარიბება უმოკლეს დროში.

იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტის პრეროგატივისა და პროფკავშირული ლგოტების დაბალანსების გზით შევეცდებით ხელისუფლების გადანაწილებას კაპიტალიზმის სისტემაში, შედეგად ვღებულობთ ან სამეწარმეო სულისკვეთების ჩახშობას ან მოგების, — როგორც სისტემის არსის — გაქრობას, წესისამებრ ხდება ერთიც და მეორეც და თანაც ზემოთნახსენები შედეგით — საყოველთაო გაღარიბებით.

ასეთია იმ მცდელობათა ფასი, რომელნიც კაპიტალიზმს აიძულებენ თანასწორობის უზრუნველყოფას, რაც მისთვის სრულიად არაა დამახასიათებელი. აი, რის ფასად გვიჯდება ეროვნული სიმდიდრისა და შემოსავლების შემცირება: ცხოვრების საერთო დონის დაცემა, ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის დადაბლება, სატრანსპორტო სისტემის მოშლა, სოცუზრუნველყოფის სამსახურებისა და სკოლების გაღარიბება. სხვადასხვა ხარისხის ასეთსავე შედეგებთან მიჰყავდათ კაპიტალიზმი იძულებითი პოზიტიური ზნეობრივი ფუნქციების მომარჯვების მსოფლიოში მიმდინარე ყოველგვარ ცდებს.

ჩვენ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ჯან-ღონით სავსე საბაზრო სისტემა სწრაფად დაძაბუნდება და კომის მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუკი ხელს არ შეუშლიან და, პირიქით, აიძულებენ იმოქმედოს საკუთარი ბუნების წინაამდეგ. რაც უფრო დაჟინებულია კაპიტალიზმის სისტემის მექანიზმში ჩარევის, ზნეობრივი ფუნქციებით მისი დატვირთვის ცდები, მით უფრო სავალალოა შედეგები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამართლიანი საზოგადოება

მაგრამ ჩემი ფიქრით ადვილი შესაძლებელია, კაპიტალიზმი ჩავაბათ საზოგადოებრივი პოლიტიკის საერთო ფერხულში და მის ენერგიას გასაქანი ზნეობრიობისაკენ მივცეთ.

თუ ნებას მომცემთ, გაგაცნობთ ამ იდეის რეალიზაციის ექვს ძირითად დებულებას, პირველი და გარკვეული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი დებულება გახლავთ კაპიტალიზმის მოქცევა მორალურ პრინციპებზე დაფუძნებულ ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოებში. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუკი სამართლიანი საზოგადოების უმთავრეს ამოცანად მივიჩნევთ კანონის წინაშე აბსოლუტური თანასწორობისაკენ რამდენადმე პრაქტიკულ მისწრაფებას, მატერიალურ თანასწორობას, როგორც უტოპიურ ფანტაზიას, და ცხოვრებაში მისი ხორცშესხმის უნაყოფო ცდებს, წესისამებრ, ტირანიასთან მივყავართ. მაგრამ კანონის წინაშე თანასწორობა სავსებით გონივრული ამოცანაა და მისი რეალიზაცია, თუნდაც არასრულყოფილი სახით თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებას ადვილად ხელეწიფება.

თანასწორობის ეს ფორმა ადამიანის უსათუთეს მოთხოვნებს პასუხობს. ჩვენში ბევრი ნამდვილად არ ოცნებობს მატერიალურ თანასწორობაზე და არც სჯერა საერთოდ მისი არსებობისა, მაგრამ სამართლიანი საზოგადოების იდეა მომხიბვლელი კონცეფციისა და ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა, უეჭველია შესაძლებელთა კატეგორიას განეკუთვნება.

თანასწორობა კანონის წინაშე კაპიტალიზმის კონკრეტული ბუნების აუცილებელი დანამატია; საბოლოო შედეგით თანასწორობა ვერ იქნება, მაგრამ სტარტიდან ფინიშამდე წესები ყველაზე თანაბარი ხარისხით უნდა გავრცელდეს.

რას მოვიაზრებთ კანონის წინაშე თანასწორობის ცნებაში? იმას, რომ კანონის თვალში არ უნდა არსებობდეს განსხვავება წარმომავლობისა და კასტის, რასისა და კანის ფერის, სქესისა და ტომის, სიმდიდრისა და სიღარიბის ნიშნით. თემიდას ხელში სასწორი უნდა ეჭიროს, თვალზე კი სახვევი ჰქონდეს აკრული. და რა პარადოქსადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, არც კაპიტალიზმი განასხვავებს ერთმანეთისაგან ადამიანებს. ამიტომაც ნებისმიერი მცდელობა უთანასწორობის დაკანონებისა საბაზრო მექანიზმში უხეშ ჩარევად იქცევა და ამცირებს მის ეფექტიანობას.

კანონის წინაშე თანასწორობა განამტკიცებს კაპიტალიზმის არსობრივ სიძლიერეს და ამ შემთხვევაშიც ზნეობრივი მიზანი და მატერიალური დოვლათის წარმოება ხელიხელჩაკიდებულნი მიაბიჯებენ. კანონის წინაშე არათანასწორობა ღებულობს სხვადასხვანაირ — ზოგჯერ ძლივს შესამჩნევს, ზოგჯერაც გროტესკულ ფორმებს. საყურადღებოა, რომ რომელ საზოგადოებაშიც ღრმადაა ფესვგადგმული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, იქ მჭევრმეტყველი ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა უთანასწორობის საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმად აღიქმება. არ მეგულება ისეთი საზოგადოება, სადაც კანონის წინაშე აბსოლუტური თანასწორობა იყოს განხორციელებული, არც იმას ვამბობ, რომ სადმე იყოს შესაძლებელი ამ იდეალის სრულყოფილი და დაუყოვნებელი რეალიზება. მაგრამ კანონის წინაშე თანასწორობა სწორედ ის ფორმა გახლავთ თანასწორობისა, რომლის განხორციელებაც დამღუპველი გვერდითი მოვლენების გარეშეც მთლიანობაში მიიღწევა და მუდმივი მიახლოება მასთან წარმოადგენს საპატიო მიზანს, რომელიც ესწრაფვის სამართლიანობის ორბიტაში კაპიტალიზმის ჩაყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმისაწვდომი ღარიბთათვის

საზოგადოების მეორე ამოცანა წინამავალს უკავშირდება, თუმცა უფრო ფართო მნიშვნელობისაა. ესაა უნართა თანასწორობის კონცეფცია. ადამიანური ბუნების გასაოცარი თვისება გახლავთ ის, რომ ჩვენ, ყველანი, დამოუკიდებლად მატერიალური და სოციალური მდგომარეობისა, ვფლობთ რაღაც უნარს, რომელიც ესწრაფვის გამოვლინებას. ტალანტების სპექტრი ისე თვალუწვდენელია, რა მრავალფეროვანიცაა თავად ადამიანი და საზოგადოება, რომელიც შეიცნობს ტალანტს ადამიანში და მას თავის სამსახურში ჩააყენებს, იქნება ყველაზე უფრო მწარმოებლური და ამასთანავე ყველაზე სამართლიანი საზოგადოება; ამ შემთხვევაშიც კაპიტალიზმი და სამართლიანობა ერთ მიზანს ისახავენ, რამეთუ კაპიტალიზმი არსობრივად ღირსებათა შესარჩევლია ბაზრის უმთავრესი მიზანი ობიექტურ ღირსებათა გამოვლენა და დაჯილდოება გახლავთ. კაპიტალიზმი მატერიალურ ფასეულობებს ქმნის უსწრაფესად ისე, რომ უნართა თანასწორობას გზად რაიმე სოციალური, ისტორიული და წმინდად იურიდიული დაბრკოლებები არ ეღობება. თანასწორობის ეს ასპექტი კაპიტალიზმის მორალური კანონიერების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, რამეთუ ეკონომიკური სტრუქტურა, რომლის წიაღშიც ნებისმიერ ადამიანს თეორიულად მაინც აქვს შანსი ყველაზე დაბალი საფეხურიდან ავიდეს ყველაზე მაღლა, არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანულად უსამართლო სტრუქტურად.

მე ვთქვი „თეორიულად“-მეთქი. მაგრამ როგორღაა საქმე პრაქტიკულად?

უაზრობაა, უნართა თანასწორობაზე ვილაპარაკოთ და არ გავატაროთ რადიკალური ღონისძიებები საიმისოდ, რათა მაღალხარისხოვანი განათლება ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის, ვისაც მისგან სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მე ვიცი, რომ სინამდვილეში არ არსებობს ისეთი საზოგადოება, სადაც საუკეთესო სკოლები და უნივერსიტეტები ღია იყოს ყველასათვის.

დავიწყოთ იმით, რომ მთელი ისტორიის მანძილზე კაცობრიობა მუდმივად განიცდიდა ნიჭიერი მასწავლებლების ნაკლებობას. საერთოდაც კულტურა და შრომითი ჩვევები, რომლებსაც მშობლები უნერგავენ შვილებს, თავადვე მოისვრიან უნარის თანასწორობას მიუღწეველის, აბსტრაქტული იდეალის სფეროში, მაგრამ ერთია სიძნელეთა აღიარება და სრულიად სხვაა უთანასწორობასთან შეგუება განათლების სფეროში, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს ამა თუ იმ სახით.

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ კაპიტალიზმს სამართლიანობის ფუნდამენტი შევუქმნოთ და მორალურად მისაღები გავხადოთ, არ არსებობს უკეთესი გზა, ვიდრე ყველა დონეზე ყოველგვარი სახის კარგი განათლების კარის გახსნა, ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი ახალგაზრდობისათვის. აქ ისიც ივარაუდება, რომ ნიჭიერება ნებისმიერ სფეროში უნდა გამოვლინდეს ადრეულ ასაკშივე. ესეც ერთ-ერთი დარგია, სადაც ჩვენ სამწუხაროდ ხელმოკლეობას განვიცდით.

ღარიბებისათვის განათლების მიცემა მათი მიდრეკილებებისა და უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, უდავოა, **დიდ ხარჯებს** მოითხოვს. მაგრამ კაპიტალიზმის უდიდესი ღირსება მის მიერ მატერიალურ ფასეულობათა იმგვარი სიუხვით წარმოებაა, რომ ისინი ასეთი აუცილებელი მიზნების დაკმაყოფილებასაც გასწვდება და, რაც უფრო ზევრი ადამიანი მიიღებს კარგ განათლებას, მით უფრო მწარმოებლური გახდება სისტემა.

დახანებას ეს საქმე არ ითმენს, რამეთუ კაპიტალიზმი თავისი განვითარების კვალობაზე ითხოვს უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკებს ყველა დონეზე, თუ განათლება მისაწვდომი არ გახდება ყველასათვის, ვისაც იგი გამოადგება, უთანასწორობა საზოგადოებათა წიაღში და ცალკეულ საზოგადოებათა შორის შემცირების ნაცვლად გაიზრდება და სისტემის ზნეობრივი უპირატესობა მეტად მკვეთრი კრიტიკის ობიექტი გახდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, სამართლიანი საზოგადოებისაკენ მიმავალი გზა განათლებაზე გადის, რაც უფრო ჩქარა გავივლით ამ გზას, მით უკეთესი იქნება.

ყველას წილი

მაგრამ მარტო განათლების ხელმისაწვდომობა არ არის საკმარისი. საჭიროა გაიხსნას დიდი კარი თავად კაპიტალიზმის სისტემასთან მისასვლელად, მე დარწმუნებული ვარ, რომ „დემოკრატიული კაპიტალიზმი" ძალიან რეალური ცნებაა და ჩვენ ხელგვეწიფება მაინც მოვახდინოთ მისი რეალიზება. ამის მისაღწევად ბევრი გზა არსებობს. რამდენიმე მათგანი კარგა ხანია უკვე ცნობილია, ზოგიერთი სულ ახლახან აღმოაჩინეს, ნაწილი კიდევ მომავალშია აღმოსაჩენი.

ნახევარი საუკუნის წინ ან უფრო ადრეც აშკარა გახდა, რომ ამა თუ იმ დარგის განსაზოგადოებრიობა არამც და არამც არ განაპირობებს დემოკრატიზაციასაც. შეიძლება ითქვას — პირიქითაც მოხდება. წარმოების ნაციონალიზაცია მონოლითურ სახელმწიფოებრივ კორპორაციად მისი გარდაქმნის ან ეგრეთწოდებულ „მუშაკთა კონტროლზე" გადაცემის სახით იქამდე მიგვიყვანს, რომ მართვის სადავეებს მტკიცედ დაეუფლება ბიურო-

კრატიული ანდა პროფკავშირული ელიტა, უფრო სწორად, ერთიცა და მეორეც. მაგრამ დღეს უკვე არსებობს იმის პირობები, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი კორპორაციები, რომლებიც მილიონობით წვრილი აქციონერების საკუთრებას უნდა წარმოადგენდნენ.

არ უნდა გვეგონოს, თითქოს ასეთ შემთხვევაში კორპორაციის მართვის სადავეები მასების ხელში გადავა. თუმცა ეს ვარიანტი ნებას გვრთავს ფლობის უფლება ფართოდ გავანაწილოთ და სისტემაში მასობრივი ფინანსური მონაწილეობის ახალი, ჯანსაღი ელემენტი შევიტანოთ. მილიონობით უბრალო, რიგით ადამიანს ასეთი უფლება განუმტკიცებს გრძნობას, რომ ისინი სისტემის მსხვერპლი, ზედმეტი ჭანჭიკები კი არა, ამ სისტემის მონაწილეა და რაღაც დონით საზოგადოების კეთილდღეობასაც ემსახურება. ეს სიამაყის, თავდაჯერებულობისა და თვით უსაფრთხოების გრძნობის მასაზრდოებელია და ამდენად მნიშვნელოვანი მორალური ფაქტორიცაა.

მუშა ძალისათვის აქციების შეძენის ფართო ასპარეზის გახსნით დემოკრატიული კაპიტალიზმი უძველესი, მაგრამ ჯერ კიდევ არარეალური თანამფლობელობის იდეის ხორცშესხმას უკაფავს გზას. ეს გახლავთ ჩემი მესამე დებულება. კაპიტალისტურ საწარმოში ერთობლიობა იმათი ინტერესების, ვინაც ფლობს, ვინაც მართავს და ვინაც მუშაობს, გაცილებით ძლიერია, ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს ძლიერი, ვიდრე ინტერესთა ნებისმიერი კონფლიქტი.

მუშისათვის ამერიკული კომერციული და სამრეწველო ფირმების აქციების შესყიდვის უფლების მიცემა ამ ფუნდამენტური ჭეშმარიტების დემონსტრირების უტყუარი საშუალებაა, რომელსაც ხშირად ახშობს პოლიტიკური დემაგოგია. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ დარგებში, სადაც შრომა მძიმე და საშიშია, მოგება კი მაღალი, კერძოდ მაღაროებსა და ნავთობმომპოვებელ საწარმოებში. დემოკრატიული კაპიტალიზმი, უფრო კი მისიის ასპექტი, რომელიც მშრომელთა მიერ თავისი კომპანიის აქციების ფლობის შესაძლებლობას უკავშირდება, უკუაგდებს მისთვის წაყენებულ უმძიმეს ბრალდებას, თითქოს კაპიტალიზმი არსით ექსპლოატატორული ხასიათისა იყოს.

მაგრამ აქციების შეძენა არ გახლავთ ერთადერთი და ყველაზე საუკეთესო პირობა დემოკრატიული კაპიტალიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაგრამ ყველაზე ჩაუწვდომელი ნაკლი ევრეთწოდებული „შერეული ეკონომიკისა" ის გახლავთ, რომ კორპორატიზმისაკენ გარდაუვალი მისწრაფების დროს იგი ახდენს სამმხრივ შეთანხმებას მთავრობას, პროფკავშირებსა და ძლიერ კაპიტალს შორის. ასეთ შეთანხმებათა შედეგად უსათუოდ გამოირიცხება წვრილი ბიზნესი. საკუთარი საქმის წამოწყების მისწრაფება იმდენადვე საფუძვლიანია, რამდენადაც საკუთარი მიწის დამუშავების სურვილი. ეს ადამიანის თანდაყოლილი შემოქმედებითი საწყისის გამოხატულებაა და ამიტომაც ღრმეს მორალურ იმპულსსაც ატარებს.

გონივრული პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა ადამიანებისათვის საკუთარი ბიზნესის გახსნაში და მათი საქმიანობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა საუკეთესო გზაა უნართა თანასწორობის განხორციელებისათვის, დემოკრატიული კაპიტალიზმის განვითარებისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პროდუქტიულობის ამაღლებასა და სისტემის აღიარებისათვის მთლიანობაში. ეს არის ჩემი მეოთხე დებულება. პრაქტიკულად მუდამ არსებობს ურთიერთკავშირი ახლადწამოწყებული წვრილი ბიზნესის რაოდენობასა და საზოგადოების ეკონომიკურ სიჯანსაღეს შორის, ამიტომაც აქაც ემთხვევა ერთმანეთს სამართლიანობისა და მატერიალურ ფასეულობათა შექმნის ინტერესები.

კაპიტალიზმის მასობრივ ხელმისაწვდომობას ეროვნულ ნიადაგზე გააჩნია საერთაშორისო პარალელი ბაზრის ხელმისაწვდომობის სახით.

ჩემი მეხუთე დებულება გახლავთ ის, რომ თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის ენერგიული სტიმულირება კაპიტალიზმის მორალური გამარჯვების საუკეთესო პირობად ითვლება, ამა თუ იმ სახის პროტექციონიზმი, რომელიც მრეწველობის პრივილიგირებულ დარგებს წარმოშობს, კაპიტალიზმის პროდუქტიულობას უთხრის ძირს და მიუღებელს ხდის მას ზნეობრივი თვალსაზრისით, რამდენადაც მომხმარებელსართმევს საშუალებას სრულად ისარგებლოს ბაზრის ნაწარმით. ერთი შეხედვით, ყოველთვის გვეჩვენება, თითქოს პროტექციონიზმი უპირატესობას ანიჭებს ახალდაბადებულ მცირე და სუსტ ეკონომიკას, ან პირიქით, ძველ, ჩამოყალიბებულ დარგებს, რომლებიც ახალგაზრდა, სასტიკი კონკურენტების მხრივ განიცდიან ზეწოლას. მაგრამ ბოლოს, ზოგჯერ საკმაოდ ჩქარაც, შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ მეთოდის ნაკლი შესამჩნევად **ჯაბნის მსგავს უპირატესობებს.**

სამართლიანობა საზღვრების გარეშე

დასაძრახია სახელმწიფოთაშორისი თუ სახელმწიფოსა და მსხვილ საერთაშორისო კორპორაციათა გაცვლითი გარიგებები. ესაა მძაფრი კონკურენციისაგან თავის დაღწევის ცდები, რომელიც უსათუოდ წარმოშობს კორუფციას და ყალთაბანდობას და სახელმწიფო ბიუროკრატიზმისა და თვით კაპიტალიზმის ყველაზე უარყოფითი მხარეების გამოვლენის უნარში იჩენს თავს. ამ აზრის ფორმულირება ასე მოხდება: საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობა უნართა თანასწორობის გლობალურ ვარიანტს წარმოადგენს. და ბოლოს, ჩემი მეექვსე დებულება: უნართა თანასწორობა ვერ იქცევა რეალობად საზოგადოებაში მაღალხარისხოვანი განათლების ხელმისაწვდომობის გარეშე, ასევე ვერც თავისუფალი ვაჭრობა იქნება [illegible] მისაღები განსაკუთრებით [illegible] ქვეყნების მხრივ, ვიდრე ქვეყნებს შორის ტექნიკური და კომერციული განვითარების თვალსაზრისით უზარმაზარი დისპროპორციები იქნება შენარჩუნებული. მე მგონია, სანამ არ მოხერხდება ტექნიკური და კომერციული დონეების დაპირისპირების შემცირება, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში გაცილებით უფრო სერიოზული გახდება, ვიდრე ესა თუ ის მომეტებულად თვალსაჩინო დისპროპორციები ცხოვრების დონესა თუ ფინანსურ რესურსებს შორის, მანამ ვერც საერთაშორისო ბაზრის ნორმალური საქმიანობა აღიქმება სამართლიანობისა და გონიერულობის პრინციპების გამოხატულებად. მაგრამ, საფიქრებელია, რომ მდიდარი ქვეყნები შესძლებენ, ქმედითი დახმარება გაუწიონ ღარიბ სახელმწიფოებს.

ძველი ყაიდის დახმარება სადღეისოდ მთლიანად დისკრედიტირებულია, და ვფიქრობ, დამსახურებისამებრ. რადგან არ შეიძლება არსებობდეს იმაზე დიდი შეუსაბამობა, ვიდრე ღარიბი ქვეყნებისათვის მდიდარ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ გაცემული ფულადი შეწირულობაა. ამგვარი შეწირულობანი ამშვიდებს ქველმოქმედის სინდისს, მაგრამ მხოლოდ განამტკიცებს უნიჭო და საძულველი ტირანის პოზიციებს. მაშინ, როცა საბაზრო კაპიტალიზმის სწავლება მესამე მსოფლიოს სახელმწიფოებისა და იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც კომუნიზმის უღელი გადაიგდეს, სრულიად განსხვავებული საქმეა.

სამეწარმეო ჩვევების დანერგვით ჩვენ ერთი დარტყმით ერთდროულად რამდენიმე მიზანს მივაღწიეთ: გავუწევთ დახმარებას ღარიბ ქვეყნებს და ავამაღლებთ მათს კონკურენტუნარიანობას; ჩვენი საქონლის ბაზრების გახსნით ამ ქვეყნებში

ამოვიღებთ დიდ სარგებელს; განვამტკიცებთ სისტემას — გავხდით მას უნივერსალურსა და სამართლიანს; და ბოლოს, კონკურენციის გაძლიერების კვალობაზე მომხმარებელს მთელს მსოფლიოში მივაწოდებთ უფრო იაფიან საქონელს. და კაპიტალიზმის ხელახალი თანხმობა ზნეობრივ პრინციპებთან მოიტანს დამატებით უპირატესობას, განამტკიცებს მის შემოქმედებით პოტენციალს.

ჩემს მიერ მოხმობილი არგუმენტები შეიძლება შევაჯამოთ ერთ ფრაზაში; ის, რაც კარგია ზნეობრივი თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, სასარგებლოა კომერციული თვალსაზრისითაც.

აქამდე ნაცადი ყველა ალტერნატივა კოლექტივისტურ ხასიათს ატარებდა და ყველა მათგანი ჩაიფუშა, დამარცხდა. დარწმუნებული ვარ, ზნეობრივ კითხვებზე პასუხის გაცემის მისწრაფებამ ის დრო მოიტანა, როცა სამეწარმეო ვარიანტს უნდა მივმართოთ და დახმარებისათვის კაპიტალიზმის საბაზრო მექანიზმს მივაშუროთ. საჭიროა ვაღიაროთ, რომ დღემდე მას ჩვენთვის ერთხელაც არ გაუცრუებია იმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია თაქვარელია

ე. თ. ა. ჰოფმანი და მისი რომანი „ეშმაკის ელექსირი“

ე. თ. ა. ჰოფმანი უაღრესად მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობრივი ფიგურაა გერმანული ლიტერატურის ისტორიაში. მწერლის სიცოცხლეშივე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა მისი პოეტური ინდივიდუალობის გარშემო. სხვადასხვა ეპოქის მწერალ-მოაზროვნეთა და ლიტერატურის მკვლევართა შორის იყვნენ ჰოფმანის თავგამოდებული ქომაგებიც და მისდამი აშკარა ანტიპათიით განწყობილნი. ჰოფმანისადმი ოპოზიციური დამოკიდებულება ჰქონდათ გოეთეს, ჰეგელს, ვალტერ სკოტს... ჰოფმანის დიდ თაყვანისმცემელთა რიგებს განეკუთვნებოდნენ ბალზაკი, დოსტოევსკი, ჰაინე, ბელინსკი, გერცენი, ბოდლერი, დიკენსი, უაილდი, თ. გოტიე, სენტ-ბევი...

უაღრესად დიდია ჰოფმანის რეზონანსი მისი ეპოქის შემდეგდროინდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ჰოფმანის გარეშე ალბათ ვერ წარმოიდგინება ბოდლერის ლექსები და ედგარ პოს მოთხრობები. ჰოფმანის პროზა შთააგონებდა რობერტ შუმანს და პაულ ჰინდემითს, მეტადრე სწორუპოვარ რიჰარდ ვაგნერს მუსიკალური შედევრების შესაქმნელად. დიდია ჰოფმანის ზეგავლენა ოტო ლუდვიგისა და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის შემოქმედებაზე. ჰოფმანი დეკადანსის მამამთავრადაც შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ რაგვარ დიდად განსხვავებული თვალსაზრისებიც არ უნდა არსებობდეს ჰოფმანზე, ერთი რამ ცხადზე უცხადესია, იგი იმ მცირერიცხოვან გერმანელ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება XVIII-XIX საუკუნის გერმანელთა შორის გოეთეს, შილერის, ჰაინეს, ნიცშეს გვერდით, ვინც ვიწრო გერმანულ საზღვრებს გასცდა და მსოფლიო დიდება და აღიარება მოიპოვა.

ჰოფმანი კონიგსბერგის მკვიდრია. დაბადებით ერნსტ თეოდორ ვილჰელმი იყო, მაგრამ მოცარტისადმი უსაზღვრო თაყვანების აღსანიშნავად ვილჰელმის ნაცვლად ამადეუსი დაირქვა და 1809 წლიდან მოყოლებული ლიტერატურის ისტორიაში ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის სახელითაა ცნობილი. ადრეული სიჭაბუკის დროიდან მუსიკითა და მხატვრობით გატაცებული ჰოფმანი ლიტერატურის ასპარეზზე თუ ესოდენ დიდ სახელს მოიხვეჭდა, არავინ იცოდა. კონიგსბერგის დედისეულ სახლში მიიღო პრუსიული ბიურგერული ოჯახისათვის შესაფერი აღზრდა-განათლება. 1792-95 წლებში კონიგსბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა იურისპრუდენციას, ბიურგერული განათლება მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში განსწავლასაც გულისხმობდა. სიჭაბუკის წლებშივე გამოაჩნდა ჰოფმანს დიდი მუსიკალური და ფერწერული ტალანტი. ხელოვნება სიყრმიდანვე უბრალოდ კი არ იტაცებდა, არამედ ხელოვნება იყო მისი ცხოვრების ერთადერთი ნეტარება, სულიერი ტკბობის ერთადერთი წყარო, თუმცა მუდამ ტანჯავდა და გულს უკლავდა ირგვლივ მყოფთა მეშჩანურ-ფილისტერული თვალთახედვა ხელოვნების სამყაროს მიმართ. — იგი წერს: „რომ ხელოვნება, რამაც სული აღმივსო, საკუთრივ ჩემეული სწრაფვა, ჩემი ცხოვრების მართალი, ერთადერთი ტენ-

დენცია უნდა ყოფილიყო, აღარც კი მახსოვდა, რადგან ჩემს ირგვლივ მუსიკაზე, მხატვრობასა და პოეზიაზე სხვა არაფერი გამეგო, გარდა იმისა, რომ ეს სასიამოვნო საგნები ადამიანის გულების გახალისებასა და თავშექცევას ემსახურებიან“.

თექვსმეტი წლისამ განიზრახა სამართალმცოდნეობის შესწავლა და სწორედ ეს ფაქტი აღიბეჭდა მკაფიოდ არა მხოლოდ მის ემპირიულ ყოფაში, არამედ გენიალურ ლიტერატურულ შემოქმედებაშიც. მგრძნობიარე, ხელოვნებისაკენ თავდავიწყებით მიმსწრაფე ჭაბუკი დარწმუნებული იყო, რომ თავს გაართმევდა მოვალეობასა და გულისთქმას შორის ურთიერთშეჯახებას. ჰოფმანის არსებაში ვერაფრით ეგუებოდნენ ერთმანეთს გერმანელი მწერალი და პრუსიელი მოსამართლე. პროფესიასა და მოწოდებას შორის კონფლიქტი ტანჯავს და სულს უხუთავს მწერალს. ჰოფმანი კარგი პროფესიონალი იურისტი იყო, მაგრამ თავის პროფესიულ მოვალეობაზე მძულვარებით ლაპარაკობს. „ჩემი საქმიანი ცხოვრება საძაგელი თოჯინაა, რომელიც მანამ ისწრაფვის ხელოვანისეული გენიის ლამაზი ფრთების მოკვეცას, ვიდრემდე ამ ფრთებს ძალუმად არ გადაიმტვრევს“.

ჰოფმანის იურიდიული განსწავლა კოენისბერგის უნივერსიტეტში სამწლიანი სტუდენტობით არ ამოწურულა. მას თორმეტი წელი დასჭირდა საიმისოდ, რომ სრულეყო ამ სფეროში თავისი განათლება და პრაქტიკული მოღვაწეობა კოენიგსბერგსა თუ გლოგაუში, პოზნანსა თუ პლოკში, ბერლინსა თუ ვარშავაში. 1802 წელს პოზნანის სახელმწიფო მრჩეველია, მაგრამ პრუსიელ ოფიცრებზე სატირული კარიკატურები როცა გამოაქვეყნა, თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და სასჯელის მოსახდელად პოლონეთის პატარა ქალაქში — პლოკში გაამწესეს. აქ ქორწინდება პოლონელ ქალზე — მიხელინა ტრინკაზე. 1803 წელს ვარშავაში მუშაობს სახელმწიფო მრჩევლად. ვარშავა ამ დროს სამხრეთ პრუსიის დედაქალაქად ითვლება. ამ პერიოდში უახლოვდება ჰიტციგს, რომელიც შემდეგ მისი პირველი ბიოგრაფოსი გახდა. აქვე ეცნობა ტიკს, ნოვალისს, ბრენტანოს. თავისი ცხოვრების ვარშავულ პერიოდში ინტენსიურ სამუსიკო მოღვაწეობას ეწევა. 1804 წელს დაწერა სასცენო მუსიკა ბრენტანოს „მხიარულ მუსიკოსებზე“. საერთოდ ცხოვრების კოენიგსბერგული პერიოდიდან დაწყებული უამრავი სიმღერა და კანტატა, კომიკური ოპერა (ზინგშპილი) და უვერტიურა, სონატა, მესა და სიმფონია შექმნა. იგი არის ავტორი ცნობილი რომანტიკული ოპერისა „უნდინე“ (1814), რომლის ლიბრეტო ფუკეს ეკუთვნის.

როცა 1806 წელს პრუსიას ფრანგები დაესხმებიან ნაპოლეონის წინამძღოლობით, ჰოფმანს სამსახურიდან ითხოვენ, რადგან უარს იტყვის ახალ ხელისუფალთადმი მორჩილების ფიცზე.

ჰოფმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბამბერგულ პერიოდს (1800—1813), ერთხანს იგი ბამბერგის თეატრის დირექტორი, კაპელმაისტერი და კომპოზიტორია. მალე თეატრი გაკოტრდა, ჰოფმანი კი მუსიკის მასწავლებლობით ირჩენს თავს. სწორედ ბამბერგში გაიცნო თექვსმეტი წლის იულია მარკი, რომელსაც მუსიკას ასწავლიდა. იულია დაქვრივებული კონსული ქალის ასული და ჰოფმანის მეგობარი ფსიქიატრის — დოქტორ ადალბერტ მარკუსის დისწული იყო. პირველად ჰოფმანი 1809 წელს მოიხსენიებს დღიურში იულია მარკის, როგორც თავისი ტრფობის საგანს. ამ წელსვე ქვეყნდება მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები AMZ-ში (Allgemeine Musikalische Zeitung) სახელწოდებით „კომპოზიტორი გლუკი“. ამას მოჰყვა „იოჰანეს კრაისლერის, კომპოზიტორის მუსიკალური ვნებანი“ (1810).

დედის რჩევით იულია მარკი ცოლად გაჰყვება მდიდარ, მაგრამ სულიერად ღატაკ ვაჭარს გროეპელს (1812) „განცდა— იულია“ (Julia-Erlebnis) მეტად მღელვარე მომენტია ჰოფმანის ცხოვრებაში.

ეს სპეტაკი და ფაქიზი განცდა ცხოველად აღიბეჭდა მის ლიტერატურულ შემოქმედებაში. იულიას თემაა განმსაზღვრელი ჰოფმანის ერთერთი მთავარი სალიტერატურო პრობლემისა, რომელსაც Künstlerliebe' („ხელოვანისეული სიყვარული“) ჰქვია. ჰოფმანის გაგებით ქალი — სატრფო მუზაცაა და იდეალიც. სიყვარულს ჰოფმანი განიცდის, როგორც მიწიერზე ამაღლებულ რომანტიკულ განცხრომას, პოეზიის უშრეტ წყაროს, სულიერგრძნობად ფენომენს, სისავსითა და სინატიფით გამორჩეულს, სიხარულითაც და ტანჯვა-ვნებითაც სულის აღმავსებელს.

ბამბერგში ჰოფმანი კალდერონისა და შექსპირის ინსცენირებებს აკეთებს, დგამს კლაისტის „ჰაილბრონელ ქეთჰენს“, მეგობრობს წიგნებისა და ღვინის ვაჭართან — კუნცთან, ფსიქიატრებთან — მარკუსთან და შპაიერთან, ბაიროითში სტუმრობს ჟან-პაულ რიჰტერს. წერს ოპერებს „უინძორელი მხიარული ქალების“ მიხედვით. 1813-14 წლებში ჰოფმანი ლაიპციგსა და დრეზდენში მოღვაწეობს. ლაიპციგის თეატრის დირექტორი — სეკონდა კაპელმაისტერად მოიწვევს. ამ დროს იდება საგამომცემლო ხელშეკრულება ჰოფმანსა და კუნცს შორის წიგნზე „კალოს სტილით დაწერილი ფანტასტიკური მოთხრობები“. ცოლთან ერთად მოგზაურობს დრეზდენში. აქ ცოცხალი მოწმე გახდა ნაპოლეონის დრეზდენთან ბრძოლის. ნაპოლეონის თემას ეძღვნება მისი ესკიზები: „დრეზდენული ბრძოლის ზმანება“ და „ელბელი მეფისნაცვალი პარიზში“. სეკონდასთან კონფლიქტის გამო თავს ანებებს ლაიპციგის თეატრში მუშაობას. თავს ირჩენს პოლიტიკური შინაარსის კარიკატურებითა და კომპოზიციებით. მეგობრობს ადოლფ ვაგნერთან — რიჰარდ ვაგნერის ბიძასთან. სწორედ იმხანად მუშაობს რომანზე „ეშმაკის ელექსირი.“

1814 წლიდან ვიდრე სიცოცხლის დასასრულამდე ჰოფმანი ბერლინში ცხოვრობს. მანამდე კი იგი ამ ქალაქში ორჯერ ცხოვრობდა, ერთხელ 1798—1800 წლებში, როცა სასამართლო პალატაში მუშაობდა, მეორედ 1807—1808 წლებში, ხოლო მისი ცხოვრების ბოლო რვაწლეული უპირატესად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეძღვნება. მისი მხატვრული ქმნილებების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ წლებში იქმნება. ბერლინში ჰოფმანი საინტერესო და სისხლსავსე ლიტერატურულ ცხოვრებას ეწევა. იბეჭდება მოდურ ალმანახებში, ჟიბის გამოცემებსა თუ წელიწდეულებში და მკითხველთა ფართო ფენებს მოიზიდავს. გრძელდება მისი მეგობრობა პიტციგთან, მეგობრობს აგრეთვე ექიმთან და პოეტთან — კორეფთან, პოეტ კონტესასთან, ცნობილ მწერლებთან — ფრუკესა და მამისოსთან, ლეგენდარულია მისი მეგობრობა მსახიობ ლუდვიგ დევრიენტთან. ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ ლუტერისა და ვეგნერის ცნობილი ღვინის სარდაფისა, ხშირად ხვდება არნიმსა და ბრენტანოს, აიჰენდორფს, ნოიმანს, ტიკს, ოელენშლეგერს, მოქანდაკე ქრისტიან დანიელ რაუხს და მხატვრებს ვილჰელმ ჰენზელს და ფილიპ ფაიტს, კომპოზიტორებს: ცელტერს და ბერგერს, ფილოსოფოსებს ჰეგელს და შლაიერმახერს, ფილოლოგ ბერნჰარდს და ბუნებისმეტყველ ლიხტენშტაინს, აგრეთვე სხვებს.

სიჭაბუკის წლებში ჰოფმანს აღაფრთოვანებდა შილერის „სულთა მხილველი“, რუსოს „აღსარება“, გროსეს რომანი „გენიოსი“. მერე და მერე სხვა ლიტერატურული გატაცებები გაუჩნდა: სმოლეტი, სვიფტი, ჟან-პაულ რიჰტერი, რაბენერი, გოეთე და კვლავ და კვლავ შილერი, მეტადრე მისი „შტურმერული“ პერიოდის ნაწარმოებები.

ჰოფმანი თხემით ტერფამდე, სულით ხორცამდე ხელოვანია, ხელოვანის სამყარო დომინირებს მის არსებაში. იგი ძნელად ჰგუობს მიწიერის გამოვლენას. მას სტანჯავს რეალური სინამდვილე და დაუცხრომლად ისწრაფვის ოცნების ანუ ჯინისტანის თუ ატლანტის სამყაროსაკენ. იგი წერს: „ხელოვნება და ხელოვანის თავისუფლება უცნაური რამაა. ისე, მართალი გი-

თხრათ, ხელოვნების სულთა სამყარო კიდევაც უნდა ჰქროდეს ზეცაში, მიწიერ ურთიერთობებზე მაღლა იდგეს. გენიალური შემოქმედის ნაღვაწი როდი წარმოადგენს საქონელს, რომლის ფულით შეფარდება ადამიანის შეცოდებათა მძიმე შედეგია, რომ ჩვენ, ხელოვანები ჩაცმა-დახურვასა და ლუკმა-პურის მოპოვებისათვის წამებულები ვართ, სამყაროდან განდევნილი ადამის ბედკრული ნაშიერები, სხვებივით რომ მიწიერ გარემოში მოხვედრა დაგვებედა. გასამრჯელო ანკესია, რაზეც მრავალრიცხოვანი შეჭირვებული ბრბო წამოეგება ხოლმე და ავი ბედისწერა თითქოს განზრახ მოახვედრებს ხელოვანებს ამ ბრბოში და იშვიათად თუ უწყალობებს უფალი მათ წარმავალ კეთილდღეობას".

ჰოფმანის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი იმპულსი მუსიკაა. ლიტერატურის ასპარეზზე გამოსვლის დასაწყისში იგი განმარტავს, როგორ აღმოცენდა პოეზია მუსიკის სულიდან. თავდაპირველად იგი საკუთრივ მუსიკოსი იყო, მერე და მერე, თანდათან იგი თავის მუსიკალურ მსოფლხედვას პოეტურ სახეს აძლევს, რაც წააქეზებს, მწერალი გახდეს. სწორედ ბამბერგში ჩამოყალიბდა საბოლოოდ მუსიკოსი ჰოფმანი მწერლად. ამ ქალაქში იგი საფუძვლიანად გაეცნო არა მხოლოდ მუსიკის სამყაროს, არამედ საზოგადოებასაც და მისი მანკიერი მხარეები აღმოაჩინა სწორედ აქ შეხვდება ხელოვანი — ენთუზიასტი ხელოვნებისადმი მტრულად განწყობილ ბიურგერ-ფილისტერთა გარემომცველობას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ობივატელსა და მეშჩანს ე. წ. Spiesturger-ს გულისხმობს და, როგორც გ. ზაიდელი სწორად შენიშნავს, ჰოფმანის ლიტერატურული შემოქმედება წარმოშვა არა მხოლოდ მუსიკის სამყარომ, არამედ საზოგადოების უსულგულობამაც.

ჰოფმანის ლიტერატურული შემოქმედების ცენტრალური თემა და მოტივია ხელოვანისა და ბიურგერის, ენთუზიასტისა და ფილისტერის, ხელოვანის თაყვანისმცემელსა და ხელოვნების მოძულეს შორის კონფლიქტიც. რაც მისი შემოქმედების უმთავრეს თავისებურებად — ფილისტერ-რომანტიკულ საწყისთა ურთიერთდაპირისპირებად ზოგადდება. ხელოვანსა და საზოგადოებას შორის არსებულ კონტრასტებსა და წინააღმდეგობებს მწერალი მძაფრად განიცდის და ეს ტენდენცია გამსჭვალავს მთელ მის შემოქმედებას პირველი მუსიკალური კაპრიჩიოებით დაწყებული („კომპოზიტორი გლუკი", „დონ-ჟუანი", „კრაისლერიანა") დამთავრებული სიცოცხლის ბოლოს დაწერილი დაუმთავრებელი ორმაგი რომანით (Doppel-Roman) — „კატა მურის ცხოვრებისეული შეხედულებები". ჰოფმანის გაგებით, ხელოვანი და ბიურგერი ერთმანეთს გამორიცხავს. მწერლის შემოქმედება — მსოფლგანცდაში ერთმანეთს უპირისპირდება ბიურგერ-ფილისტერის ბანალური სინამდვილე და ხელოვანის პოეტური სამყარო. ჰოფმანის მსოფლაღქმაში ნიშნეული ეს უძირითადესი ხაზი მძაფრად იკვეთება მის კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებში, მოთხრობებსა და ნოველებში, რომანებსა და ზღაპრებში, იქნება ეს ნოველა-ზღაპართა და სტატია-ნარკვევთა ოთხი კრებული: „კალოს სტილით დაწერილი ფანტასტიკური მოთხრობები" (1814-15, ოთხ ტომად), „სერაპიონელი ძმები" (1819-21 ოთხ ტომად), „ღამის მოთხრობები" (1816-17, ორ ტომად), „უკანასკნელი მოთხრობები" (1825), აგრეთვე დიალოგი „თეატრის დირექტორის უცნაური ვნებანი". (1818), ზღაპრები „ცინობერად სახელდებული პატარა ცახესი" (1819), „ოსტატი რწყილი" (1822), „პრინცესა ბრამბილა" (1820), რომანები „ეშმაკის ელექსირი" და „კატა მური", აგრეთვე მიმოწერა, მოგონებები, დღიურები.

სხვა გერმანელ რომანტიკოსებს ჰოფმანი იმით განესხვავება, რომ მას ეპოქის სოციალურ-საზოგადოებრივი რეალობა არც პოეტურად გარდაუთქვამს და არც სავსებით განუდევნია თავისი პოეზიიდან. ეს

რეალობა მან სრულიად უნუგეშოდ დასახა და შეადარა სიკეთისა და სილამაზის ხელოვანისეულად შეთხზულ-ნაოცნებარ სამეფოს. ოცნება-რეალობის ამგვარი დაპირისპირება იკვეთება და მოიხილება ჰოფმანის ადრინდელ ნაწერებში" „გლუკი", „დონ-ჟუანი", „კრაისლერიანა", აგრეთვე ისეთ გახმაურებულ შედევრებში, როგორებიცაა ზღაპრები „ოქროს ქოთანი" და „პატარა ცახესი".

„კომპოზიტორი გლუკი". ჰოფმანის პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია. მასში მკაფიოდ გამოვლინდა მისი შემოქმედების ძირითადი თავისებურება — სინამდვილის ე. წ. კალოს სტილით ასახვა, რაც რეალურ-ცხოვრებისეული მომენტების ფანტასტიკურ-გროტესკული კუთხით ჩვენებას გულისხმობს, როგორც ეს XVII საუკუნის ფრანგი მხატვარ-ოფორტისტის— ჟაკ კალოს ფერწერული ტილოებისთვისაა ნიშნეული. ამ ნოველა-კაპრიჩიოში მწერალი „ოცნებათა სამეფოდან" გამოიხმობს დიდი გერმანელი კომპოზიტორის — გლუკის აჩრდილს და ამით მისი თანამედროვე ბერლინის ფილისტერულ საზოგადოებას მიანიშნებს, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ხელოვანის არსი, მისი ბედის ტრაგიზმი.

ნოველაში „დონ-ჟუანი" ჰოფმანი „კალოსეული მანერით" წარმოაჩენს მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანის" თავისებურ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვით, ამ სახის ტრადიციული გაგების საპირისპიროდ, დონ-ჟუანი მხოლოდ თავმოთნე, უტიფარი და ავხორცი არისტოკრატი კი არ არის, არამედ რომანტიკული სულის კაცი, რომელსაც ტანჯავს იდეალსა და ცხოვრებას შორის არსებული დისჰარმონია — უთანხმოება.

„ოქროს ქოთანში" კლასიკურად გაცხადდა ჰოფმანის მწერლური გენია. ამ ნაწარმოებში სრულქმნილად აირეკლა ჰოფმანის ესთეტიკური მრწამსი, მისი წერის მანერა, მისი პოეტიკის ძირითადი პრინციპი — რეალურისა და ფანტასტიკურის, ნამდვილისა და ზღაპრულის ურთიერთშერწყმა, რაც იმის ფხიზელ აღიარებასაც მოწმობს, რომ ბიურგერული მეოცნებეობა იმავე ბიურგერული დამუყაყებული ცხოვრების შებრუნებული მხარეა. ოცნება-სინამდვილე ჰოფმანის შემოქმედებაში განუშორებელი და გაუცალკევებელი ფენომენებია.

ამ ნაწარმოების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ჰოფმანი თავის გამომცემელს — კარლ ფრიდრიხ კუნცს წერდა: „ღმერთმა ქნას, რომ ეს ზღაპარი იმგვარადვე დავამთავრო, როგორაც დავიწყე. ამაზე უკეთესი არაფერი შემიქმნია. ყველაფერი, რაც ადრე დამიწერია, უსულოა და გაქვავებული". იქვე ჰოფმანი თვითონვე განსაზღვრავს ამ ნაწარმოების ესთეტიკურ საზრისს. „უზომოდ მიტაცებს გაგრძელება ციკლისა „კალოს სტილით დაწერილი ფანტასტიკური მოთხრობები", მეტადრე ერთი ზღაპარი, რომელიც თითქმის მთელ ტომს მოიცავს. შეჰერაზადასა და „ათას ერთ ღამეზე" არც იფიქროთ. აქ ჩალმა და თურქული შარვალი სრულიად გამორიცხულია. ეს ზღაპარი უნდა იყოს ფანტასტიკური, მაგრამ ამავე დროს თამამად უნდა შეიჭრეს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში."

სწორედ ზღაპრულ-ფანტასტიკურის რეალურ-ჩვეულებრივთან გასაოცარი შერწყმა და ამ ორი საწყისის ერთურთში უფერადოვნესი გარდასვლაა ჰოფმანის პოეტური მსოფლშეგრძნების მთავარი არსი მთელ მის შემოქმედებაში და მით უფრო „ოქროს ქოთანში".

ზღაპრის ფაბულა, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია ჰოფმანის პოეტური მემკვიდრეობისათვის ქაოტურია, კაპრიჩიოზული, აღმოსავლური ყაიდის მითთამთხზველობით აღსავსე, ზღაპრული და ფანტასტიკური სცენები სიუხვით გამორჩეული. სიუჟეტში უფრო მუსიკა დომინირებს, ვიდრე სიტყვიერი თხრობა. ზღაპარში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მტრული სამყარო: პროზაული და რომანტიკული. ერთ მხარეს დგას „ჰარმონიულ უხამსთა" ქვეყანა, თვითკმაყოფილი, კა-

ნონებს მიმყოლი, დამჯერე, ფხიზელი ფილისტერებისაგან შემდგარი, ხოლო მეორე მხარეს — „კაცომრიობის მუსიკალური ნახევარი, „დადებითი“ ადამიანები. ცალკე დგანან ცხოვრების ბოროტი ძალები, რასაც ზღაპარში განასახიერებს ჯადოქარი დედაბერი, რომელიც საწყალ ფანტასტიკოს ანსელმუსს სდევნის გამუდმებით. ფანტასტიკოსთა სამყაროს განეკუთვნებიან: სტუდენტი ანსელმუსი, არქივარიუს ლინდჰორსტი, მისი უმცროსი ასული — სერპენტინა, ხოლო ფილისტერთა კლასიკური სახეებია: რეგისტრატორი ჰეებრანდი, ვერონიკა... ნაწარმოებში იმარჯვებს პოეტური აღმაფრენა. ანსელმუსმა შეძლო ყოველდღიურობის ტვირთისაგან ხსნა და სილამაზისა და ბუნების ჰარმონიაში დავანება, მაგრამ ზღაპრის ფინალი სევდიანია და ირონიული. ჰოფმანის მიხედვით, ყველაფერი პროზაული სინამდვილით მთავრდება. ეს პროზაული სინამდვილე კი ყველანაირ ჯადოსნურ სამეფოზე ძლიერია. თავისი საცოლისაგან ანსელმუსი საჩუქრად მიიღებს ოქროს ქოთანს — რომანტიკული ლტოლვის, ე. წ. Sehnsucht-ის სიმბოლოს, თუ ნოვალისის „ცისფერი ყვავილი“ არის მიწიერის ღვთაებრივში, რეალური სინამდვილის პოეზიაში გარდასახვის სიმბოლო, ჰოფმანის ოქროს ქოთანი ირონიული სიმბოლოა მეშჩანური ბედნიერების, რომელიც უსაგნო მეოცნებობის უარყოფით მოიპოვება. ჰოფმანი დასცინის თავის გმირებს — მოჩვენებითი სილამაზისა და ჰარმონიის სამყაროში ბინადართ, ოღონდ ეს დაცინვა კეთილშობილია. იგი თვითირონიასაც გულისხმობს .

„ოქროს ქოთანში“ განსაცვიფრებელი პოეტური ძალით ერწყმის ერთმანეთს ჰოფმანისეული პოეტიკის უმთავრესი ატრიბუტები: ირონია, გროტესკი, ფანტასტიკა, რომელთა მიღმა აშკარად ჩანს სტუდენტი ანსელმუსის განთავისუფლება ფილისტერული შეზღუდულობისაგან და მისი პოეზიის ამაღლებულ სამყაროსთან ზიარება.

ჰოფმანის მეორე შედევრში „ცინობერად სახელდებული პატარა ცახესი“ წინა პლანზე გამოდის სოციალური სატირა. აქ რეალურ-ირრეალური სამყაროების ურთიერთშერწყმასთან ერთად მათი მკვეთრი დაპირისპირებაა თვალში საცემი.

ამ ნაწარმოებში მწერლის დუალისტური მსოფლხედვა უფრო ნათელი, კონკრეტული და ცხადი ხდება. „ცახესში“ რეალური სინამდვილე მხოლოდ ირონიულ-ფანტასტიკურ-გროტესკულად კი არ აღიქმება, როგორც ამას ადრე ჰქონდა ადგილი, არამედ სერიოზულადაც.

უღარიბესი გლეხის შვილი, მახინჯი ცახესი კეთილი ფერია როზაბელვერდეს მიერ ნაჩუქარი მაგიური სამი ღერი ოქროს თმის წყალობით უცნაურ ფერისცვალებას განიცდის და სხვათა დათრგუნვის ხარჯზე დიდ საზოგადოებრივ აღმასვლას მოიპოვებს.

„პატარა ცახესი“ სახეთა სატირული სიმახვილით, სოციალური განზოგადების კონკრეტულობით და ღრმა ფილოსოფიური წვდომით გერმანული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შედის.

ჰოფმანის სახელგანთქმულ ზღაპართა შორის მეტადრე გამოირჩევა პოეტური კაპრიჩიო „პრინცესა ბრემბილა“. იგი ე. წ. „კალოს სტილით“ დაწერილი ნაწარმოებია, რაც, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ზღაპრულ-ფანტასტიკურის რეალურ-ჩვეულებრივთან შერწყმას გულისხმობს.

მსახიობ ჯილიო ფავასა და მკერავ ქალ — ჯიაჩინტა სოარდის თითქოს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ იმავდროულად ეფემერული წარმოდგენებიც დაუფლებიათ, თავი ჩაუთვლიათ რა ზღაპრულ პრინცად და პრინცესად. სიზმარეული ხილვით ჯილიოს თავი ჰგონია ასირიის პრინცი — კორნელიო კიაპერი, რომელსაც გულმხურვალედ დაეძებს რომში ჩამოსული თავისი სატრფო-ულამაზესი ეთიოპელი პრინცესა ბრამბილა. პატივმოყვარეობამ ჩააგდო ჯილიო და ჯიაჩინტა ეფემერულ გაუგებრობაში. ამ სენისაგან შეყვარებულები საბოლოოდ იმით განიკურნენ, რომ ხე-

ლოვნების საშუალებით თავიანთ ოცნებით წარმოსახვებში შექმნეს რაღაც დისტანცია, თანაც იმის უნარიც შეიძინეს, რომ ცხოვრება და საკუთარი თავი ამ წარმოსახვათა კარიკატურებად ეცნოთ და წარმოედგინათ.

პატივმოყვარეობის ამგვარი დაძლევით გახდნენ ისინი ხელოვანნი. ამაში კი მათ ეხმარება შარლატან ჩელიონატად სახეცვლილი კეთილი მაგიკოსი, რომლის სასახლე ჯადოსნური ციხე-დარბაზია, ასე რომ ჰგავს პროსპერ ალპანუსის („პატარა ცახესი") და არქივარიუს ლინდჰორსტის („ოქროს ქოთანი") ადგილსამყოფლებს; ამ სასახლეში აღმოაჩენენ ჯილიო და ჯიაჩინტა ჭეშმარიტი ხელოვნების იდუმალებას, სახელდობრ იმას, რომ ხელოვანმა უნდა შეიცნოს ის ცვალებადი სამყარო, სადაც ადამიანი შლეგად მოჩანს. ხელოვანი მხოლოდ მაშინ ძლევს ამ სიშლეგეს, როცა მხიარულ ნიღაბს იკეთებს, როცა მისი ხელოვნება წუთისოფლის სიცრუეს აღმოაჩენს და „მაღალი ყოფისადმი" ე. ი. პოეზიისადმი რწმენას აღიარებს.

ხელოვანის პრობლემაა არსებითი და განმსაზღვრელი ჰოფმანის ბოლოდროინდელ რომანში „კატა მური". აქ ხელოვანფილისტერის მძაფრი დაპირისპირებაა საცნაური. ფილისტერ-ბიურგერის ოსტატურად ჩამოძერწილ სახეში, რომელსაც კატა მური წარმოადგენს, ირეკლება რეალურად არსებული ყოფა-სინამდვილე მთელი თავისი უკუღმართული გამოვლენებით, ხოლო კომპოზიტორისა და კაპელმაისტერის — იოჰანეს კრაისლერის მხატვრულ სახეში სასურველი და საოცნებო სინამდვილე აისახება. საერთოდაც, ჰოფმანის პოეზიაში ყოველდღიურ-ჩვეულებრივი სინამდვილის ძირითადი ნიშანი ფილისტერობაა. ფილისტერში, ჰოფმანის აზრით, თავს იყრის ყველა ჯურის საზოგადოებრივი თუ ზნეობრივი უბადრუკობა. ფილისტერობა ნიშნავს თვითკმაყოფილ უგვანობას და გონების დამყაყებას, ეგოიზმსა და უხეშ მატერიალიზმს, ფორმალიზმსა და მოწყენილობას. ბიურგერ-ფილისტერი არ გრძნობს არსებობის გასაჭირს იგი თვითკმაყოფილია და მაძღარი. ფილისტერი, როგორც ჰოფმანის მკვლევარი ა. გლოორი ამბობს „გონისმიერი სამყაროდან ამოძირკვული ადამიანი" (der Mensch der entwurzelten Geistigheit). ბიურგერ-ფილისტერმა არა იცის რა სამშობლოს შესახებ და თუ იცის, ეშინია მისი. მას ბუნებისაც ეშინია. ბუნებრიობა და უშუალობა მისთვის უცხოა ჰოფმანის რწმენით, სამშობლოს ცნება მხოლოდ ხელოვანს ესმის.

ფილისტერ-ბიურგერთა ანუ კატა მურისა და მაიმუნ მილოს სამყაროს ჰოფმანის შემოქმედებაში უპირისპირდება კრაისლერის, ალპანუსის, ბალთაზარის, პერეგრინუს ტისის სამყარო.

ჰოფმანის შემოქმედებაში უაღრესად დამახასიათებელი შტრიხით ვლინდება დუალისტური დაპირისპირება რომანტიკულ და რეალისტურ საწყისთა შორის. დუალიზმი, უწინარეს ყოვლისა, ჰოფმანის მიხედვით, ყოველდღიურ-ჩვეულებრივსა და პოეტურ-ფანტასტიკურს შორის კონტრასტს გულისხმობს. ეს კონტრასტი მხატვრულ-ლიტერატურულ სფეროში „ორპლანიანობას" შეესატყვისება, სწორედ „ორპლანიანობაა" ჰოფმანის პოეტური შემოქმედების მახასიათებელი ნიშანი. რეალური ანუ ყოველდღიური ჰოფმანის პოეზიაში წინა პლანით გვევლინება ანუ აშკარად და ხილვადად, უკანა პლანში კი ფანტასტიკურ-ოცნებითი სინამდვილე გამოკრთის. ეს რეალური და ფანტასტიკური სინამდვილეები გაერთმთლიანებულად აღიქმება და განიცდება. ისინი ერთმანეთში იქმნებიან და ერთმანეთით არიან განპირობებული.

ჰოფმანის ცხოვრება არის ტრაგედია ხელოვანისა, რომელიც მძაფრად განიცდის რეალური სინამდვილის უბადრუკობას და ოცნებებში ანუ მეგობართა ვიწრო წრეში განმარტოებას არჩევს. ეს ე. წ. Flucht in die Dichtung „პოეზიაში გაქცევა") მკვეთრად გამოხატული რომანტიკული ფაქტორია, თუმცა, იმავდროუ-

ლად ჰოფმანს არც სინამდვილის და რეალიზმის გრძნობა აკლდა. ჰოფმანი ისეთი რომანტიკოსი მწერალია, რომელსაც „zu viel Wirklichheit“ (გადამეტებული სინამდვილე) ჰქონდა. ამიტომაც ამბობდა ჰაინე, რომ ჰოფმანი ნოვალისისაგან განსხვავებით ის მწერალია, ვინც თავისი „უცნაური გროტესკებით მაინც მაგრად ჩასჭიდნია მიწიერ რეალობას და როგორც ბუმბერაზი ანთეოსი მანამაა უძლეველი და ძლიერი, ვიდრე ფეხი მიწაზე უდგას, ასევე პოეტიც მანამაა ღონიერი და ძალმოსილი, ვიდრე სინამდვილის მიწას დასტოვებს და უმალ უღონო გახდება, როგორც კი ოცნებით ზეცის სილურჯეში ხეტიალს მოჰყვება“. მაგრამ სინამდვილისაგან ეს „სერაფიონიკული განდგომა“, რაც „პოეზიაში გაქცევით“ იხატება, როდი უნდა გავიგოთ ცალმხრივად. თვით უაღრესად რომანტიკულ მომენტებშიც აშკარად იგრძნობა მძაფრი ჭიდილი რეალურსა და ირრეალურს შორის. თავად ჰოფმანის მოუსვენარი პიროვნება, მისი მრავალმხრივი ტალანტია, ამის უტყუარი დასტური. ჰოფმანი იურისტი, მუსიკოსი, მწერალი, მხატვარი, თეატრის მემატიანე და დირექტორი, კომპოზიტორი, დეკორატორი, ხელოვნების კრიტიკოსი, ჰუმორად დაღვრილი მოსაუბრე და ბრწყინვალე მეინახე დაუღლელად ეძიებდა გზებსა და საშუალებებს საკუთარი არსების რეალიზაციისათვის. ასე დანაწევრდა და განიფანტა იგი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, ვითარცა პრიზმაში ნაირნაირ სპექტრულ ფერებად გადამტყდარი სხივი. არც პოლიტიკური მრწამსით იყო მთლად პასიური. როცა 1820 წელს მეტად უსიამო საქმე მიანდეს — პოლიტიკურ დანაშაულთა საგამოძიებო კომისიის წევრად აირჩიეს, რათა ებრძოლა იმ განმათავისუფლებელი იდეების წინააღმდეგ, რაც ის იყო ისახებოდა პრუსიაში. ჰოფმანის დამოუკიდებელი ხასიათი ვერ შეეგუა რეაქციული პოლიტიკის მატარებელ ხელისუფალთ. მან გულწრფელად და უშიშრად განაცხადა პროტესტი და მოითხოვა კომისიიდან გამოსვლა. თავისი ცხოვრების ეს მომენტი ასახა რომანში „კატამური“, ხოლო სატირიკულად დასცინა ე. წ. „ბურშენშაფტთა“ მდევნელთ და აგრეთვე ნოველაში „ოსტატი რწყილი“, რომელშიც დაუნდობელი სარკაზმით ამხილა იუსტიციის მრჩეველი, ვინმე კნარპანტი.

ჰოფმანის ლიტერატურული მემკვიდრეობა უტყუარი ნიმუშია, თუ როგორი შემოქმედებითი ძალისხმევით ებრძვის მის პიროვნებაში ერთმანეთს „მიწა“ და „ზეცა“, ოცნება და სინამდვილე, სული და მატერია. თავისი მშვენიერი ნოველებით, ზღაპრებით, რომანებით ჰოფმანი გენიალობამდე აყვანილი შინაგანი გზნებით მხატვრულად ასახავს თავის დუალისტურ სულიერ სამყაროს.

ადრეული ბავშვობიდანვე შეიგრძნო ჰოფმანმა ოცნებასა და სინამდვილეს შორის კონფლიქტი. ამიტომაცაა მისი შემოქმედების ცენტრალური თემა ხელოვნება — სინამდვილის ანტითეზა. ადრეული ბავშვობიდანვე იყო იგი მოწამე უცნაური და ფანტასტიკური გაორებისა, მის ბავშვურ წარმოდგენებს ასაზრდოებდა, ერთის მხრივ, ბიურგერულად შეზღუდული ოჯახური გარემო, პედანტი, ბიძა, რომელსაც ცხოვრება საათის ზუსტი მექანიზმივით ჰქონდა აწყობილი, მეორეს მხრივ კი მარტოობაში ჩაძირული ნერვიული და ქმართან განქორწინებული დედა, აგრეთვე მეზობლად მობინადრე პოეტი ზაქარია ვერნერი, თავისი შეშლილი დედით, რომელსაც თავი ღვთისმშობელი ეგონა, ვაჟიშვილი კი — ქრისტე. არ შეიძლებოდა ასეთ საზარელ კონტრასტებს თავისი კვალი არ აღებეჭდა ისეთი განცდების ვუნდერკინდზე, როგორც ჰოფმანი იყო. აქედან იწყო მან ჩამოყალიბება ღრმად წინააღმდეგობრივ შემოქმედად. მის პოეზიაში რომანტიკული ებრძვის რეალისტურს, წარმოსახვა-ოცნება — სინამდვილე-რეალობას. ამ ბრძოლის აქცენტები და ტენდენციები იმთავითვე იგრძნობა. რომანტიკული იმარჯვებს რეალისტურზე, სუ-

ლიერი — გრძნობიერზე, ზეციური — მიწიერზე, მაგრამ, თავის მხრივ, არც რეალურ-გრძნობისმიერი, მიწიერი ნიშნები მოჩანს პასიური ჰოფმანის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

ჰოფმანის „ეშმაკის ელექსირი" (1815-1816) დიდი გერმანელი რომანტიკოსი მწერლის ერთადერთი დასრულებული რომანია (უმთავრესად ჰოფმანი ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია როგორც სახელგანთქმული ზღაპრებისა და მოთხრობების ავტორი. გახმაურებული რომანი „კატა მურის ცხოვრებისეული შეხედულებები", როგორც ადრეც აღვნიშნეთ, დაუმთავრებელია).

„ეშმაკის ელექსირი" ერთგვარ პრელუდიად უძღვის წინ ე. წ. „ღამის ციკლის მოთხრობა-ზღაპართა ორტომიან კრებულს „ღამის მოტივები". ჰოფმანის ეს ორი დიდად თვალსაჩინო ქმნილება თემატიკით ერთმანეთს ენათესავება. ორივე ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია სულიერი და ფსიქოლოგიური მომენტების ფანტასტიკურად და მისტიფიცირებულად დახატვა. ორივე ნაწარმოებში დომინირებს ღამეული, ბნელით მოცული, იდუმალებით აღსავსე, ზებუნებრივი, კოშმარული, საშინელი და შემაძრწუნებელი მოვლენებისა და სიტუაციების მძაფრი ჩვენება. თუ კალოს სტილით დაწერილ ფანტასტიკურ მოთხრობებში მუსიკის პრიორიტეტი იგრძნობა, „ღამის მოტივები" პროგრამულად მოიცავს და უკავშირდება ფერწერის, მხატვრობის სფეროს. ჰოფმანმა „ღამის" ციკლის სახელწოდება წამოიღო ნიდერლანდელი მხატვრის — ჟერარ ვან ჰონთორსტის (1590-1656) განთქმულ ნაწარმოებიდან „ღამის პეიზაჟები". გარდა ამისა, ჰოფმანს ეს სათაური შთააგონა გერმანული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა — ჟან პაულ რიჰტერმა, რომლის ნაწერებში არაერთხელ მოიხსენიება „Nachtstück". ამ თვალსაზრისით ჰოფმანის უშუალო ლიტერატურული წინამორბედია ჰაინრიხ ფონ კლაისტი, სწორედ რომ ჰოფმანის ჯუფთი რომანტიკოსი მწერალი მასშტაბურობის მხრივ, როგორც ამას აღნიშნავს ცნობილი ჰოფმანისტი გეორგ ელინგერი, რომელ კლაისტთან შედარებით ჰოფმანს ბევრად უფრო დახვეწილი სტილ[illegible]ის უფრო ობიექტური მან[illegible] უფრო „რეალისტური" აქცენტის რომანტიკოსი იყო.

„ღამის მოტივებში" შემავალი რვა მოთხრობა და ნოველა რეალური სინამდვილის უმკაცრესი მხილებით, ამავე დროს უხადო სისათუთით, ღანაც უჩვეულო პოეტური გზნებით ასახავს ცხოვრების ღამეულ, ბნელით მოცულ, საშინელ და შემაძრწუნებელ მომენტებს, რის კვალსაც მწერალი უხვად პოულობდა ყოველდღიურობაში.

ამ ციკლის ერთი ყველაზე საუკეთესო მოთხრობაა „ქვიშის კაცი", რომელშიც ფანტასტიკური, მისტიფიცირებული კუთხითაა გაშუქებული რეალური სინამდვილის სოციალური და ფსიქოლოგიური მხარეები. ჰოფმანის ჩვეული დაუნდობელი კრიტიციზმი და სასტიკი ირონია ამ ნაწარმოებშიც მკაფიოდ გამოვლინდა. იგი ძლიერად და თავდაუზოგავად ებრძვის ყველაფერს სტანდარტულს, გაქვავებულს, ფილისტერულად შეზღუდულსა და თვითკმაყოფილს ადამიანის სულსა და ემპირიულ ყოფაში.

შეშლილის ნიშნით აღბეჭდილი სტუდენტი ნათანაელი სულის გაორებას განიცდის. მას თავდავიწყებით შეუყვარდება უსიცოცხლო და უსულო ოლიმპია და სრულიად მიავიწყდება თავისი ნამდვილი სატრფო — გამჭრიახი ჭკუის, ნაზი, ხალისიანი და ლაღი გოგონა — კლარა, რომელსაც ვერაფრით გაუგია ნათანაელის ბნელი და იდუმალი აჩრდილების. კლარას არ ძალუძს შეიცნოს ნათანაელის სულიერი დაწეწილობა და გაორება.

ოლიმპია ჰოფმანის ირონიული ხატი, სიმბოლო და მეტაფორაა, რომელიც მეშინაურ, ბიურგერულ საწყისს განასახიერებს. ნათანაელის შიში და ძრწოლა ქვიშის კაცის, ადვოკატ კოპელიუსის, ბარო-

მეტრებით მოვაჭრე იტალიელი ჯუზეპე კოპოლასადმი, როგორც საშინელი აჩრდილებისადმი, ფსიქოპათოლოგიურ განცდად იქცევა და ტრაგიკულ შედეგს იწვევს. ბოროტი ძალა შურს იძიებს ნათანაელზე და შეაყვარებს არა ნამდვილ ქალს, არამედ თოჯინასა და ავტომატს. ჩაის საზოგადოებაში ოლიმპიას გამოჩენა ნათანაელის მეგობართა ირონიულ ღიმილს იწვევს და ამის მიზეზია ოლიმპიას მკვდარი და გაქვავებული, სიცოცხლის ყოველგვარ ნიშან-წყალს მოკლებული ჰაბიტუსი. ნათანაელი კი, აქ პირიქით, ოლიმპიაში ჭვრეტს თავის იდეალს; თუმცა ოლიმპია სტერეოტიპულ ორიოდ ფრაზის გარდა არას ამბობს, ნათანაელს მაინც მიაჩნია, რომ იგი პოეტური სულის არსებაა, მისი ოცნების ხორცშესხმა და ეს ყალბი ზმანება მანამ სდევს ნათანაელს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ დარწმუნდება, რომ ოლიმპია მარტოოდენ თოჯინაა და სხვა არაფერი. სწორედ ამის შეცნობა მიიყვანს ნათანაელს შეშლილობამდე. ნათანაელს ავბედითად სდევს ბოროტი აჩრდილი ქვიშის კაცისა, რომელიც ხან ადვოკატ კოპელიუსად მოევლინება მამისეულ სახლში და სიავეს შეამთხვევს მის ოჯახს, ხანაც ბარომეტრებით მოვაჭრე იტალიელ ჯუზეპე კოპოლად.

„ღამის მოთხრობები“ და „ეშმაკის ელექსირი“ არა მხოლოდ თემატიკით ენათესავებიან ერთმანეთს, არამედ ნათელი, სადა, მაგრამ შინაგანი ექსპრესიით დატვირთული რთული, ფერადოვანი ენობრივი ქსოვილით და, რაც მთავარია, რომანტიკული მსოფლხედვით, რომელშიც დომინირებს ფანტასტიკურ-მისტიკური, იდუმალ-გაუცნობიერებელი ელემენტები.

რომანის გარეგნული რეკვიზიტები, ერთობ აძლიერებს თხრობის რომანტიკულ კოლორიტს (მონასტრები, იდუმალებით მოცული ციხე-სასახლეები, მოჩვენებები, აჩრდილები, ორეულები, ავაზაკური მკვლელობები...). ნაწარმოებში შეიმჩნევა დემონურ-ფატალისტური და ბულვარული ნიშნებიც.

— „ეშმაკის ელექსირი“ „გოტიკური“ ანდა „შავი“ რომანის ჟანრს განეკუთვნება. ამ ჟანრს საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისში და მიმართული იყო განმანათლებლური რომანის რაციონალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ. რომანის მოქმედებაც XVIII საუკუნის ბოლოს მიმდინარეობს ერთ კათოლიკურ მონასტერში. თავისი ცხოვრების გამბერგულ პერიოდში გაუჩნდა ჰოფმანს ჩანაფიქრი „ელექსირის“ შექმნაზე, როცა მეგობრისა და გამომცემლის — კუნცის მიერ მოწყობილ კაპუცინთა მონასტრის ტრაპეზობას დაესწრო და იქ გაიცნო კათოლიკური ეკლესიის მღვდელი სახელად კირილუსი, რომლის მეოხებითაც საფუძვლიანად შეისწავლა სამონასტრო ცხოვრება, სახელდობრ კათოლიციზმის სამყარო.

თემატურ-სიუჟეტურად ჰოფმანის „ელექსირს“ ძალიან ჰგავს ინგლისელი მწერლის გრეგორი ლევის (1775-1818) რომანი „ამბროსიო ანუ მღვდელი (Ambrosio or the Monk, 1785), რომელიც იმ დროს მეტად პოპულარული იყო და მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა, მათ შორის გერმანულადაც. სწორედ ოერტელისეული გერმანული თარგმანით გაეცნო მას ჰოფმანი. ეს რომანი ფიგურირებს „ეშმაკის ელექსირში“, თუმცა უნდა გამოკვეთილად აღინიშნოს, რომ ჰოფმანის „ელექსირი“ მხატვრულ-ლიტერატურულ ასპექტში ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ინგლისელი მწერლის აღნიშნული რომანი, რომელსაც ჰაინე სუსტ ნაწარმოებად თვლიდა. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ელექსირის“ ფონზე მეორეხარისხოვნად ითვლება აგრეთვე ისეთი ცნობილი მწერლების განთქმული ნაწარმოებები, როგორიცაა შილერის „სულთა მხილველი“, კლინგერის „ფაუსტი“, ჟან-პაულ რიჰტერის „ტიტანი“ და „ჰესპერუსი“, ბრენტანოს „როზენკრანცი“ და ტიკისა და ნოვალისის ნაწარმოებებიც კი.

ამ რომანის ცენტრალური ფიგურა-კაპუცინი მღვდელი მედარდუსი ჰოფმანის

შემოქმედებაში ფრიად დამახასიათებელი ხელოვანი — გმირების კატეგორიას განეკუთვნება და სისხლხორცეულად უკავშირდება მაგისტრალურ თემას მწერლის შემოქმედებაში, რასაც ხელოვანის პრობლემა ჰქვია. ხელოვანის მხატვრული სახე ორგანულ კავშირშია ჰოფმანისეული პოეზიის ყველა ძირითად მოტივთან. ზუსტად ხელოვანია ჰოფმანის შემოქმედების მთავარი გმირი. მაგრამ მედარდუსი ე. წ. „დაწყევლილ ხელოვანად" (Verfluchter Künstler) მოიაზრება. ეს ტერმინი ეკუთვნის შვეიცარიელ გერმანისტს ჟან ვირცს. მედარდუსი ეშმაკთან, სატანასთან, დემონთან წილნაყარი ხელოვანია ჰოფმანის მიხედვით. დემონური ამ შემთხვევაში სატანურს გულისხმობს. ასეთი ტიპის ხელოვანები არიან მედარდუსი, ფრანჩესკო („ელექსირი"), ბერტოლდი („იეზუიტთა ეკლესია გ...ში), აბრაჰამ ლისკოვი („კატა მური"), კარდილიაკი („ფროილაინ სკუდერი"), ნაწილობრივ კრაისლერიც („კრაისლერიანა", „კატა მური").

მღვდელი მედარდუსი ღვთისაგან დაწყევლილი მოდგმის შთამომავალია. იგი უბრძოლველად მიენდობა სატანის ნებას და ბედთან შერკინებისათვის ძალები არ ჰყოფნის. ახალგაზრდა კაპუცინს ცნობისწადილი აიტანს და იგემებს სასმელს, რომელიც მონასტრის რელიქვიაა და სასოებით ინახება ეკლესიის მუზეუმში, ვითარცა ღირსშესანიშნაობა. ეს ის ელექსირია, რითაც სატანამ უდაბნოში გადახვეწილი წმინდა ანტონიუსი აცთუნა. ელექსირმა მედარდუსი ცხოველი ქმედებისათვის აღაგზნო. იგი ბრწყინვალე ქადაგი გახდება, ოღონდ მისი ქადაგებები ღვთისნიერებით და სათნოებით კი არ არის გამსჭვალული, არამედ მედიდურობითა და მზვაობრობით. აქედან იღებს დასაბამს გზა მედარდუსის შეცოდებათა. მოუთრგუნველი ამპარტავნობით შეპყრობილს წინამძღვარი ლეონარდუსი საგანგებო დავალებას აძლევს, იტალიაში რომის პაპთან წარგზავნის. მედარდუსი იწყებს მოგზაურობას, ანუ ცთომილების გზებზე ხეტიალს. მას ამოძრავებს დემონური სურვილი — ეროს და ჰპოვოს მშვენიერი უცნობი ქალი, რომელიც ერთხელ სააღსარებოში გამოეცხადება და ავხორცულ ჟინს აღუძრავს. მთელს ამ ხანმოკლე და ცოდვილიან გზაზე მედარდუსი გაივლის დახლართულ და იდუმალ, დანაშაულებრივი ქმედებებით დატვირთულ ლაბირინთს თავისი ცხოვრებისა. ბოლოს რომში მოხვედრილი უარს ამბობს პაპის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე — გახდეს იქაური კარტეზიანული მონასტრის წინამძღვარი და თვითონ პაპის სულიერი მამა. საბოლოოდ მედარდუსი თავის მშობლიურ მონასტერს უბრუნდება და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს განლევს მონანიებასა და უმკაცრეს მარხულობაში, შეიცნობს რა სულიერი ჰარმონიის ერთადერთ გზად რელიგიურ ჭვრეტასა და განდგომილებას.

რომანის პერსონაჟთა იდუმალებით აღსავსე ურთიერთობები ისეთნაირადაა გადაბმულ-გადახლართული ერთმანეთთან, რომ ძნელდება გზის გაგნება და გარკვევა ამ ღვთისაგან შეჩვენებული მოდგმის შთამომავალთა ცხოვრების ბურუსით მოცულ ხვეულებში. მაგრამ ჰოფმანი უდიდესი მხატვრული ოსტატობით აღწევს ამ ურთულეს დამოკიდებულებათა უზადო ასახვას და ნაწარმოები ერთის ამოსუნთქვით იკითხება, თანაც არნახული მიმზიდველობით გამოირჩევა.

ცოდვილი ოჯახის მთელი ისტორია თავს იყრის ფრანცის — მედარდუსის მამის გარშემო, რომელსაც ფრანჩესკოს ეძახიან იტალიურ ყაიდაზე. ფრანცი არის ნაყოფი ნახევარ და-ძმა — პაოლი ფრანჩესკოსა და ანჯიოლას შეუღლებისა. ეს მძიმე ცოდვა ერგო მედარდუსს მემკვიდრეობად მამისაგან. ხოლო მედარდუსის დედა ყოვლად ღვთისმოსავი და სათნო ბუნების ქალია, ვისაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ცოდვილი გვარის გასაკეთილშობილებლად. მამისეული ცოდვის წყალობით მედარდუსი მისდაუნებურად, სრულიად გაუცნობიერებლად სისხლიან

დანაშაულებათ სჩადის და ცთომილებაში ვარდება, რისგანაც თავს აღწევს ღრმა მონანიებითა და შინაგანი ფერისცვალებით. მედარდუსის მსგავსად მისი სატრფო ავრელიაც უკანასკნელი შთამომავალია ცოდვათა მტვირთველი მოდგმისა, ოღონდ ავრელიას წარმოშობა ნაკლებ ცოდვიანია, რადგან მამის მხრივ სავსებით უცოდველია და წმინდა, მხოლოდ დედის მამაა აკრძალული სიყვარულის ნაყოფი. მისი დედა, ჯერაც ბავშვი შეაცდინა ფრანცმა და ქალმა მთელი თავისი დღე და მოსწრება ვერ ამოიგდო გულიდან სიყვარული თავისი შემცდუნებლისადმი. ამიტომაც არიან მედარდუსი და ავრელია მაგიურად ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომელთაც მშობლების სახელები ჰქვიათ (ჰოფმანისათვის სახელებს ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება). ყველაზე მძიმე ცოდვა რომანში ეფემიას აწევს, რაკი მისი დედაც და მამაც უკანონოდ არიან შობილნი. იგი ხდება ცოლი ბარონ ფონ ფ-ისა, რომელიც ადრე ლედამისის კანონიერი ქმარი იყო, თვითონ ეფემია კი ამაზრზენი ცოდვის მატარებელია, რადგან კანონით აკრძალული ურთიერთობა აქვს ვიქტორინთან და მედარდუსთან, რაც სისხლის აღრევის შემზარავ ფაქტს წარმოადგენს. იგი კუროცაა და დაც მედარდუსის და ვიქტორინის. რამდენადმე უფრო სუფთა წარმომავლობისანი არიან აბატისა და ვ.-ს ჰერცოგის მეუღლე. კანონიერი ქორწინებით იშვნენ ძმები ალექსანდრე და იოჰანი — ვ.-ს ჰერცოგის — თეოდორისა და გრაფის მეუღლე ანჯიოლას შვილები, თუმცა მათ დედას უკანონო კავშირი აქვს პაოლო ფრანჩესკოსთან. ამ მისტიური ლეგენდის სამყაროს განეკუთვნება უცნაური მლოცველი მხატვარი, რომელიც პირველწინაპარია მთელი მოდგმისა. იგი იყო დიდად ნიჭიერი მოწაფე ლეონარდო და ვინჩისა, რომლის გარდაცვალების შემდეგ წარმართ მხატვართა წრეში მოხვდა და ღვთისმგმობელმა აზრებმა შეიპყრო. მან ჯვარდაუწერლად იქორწინა ულამაზეს გოგოზე, რომელიც ეშმაკთან წილნაყარი აღმოჩნდა. ამ ეშმაკეული გოგოსგან ეყოლა უკანონო ვაჟი — ფრანჩესკო-ნაპოვარა, რომელიც გრაფმა ფილიპომ იშვილა. ეს მლოცველი მხატვარი არის ბაბუის ბაბუის ბაბუა ვიქტორინის, მედარდუსის, ეფემიას, ჰერმოგენის და ავრელიასი, ხოლო ბაბუის ბაბუა აბატისასი, ვ-ს ჰერცოგის მეუღლის, გიაცინტასი, ფრანცისა, უფროსი ავრელიასი და ფ.-ს ჰერცოგების — ალექსანდრესა და იოჰანისა. მოგვიანებით ფრანჩესკომ მოინანია თავისი ცოდვები და დიდებულად მოხატა „წმინდა ცაცხვის“ მონასტრის კედლები, აგრეთვე სწორუპოვარი ოსტატობით შექმნა ხატი წმინდა როზალიასი ბ....ში. სწორედ ამით აიხსნება საოცარი მსგავსება ავრელიასი იმ ხატთან. თვითონ მხატვარი მანამ ვერ ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს, ვიდრე სრულად არ მოსპობს და ამოძირკვავს თავის ცოდვილ მოდგმას, რადგან ყოველი მათი კავშირი უბედურებას უქადის მის წარმომავლობას. ამ უსასტიკესი ქმედებით თითქოს ეს მითიური მლოცველი მხატვარი სიმბოლურად ესწრაფვის გააცამტვეროს და ამოშანთოს ბოროტი საწყისი ადამიანის სულში. ამ დამნაშავე მოდგმა-ჯილაგის ქაოტური და არეულ-დარეული ქმედებები, რაც სულისშემძვრელი მღელვარებითაა ასახული ნაწარმოებში, მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ნათელზე ნათელია — უმოწყალო და თავდაუზოგავი ბრძოლა მანკიერებასთან. ჰოფმანის მსოფლშეგრძნებით თვითონ ცხოვრება და ადამიანის სულია აღსავსე იდუმალი, ბურუსით მოცული, დახლართული ურთიერთობებით და მაგიური შეჯახება-კონფლიქტებით, წინააღმდეგობრივი ინტერესებით და სურვილ-ვნებებით.

წიგნის ტემპი სუნთქვის შემკვრელია და გასაოცრად მხიბლავი — მედარდუსის ბედისწერაზე დაწერილი ეს დიდებული წიგნი საოცარი გზნებით იკითხება. ამის მიზეზი კი არის დუალიზმი, გაორება, ორსახა შუქი დანაშაულსა და სიწმინდეს შორის, რომელიც მაგიური ჯადო-გრძნე-

ზით თან გასდევს რომანს. როცა მედარდუსი თავის აღთქმას ტეხს და სამყაროში ხეტიალს იწყებს, ეს ჯერაც არ არის ადამიანურობის თვალსაზრისით დანაშაული, რაც შეიძლება კაცს ლოდად დააწვეს გულზე. ისიც ნაკლებადაა დანაშაული, როცა მის უნებლიე დაძახილზე ვიქტორინი მოულოდნელად უფსკრულში გადაეშვება. მაგრამ მედარდუსის ნება უსაზღვროებისა და არაჩვეულებრიობისადმი ისე ძლიერია, რომ იგი მისდაუნებურად, სრულიად გაუცნობიერებლად მიიწევს დანაშაულისაკენ. სწორედ ეს ნება აღუძრავს მას შემზარავ დანაშაულობათ, რაც ეფემიასა და ჰერმოგენეს მკვლელობებში ვლინდება.

ნაწარმოებში ქუფრ, მრუმე ფერებშია დახატული მდაბალ ბოროტმოქმედთა სამყარო: ავხორცული დაცემულობა, სისხლის აღრევა, ძმათა მკვლელობა, მოჩვენებები, ორეულები, აჩრდილები. ერთის შეხედვით, ეს ყველაფერი ავადმყოფურად აგზნებული ფანტაზიის წარმონაქმნია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნაწარმოები გაწაფული ხიბლითა და სილამაზით გამოირჩევა. მთელს ნაწარმოებს უჩვეულო ჯადო-გრძნებით გამსჭვალავს ამაღლებული, ზეციური ტრფობის ნათელი, რაც წარმოადგენს ჰოფმანის ცხოვრებაში განცდილი ცხოველი გრძნობის — იულია მარკისადმი სიყვარულის პოეტურ ხორცშესხმას.

ავრელიას მხატვრული სახე რომანში ამ უწმინდესი და უფაქიზესი ტრფობის გამოხატულებაა. როგორც ჰოფმანის თვალსაჩინო მკვლევარი ვალტერ ჰარიხი შესანიშნავად აღნიშნავს, იულია მარკისადმი ჰოფმანის სიყვარული მიწიერ სიყვარულზე მაღლა დგას. ისინი იდუმალად და უცნაურად შეტრფიან ერთმანეთს და ეს იგივე გრძნობაა, რასაც გოეთე განიცდიდა ფრაუ ფონ შტაინისადმი და ამ გრძნობას ასე გამოხატავდა მისადმი მიძღვნილ ლექსში:

Sag, was will das Schichsal
uns bereiten?
Sag, wie band es uns so rein
genau?
Ach, du warst in abgelebten
Zeiten,
Meine Schwester oder meine
Frau?

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ბწკარედი: მითხარ, რას გვიმზადებს ბედისწერა? მითხარ, რაგვარი სიწმინდით ვუკავშირდებით ერთმანეთს? ო, შენ იყავი გარდასულ დროში ჩემი დაიკო ანდა ჩემი ცოლი).

ბედისწერის ხელოვანისეულად განცდა-შეცნობაა ჰოფმანის ამ ერთობ გამორჩეული მხატვრული ქმნილების უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ჰოფმანის არც ერთი სხვა ნაწარმოები არ არის გამსჭვალული ესოდენ ფატალისტური აზრებით და ჩანაფიქრებით, როგორც „ეშმაკის ელექსირი."

ამ რომანში გაუცნობიერებელს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ეს გაუცნობიერებელი აქ ცნობიერთან დაპირისპირებაში მჟღავნდება. თუ მიწიერი ყოფის შეზღუდულობით გატანჯული ჰოფმანის ზღაპართა გმირები (სტუდენტი ანსელმუსი, ბალთაზარი...) მისტიკურ-ტრანსცენდენტულ აღმოჩენებში პოულობენ შვებას, რიგი მანიფესტაციაც გაუცნობიერებელში ხდება, „ეშმაკის ელექსირში" ცნობიერისა და გაუცნობიერებლის ურთიერთბრძოლა-დაპირისპირებაა თვალში საცემი. საერთოდ პოლარულობის პრობლემა კლასიკური და რომანტიკული აზროვნებისა და პოეზიის ცენტრალური პუნქტია.

გოეთე კოსმიური, ორგანული და სულიერი ცხოვრების პირველკანონს (Urgesetz) ხედავდა სისტოლასა და დიასტოლაში, ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვაში, ერთქმნილის განცალკევებასა და განცალკევებულის ერთქმნაში. კანტის მიხედვით, მატერია ორი საპირისპირო ძალის — მიზიდულობისა და განზიდულობის ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოიშვება. ფიჰტეს მტკიცებით, „მე"-ში ორი საწყისი ქმედებს: უსაზღვრო და საზღვარდებული. შელინგის თვალსაზრისით, ბუნების განვითარება ორი პოლარული ძალის მეშვე-

ობით ხდება. ეს ძალები ერთმანეთს განუწყვეტლივ ზღუდავენ და აფერხებენ. პოლარულობის ეს კანონი შელინგს ბუნებიდან ადამიანთა სამყაროში გადააქვს. კაცობრიობის განვითარება შელინგისათვის არის პროდუქტი ადამიანის თავისუფალი ცნობიერი თვითგანსაზღვრულობისა და გაუცნობიერებელი ღვთაებრივი აუცილებლობისა. შელინგის მკვეთრად გამოხატული რომანტიკული კონცეპციით (აკი შელინგი რომანტიკოსთა უპირველეს ფილოსოფოსად ითვლება) საზოგადოების ისტორიას განსაზღვრავს არა ობიექტურობა, არამედ თვითნებობა. მისი აზრით, „თვითნებობა ისტორიის ღვთაებაა", თუმცა ეს აზრი აბსოლუტური პირდაპირობით არ შეიძლება გავიგოთ, რადგან სხვაგან იგი ამბობს, რომ ისტორიას ქმნის თავისუფლებისა და კანონზომიერების ერთქმნა. ოღონდ ეს ერთქმნა უსათუოდ დაუსრულებელი პროცესია. შელინგი დაფარულ აუცილებლობას, რომელიც ყველა მომხდარ მოვლენას ედება საფუძვლად, ხან ბედისწერას (Schicksal) ეძახის, ხან განგებას (Vorsehung) და მას ღვთაებრივ ხასიათს მიაწერს. ისტორია, ისევე როგორც ბუნება, შელინგის გაგებით, არის მუდამ წინმიმავალი, თანდათან გამჟღავნებული, საბურველჩამოხსნილი, მაგრამ არასოდეს დასრულებული გამოცხადება აბსოლუტის ანუ ღმერთის. შელინგის ფსიქოლოგიური წვდომით ადამიანში ღვთაებრივი საწყისი გაუცნობიერებლად ქმედებს და წარმმართველ ძალას იძენს. იგი წერს: „ყოველ ადამიანს ჰყავს შინაგანი მეგობარი. ადამიანის შთაგონებები სიჭაბუკისას ყველაზე წმინდაა და სპეტაკი. მხოლოდ ფრივოლურობა თუ დააფრთხობს მას, ხოლო სიმპათია ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მიზნებისადმი ბოლოს და ბოლოს მთლად ართმევს ხმის ამოღების სურვილსაც კი.

მსგავს თვალსაზრისს აღიარებს ნოვალისიც, ოღონდ მისგან დამოუკიდებლად. ნოვალისის აზრით, ადამიანის სულიერი განვითარება ხორციელდება რეალური „მე"-ს იდეალურ „მე"-სთან თვითშეხებით (Selbstberuhrung). იქნებ გენია სხვა არაფერი იყოს, თუ არ მრავალი შინაგანი „მე"-ს ნაყოფი — ამბობს იგი.

გენიოსის შელინგისეული გაგება და ნოვალისის „იდეალური მე" ერთნაირად უკავშირდება გაუცნობიერებელს ჰოფმანის „ელექსირში", ოღონდ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ შელინგისა და ნოვალისის მსოფლხედვაში ეს ორი ცნება უთუოდ ღვთაებრივ პრინციპს გამოხატავს, ხოლო ჰოფმანის პოეზია — მსოფლშეგრძნებაში ეს გაუცნობიერებელი საწყისი ორმნიშვნელოვანია. იგი ხან ღვთაებრივს გულისხმობს, ხან ეშმაკეულს. ამ მხრივ ჰოფმანი უფრო შუბერტს ენათესავება. შუბერტი თავის ფუნდამენტურ წიგნში „ოცნების სიმბოლიკა" ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის დემონს: ერთია კეთილი, სოკრატული დემონი, რომელიც გვაფრთხილებს, რომ არსებობს ბოროტება, ხოლო მეორეა — ბოროტი დემონი, რომელიც ცუდი ქმედებისაკენ გვიბიძგებს; „სინდისი მისთვის ხან ღვთის ორგანოა, ხან ეშმაკის. გაუცნობიერებელი უბრალოდ ღვთაებრივი ანდა უბრალოდ ეშმაკეული კი არ არის, არამედ იგი ირონიული ენით ლაპარაკობს და ეფექტურად უპირისპირდება ჩვენს ცნობიერებას". მაგრამ შუბერტმა არ იცის, რატომ არსებობს ადამიანის სულში ეს დამღუპველი და საბედისწერო დაწეწილობა. შუბერტი ამაოდ კითხულობს, რატომ ვარდება ადამიანი უკიდურესობებში, რატომ აწყდება ხოლმე აქეთ-იქით უკიდურესობებს შორის. ო. ნიპერდეის მტკიცებით (მხედველობაში მაქვს მისი ფუნდამენტური წიგნი ჰოფმანის შესახებ' Hoffmann als Dichter des Unbewußten. Leipzig 1938) ჰოფმანმა იცის, რატომ ებრძვის ადამიანის სულში ერთმანეთს ეს ორი საწყისი: ცნობიერი და არაცნობიერი. ამ თვალსაზრისით იგი უფრო შელინგის ფილოსოფიასთან პოულობს შეხების წერტილს, ვიდრე შუბერტთან, სახელდობრ 1809 წელს გამოქვეყნებულ მის თხზულებასთან. „Philosophischen Untirsuchungen uber das Wesen der menschli-

chen Freiheit („ფილოსოფიური გამოკვლევები ადამიანური თავისუფლების არსზე"). ამ თხზულების მნიშვნელობას ჰოფმანის შემოქმედებისათვის პირველად ყურადღება მიაქცია ცნობილმა გერმანისტმა გუსტავ ეგლიმ. მაგრამ იცნობდა თუ არა ჰოფმანი შელინგის ამ შრომას, არავინ იცის. ამ შრომის გამოქვეყნებამდე, 1804 წელს შელინგმა გამოსცა პატარა თხზულება „ფილოსოფია და რელიგია", სადაც ასეთი კითხვა დასვა: რატომ არის აუცილებელი სამყაროში ბოროტების არსებობა? და თვითონვე გასცა პასუხი: „იმიტომ რომ ღმერთი ლოგიკური აბსტრაქცია, გაქვავებული არსებობა (starres Sein) კი არ არის, არამედ სიცოცხლე და უმაღლესი ინდივიდუალობა. სიცოცხლე კი ის ფენომენია წინააღმდეგობათა ცეცხლში რომ უნდა გამოტარდეს. წინააღმდეგობის გარეშე არც მოძრაობა არსებობს, არც სიცოცხლე; არც წინსვლა, არამედ არსებობს მარადიული ზავი, სიკვდილის მაუწყებელი თვლემა, რაც ძალ-ღონეს გაცლის. ბოროტება ღვთიური სიყვარულის გამოცხადებისთვისაა აუცილებელი, „რაკი ყოველი არსი მხოლოდ დაპირისპირებით თუ მჟღავნდება, სიყვარული სიძულვილში, ხოლო ერთიანობა — დავასა და კამათში. საიდან წარმოიშვება ბოროტი ძალა? ღმერთისაგან დამოუკიდებელ პრინციპად ხომ არ უნდა მოვიაზროთ იგი? ეს რომ ასე იყოს სამყაროში დაივანებდა ტკივილით აღსავსე განუკურნელი დუალიზმი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამყარო გაიხლიჩებოდა დუალიზმში". ზემოთ დასმულ შეკითხვას რომ პასუხი გასცეს, შელინგი იაკობ ბოემეს მიმართავს, სახელდობრ, მისი ფილოსოფიური შეხედულებების იმ პუნქტს, როცა იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ღმერთს, როგორც არსებობას (Existenz) და ღმერთს, როგორც „საფუძველს ღმერთში" (Grund im Gott) ან „ბუნებას ღმერთში" (Natur im Gott). ყოველ არსს გააჩნია თავისი არსებობის საფუძველი.

ღმერთს შეუძლია ეს საფუძველი საკუთარ თავში ჰქონდეს, რადგან არაფერი არ არსებობს ღმერთზე წინ და ღმერთის გარეშე. სამყაროში არსებობს „უნივერსალური ნება" (Universalwille) და „თვითნებობა" (Eigenwille). სიკეთე თვითნებობაზე უნივერსალური ნების გამარჯვებაა, ხოლო ბოროტება თვითნებობის აღმატებას ნიშნავს უნივერსალურ ნებაზე. ეს არის ქაოტურის, სიბნელის აღმატება სინათლეზე. ეს არის მთლიანის დანაწევრება, დისჰარმონია, ატაქსია. თუ ღმერთში საფუძველი და არსებობა, თვითნებობა და უნივერსალური ნება განუყოფელ მთლიანობადაა შეკრული, ადამიანში ესენი ცალცალკე არსებობენ. ადამიანში ბნელიც არის და ნათელიც, კერძოდ უფსკრულიც და უმაღლესი ზეცაც. საჭიროა თვითნებობის ამოძრავება, რათა ღვთისადმი სიყვარულმა მასში საყრდენი იპოვოს წინააღმდეგობის მეშვეობით. მხოლოდ ბოროტების საშუალებით იზრდება ადამიანში სწრაფვა სიკეთისაკენ. ამნაირად დაუშვა ღმერთმა სიკეთის არსებობა, რადგანაც ბოროტება სიკეთის პირობაა. სამყაროს ისტორია, აგრეთვე ადამიანის ცხოვრებაც შელინგს ასე აქვს წარმოდგენილი: პირველად იყო „ოქროს ხანა" ანუ დრო უბიწოების ანუ ცოდვების გაუცნობიერებლობისა, როცა არც ბოროტება არსებობდა, არც სიკეთე, მაგრამ ადამიანს უფლება არ ჰქონდა დიდხანს დარჩენილიყო ნეტარ გაურკვევლობაში. ღმერთი უთუოდ უნდა გამოცხადებულიყო. ქრისტე შუამდგომლობს ადამიანებს ღმერთთან და სიკეთის ქმნას უქადაგებს. ადამიანში სიკეთის კონკრეტული სახეაა ქრისტე. ადამიანთა საზოგადოებაში მუდამ არსებობს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ამ ბრძოლაში ღმერთი გონად (Geist) გვევლინება. დასაბამიდან დღემდე ქმედებს ყოველ ადამიანში შებრუნებული ღმერთის (Der umgekehrte Gott), „ყოველი არსის მტერი" (Feind aller Kreatur) „შემცდენელი", რომელიც ადამიანებს უაზრობისაკენ, ტყუილისაკენ, სიბნელისაკენ უბიძგებს. შელინგის მიხედვით, ადამიანში მარადიულად არსებობს კეთილ და ბოროტ საწყისთა შორის ბრძო-

ლა. ადამიანის ბოროტებისაკენ მიდრეკა აუცილებელია, რათა მასში ღვთის სიკეთე გაცხადდეს. ბოროტებას ღრმა აზრი აქვს კაცობრიობის განვითარებაში. ბოროტება რომ არ იყოს, არც სიკეთე იარსებებდა.

ამ მსოფლხედვით სპექტრში შეიძლება განიხილო და გააანალიზო ჰოფმანის რომანი „ეშმაკის ელექსირი". ჰოფმანიც შელინგისებურად აღიარებს სიკეთის ბოროტებით განპირობებულობას. აი, როგორ განუმარტავს წინამძღვარი ლეონარდუსი მრავალსატანჯველგამოვლილ მედარდუსს სიმბოლიკას ეშმაკის ელექსირისა: „ო, ძმაო მედარდუს, ეშმაკი დღემდე დაუღალლად და შეუსვენებლად დაეხეტება დედამიწაზე და ადამიანებს სთავაზობს თავის ელექსირს. ვის არ გაუსინჯავს ოდესღაც ჩვენს შორის მაჯ ჯოჯოხეთური სამსალის გემო. ეს ხომ ღვთის ნებაა, რომ ადამიანმა შეიგნოს მავნე ზემოქმედება თავისი წამიერი ფუქსავატობისა და ამის ნათელი შეგნებით ძალა მოიკრიბოს, რათა წინააღმდეგობის გაწევა შეიძლოს. ღვთის ყოვლისშემძლეობა იმაში მჟღავნდება, რომ სიკეთის ზნეობრივი პრინციპები ბუნებაში ბოროტებითაა განპირობებული, ისევე როგორც სიცოცხლე — სიკვდილით".

ჰოფმანის ესთეტიკური მრწამსის შესატყვისად ადამიანის სიკეთისა და ბოროტებისაკენ მიდრეკილება მიწიერი და ზეციური პრინციპებითაა ნაკარნახევი და განსაზღვრული. ეს პრინციპები კი მედარდუსის მხატვრულ სახეში ქვეცნობიერს უკავშირდება. ამიტომაც მწერალი „გამომცემლის წინასიტყვაში" მოუწოდებს მკითხველს მღვდელ მედარდუსის „უცნაური ხილვები" უფრო მეტი რამე ეგონოს, ვიდრე „აგზნებული წარმოსახვის თავგზისდამკარგავი უთავბოლო თამაში". მწერალი იქვე განაგრძობს: „ყოველთვის მგონია, რომ ყველაფერი, რასაც უბრალოდ ოცნებასა და წარმოსახვას ვეძახით, სიმბოლური შეცნობაა საიდუმლო ძაფებისა, მთელ ჩვენს ცხოვრებას რომ თან გასდევს და მის უთვალავ გამოვლენაში ჩაწნულ-ჩაგრეხილა".

სიღრმით, მგზნებარებით და სიმძაფრით „ელექსირს" ჰოფმანის ვერც ერთი სხვა ნაწარმოები ვერ უტოლდება. მჩიბლავი ფსიქოლოგიური ნათელხილვით აშუქებს ჰოფმანი ამ რომანში ადამიანური სულის მიუკვლეველ უფსკრულებს. [illegible] არსად დაუხატავს ჰოფმანს ასე ძრწოლვისმომგვრელად და შემაძრწუნებლად ცოდვიანობის ჯურღმული, ასევე ცოდვილის ლტოლვა ხსნისა და გადარჩენისაკენ, ღმერთში სასუფევლის დამკვიდრებისაკენ.

რომანის ცენტრალური გმირი — კაპუცინი მღვდელი მედარდუსი „ნეტარ გაურკვევლობაში" იზრდება. მისი ბავშვობა კათოლიკურ ლეგენდას მოგვაგონებს. ადრინდელი ბავშვობა მედარდუსმა ტოტებდაბურულ ტყეში ჩაფლულ მონასტერში გაატარა. იგი აქ ნეტარად ცხოვრობს და თავს სამოთხეში გრძნობს. „ჩემს ბავშვობისდროინდელ მოგონებებში დღესაც ცოცხლობს წარმტაცი სურათები „წმინდა ცაცხვის" მონასტრისა და მისი დიდებული ეკლესიისა. იქვე შორიახლო კვლავ შრიალებს ასწლოვანი დაბურული ტყე, ნედლ სურნელებას მაფრქვევს ნებივრად მობიბინე ბალახი, ტოკავენ ათასფერება ყვავილები და ეს ყველაფერი ჩემი ბავშვობის აკვანს მაგონებს. წმინდა ღვთისმშობლის მონასტერში არც გარეული მხეცები ბუდობენ და არც მგბენარ მწერებს დაუდევთ ბინა. ბუზების ბზუილი და ჭრიჭინების ჭრიჭინიც კი ალარსად გვესმის. ირგვლივ მყუდროებას დაუსადგურებია. აქ განუწყვეტლივ ჩაგვესმის მღვდელმსახურებისა და მლოცველების ღვთისმოსავი სიმღერები".

მედარდუსის უშფოთველ სიჭაბუკეს თავს დასტრიალებს და მფარველ ანგელოსად თან დაჰყვება სათნო აბატისას სახება, „ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე დედა მიყვარდა, ხოლო აბატისას თაყვანსა ვცემდი, ვითარცა წმინდანს. ჩემთვის მისი ხილვა დღესასწაული იყო". მედარდუსი ძალიან ნანობს, რომ ეს შორეული ბავშვობის ხანა სიზმარივით გაქრა. „დღემდე წარუშლელ მოგონებად დამრჩა ჩემი ბა-

ვშვობისა და ყრმობის ბედნიერი ხანა, ვითარცა ნეტარი სიზმარი. მაგრამ ვაი, რომ შორს, ჩემგან ძალიან შორსაა ის აღთქმული ქვეყანა, სადაც სიხარული, უღრუბლო ბავშვობის უბიწო განცხრომა იყო გამეფებული. ახლა კი, როცა უკან მოვიხედავ, მხოლოდ პირდაფჩენილი უძირო უფსკრულს ვხედავ, სამარადჟამოდ რომ მაშორებს მშობლიურ მხარეს. მხურვალე გულისთქმით შეპყრობილი დაჟინებით ვათვალიერებ დილის ცისკრის ძოწისფერ ბოლში გახვეულ უფსკრულის ძირას მონავარდე ძვირფას სახეებს და თითქოს ხელახლა მესმის ჩემი ახლობლების დაუვიწყარი საყვარელი ხმები. განა ამქვეყნად არსებობს უფსკრული, რომელზე გადაქროლებაც არ ძალუძდეს სიყვარულის უძლავრეს ფრთებს? რას მიქვია ტრფობისათვის დრო და სივრცე! განა სიყვარული არ ცოცხლობს ადამიანის ფიქრებში? განა იმან საზღვარი იცის? მაგრამ აი, უფსკრულის სიღრმიდან წამოიმართებიან ბურუსით მოცული აჩრდილები, რომლებიც სულ უფრო სქლად ჩამოწვებიან ღრუბლებივით და ძლიერად შემჭიდროებულნი გარს მეხვევიან და სასოებას მიკარგავენ, ჩემს სულს კი ამჟამინდელი შეჭირვებები ისეთნაირად მოიცავენ, რომ სევდაც კი გამოუთქმელი ნეტარებით აღსავსე ტკივილით აღმავსებს და ოდენ სიკვდილის მომვლინებელ განუკურნელ ტანჯვად მექცევა".

მედარდუსის თავდაპირველი შეცოდება, რაც უცოდველობადაც შეიძლება ჩაითვალოს, კონცერტმაისტერის დისადმი აღძრულმა სექსუალურმა ლტოლვამ შვა. ეს იყო მისი პირველი ხელის მოცარვა მიწიურ ცხოვრებაში და ამის შემდეგ მან ნებაყოფლობით უარი თქვა საერო ყოფაზე. იგი სასოებას მონასტრის კედლებში ჰპოვებს. სიყვარულში პირველი იმედგაცრუება მედარდუსმა ადვილად ვერ გადაიტანა და ამ მიწიურმა მარცხმა ცხოველი კვალი აღბეჭდა მის სულში, პატივმოყვარეობის ჭია შეუჩინა. „წყევლა-კრულვას ვუთვლიდი იმ გოგონსაც და საკუთარ თავსაც. ხან ვლოცულობდი, ხანაც გიჟივით ვხარხარებდი. ყველგან მელანდებოდა ხმები, რომლებიც დამცინოდნენ და აბუჩად მიგდებდნენ. ისე სავალალო ყოფაში ჩავვარდი, ფანჯრიდან მინდოდა გადავარდნილიყავი, მაგრამ საბედნიეროდ, რკინის გისოსებმა შემიშალეს ხელი. გარიჟრაჟზე თითქოს ოდნავ დავმშვიდდი კიდეც, მაგრამ საკუთარ თავს მტკიცე აღთქმა მივეცი, აღარასოდეს თვალითაც აღარ დამენახა ჩემი დამღუპველი გოგო და საბოლოოდ ამეღო ხელი ამქვეყნიურ სიამეებზე. ჩემს სულში უწინდელზე უფრო მძაფრად ჩამორეკა ზარმა, რომელიც მეუდაბნოეს განმარტოებული ცხოვრებისაკენ მიხმობდა. ამით ზურგს ვაქცევთ მიწიერ ცთუნებებს.

მედარდუსი როდია გულწრფელი წინამძღვარ ლეონარდესთან, რომელსაც იგი არ უმხელს ნამდვილ მიზეზს, რამაც მისი სამონასტრო ცხოვრებაში დამკვიდრების სურვილი გამოიწვია, არ ეუბნება სიმართლეს, რატომ გადაწყვიტა საეკლესიო ცხოვრება, რატომ აირჩია მეუდაბნოეს განმარტოებული ყოფა. მედარდუსის ცთუნებათა ჯაჭვი თანდათან იკვრება და იგი პატივმოყვარეობისა და ეგოიზმის მონა ხდება. იგი მჭევრმეტყველობით დიდად გამორჩეული ქადაგი ხდება და არნახულ წარმატებას აღწევს მაღალ საზოგადოებაში, რომელიც აღმერთებს ბრწყინვალე ორატორს. მედარდუსიც დააბრმავა ამ წარმატებამ და ქედმაღალი და მზვაობარი გახადა იგი. ამაოდ აფრთხილებს მას წინამძღვარი ლეონარდუსი, თავზრუს ნუ დაგახვევს ეს გიჟური წარმატება, ნუ დაკარგავ სულიერ სიმშვიდეს, რაც უმთავრესი რამაა ადამიანის სულიერი ამაღლებისათვისო. „შენ დაგაბრმავა წარმატებამ, თაყვანისცემამ, რასაც ყოველი ქადაგების შემდეგ მოგაგებს ამაოებისაკენ ქარაფშუტულად მიმსწრაფე მაღალი საზოგადოება და საკუთარი სახე გეკარგება, უჩვეულო ხდები, ფერშეცვლილი, მაგრამ ეს მირაჟია მხოლოდ, შემზარავი უფსკრულისაკენ რომ მიგაქანებს. ჩაუკვირდი საკუთარ თავს, მედარდუს, მოეშვი სიგიჟეს, რომელიც

ვონებას გიბნელებს. მგონი, სწორად მიგიხვდი და, შენ დაკარგე სულის სიმშვიდე, ურომლისოდაც ვერ გაძლებ ამქვეყნად, საშველი არ დაგადგება, ვერ განიკურნები. ნება მიბოძე გაგაფრთხილო: განერიდე ეშმაკს, რომელიც თავის ქსელში გახვევს. იყავი ისევ ის ღვთისნიერი ყმაწვილი, მე რომ გულით მიყვარდა".

მედარდუსი ეშმაკთან უშუალოდ იჭერს კავშირს, როცა ელექსირს სვამს. ლეგენდის მიხედვით ამ სითხით ეშმაკს წმინდა ანტონიუსი უნდა ეცთუნებინა. ამით მისი ცნობიერება დაიბინდა, სუსტძალოვანი გახდა, უფრო წარმოსახვის ძალა გაუცხოველდა, სულში გაუცნობიერებელი გაუძლიერდა. აქედან მოყოლებული ბოროტი ძალის იარაღი ხდება, იქნება ეს ბარონ ფ.-ის სასახლეში, სადაც თავს შეურისგების სულად თვლის თუ მონადირე მეტყევის სახლში ყოფნისას, როცა ნადირობის დროს ჰაერში ისვრის, მაგრამ ფრინველს მაინც მოახვედრებს და მის ფეხებთან ნანადირევი ჩამოვარდება ან კიდევ, როცა რეზიდენციაში ცხოვრობს და სრულიად შემთხვევით ბანქოს თამაშში მოულოდნელ წარმატებას აღწევს და უამრავ ოქროს მოიგებს.

როცა ორატორის კათედრაზე მდგარი მედარდუსი თავის მსმენელ მრევლს უამბობს ლეგენდას ეშმაკის ელექსირზე, რომელსაც ღრმააზროვან ალეგორიად წარმოსახავს, ამ დროს მას გააზრებული არა აქვს ეშმაკეული ძალის მნიშვნელობა, სერიოზულად ვერ აღიქვამს ბოროტი ძალის სიძლიერეს, პირიქით, დაკნინებულადაც წარმოიდგენს მას, რაც სინამდვილეს სულაც არ შეესაბამება.

ფიჰტე ერთ თავის თხზულებაში განმანათლებლობის საუკუნეს ახასიათებს, როგორც „დასრულებული ცოდვიანობის" (vollendete Sündhaftigheit) ეპოქას. იგი ამბობს, რომ ვინც არ აღიარებს ცოდვის რეალობას და ცოდვას მხოლოდ ფსიქოლოგიურ ზადად აღიქვამს და არა ტრანსცენდენტულ სინამდვილედ, მუდამ ემუქრება საფრთხე დემონიზმში ჩავარდნის. სწორედ ეს საფრთხე დაემუქრა მედარდუსს. ქადაგების ჟამს მან იხილა მოჩვენება, რომელმაც შიში და ძრწოლა მოჰგვარა. „ეს მოჩვენება იყო უცნობი მხატვარი „წმინდა ცაცხვის" მონასტრიდან. მომეჩვენა, რომ ვიღაცამ ყინულივით ცივი ხელი მარწუხივით დამწვდა ყელში და მახრჩობდა. შუბლზე განსაცდელის მწარე ოფლმა დამასხა, ენა დამება, აზრი დამეფანტა. სიტყვას თავი ვეღარ მოვუყარე, რას ვიბედ-მოვედებოდი, თვითონაც არ ვიცოდი. საყდარში ჩურჩული გაისმა. ხალხი აბურტყუნდა. ხოლო ის შიშისმომგვრელი უცხო მამაკაცი ისევ და ისევ უძრავად იდგა, სვეტს მიყრდნობილი დაჟინებით მომშტერებოდა. მძვინვარე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა და ჯოჯოხეთური ძრწოლვით აღვსილმა გაცოფებით ვიქუხე. „აქედან გაეთრიე, წყეულო! გაეთრიე-მეთქი, გეუბნები. იცოდე, იგი მე ვარ. დიახ, მე წმინდა ანტონიუსი ვარ".

მხატვრის აჩრდილი მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევს მედარდუსს და აფრთხილებს. მედარდუსი კი ისე არის დაბრმავებული სიყალბის ეშმაკეული ცდუნებით, რომ მხატვარში მუდამ „მტერს" ხედავს და არა მხსნელსა და გადამრჩენელს, ე. წ. Schutzgeist (მფარველ გონს). სინამდვილეში კი მხატვარი ეს არის ღვთაებრივი ძახილი მედარდუსში, რომლის სწორ და მართალ გზაზე დაყენებას ცდილობს ანუ მის ხსნასა და გადარჩენას. მაგრამ ხსნისა და გადარჩენის გზასავალზე სიარული ერთობ რთული აღმოჩნდა მედარდუსისათვის. ვიდრემდე ამ გზას დაადგებოდა, ცოდვებითა და დანაშაულით აღსავსე უამრავი განსაცდელი გამოიარა.

მედარდუსის ქადაგებათა ყალბი პათოსი ცუდად ენიშნა არა მხოლოდ წინამძღვარ ლეონარდუსს, არამედ აბატისასაც, რომელიც ასეთი შინაარსის ბარათს მისწერს: „დღეს მონასტრის ეკლესიაში წარმოთქმულმა შენმა ქადაგებამ დიდად დამამწუხრა. შენი სიტყვა როდია კრძალვით აღსავსე ღვთისკენ კდემით მიმსწრაფე. სულის გამონაშუქი. შენეულ აღმაფრენას

როდი ძალუძს სერაფიმის მსუბუქი ფრთებით ცად ალამაღლოს მონა ღვთისა, ვინც უსპეტაკესი თრთოლვით მოიხილავს ზეციურ მეუფებას. ვაი, რომ გულზვავი ნებივრობა შენი სიტყვისა, აშკარა ძალლონედაუზოგავი მცდელობა — უმეტესწილად ორიგინალური და თვალშისაცემი ელვარებით გამოირჩეოდეს შენი ქადაგება, ცხადად მაჩვენებს, რომ უმაღლეს მიზნად როდი დაგისახავს შენი სამწყსოს დამოძღვრა და მისთვის ღვთისმოსავი აზრების ჩაგონება, არამედ ბრბოს უმაქნის, ამაო მოწონებასა და იაფფასიან გაკვირვებას ესწრაფვი".

ავრელიას პირველმა გამოჩენამ სააღსარებოში კვლავ აღაგზნო მედარდუსის ცოდვებით დამძიმებული სული, ხოლო ეფემიასთან ურთიერთობა კულმინაცია იყო მისი ბიწიერი გულისთქმისა. ამ ურთიერთობამ კიდევ უფრო ნათლად დაანახა მედარდუსს, რა ძალუმად დამკვიდრდა მასში ბოროტნეული საწყისი, რისი გამოხატულებაცაა მისი სიტყვები: „რაწამს ეფემიამ დაუფარავად გამოთქვა თავისი ცხოვრებისეული შეხედულებები, უმალ საკუთარ თავში ზებუნებრივი ძალა ვიგრძენი, რამაც შთამაგონა, ფრთები შემასხა და უზენაესი პრინციპის გამოვლენად მექცა. ჩემს არსებაში რაღაც ზეადამიანური საწყისი შემოიჭრა, რისი წყალობითაც სულ სხვანაირი თვალსაზრისი გამიჩნდა მოვლენებზე, ყველაფერზე სულ სხვა დამოკიდებულება შემექმნა, აშკარად ფერი ვიცვალე. სულის ის სიმტკიცე და ცხოვრებაზე მიმძლავრება, რითაც ეფემიას თავი მოჰქონდა, სასაცილოდაც არ მყოფნიდა, უწყალო გაქირდვის ღირსად მიმაჩნდა. როცა იმ საწყალს ეგონა, თავისი გუდაფშუტა, მოუფიქრებელი თამაშით ალემატებოდა ცხოვრებას და უკიდურესად მზაკვრულ ილეთებს მიმართავდა, ამ დროს იგი მინდობილი იყო შემთხვევითობას ანდა ავ ბედისწერას, რასაც ჩემი ხელი წარმართავდა. ალბათ ჩემი ძალმოსილებით იყო იდუმალებით აღსავსე ძალებით ანთებული, შეცდომით რომ მისი მეგობარი და მეკავშირე ვეგონე. სინამდვილეში კი მისდა ჭირად და სავალალოდ მისი სატრფოს გარეგნული სახე მივილე. სწორედ მე შევბოჭე იგი უკეთური ძალმოსილებით და იმას უკვე აღარ შეეძლო [illegible] ამ შებოჭილობას. მართ[illegible] ეფემია თავისი პატივმოყვარული და ამპარტავნული ცთომებით ჩემს უსაზღვრო სიძულვილს იწვევდა".

ორეულის მოტივს რომანში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ორგანულადაა შერწყმული ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს. ვიქტორინი მედარდუსის მეორე „მე"-ა. იგი გამუდმებით ახსენებს მას წარსულში ჩადენილ დანაშაულობათ და სულის სიმშვიდეს უკარგავს. ორეული მედარდუსის ბნელი წარსულის გამოხატულებაა, იმ წარსულისა, რომლიდან სამარადისოდ გაქცევა სწადია. ორეული არის მედარდუსის სინდისი, რომელიც ტანჯავს და არ ასვენებს. ჰოფმანს მიაჩნია, რომ ჩადენილი ცოდვის ძირფესვიანად ამოძირკვა შეუძლებელია. ასევე გვმოძღვრავს შუბერტიც' „არ შეიძლება წარსულის გაუჩინარება". ორეული მედარდუსის ბოროტნეულ საწყისს განასახიერებს. შემაძრწუნებელია ის ტანჯვა, რასაც „ძამიკო" აყენებს მედარდუსს, რომელსაც ვნებით სწყურია გაექცეს თავის მეორე „მე"-ს. ეს ხდება ქალაქში, სადაც მედარდუსი დაიარება, როგორც მოხეტიალე მეცნიერი. ეს ხდება მეტყევის სახლში თუ თავადის რეზიდენციაში. ორეული არსად არ ასვენებს მას.

ჰოფმანის ესთეტიკური კონცეპციით, ვიდრემდე ადამიანი ცოცხალია, მანამ ებრძვის თავის თავში ბოროტ საწყისს. სწორედ ამ ბოროტი საწყისის სიმბოლოა ორეული, რომელიც ბედისწერასავით თან დასდევს და საშველს არ აძლევს მედარდუსს.

ჰოფმანის ორეული „ელექსირში" არის მედარდუსისაგან უარყოფილი, „შევიწროვებული" წინანდელი ცოდვილი ინდივიდუალობა, რომელიც მის ქვეცნობიერებაში ობიექტურ სახედ შემოდის და რასაც ადასტურებს ნაწარმოების ეს მონაკ-

ვეთი: „მაგრამ ის საეკლესიო ქადაგი — მღვდელი მედარდუსი ხომ მოკვდა, აღარ არსებობს, მთის ვიწროებში ჩაიმარხა. მე იგი არა ვარ, თუმცა კვლავაც ვიმყოფები ამ ქვეყანაზე, ჩემს წინაშე ხელახლა გადაიშალა ცხოვრება თავისი მრავალფერი განსაცხრომელით. როცა სასახლეში თავს გადახდენილი სიზმრად ვიხილე, ასე მეგონა, ეს ყველაფერი მე კი არა, სხვა ვინმეს შეემთხვა-მეთქი. ის სხვა მე არ ვყოფილვარ, ოღონდ ისიც კაპუცინი მღვდელი იყო".

ჰოფმანის მიხედვით, ორეული მედარდუსის სიზმარეული ხილვა კი არ არის, არამედ რეალური პიროვნება, მისი ნახევარძმა ვიქტორინია, რომელიც უფსკრულში გადავარდა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა და ახლა შეშლილი დაეხეტება ქვეყნიერებაზე. ეს ორეული სხვადასხვა სახითაც ევხადება მედარდუსს გამაფრთხილებლად და შემგონებლად, პეტერ შელკამჭოდ თუ დომინიკანელ მღვდლად, აჩრდილისებურ მხატვრად თუ რომის კაპუცინთა მონასტრის წინამძღვრად ანდა ავრელიას დამცველ ჰერმოგენად, ზოგჯერ მრისხანედ და დაუნდობლად, ზოგჯერ ლმობიერად, ნაზად, შემწყნარედ. ხანდახან ორეული „ცარიელ იდეად", „შინაგან ხილვად" გვევლინება. რომანში არის ადგილები, როცა ეჭვიც არ შეიძლება შეგვეპაროს ამ სახის ჰალუცინაციურ ხასიათში, მაგრამ ჰოფმანი საბოლოოდ მის რეალურ არსებობას აღიარებს და როცა შემზარავ ფერებში ხატავს ორეულის სიზმარეულ ხილვებს და მკითხველს პირველ პირში უამბობს მედარდუსის იდუმალებით აღსავსე ცხოვრებას, იმის რწმენასაც უღვიძებს, რომ ეს ორეული ცოცხალი არსებაა, თავისი ადამიანური ტკივილებით და ცთომებით და არა მხოლოდ აბსტრაქტული სახე. დოსტოევსკის რომანში „Двойник" არავინ იცის, სად წყდება სინამდვილე და სად იწყება ჰალუცინაცია გოლიედკინისა, რომელმაც სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაამთავრა. ჰოფმანის რომანტიკული კონცეპციით, ყველანაირი დუალიზმის მიზეში თვითონ ცხოვრებაა თავისი ნაირფეროვანი მდინარებებით, ძნელად დასამორჩილებელი არევ-დარევით.

ჰოფმანის ორეულს ახასიათებს ცნობიერების სიმულტანური-[illegible] დანაწევრება, ორეული დევნის [illegible] კაპელმაისტერ კრაისლერს და აბრაჰამ ლისკოვს („კატა მური", „ძაღლი ბერგანცა"). მაგრამ იქ ცნობიერების დისოციაცია ცენტრალურ პრობლემად როდია წარმოდგენილი, როგორც ამას „ელექსირში" აქვს ადგილი, სადაც ორეულის გამოჩენა უმთავრესად სიმბოლოა სულის დაწეწილობისა, ადამიანში ორგვარ გულისთქმას შორის შინაგანი წინააღმდეგობა-ბრძოლისა.

„კრაისლერის ატესტატში" („კრაისლერიანა") ორეულის მოტივი გულისხმობს მატერიალური შეჭირვების გამო გმირის ტკივილიან დამშვიდობებას თავის მუსიკალურ მეორე „მე"-სთან. „კატა მურში" იგივე მოტივი უფრო ჰუმორისტულ ეფექტს ახდენს. კატა მურს სურს თავის მშიერ დედას — მინას ქაშაყის ნაჭერი დაუთმოს, მაგრამ ავმუცლობის გამო ამ ქაშაყს თვითონვე შესანსლავს და პათეტიკურად წარმოთქვამს: „ო, მადავ, შენ კატა გქვია სახელად". მურს გრძნობა მოუჩლუნგდა, საკუთარ თავს წინააღმდეგობა ვერ გაუწია: „ახლა ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, ჩემი „მე" ჩემსავე „მე"-ს გაუუცხოვდა".

ჰოფმანის თვალთახედვით, თუ ხელოვანს გრძნობები არ გაუწონასწორდება და შინაგან სიმშვიდეს ვერ მიაღწევს, (ხელოვანში, რა თქმა უნდა, ადამიანიც იგულისხმება, ოღონდ ჭეშმარიტად მაღალი სულის ადამიანი და არა ტიპიური ფილისტერ-ბიურგერი), როგორც ამას მიაღწია კაპელმაისტერმა კრაისლერმა მონასტერში ყოფნის ჟამს, როცა ნამდვილი ხელოვანის სიმაღლეს ეზიარა, იმას მუდამ კვალში სდევს და მოსვენებას დაუკარგავს ორეულის აჩრდილი.

გაუცნობიერებლის პრობლემა ორეულისა და პოლარობა-დუალიზმის ჭრილში ერთობ საინტერესოდ აისახა ჰოფმანის ბოლოდ-

რონდელ ზღაპარ-კაპრიჩიოში „პრინცესა ბრამბილა“, რაზეც ნაწილობრივ გვქონდა საუბარი. მხოლოდ ერთს დავუმატებთ: იგი შეიძლება იუნგური მიმართულების თანამედროვე ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკად აღვიქვათ. შარლატან და ბაზრის ვაჭარ ჩელიონატს, რომელიც სინამდვილეში ღრმა გაგების კაცი და ჭკვიანი ექიმია, სურს ზერელე და ქედმაღალი ტრაგოდიანტი — ჯილიო ფავა და აუტანელი სიღუხჭირითა და უსულგულო ყოველდღიურობით გაბეზრებული ჯიაჩინტა სოარდი სულის ჭეშმარიტად განმწმენდელი ჰუმორით ზეშთაგონებულ მსახიობებად აღზარდოს, ამ მიზნით იგი ახალგაზრდა წყვილს თავისი ოცნების შესატყვისად ჩამოაყალიბებს. მთელ ნაწარმოებს ერთგვარ რეფრენად გასდევს სიტყვები: „Gedenke deines Traumbildes („გახსოვდეს შენი სიზმარეული ხილვა“). კეთილშობილი ჰუმორის მეშვეობით ისინი შინაგან თავისუფლებას იძენენ და ამით ძლევენ ყოველდღიურობის აუტანლობას და ბანალურობას. ეს ჰუმორი აღამაღლებს მათ ყოველდღიურ სინამდვილეზე, ვიდრე ჯილიო ღვთაებრივთან დაკავშირებულ „მე“-ს იპოვნიდეს, რომლის იდენტიფიკაციაა ასირიელი პრინცი — კორნელიო ჩიაპერი. ჯილიოს სულში ერთმანეთს ებრძვის ძველი, უბადრუკი და ახალი, უკეთესი საწყისები. ჯილიოს სნეულება იმაში მდგომარეობს, რომ მის არსებაში ორი სიამის ტყუპი ცხოვრობს. ისინი ქვედა ნაწილებით ერთმანეთს შეზრდიან: თუ ერთი ნაწილი მოწყენილია, მეორეს მხიარული სახე მიუღია, თუ ერთს ჯდომა სწადია, მეორეს სირბილი უნდა, მათი მიდრეკილებები არასოდეს ეთანხმებიან ერთმანეთს. სწორედ ამ „ქრონიკული“ დუალიზმისგანაა საჭირო ჯილიოს განთავისუფლება. საბოლოოდ იგი იპოვნის თავის უკეთეს „მე“-ს და თავს დააღწევს თავისსავე საწყალობელ და უბადრუკ ნაწილს.

„ელექსირში“ პოლარულობა-დუალიზმი ფსიქოლოგიურ შეფერილობას იღებს. ჰოფმანის გაგებით, ადამიანი არ შეიძლება მხოლოდ სიკეთისაკენ იყოს მიდრეკილი. როგორც კი იგი სიკეთისაკენ მიიდრიკება, უმალ ბოროტებაც [illegible], ხოლო როცა ადამიანი [illegible] „მფარველი გონი“ (Schutzgeist) [illegible], როგორც ამას მხატვარი თუ „ძამიკო“ აკეთებენ. სულის ეს „აქეთ-იქით მიწყდომა“ (Hin-und Her-gerissen Werden), შელინგის კონცეპციით, საჭიროცაა, რადგან ღმერთი მუდამ ცხადდება ადამიანში. ღმერთი კი, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, შელინგის მიხედვით, „გაქვავებული ყოფნა“ კი არ არის, არამედ ცხოვრება და განვითარება.

ცნობიერის ამნაირი დაპირისპირება გაუცნობიერებელთან ტელეოლოგიური მნიშვნელობისაა. გაუცნობიერებლის ეს ტელეოლოგიური დაპირისპირება ცნობიერთან თანამედროვე ფსიქოლოგიის უმთავრესი მომენტია, მეტადრე იუნგისა და ადლერის მსოფლხედვაში, რომელიც შელინგის შეხედულებებს ენათესავება. შელინგისეული ცნებები „Urtätigheit“ (პირველქმედითობა) თუ Urwille (პირველნება) გარკვეულწილად შეესატყვისება იუნგისეული სულის „ენერგეტიკულ“ დატვირთვას. თუ შელინგი „Urtätigheit“-ში ორი პოლარული ძალის შეჯახებას გულისხმობს, ასევე შეესატყვისება იუნგის „ლიბიდო“ ორ საწინააღმდეგო პოლუსს: ცნობიერს და არაცნობიერს. შელინგის მიხედვით, ამ ორი საწყისის ურთიერთმოქმედება და ურთიერთდაპირისპირებაა უმთავრესი მომენტი ბუნებასა თუ აზროვნებაში. იუნგის მიხედვით, ადამიანი ზღუდავს თავის აზრებს, გრძნობებს, მიდრეკილებებს, გულისთქმებს და უმოქმედობის გამო ესენი არაცნობიერიდან ოცნებაში, ნევროზში გადადიან და ქმედებენ როგორც „კომპენსაცია“ ცნობიერი ქცევისა, როგორც ინდივიდუალობის „თვითრეგულაცია“ (იუნგის ტერმინია).

შელინგისა და ჰოფმანის მსოფლხედვა იუნგისას იმით განესხვავება, რომ ესე-

ნი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის თავისუფალ ნებას. მათი აზრით, გაუცნობიერებელი აზრები ადამიანს თავისუფალი ქმედებისაკენ უბიძგებენ, თუ იუნგი ინდივიდუალობის განვითარებას ბიოლოგიურ, ავტომატურ პროცესად თვლის, რასაც იგი „თვითრეგულაციის" ეძახის და მისი მოძღვრების მთავარი ცნებაა, შელინგისა და ჰოფმანის მსოფლხედვაში ე. წ. „კოლექტიური" გაუცნობიერებლობის სახეები (ვთქვათ, წარმოდგენები ღმერთზე, დემონებზე, ეშმაკებზე...) აშკარად ტრანსცენდენტულ ძალებს შეესაბამებიან. იუნგის სამეცნიერო ეთოსი კი სულ სხვას მიანიშნებს. მაგალითად, იუნგის აზრით, ღმერთის ცნებას ადამიანის ირრაციონალური ბუნების უბრალოდ აუცილებელი ფსიქოლოგიური ფუნქცია ენიჭება, რასაც მისი არსებობის საკითხთან არაფერი აქვს საერთო. არსებობს თუ არა ღმერთი, ამ კითხვას, იუნგის გაგებით, ადამიანის ინტელექტი ვერასოდეს გასცემს პასუხს. იგი საამისოდ უძლურია.

ჰოფმანის „ელექსირში" დიდად საყურადღებოდაა წარმოდგენილი „გონისა" (Geist) და „სულის" (Seele) ურთიერთმიმართება, რაც ურთულესი პრობლემაა როგორც ჰოფმანოლოგიაში, ისე საერთოდ გერმანისტიკაშიც. ამ პრობლემის საფუძვლიან განხილვას ამჯერად არ ვაპირებთ, მხოლოდ უზოგადეს ასპექტს შევეხებით ამასთან დაკავშირებით. „გონი" აბსტრაქტული და მრავალნიშნა ცნებაა. ვიწრო გაგებით იგი ფსიქოლოგიურ რეალობას განეკუთვნება, უფართოესი გაგებით, კი — უსასრულოდ მიუწვდომელი იდეაა. მაგიურ სამყაროში „გონსა" და „სულს" შორის წინააღმდეგობა სინათლესა და სიბნელეს შორის წინააღმდეგობად გვევლინება. მაგიური „გონი" ანუ „ფნოიმა" (Pneuma) ღვთაებრივი სუნთქვაა, რომელიც ადამიანს განაბრწყინებს. ფნოიმა წყალობად შეიგრძნობა. მას ინდივიდუალური ხასიათი არ გააჩნია. იგი ღვთაებრივი ემანაციაა და მუდამ ერთი და იგივეა. ხოლო რაც შეეხება „სულს" ანუ Psyche-ს, იგი ცოცხალ არსებად მოიხილება. სული ინდივიდუალური ცხოვრების ჭურჭელია. მაგიური ადამიანი ფლობს სულს, ხოლო გონში წარტორდეს მონაწილეობას თუდა იღებს [illegible] ადამიანის გონისმიერი ნაწილი [illegible]. სწორედ ამ მაგიური სამყაროსაგან წარმოიშვება ქრისტიანობა, რომლის სწრაფვა ზეცათა საუფლოსაკენ — ეს არის მისი თავდაპირველი ლტოლვა (Ursehnsucht) — განიცადოს ფნოიმას სუნთქვა.

ამ ქრისტიანულ-მაგიურ სამყაროს მკვეთრად განესხვავება ფაუსტური სამყარო, რომელშიც გონი, როგორც ინდივიდუალური რეალობა მარადიულად ამოუხსნელია, ხოლო სული ზეინდივიდუალური ხასიათის მატარებელია. გონი მძლავრ აპოთეოზს განიცდის ფაუსტურ ტიტანში. ფაუსტური ადამიანი ღვთის წყალობას პასიურად მომლოდინე ნატურა კი არ არის, არამედ მოქმედი და მებრძოლი. ფაუსტურ ადამიანს ქმედითუნარიანობა გამსჭვალავს. ქმედითობის ზონად კი გოეთეს „ფაუსტში" ბუნება მოიაზრება. ფაუსტური ადამიანი, გოეთეს მიხედვით, თავისი ღრმა არსით შემოქმედი ტიტანია. იგი ხსნას ქმედებაში ხედავს. ბუნება ფაუსტური ადამიანისათვის სულთა მთლიანობაა, ბუნების მეშვეობით ეზიარება იგი ღვთაებრივს. იგი ბუნებაში ეძიებს და პოვებს შემოქმედებით წყაროსა და სათავეს თავისი აქტივობით და დინამიურობით. შემოქმედი ადამიანის გზა ხსნისა, გოეთეს მიხედვით, სულის მეოხებით ხორციელდება. გოეთეს შემოქმედება-მსოფლგაგებაში „გონი" და „სული" დუალისტურად დაპირისპირებული „კატეგორიები" კი არ არიან, როგორც ამას რომანტიკოსებთან აქვს ადგილი, არამედ ისინი ერთობლივად იღებენ მონაწილეობას ხსნის პროცესში, ასე ვთქვათ, ერთობლივად ქმედებენ. ფაუსტის „Seele" „მარადიულ-ქალურისაკენ" („Ewig-weibliche) მიეზიდება და ეს არის სულიერი პრინციპის გამოხატულება გოეთეს პოეზიაში. სწორედ ამ „მარადიულ-ქალური"

საწყისითაა შეშთაგონებული გოეთეს შემოქმედება. „გონსა" და „სულს" შორის კი არ არის გოეთეს „ფაუსტში" ბრძოლა და ჭიდილი, არამედ ფაუსტურ და მეფისტოფელურ საწყისთა შორის.

ჰოფმანი, როგორც შემოქმედი სულის სიღრმეებსა და უფსკრულებს ეძიებს. სულის სუბლიმური სიმაღლეები კი ხელოვნებაში მიიღწევა. ჰოფმანის ხელოვანი სულის მაძიებელია. საბედისწერო აუცილებლობას მიჰყავს ჰოფმანი ხელოვნების მაგიურ სამყაროსთან. მეტისმეტად სწორად აღნიშნავს ა. გლოორი, როცა ამბობს: „ჰოფმანი სულის სისავსის გამო კი არა, სულიერი შეჭირვების გამო იქცა ხელოვანად (Er ist nicht Künstler aus Fülle, sondern aus seelischer Not). სწორედ აქ ვლინდება იგი ტიპიურ რომანტიკოს შემოქმედად. ჰოფმანი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს, არის მხატვარი, მუსიკოსი, მწერალი. პირველ რიგში იგი ხელოვანია და შემდეგ პოეტი. იგი მშვიდად და მტკიცედ კი არ ქმნის, არამედ გალიზიანებულად, ნევროზულად, დაძაბულად. ამითაცაა იგი ტიპიური რომანტიკოსი. ტიპიური რომანტიკოსია იგი ბუნებასთან და, რაც მთავარია, სიყვარულთან დამოკიდებულებაშიც. სიყვარულს იგი ხელოვანისეულად აღიქვამს და არა ნაივურად და უშუალოდ და ამით მკვეთრად განესხვავება გოეთეს.[1]

ჰოფმანის შემოქმედება-მსოფლშეგრძნებაში გონი სულს უპირისპირდება. გონი სულის მტერი და მოწინააღმდეგეა. ჰოფმანის რომანტიკული მსოფლგაგებით, რეალურ სინამდვილეში შეუძლებელია ნეტარების მიღწევა, ასეთი რამ მხოლოდ ოცნებაში განიცდება. მისი აზრით, ოცნება და წარმოსახვა სიმბოლურად შეგვაცნობინებს იმ საიდუმლო ძალებს, „მთელ ჩვენს ცხოვრებას რომ თან გასდევს და მის უთვალავ გამოვლენაში [illegible] ჩაგრეხილა. ოღონდ ეს კია [illegible] ამის საქმე, ვისაც ჰგონია, რომ ამის შემცნობს ხელეწიფება თვითნებურად დაწყვიტოს ეს იდუმალი ძაფები და გაუტოლდეს იმ ბნელ ძალას, რომელიც ჩვენს ნება-სურვილს თავის ჭკუაზე ატრიალებს".

ჰოფმანი ამიტომაცაა „რეალისტური" ხედვის რომანტიკოსი მწერალი, რომ ძალუძს შესანიშნავად შეიცნოს რომანტიკული „სისუსტე-ცთომილებები" და კრიტიკული თვალით შეხედოს მათ. იგი ისურვებს, მკითხველმაც მასავით იცნოს მისი გულისთქმა. „ვინ იცის, მოწყალეო მკითხველო, როცა ამ წიგნს წაიკითხავ, შენც ჩემსავით იფიქრო. მე კი, ჩემდა თავად, სულითა და გულით ვისურვებდი ასე ყოფილიყო მიზეზთა სხვათა მნიშვნელოვანთა გამო — ამბობს იგი „ეშმაკის ელექსირში".

მედარდუსი მარტვილობაზე ოცნებობს და ჭეშმარიტი მარტვილი როდია. მას ძალა არ ჰყოფნის ნამდვილი წამებული გახდეს. იგი რწმენისადმი ერთგულებით კი კვდება, მაგრამ ეს ერთგულება საბედისწერო აუცილებლობითაა გამოწვეული და არა მისი შინაგანი მოთხოვნილებით. თავისი არსით მედარდუსი მარტვილი კი არ არის, არამედ მისი მარტვილობა გონის ფიქციაა, ფანტაზიის სპეკულაციაა. მედარდუსის ფხიზელი ფანტაზია ყალბად წარმოაჩენს მისეული მარტვილობის ფანტომს. ჰოფმანისეული „Seele" ცნობიერებასთანაა გაიგივებული. რომანში ვკითხულობთ: „საკუთარი მარტვილობის წარმოსახვაში ჩაძირულმა ჩემი თავი, როგორც ეს ხშირად მომსვლია ხოლმე, მკერდში სასიკვდილოდ დაჭრილი ვიხილე. მაგრამ ამჯერად ესპანურ მოედანზე როდი ვიწექი გამხლართული, როგორც ეს სხვა დროს დამსიზმრებია, ჩემი მაქებარ-მადიდებელი ხალხით გარსშემოხვეული, ამის

---

1. გოეთესა და ჰოფმანის და შესაბამისად რეალიზმისა და რომანტიზმის ურთიერთმიმართებაა განხილულ-გაანალიზებული ჩვენს ნარკვევში „ი. ვ. გოეთე და ე. თ. ა. ჰოფმანი", „საუნჯე", 1988, № 6. 1988, № 6.

მაგიერად ჩემი გვამი ეგდო ბ.-ს კაპუცინთა მონასტრის ბაღთან მდებარე დაცარიელებულ ხევანში. ფართოდ პირდაღებული ჭრილობიდან მოწვეთავდა არა სისხლი, არამედ მყრალი, უფერო სითხე და მე გავიგონე ვიღაცის კვნესით ნათქვამი: „ნუთუ წამებულთა სისხლი მთლად დაილევა? მე განვწმენდ და ფერს მივცემ ბინძურ წყალს და მაშინ მას თავზე გვირგვინს დაადგამს ცეცხლი, რომელიც ნათელზე გაიმარჯვებს“ — ეს სიტყვები მითქვამს თურმე მაშინ, როცა ვიგრძენი, როგორ დამშორდა ჩემი მკვდარი თვითარსი, ოღონდ ეს კი შევამჩნიე, რომ ჩემი „მე“-ს არსგამოცლილი ფიქრი ვიყავი, მაგრამ მალე შევიცანი თავი მეწამულისფერ ყვავილად, რომელიც ეთერში დაცურავდა“.

მედარდუსის წარმოსახვითი სიკვდილი ამ ეპიზოდში იმას ადასტურებს, რომ ადამიანთა მოდგმა მის მიმართ გულგრილადაა განწყობილი, რადგან იგი ჭეშმარიტი მოწამე არ არის. ამიტომაც მის ძარღვებში სისხლი კი არ ჩქეფს, არამედ უფერო სითხე. მედარდუსის მარტვილობას არსი არ გააჩნია. იგი ჭეშმარიტ რწმენას კი არ ეწირება მსხვერპლად, არამედ საბედისწერო აუცილებლობას. „მთათა მოულვარე, მწვერვალებზე ავიმართე და მინდოდა მშობლიურ ციხე-კოშკში შემეღწია დილის ღრუბლებით მოოქროვილი კარიბჭის გავლით, მაგრამ ცის კამარაზე ცეცხლში აბრიალებული გველების დარად გზა გადამიკვეტეს ელვებმა და სველი უფერო ნისლით დავეცი მიწაზე“.

მედარდუსში სული კი არ ეძიებს ხსნას, არამედ ცნობიერი „მე“. ცნობიერების მეშვეობით ხსნა და გადარჩენა კი არ შეიძლება. ხსნა სულის მოთხოვნილება უნდა იყოს. „ეს მე ვარ, მე — ამბობდა ჩემი ფიქრი, — ვინც თქვენს ყვავილებს, თქვენს სისხლის ფერს აძლევს, ეს ყვავილები და სისხლია თქვენი საქორწინო შემამკობელი, რომელსაც მე განვიმზადებთ. რაც უფრო ღრმად ვეშვებოდი ქვემოთ და ქვემოთ, ვხედავდი ცხედარს, მკერდზე პირდაღებული ჭრილობით, საიდანაც ღვარად მოედინებოდა უწმინდური წყალი. ჩემს სულთქვას ეს წყალი სისხლად უნდა ექცია, მაგრამ ეს ვერ მოხდა... ცხედარი წამოიმართა და გაქვავებულ-ჩაცვენილი თვალები შემომაშტერა. [illegible] ალრიალდა, თითქო უღრან ხეობაში მოთარეშე ჩრდილოეთის ქარი იყო. „თვალდავსებული ბრიყვული აზრი, როდის ყოფილა ბრძოლა სინათლესა და ცეცხლს შორის? მაგრამ სინათლე ხომ ცეცხლით ნათლობაა მეწამულისფერი ყვავილისა, რომლის მოწამვლაც შენ გინდოდა“.

მედარდუსის მცდელობა ხსნის მოპოვებისა, როგორც ა. გლოორი აღნიშნავს, „გონისმიერი ნარცისის“ მცდელობაა და იგი განწირულია მარცხისათვის. მოლაპარაკე ცხედარს სულის (Seele) ანუ ჯერაც შეუცნობელის, ბუნებრივის მნიშვნელობა აქვს. ცალკეული სულები, როგორც ექსისტენციალური რეალიები ჭეშმარიტ ხსნას ემუდარებიან უფალს, რადგან ადამიანურ გონს არ ძალუძს ხსნა მოუტანოს მოკვდავს. „მონასტრის კოშკის ზარმა თორმეტი ჩამორეკა. ეკლესიის ფანჯრებიდან დამაბრმავებელი შუქი დაეცა ჩემს სენაკს. მიცვალებულები საფლავებიდან წამომდგარან და ღვთისმსახურებას აწყობენ-მეთქი, გავიფიქრე და გულმხურვალე ლოცვა დავიწყე. უეცრად კარზე ხელი კაკუნი მომესმა. ალბათ რომელიმე მლოცველს უნდა ჩემთან შემოსვლა-მეთქი. მაგრამ შევძრწუნდი, როცა გავიგონე შიშისმომგვრელი ხითხითი და სიცილი ჩემი ორეულის აჩრდილის. იგი მტანჯველი გახელებით და ჭირჭილით მეძახდა: „ძამიკო... ძამიკო... კვლავ შენთანა ვარ... ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს. ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს... წითელი, წითელი... წამოდი ჩემთან, ძამიკო მედარდუს, წამოდი ჩემთან!“ საწოლიდან წამოხტომა მინდოდა, მაგრამ თავზარდამცემმა შიშმა ყინულის საბანში გამახვია და ყოველი ჩემი მოძრაობა ლამის ყოვლისწამლეკავ კრუნჩხვად იქცა“.

მედარდუსის ოცნება-სიზმარი ნათლად გვიჩვენებს, რომ ირრეალურია ხსნა და გადარჩენა ცნობიერების მეშვეობით. ამას ადასტურებს ხმა ორეულის ანუ გაუცნობიერებლის, რომლის რეალურ არსებობასაც მედარდუსი არ სცნობს. ამ არცნობით იგი რაღაცნაირად თავს აღწევს შეშლილობას. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება ნახევრადმთვლემარე მდგომარეობაში, ოცნების სფეროში, ოღონდ საკუთარი ჩრდილი დაკარგული არა აქვს. ეს არის კრიზისის, აზრთა ჭიდილის, განხეთქილების მდგომარეობა. სიზმარი უჩვენებს მედარდუსს ხსნის გზას. იგი შეიცნობს, რომ ორეული ირრეალური არსებობა კი არა, მისი საკუთარი „მე“-ს ნაწილია. ხსნის ეს გზა სიზმარში იმით მჟღავნდება, რომ ორეული მედარდუსს წითელ სისხლს ჰპირდება. ორეულის ანუ გაუცნობიერებლის აღიარება კი ნიშნავს საკუთარ თავში ბოროტი საწყისის აღიარებას. „მე შევთხოვდი უფალს, გადავერჩინე ბნელი ძალებისაგან, რომლებიც ჯოჯოხეთის გაღებული კარიბჭიდან მესხმოდნენ თავს. ცხადად მესმოდა სულთა შიგან შეთხზული ჩემი ლოცვა და ამ ლოცვამ დაახშო ამაზრზენი ორეულის კაკუნი, ხითხითი და უსიამო როშვები, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ჩაიკარგა უცნაურ ზუზუნში, გეგონებოდა სამხრეთის ქარმა მწერების გუნდები გამოაღვიძა და აყვავებულ ნათესებს მხამიანი დინგებით ამოსწოვა სიცოცხლის ძალაო. ეს ზუზუნი იქცა ადამიანთა უნუგეშო დრტვინვად და ჩემმა სულმა იკითხა: გრძნეული ხომ არ არის ეს სიზმარი, გულის ჯერაც შეუხორცებელ ჭრილობას რომ მალამოდ მოეცხება და ნუგეშსა და განკურნებას მომიტანსო“.

ლოცვა აქ ნიშნავს სულის საშიში შრეებისათვის ზურგის შექცევას, ორეულის გაუჩინარება კი — მედარდუსის შეშლილობისაგან თავის დაღწევას. სასოწარკვეთა აღმოათქმევინებს მედარდუსს ლოცვას. ეს უნდა იყოს მისთვის ხსნის გზა. მაგრამ ცოდვილის ხსნა ადვილი არ არის. მას ვერც ცნობიერება შველის და ვერც არაცნობიერ გზაზე ხეტიალი. იგი მარტოოდენ ღვთის წყალობასაა მინდობილი. მან თავი უნდა დააღწიოს ინდივიდუალისტურ განცალკევებას, რომელიც მის ყველაზე დიდ ცთომილებად აღიქმება. ეს ინდივიდუალისტური განცალკევება მედარდუსის ოცნება-სიზმარში ფრინველთა გუნდის სახეს იღებს, აყვავებულ ნათესებს რომ დააცხრება მხამიანი დინგებით და სიცოცხლის ძალას აცლის. მედარდუსს შორიდან ესმის ფრინველთა ზუზუნი, რაც ადამიანთა მოთქმად და უნუგეშო დრტვინვად იქცევა. სიზმარი გრძელდება და მედარდუსს გამოეცხადება ქრისტე, ვითარცა ჭეშმარიტი მარტვილი, რომელიც ცოდვილ ადამიანებს თავისი მეწამულისფერი სისხლით იხსნის. მედარდუსს ხსნა და გადარჩენა მხოლოდ მაშინ მიეგება, თუ ისეთნაირად დააღწევს თავს ავრელიაროზალიასადმი **ორმაგ სიყვარულს, როცა** ავრელიასადმი მიწიერ-ხორციელი სიყვარული **წმინდა როზალიასადმი ზეციური სიყვარულით განიწმინდება. აქ ჰოფმანი**სეული სიყვარულის ანუ Künstler-Liebe-ს რომანტიკული არსი იმით მჟღავნდება, რომ ამ სიყვარულს მიწიერ-რეალურ სინამდვილეში დამკვიდრება არ უწერია და ეს არის ჰოფმანის, როგორც რომანტიკოსი ხელოვანისა და მწერლის განუკურნელი სატკივარი და სატანჯველი. სწორედ მიწიერ-რეალურისაკენ ეს სწრაფვაა აღსაქმელი ჰოფმანის შემოქმედებაში იმ რეალისტურ საწყისად, რომელსაც საბოლოოდ ძლევს და თრგუნავს მწერლის არსებაში მძლავრად ფესვგადგმული რომანტიკული სული.

ე. თ. ა. ჰოფმანი დიდი რომანტიკოსი გერმანელი მწერალია, რომლის მსოფლაღქმა და ლიტერატურული მემკვიდრეობა სწორხაზოვნად და ცალმხრივად ანუ მხოლოდ რომანტიკული აქცენტებით კი არ მიემართება, არამედ მის მხატვრულ ქმნილებებში ერთდროულად თანაარსებობენ რომანტიკული და რეალისტური საწყისპრინციპები და მათ შორის მიმდინარეობს მძაფრი დაპირისპირება, რაც მისი

შემოქმედების სპეციფიკურ თავისებურებად ყალიბდება, თუმცა ეს სპეციფიკური თავისებურება არც ზოგად-ლიტერატურულ კანონზომიერებას გამორიცხავს, რომლის მიხედვით, რაგინდარა ეპოქის ყოველ დიდად გამორჩეულ და ღირსსაცნობ პოეტურ ქმნილებაში საგრძნობლად შეიმჩნევა ამ დაპირისპირებულ საწყის-ელემენტთა ურთიერთჭიდილი და ბრძოლა-შეჯახება. მაგრამ ეს დაპირისპირება უმკაცრესი შეუვალობით, მათემატიკური სიზუსტითა და კატეგორიულობით კი არ ჩნდება, არამედ ქვეშეცნეულად, ფრთხილად, ფაქიზად, დინამიურად. ეს დაპირისპირება თან გასდევს ჰოფმანის მთელ შემოქმედებას დაწყებული მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებით „კომპოზიტორი გლუკი" დამთავრებული სიცოცხლის ბოლოს დაწერილი უკანასკნელი ნოველით „მტერი". რაგინდ უკიდურესად რომანტიკული კონცეპციით არ უნდა იყოს გამსჭვალული მისი, რომელიც გნებავთ, ნაწარმოები, ყველგან შეიმჩნევა რომანტიკულ-რეალისტურის უმძაფრესი შეჯახება-კონფლიქტი და ამ ასპექტშივე განვიხილავთ და ვაანალიზებთ „ეშმაკის ელექსირსაც", რომელიც მწერლის ურთულესი და უმრავალფეროვნესი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ლიტერატურული ქმნილებაა.